

1974/4



ԳԻՆԵՄ

6

1974



დავიღბი კიბლი ხელთუქმნელი. კიბლთან მოვუხამი
ხალხს და აწ მოვა კიდევ უფრო მეტი და მეტი.
ვირ შეიდრება აღწევებულს და შედგომუხრელს
აღმქსანდრიის მაღალი სვეტი.

არა, მე ასე ვირ მოვკვდები — ჩანს ვიღობა
სული, რომ სიკვდილს შეეგროვლოს და უორს მიიღტვის.
ამ მზის ქვეშ მანამ არ ჩაქრნა ჩიხი დიდობა,
სანამ იცოცხლებს ერთი კიბტიც.

სესია

1518/1

205

გამოცემის მეთვრამეტე წელი

6

ივნისი

1974

თბილისი

საქ. კვ. ცენტრის გამომცემლობა

ლიბერატურულ-მეცნიერული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

კ. შარვაშიას სახ. საქ. სსრ

შინაერსი

ქმოვის სიმღერა

- 3. ისიღორა კოზაივი. ცხომრების რიტმში
- 4. ზარსან კოდალაივი, ხაჯუმარ ალგოროვი, მერი გუჩაიოვი, ევანთა კუსრაივი, რიურია თაღაივი. ლმცსიბი. ოსტრიდან თარგმნეს ვანო ჩხიკვაძემ, ვიორჯი ბესთაუთმა, შუია ხეთაგურმა
- 10. ივანე ბაგაივი, მალიტონ კაჯიივი, ვლადიმერ ბაგლაივი. მოთხრობიბი. ოსტრიდან თარგმნეს შუია ხეთაგურმა, ელენე ბაშარულმა

პროზა, კოეზია

- 22. ელგუჯა მალრაძე. გოღება. ბიოგრაფიული რომანი. გაგრძელება
- 67. გივი გეგეჯიკორი. ლმცსიბი
- 74. როსტომ გეგანიშვილი. მოთხრობები
- 83. გივი ძნელაძე. წიგნიდან „მეღებება“. ლექსები
- 87. დავით მურჯიანი. ლმცსიბი
- 89. რამაზ კოგიძე. შუია ცხრამედი წლისა, ქეთივანი — თვრამეტი. მოთხრობა
- 97. თამაზ პანდელაივი. ლმცსი

175 — კუშკინი — 175

- 98. შიური გენია
- 102. ალექსანდრე კუშკინი. ლმცსიბი. თარგმნეს ჭანულ ჩარკვიანმა, ვივი გეგეჯიკორმა
- 105. ალექსანდრე კუშკინი. როსლავლიოვი. მოთხრობა. თარგმნა აკაკი ბრეგვაძემ

ჩვენი დღეების რიტმი

- 113. თენგიზ მორიბაული. ტყე შეუნახე შვილებსა...
- წერილები
- 115. რამაზ ჩხარტიშვილი. ცოცხალი სიტყვა
 - 124. გიორგი ივანეშვილი. „ღათა თუთაშხია“
 - 134. ტარიელ მანაშკია. „არ შეამოკლოს ტარტული“...
 - 148. ოზარ გოგიანიშვილი. „მითოლოგიური ლმცსიკონი“

აუვისტის კუთხე

- 152. თენგიზ რაზვანიძე. წიგნი იოვისა

მთავარი რედაქტორი ჯანსუღ ჩარკვიანი

სარედაქციო კოლეგია:
 გურამ ასათიანი,
 ვალერიან ბაქრაძე,
 აბაი ბაქრაძე,
 გივი გეგეჯიკორი,
 გურამ გვარდუთელი,
 მერაბ ელიოზიშვილი,
 კარლო კალაძე,
 კონსტანტინე
 ლორთქიფანიძე,
 ოტია ვაჟკორია
 (პასუხისმგებელი მდივანი),
 ნოდარ წულუბსკირი,
 ტარიელ მანაშკია,
 სერგი ვილიაძე,
 თამაზ ვილიაძე,
 ლევა ჯანაშია.

ცხოვრების რიტმში

სამხრეთ ოსეთის პოეზია და პროზა ამჟამად დიდ აღმავლობას განიცდის. გაიზარდნენ ნიჟიერი ლიტერატორები, რომელთა საუკეთესო ნაწარმოებები წარმატებით შეიძლება ამოუდგნენ გვერდით ოს კლასიკოსთა შემოქმედებას. ისინი 50—60-იან წლებში გამოვიდნენ სამწერლო ასპარეზზე, ერთგულად ებრძვიან უკონფლიქტობას მხატვრულ ნაწარმოებებში, არ იფარგლებიან მხოლოდ მოვლენებისა და ხასიათების მშრალი ანგარიშით. მათ შეიგნეს მხატვრის მაღალმოქალაქეობრივი მოწოდება, რასაც ყოველ ჩვენგანს აკისრებს დღევანდელი ცხოვრების რთული პროცესი, მისი თავისებურებანი და განსაკუთრებულად მძლავრი რიტმი.

ოსმა პოეტებმა და პროზაიკოსებმა უკანასკნელი 10—15 წლის მანძილზე მნიშვნელოვნად აიმაღლეს ოსტატობა. პოეტები ეძიებენ სიახლეს ლექსის წყობის, რითმისა და მეტრის სფეროში, ორგანულად ითვისებენ ლექსის ისეთ „არქაულ“ ფორმებს, როგორცაა სონეტი, მადრიგალი, იყენებენ მრავალფეროვან რითმულ შესაძლებლობებს, მაღალსა და დაბალ შაირს, მიმართავენ პროზაულ ლექსსა და ვერლიბრს, როგორც რითმიანს, ასევე — ურითმოს.

სამხრეთ ოსეთის პროზაიკოსები პოეტებთან ერთად აქტიურად არიან ჩაბმული თანამედროვე პროზის რიტმში. ღრმა ფსიქოლოგია, მწვავე პრობლემების საინტერესო დამუშავება, ჟანრისა და თემის ძიება, დღევანდლობის მძაფრი განცდა — აი, რა ასულდგმულებთ ოსი პროზაიკოსების საუკეთესო ნაწარმოებებს.

„ცისკარში“ წარმოდგენილია თანამედროვე ოსი პოეტებისა და პროზაიკოსების შემოქმედების ზოგიერთი ნიმუში.

პოეზიაში გთავაზობთ ახალგაზრდა პოეტისა და ლიტერატორის რიურიკ თედევის, პოეტების გერსან კოდალაევისა და ხაჯუმარ ალბოროვის ლექსებს. პროზაში კი უფროსი წარმომადგენლის ვლადიმერ გაგლოევისა და მელიტონ ყაზიევის ნაწარმოებებს.

რიურიკ თედევის ლექსები გამოიცა მოსკოვში ცალკე წიგნად. მასთან ერთად ქართულ ენაზე ითარგმნენ გ. კოდალაევი და ხ. ალბოროვი.

რა თქმა უნდა, მე შორს ვარ იმ აზრისაგან, რომ აქ წარმოდგენილი ნაწარმოებები იყოს დღევანდელი ოსი მწერლობის მთლიანი სახე. მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს არც პირველი და არც უკანასკნელი შეხვედრაა ოსური მხატვრული სიტყვის ოსტატებისა ქურნალ „ცისკრის“ მკითხველებთან.

ინილორა კოზავენი,

სამხრეთ-ოსეთის საქ. მწ. კავშირის განუყოფილების პასუხისმგებელი მდივანი.

ი მ ლ ა მ ა ნ ს

თვალისხლიანი მეზმანა სვავი
წყევლას უთვლიდა ცასა და მიწას.
მამა სიკვდილის კალთაზე იწვა,
ღახმარების კი არ მქონდა თავი.

შავი ღრუბლები აფრქვევდნენ სეტყვას,
შერისხულები იდგნენ პალმები —
და მიჰკიოდნენ ქარსა და დელემას,
როგორც დედები მგლოვიარენი.

გულს ენთო სევდის გიზგიზა ცეცხლი,
ცეცხლი ტკივილით დაგლეჯილ თმების,
მკერდს მიტორავდა თათები მხეცის
და წინათგრძნობის ცხელი შანთები.

მე რა ვიცოდი,
რომ სვავის ნაცვლად
თვითმფრინავები სერავდნენ ჩილეს.
და უმზადებდნენ გესლსა და ჯვარცმას
ქვეყნის ერთგულ და გატანჯულ შვილებს.

მე რა ვიცოდი,
თუკი საფლავით
კვლავ აღდგებოდა შმაგი იუდა.
(და პინოჩეტი —
გლოვის საკრავი,
ალიენდეს სულს მსხვერპლად მიუტანს).

მე რა ვიცოდი,
იმ ღამეს თუკი
გადატყდებოდნენ წელში ნაძვები.
და ვარსკვლავების მიმქრალი შუქი
შეგვაძრწუნებდა პაბლოს დაცემით.

მე რა ვიცოდი,
ვისაც მომავლის
სევბედნიერი სიმღერა სურდა —
მშვიდობის ერთგულ სულის კორვალანს
შეეხებოდა კლანჭებით ხუნტა,

და დაესობა წუხილი ლახვრად
ბრძენს და კომუნისტს, მართალ პატიმარს.
სევდის ზღვა ჩილეს ზეცას მოთალხავს,
გადაეღლება ქვეყნის ნაპირებს.

იმ ღამეს...
 ო, რაც იმ ღამეს მოხდა
 მოურჩენელი გამიხსნა წყლული —
 ეს იყო ჩილეს მრისხანე ოხვრა
 და გიგანტური ტორტმანი სულის.

თარგმნა ვანო ჩხიკვაძემ

საჯუშეარ ალბოროჰი

ს ი ს კ ო ვ ზ ი

ის აკეთებდა მხოლოდ კოვზებს.
 კოვზი რა არის! —
 ხარივით შეშას ვერ მოუტანს
 ქვრივ-ობლებს კოვზი.
 თვითონ უშეშო,
 შეშის ნაჭრებს კოვზებად თლიდა.
 თელა და პანტა
 ვისაც მისთვის მოჰქონდა ტყიდან, —
 ასაჩუქრებდა
 კოვზებით და ლოცვა-კურთხევით
 ხოლო უმეტეს
 იმ კოვზებით ასაჩუქრებდა
 ობლებს დედებს...
 (და მუხის კუნძთან
 მტკივნეული ჰქონდა მსგავსება.
 წყვეულმა ომმა დაამსგავსა
 იგი მუხის კუნძს.
 ის ნაგვემ სხეულს
 მიათრევდა კუნძთან ხელებით)
 ირგვლივ გყარა
 გარდი-გარდმო ნაჭრები ხისა:
 ზოგი ნაჩორკნი კოვზის მსგავსად,
 ზოგი — უბრალოდ-
 კოვზის გულს ფრთხილად,
 იღებდა ხვეწით
 და თითის გულით
 უსინჯავდა მერე სიგლუვეს.
 და სიხარული ენთებოდა
 დაღლილ თვალებში...
 ასე დამკვიდრდა ჩემს ხსოვნაში.
 თუმც მთელ სოფელში
 ვინ იქნება, რომ არ ახსოვდეს!
 უცხო თვალთაგან

სიმახინჯეს ვერ იფარავდა
და წითლდებოდა
დამნაშევე ბავშვივით კაცი.

ხოლო ქალები გულნატკენნი
მის გვერდით იდგნენ
და ჩუმი ნატვრით იკვნეტდნენ ტუჩებს:
ნეტავი ასეც დაგვიბრუნდნენ
ჩვენ — ჩვენი ქმრები.

ხოლო დედები
შეხაროდნენ ცრემლმორეულნი:
ნეტავ ჩვენც კიდევ
გვანახაო შვილები ჩვენი
უხელ-ფეხებოდ თუნდაც!..
რა უნდა ეთქვა სანუგეშო
ნათვის ხეიბარს,
მრისხანე ომმა გაუქვავა
კეთილი გული...

იტყოდა რიდით, —
ინებეთო, აჰა კოვზები
და სასიკეთოდ მოგვსმაროთ!..
და ბრუნდებოდნენ ქალები სახლში
თავდაპირველნი, დაღონებულნი.
ნაჩუქარ კოვზებს
შინ ბავშვები დაესკოდნენ —
და ვიდრე ჭინჭრის შეჭამადი
გაუჩნდებოდათ,
პირში იდებდნენ ცარიელებს —
ჰაერს ხვრებავენენ.
— დედი, მე, აი, ასე შევჭამ
ამ კოვზით საჭმელს...

კაცი კი იჯდა მთელი დღე კუნძთან
და მშიერ სოფელს
უკეთებდა კოვზებს ერთთავად.

ეს იყო ადრე.
დავიწყებას ჩაბარდა წლები.
მოკვდა ის კაციც,
დღეს მის სამარეს
ხვეწილობა ბაღში ფარავს.
მაგრამ კოვზები,
რომლებითაც ცხადშიც და ძილშიც
შიმშილს ვხვრეპავდით, —
არასოდეს დამავიწყდება.

მ უ ზ ა

ჩემს ოცნებებს მძლავრი ფრთებით დააქროლებ,
შენგან ველი სიწმინდეს და სხივოსნობას.
შენი ტყვე ვარ და ვერასდროს დააბრკოლებს
ეს ტყვეობა, — თუკი ეთქმის ჩემს მგოსნობას.

ჩემო მუზავ, იმედებს და ნათელს მმატებ
და მზის სხივებს ამ თვალეში აფრქვევ უხვად.
არ მაბრმავებს ეგ სინათლე — შენი მმართვეს,
რადგან შენ ხარ საკვებიც და ჩემი სუნთქეაც.

ნურასოდეს მოსვენებ კალამს ჩემსას,
დე, სიტყვებმა ნაპერწკლებით გამოხატონ —
რამდენ ტორტიმანს იტანს ჩემი გულის ძვერა,
როცა სიტყვამ ლამის სული ამომხადოს.

ქვედა ქუსკაევი

* * *

ბოროტების ჩასადენად ნაშობს
ბნელი ზრახვა დაიწინებს ოდეს —
ასეთ კაცზე ხალხი ხშირად ამბობს:
„ძალი არის და ძალურად მოკვდეს!“

ამგვარ წყევლას არ მივიჩნევ სწორად,
შეურაცხყოფს იგი ძალის სახელს,
უპირო და მოლაღატე კაცი
ძალსაც უგებს ბოროტების მახეს.

ჯაჭვით დაბმულს და მშიერ ძალღს, ტანჯულს
რომ ეწვიოს ქურდი თენდაც „სღვენით“ —
არ გასწირავს ძალღ თავის ნამუსს,
ქრთამის მიმცემს უკუაგდებს ღრენით.

ხოლო კაცი ორგული და მძალე
საკუთარ თავს უერთგულებს მხოლოდ —
ასეთებს ნუ შევადარებთ ძალღებს,
მათ ძალღებიც დასცინიან ბოლოს.

თარგმნა მზია ხეთაგურმა.

ვიღვანე პარტიაში...

გიღებენ პარტიაში!
შენს ირგვლივ გრგვინავს და მღელვარებს ეპოქა.
ბუნების ტოტები ცისაკენ ილტვიან
ხარბად და ძალუმად.
ამ ტოტებს ანათებს
კოსმოსის გმირის
იური გაგარინის სახელი.

გიღებენ პარტიაში!
და შენ ხარ დიდი აღტაცების ნაწილი
და ემატები პარტიას ისე,
ვით თანავარსკვლავედს
უბრალო ვარსკვლავი.
ახალი ნგრევიით შრიალებ
ჩვენი სამშობლოს ტანაყრილ ბაღში.

გიღებენ პარტიაში!
იქნები მებრძოლი,
დამცველი მშრომელთა მარჯვენის.
დამცველი მხენელის და მთესველის —
ვინც დაბადებიდან გკარნახობს:
იყავი ერთგული,
ძლიერი!

გიღებენ პარტიაში!
და შენი სახნისი
მტკიცედ უნდა ხნავდეს ველებს და მინდვრებს.
და თუ გატყდება,
თუ გატყდება, შეცვალე გულით-
იყავ ძლიერი!

გიღებენ პარტიაში!
ფარივით მიგაქვს მბრწყინავი მკერდი,
ხმალივით მიგაქვს ძალა და რწმენა!

გიღებენ პარტიაში!
მისი სახელით
მეტეორივით უნდა იელვო.

და თუ დაჭირდა
დაე, მკერდს მოხვდეს ლახვარი მტრისა.

გიღებენ პარტიაში!
დე, შენი გული
დინამიტივით აფეთქდეს მათში,
ვისაც არ სჯერა ლენინის საქმის,
ოქტომბრის შუქით გაბრწყინებული
დიდი მომავლის ვისაც არ სჯერა.

თარგმნა ვანო ჩხიკვაძე.



ძვირფასი რელიქვიები

ყაზბეგ ქელესაევს დიდი ხანია ვიცნობ. პირველად რომ შევხვდი, არც ლენინის ორდენოსანი იყო და არც გაზეთები წერდნენ მასზე.

...ხლვის სანაპიროზე ვსაუბრობთ:

— ალბათ არ მოგწონს აქაურობა და წასვლა ამიტომ გადაწყვიტე.

— როგორ არა, მაგრამ...

— მექანიზატორისათვის ყველაზე ხელსაყრელი დასვენების დრო ზამთარია. შენ კი...

— მართალია, მაგრამ... ბილეთი აღებული მაქვს, საღამოთი გამოვემშვიდობები...

მისი წამოსვლის ნამდვილი მიზეზი კი ახლა გავიგე — ზნაურის რაიონის მუგუთის კოლმეურნეობაში.

მუგუთი ერთი პატარა სოფელია დვანის ფრონეზე, — ზნაურის რაიონში.

ფრონეს მუგუთის დამაარსებელი გაბუშა გაგლოვეია. პირველად მან შეტობა ფრონეს ქალებში, ისეთი გუთანი გაუბამს, რომ მემამულე ფაველნიშვილი აღტაცებაში მოსულა, შენ ოღონდ ქაობი ამოაშრე და, თუ გინდა ბიძაშვილებიც ჩამოასახლეო. უმიწაწყლო მთიელებს მეტი რა უნდოდათ, გაბუშას გაბულოვეებმა მიბაძეს, გაბულოვეებს ჯაბიეებმა... და განჩნდა მდინარე ფრონეზე ახალი სოფელი. ახლა აქ ასთექსებელი კომლი ცხოვრობს. მას ემეზობლება ქართლის ულამაზესი სოფლები: ნიქოზი, დვანი, ავნევი, დირბი...

მუგუთი ერთ-ერთი მოწინავე კოლმეურნეობაა მთელ სამხრეთ ოსეთში.

კოლმეურნეობამ სახელი გაითქვა შაქრის ქარხლის უხვი მოსავლის მოყვანით. ამ კულტურის საპექტარო მოსავლიანობა საშუალოდ კოლმეურნეობაში 800 ცენტნერამდეც აჭყავთ. ზოგიერთი მექარხლე კი ჰექტარიდან ათას

ხუთას ცენტნერსაც ღებულობს. ხილი ყურძენი, პური უხვად მოდის მუგუთის მაღლიან მიწაზე.

მეცხოველეები კი შარშან ოლქში პირველები იყვნენ წველადობასა და ნამატის მიღებაში.

ავტობუსიდან სოფლის თავში ჩამოვედი. ვიფიქრე, ფეხით გავივლო, სოფელს თვალს შევავალე-მეთქი. კოლმეურნეობის თავმჯდომარე და ბრიგადირი ავტობუსის გაჩერებასთან შემომხვდნენ. თავმჯდომარეს გურგენ ქელესაევს ვიცნობდი, როგორც ენთუზიასტ ზოოტექნიკოსს. თავმჯდომარედ კი ახლა აურჩევიათ. უთქვამთ, ახალგაზრდა კაცია, ორი ინსტიტუტი დაუმთავრებია და მასზე უკეთესად ვინ გაუძღვება სოფელსო. ბრიგადირიც ძველი ნათამჯდომარევი კაცია. მიწაზე მაგრა არ მდგარა და წატორტმანებულა.

— ჭარხალს ვთესავთ, — ისე სთქვა გურგენ ქელესაევმა, თითქოს პირველმა ისობა ჰქონდეს და სტუმრებს იქ იწვევდეს. სიტყვა სოფლის მოწინავეებზე ჩამოვარდა.

— რაც მარტო ჩვენს სოფელში ორდენოსანია, ერთ რაიონს ეყოფა, ეგ არის, გმირი არ გვეყავს თორემ — იხუმრა თავმჯდომარემ, — სოფლის ცოცხალი მემკვიდრე — ოთხმოცდაათოთხმეტი წლის დათა თოყმევეი, ადრე თავმჯდომარედ ნამუშევარი ვასილ გაბულოვი, საქართველოს კომკავშირის ოცდამეათე ყრილობის დელეგატი ტანია ბესტაევა, საქართველოს უმაღლესი საბჭოს ყოფილი დეპუტატი სარდი კაბისკვი... რომელი ერთი ჩამოვთვალა.

თავმჯდომარემ ყაზბეგ ქელესაევი სულაც არ ახსენა.

კაცს თუ მინდორში გასვლა უნდა, ფეხით, ან ცხენით უნდა წავიდეს, მა-

ხქანით ვერაფრის ნახვას ასწრებს. მანქანით მუგუთიდან „ყვავისსაყდრამდე“ კი არა, მთელი ფრონის ხეობაც რომ გაიარო, ერთ ბუჩქსაც ვერ შეავლებ რიგიანად თვალს.

მძღოლმა მანქანა დაამუხრუჭა.

მინდორში გაზაფხულის სურნელება იდგა. ტრაქტორის საქესთან ყაზბეგ ქელესსაყვი იჯდა. სახეზე მზე უკვე მოჰკიდებოდა.

— ყაზბეგი სტიქიაშია შესული, რა სალამს გააგონებ, — ტრაქტორის გუგუნში ჩამესმა ცნობილი მექარხლის ვასილ გაბულოვის ხმა.

მექანიზატორთან გამოლაპარაკება და მისი ვაცდენა მეთუხერხულა.

სამაგიეროდ სხვები ლაპარაკობენ მასზე.

— მოკვდება და საქმეს არ უღალატებს, — ამბობს „საქსოფლტექნიკის“ ზნაურის განყოფილების უფროსი აკაკი მელუა.

— კვიცი ვვარზე ხტისო — შობლების შრომისმოყვარეობას იხსენებს მინდორში სააგიტაციოდ მოსული კლუბის გამგე არაქსია ვაგლოვია.

— თქვენ რატომ არაფერს ამბობთ? — ვეკითხები კოლმეურნეობის თავმჯდომარეს.

— ძმის ქება თავის ქებად არ ჩამეთვლება? — კითხვითვე მიპასუხა თავმჯდომარემ „აი, თურმე რაში ყოფილა საქმე“ — ვავიფიქრე და მისი თავმდაბლობა მომეწონა.

... კოლმეურნეობის კანტორა მაღალქერიან შენობაშია. აქვეა ბიბლიოთეკა, სამკითხველო, სამედიცინო პუნქტი.

ქების სიგელები, სამახსოვრო დროშები, ვიპელები, სოფლის სპორტსმენების ნადავლი ამშვენებს თავმჯდომარის კაბინეტს. ყველაფერს ამას თავისი ისტორია აქვს და ძვირფასია მუგუთელეობისათვის.

კანტორის ეზოში გასულ წელს სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის მიღებული „მოსკვიჩი“ რომ შემოვიდა, თავმჯდომარემ ძმის ოჯახის დათვალეობა შემოძთავაზა.

— წელს აბანო გადავეცით ექსპლუატაციაში, მერმისისათვის საბავშვო ბაგათის მშენებლობის დამთავრება გეპყრება გათვალისწინებული. ჩემმა ძმამ ხალხი ამიჯანყა, გინდა თუ არა, ფერმაში წყაროს წყალი უნდა შევიყვანოთო. მე ვამბობ, მოიცა, ჯერ ერთი საქმე მივიყვანოთ-მეთქი ბოლომდე. ის კი, — არა, ამ საქმეს მე ვითავებ და ვაგაკეთებ, როგორც სასოფლო საბჭოს დეპუტატიო. ბავშვობაშიც ასეთი იყო, რამეს რომ გადაწყვიტდა არ მოისვენებდა, ვიდრე საწადელს არ აისრულებდა...

ალაყაფის კარები შევებში ჩაცმულმა დედაბებრმა გააღო.

— თედიონ, — მიმართა თავმჯდომარემ, — სტუმარი მოვიყვანე და მიგვადე!

— მობრძანდით, სტუმრისათვის რაქედენის სახლის კარი მუდამ ღია არის. მობრძანდით, მობრძანდით, სტუმარი ღეთისააო, და უფროსი შვილის ოთახის კარი გაგვიღო.

— სტუმარი მე მოვიყვანე, განა ჩემმა ძმამ, — გაეხუმრა შვილი დედას.

— შენ კოლმეურნეობაში ხარ უფროსი, ყაზბეგი — ოჯახში.

თავმჯდომარე და ცნობილი მექანიზატორი ერთ სახლში ცხოვრობენ ძმურად, ორ-ორ ოთახში.

— სიმართლე გითხრაო, მეგონა უფრო ფართოდ ცხოვრობდით. — ვერ დავმალე პირველი შთაბეჭდილება.

— მამაჩვენის აშენებულა.

— არ ყვარებია ციხე-სიმაგრეები, როგორც ეტყობა...

მერე მრგვალი მაგიდა სურათების ალბომებმა, ძველი გაზეთების ფურცლებმა, მოწობებმა, ფასიანმა საჩუქრებმა და სხვადასხვა დროს მიღებულმა ქების სიგელებმა დაიკავა. ამ ოჯახს იმდენი რამე ჰქონია საინტერესო, კაცს მუგუთში ეგონება, ალბომის პირველ გვერდზე სამოქალაქო ომის დროს გადაღებული სურათია, სურათზე ხელოვნულ გადახვეულ ახალგა-

ივანე ბაგაძე

მედიკოსი რელიგიონი

ზრდებს „ბუდიონოვები“ ხუროვთ. — ერთი მათგანი მამაჩემია; რაჟდენ ქელესხაევი, ჩვენი სოფლის პირველი თავმჯდომარე, — ამბობს გურგენი, — მეორე კი — საკოლმეურნეო მოძრაობის ცნობილი ორგანიზატორი, გიორგი თიბილოვი. სწორედ მისი სახელობისაა ჩვენი კოლმეურნეობა. გიორგი ოცდათუთმეტ წელში კულაკებმა მოჰკლეს, დიდი მეგობრობა ჰქონდათ, მამაჩემსა და გიორგის, — თქვა მასპინძელმა და ფიქრებმა შორს, ორმოცი წლის მიღმა გაიტაცეს...

ვათვალეოვებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელს, რომლითაც დაჯილდოვდა ოჯახის ფუძემდებელი რაჟდენ ქელესხაევი 1961 წელს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის ორმოცი წლისთავთან დაკავშირებით. ალბომის მეორე ფურცელზე ყაზბეგისა და გურგენის პორტრეტებია. უფროსის მკერდს ლენინის, ოქტომბრის რევოლუციის, შრომის წითელი დროშის ორდენები და ლენინის დაბადების ასი წლისთავის საიუბილეო მედალი ამშვენებს, გურგენს კი შრომის წითელი დროშის ორდენი უბრწყინავს.

აქვეა საგაზეთო სტატიის ამონაჭერი, სადაც ლაპარაკია იმაზე თუ — მუგუთელ კომბაინერ ყაზბეგ ქელესხაევის „ველის ხომალდზე“ მთელი სეზონის განმავლობაში როგორ ფრიალებდა გაზეთ „კომუნისტის“ ვიმპელი: ყურადღება მიიპყრო „სოფლის ცხოვრების“ ერთმა გვერდმა, სადაც აღბეჭდილია 1973 წელს მოსავლის აღებისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული მექანიზატორების პორტრეტები. ლენინგორის რაიონის სოფელ ორქოსის კომბაინერის მუხტარ ჩარაევისა და ცხინვალის რაიონის არცვეის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორის საშა შავარდენიძის გვერდით ყაზბეგის პორტრეტიცაა. ყაზბეგს უთქვამს, მოსავალს ათ დღეში ჩაგაბარებო, სინამდვილეში მკა რვა დღეში და-

უმთავრებია. ჰექტარზე გალენი ოცდა რვანახევარი ცენტნერი პური, უნდა ჩვიდმეტისა. კომბაინი ამუშავა დაბალ კრაზე და შექმნა საკვების დამატებით მარაგი. საკუთარი კოლმეურნეობის მინდვრები რომ მომკა, ხელი მეზობლებს წაახმარა. ჯერ თერეგენის კოლმეურნეობის ყანები აიღო, მერე კი ველების საბჭოთა მეურნეობის მინდვრებში ვადანაცვლა. ამ წარმატებისათვის გაზეთმა „სოფლის ცხოვრებაში“ საპატიო სიგელით დააჯილდოვა.

აქ გავიგე იმ ჯილდოს ამბავიც, ყაზბეგმა პირველად რომ მიიღო სამამულო ომის დღეებში: მოხუცები და ქალები ყანას თიბავდნენ, ბავშვები კი თავთავს კრეფდნენ. ყაზბეგის აკრეფილი თავთავის პური რომ ასწონეს, იმდენი გამოსულა, მთელი წლის განმავლობაში ერთ ადამიანს გამოჰკვებავდა. თავმჯდომარემ საერთო კრებაზე პატარა ბიჭი ხელში აიტაცა და მუხლზე აკოცა.

თედონი ამბობს, ყაზბეგი კალოზე ვაიზარდა და მიწისადმი განსაკუთრებული სიყვარული იქიდანვე გამოჰყვაო. სინამდვილეში მარტო ყაზბეგი კი არა, ოთხი ბიჭი და სამი ქალი ვაიზარდა თედონმა. ყველას უყვარდა შრომა, ზოგი თბილისში ცხოვრობს, ზოგი ცხინვალში.

ვუყურებ თედონის სახის ნაოჭებს და მინდა მუხლი მოვიყარო მის წინაშე: ეს თქვენ ჩაუნერგეთ შვილებს შრომის სიყვარული და პატიოსნება, კეთილი ქალო, — გვირო ქალო“.

ღია კარებში ერთი ციდა ბიჭი ტყვიასავით შემოვარდა და ჩანთიან-წიგნებიანად კისერზე ჩამოკეიდა თავმჯდომარე.

— არ დამხარჩო ყაჩალო, ბიძა აღარ გინდა? — იცინის გურგენი და ბავშვს იხუტებს. ბიჭს უფროსი და შემოჰყვა, მორცხვად, მიხედ-მოიხედა და მეორე ოთახში გავიდა.

მერე ახალგაზრდა ქალი გამოჩნდა.

— ეს ჩვენი რძალია, ყაზბეგის მეუღლე. — თქვა გურგენმა.

— ოჯახში სტუმარი გვეყოდა და მე

არ ვიცოდი, — მოიბოდიშა ქალმა და ჯარასავით დატრიალდა. ოთახში დათბა, თამაზიც დაწყნარდა და სუფრაც გაიშალა.

— აქამდე ბევრჯერ მიფიქრია და ვერ მივხვდარე, როგორ ახერხებენ ოსის ქალები ასე სწრაფად ხაჭაპურის გამოცხობას? — ვკითხე ახალგაზრდა დიასახლისს.

— მე კი ვფიქრობ, დავაგვიანე. ჩემს დედამთილზე ამბობდნენ ხელებში ნაპერწკლები გასდის, როცა ხაჭაპურებს აცხობსო. პატარაობისას ბევრჯერ ვუთვალთვალე, მაგრამ ძალიან მწყინდა ნაპერწკალს რომ ვერ ვხედავდი, — გაიცინა ნაზირათმა და საქმე გააგრძელა.

შეკითხვის მიცემის სურვილს მიმიხვდა ქელესაეების ძალი და თვითონ დასძინა.

— ამ სოფელში გავიზარდე, სკოლაში ყაზბეგთან ერთად დავდიოდი, — თქვა და ლუდი შემოიტანა.

— ოსური ლუდის დაყენება კი დღე-ღამე მასწავლა. ეს, მე მგონი, ყველა ოსმა ქალმა უნდა იცოდეს. კარგი სასმელია, სამწუხაროდ, ჩვენს სოფელში თითო-ორი ქალმა თუ იცის ნამდვილი ლუდის გამოხდა...

მე უკვე ისიც ვიცოდი, რომ ყაზბეგმა მესამე კლასში სამი წელიწადი იარა, რომ გაიხსენებს... თვითონაც ბევრს იცინის ხოლმე. ომი იყო და ყველას უჭირდა. ყაზბეგს გუთნისდღის ანდრო ქელესაევის ნათქვამი კეტაში დაუჯდა „აი, გავიმარჯვებთ და კიდევაც ვისწავლით, ნახე როგორი დრო გავატარეთო. ესლა, კი, პური თუ არ მოვიყვანეთ, ამდენ ჯარს რა უნდა ვაჭამოთ“. და დადიოდა შუა მეხრედ ყაზბეგს პაპა ანდროს „სკოლაში“.

ომის შემდეგ სოფლის სკოლაც დაამთავრა და მექანიზატორების მოსამზადებელი ერთწლიანი კურსებიც გაიარა სურამში.

მოსალამოვდა. მინდვრიდან ყაზბეგიც მოვიდა.

— შემძლია ამხანაგ თავმჯდომარეს მრევახსენოთ, რომ ჭარხლის თესვა მთავრდა — ყაზბეგმა ღონივრად მოართვა ხელი ძმას.

დედა სავარძელში იჯდა და შეპყურებდა შვილებს — ბედნიერი, სახეგაბრწყინებული.

— მაინც არ ვიცი, მაშინ რატომ დასტოვე დასავენებული სახლი.

— მიზეზები ბევრია. გაზაფხული ახლოვდებოდა. გარდა ამისა, ნაზირათი იყო მოსკოვიდან ჩამოსული არდადეგებზე...

— ყველაზე მეტად რა გიტაცებს? — შრომა-თქვა მოკლედ და თან მეუღლეს გადახედა. ნაზირათი უთქმელად მიუხვდა მეუღლეს, წამოდგა და ხარის რქა შემოიტანა. ყანწი არ გამოიჩევა ნატიფი ხელოვნებით, მაგრამ იგი ძვირფას რელიქვიად ითვლება ქელესაეების ოჯახში. ყაზბეგმა ყანწი შეავსო.

— შრომას გაუმარჯოს, პატიოსან შრომას, მტერი დაგვიძაბუნოს, — თქვა და სასმისი გამოცალა.

ყაზბეგს ეს ყანწი ოქროს თასს ურჩევნია, რადგან იგი ყოველთვის აგონებს კოლექტიური ცხოვრებისაღვის შეუძრულ კაცს. გიორგის ყანწი ჰქვია ამ სასმისს, იგი ეკუთვნოდა გიორგი თიბილოვს. გიორგი სწორედ მაშინ განვიპირა კლასობრივი მტრის მახვილმა, როდესაც ყანწით ილოცებოდა „შრომას გაუმარჯოს, პატიოსან შრომას“.

ეს იყო ორმოცი წლის წინათ, სოფელში საპირველმაისო ზეიმის დღეს.

ყანწი მერე მუგუთელმა კომკავშირელებმა სამამულო ომის წლებში სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის გადასაცემ პრიზად გამოაცხადეს. იგი ხელიდან ხელში გადადიოდა, ყაზბეგმა სამჯერ ზედიზედ დაიმსახურა და პირობის თანახმად სამუდამოდ დაიღობინა ქელესაეგებთან...

და იცლება შრომისა და პატიოსნების, მტრის დაუძლურების სადღეგრძელო ქელესაეების ოჯახში.

ს ტ უ დ ე ნ ტ ი

სტუდენტი.

კარგია სტუდენტობა, შესანიშნავი! ქვეყნის ამხანაგები გყავს. მხიარულად ხარ, მოუსვენარი და უძილო ღამეები არ დაგეღვევა და...

ხანდაზმულობის წლებშიც ტკბილად იგონებს ადამიანი სტუდენტობის წლებს.

რა არ ხდება სტუდენტის ცხოვრებაში!

მაგალითად, ზამთრის სესიების პირველსავე გამოცდაზე მარცხი განვიცადე.

მერღვა, იცით როგორ მოხდა ეს?

ვპასუხობდი მესამე კითხვას. ჰოდა, ერთი მწერლის ნაწარმოები მეორე მწერალს მივაკუთვნე. ვთქვათ ლაპარაკია პეტრეს რომანზე, მე კი ვიქაქანე პავლეზე. სხვათაშორის, ეს ჩემი ბრალი არცაა. ამ ნაწარმოებების ერთმანეთში არევა არც ისე ძნელია. ორივე რომანი ერთ თემაზეა აგებული, მათ ერთი იდეა ასულდგმულვებს. გმირებიც ტყუპისცალებივით ჰგვანან ერთმანეთს. თვით მათი ლაპარაკი, ხასიათი თუ განწყობილება არაფრით არ განსხვავდება ერთმანეთისაგან. მხოლოდ სახელები ჰქვიათ სხვადასხვა. ჰოდა, ასეთ დროს, ეშმაკიც შეცდება. და ის ძვირფასი საჩუქარი, რომელიც მე პეტრეს საგანძურიდან პავლეს მაგიდაზე გადავანაცვლე — ლექტორს არ გამოორჩენია მხედველობიდან.

— მეტიმეტად გულუხვად ხომ არ არიგებ სხვის შრომას? — მკითხა მან.

— როგორ თუ გულუხვად? — გავიოცე მე.

— რომელ ნაწარმოებზე მესაუბრები? — სათვალის ზემოდან გადმოხე-

და გამომცდელმა. მეც ავდექი და სხაპასხუბით ვუპასუხე, ასეა და ისე მეთქი. მან კი — ასეა და არა ისეო.

— ო, დიახ, დიახ, ნამდვილად რომ ასეა! — დავეთანხმე და ვიგრძენი, რომ თვალები შაურთანისხელა გამიხდა. წარბები ამეწკიპა და ჩემი საჩვენებელი თითი რატომღაც შუბლთან აღმოჩნდა.

— ახლა გავახსენდა?

— მე ეს ვიცოდი!

— ვინც იცის, ის სწორად პასუხობს, — მშვიდად მომიგო მან და სამიანი ჩამიწკიპა.

რალა უნდა მეთქვა? გამოშტერებული ავდექი და გამოვედი. ჩემს მდგომარეობას ის მიხვდება, ვისაც ერთადერთი სამიანის გამო სტიპენდია დაუკარგავს. და როდესაც ჩემი ამხანაგები სალაროსთან სტიპენდიის რიგში იდგნენ, მე აქეთ-იქეთ დავეხეტებოდი და სამუშაოს ვეძებდი. თქვენ წარმოიდგინეთ, ვიშოვე კიდეც. კეთილ ხალხს რა გამოლევს ქვეყანაზე! იმავე საღამოს მე უკვე მაღალსაყვლოიანი ტყავის ქურთუკი და ჩექმები მეცვა, მხარზე კი თოფი მეკიდა. ამ მორთულობით დავაბიჯებდი „სოფტტენის“ ეზოში.

მაშ ასე: დღისით სტუდენტი ვარ, საღამოს კი — დარაჯი. მაჩვენეს ყველაფერი: ეს ამდენი ტრაქტორი, ეს ამდენი კომბაინი, საწყობებიო, ნაწილებიო და ათასი რამე.

— ყურადღებით იყავი, ადვილი მოსალოდნელია, რომ ქურდებიც გამოჩნდნენ. თუ რამე მოხდა, შენ აგებ პასუხს. — გამაფრთხილეს მკაცრად.

ისე, დეკანისათვის რომ მეთხოვა და ყველაფერი ამეხსნა, იქნებ სტიპენდია დაენიშნათ კიდეც, მაგრამ არ ღირს

ერთი კვერცხისთვის ის კრიახი, რასაც ქათამი ასტეხავს ხოლმე. გარდა ამისა, აღამიანი ისე არ უნდა დაეცეს, რომ უზრუნველი ცხოვრება პირად ღირსებებზე მალდა დააყენოს...

სამუშაო დღე დამთავრდა. ყველა წავიდ-წამოვიდა. რკინის ჭიშკარს აქეთ. მხოლოდ მე დავრჩი. ყველგან ცივი რკინები ყრია. ერთიც ჩემს მხარზე პკილია, პატრონებიც ჯიბეში მიწყვიანეტავი, რა ჯანდაბად მინდა. თუშეცა, ქუჩა რდი რომ მესტუმროს? მაინც ხომ ვერ ვესვრი? ჰაერში უნდა გავისროლო და ეგ არის. ყველაფრით მზად ვარ. თქვენც ხომ გესმით — „პოსტზე“ ვდგავარ.

სალამოვდება. ყურები და ცხვირი გამეყინა. ქუჩაში ხალხი მიდი-მოდის. ვინ მარტო მოაბიჯებს, ვინ — ჯგუფად, ვინ კიდევ წყვილად. ზოგი დაღვრემილია, ზოგი მხიარული, ზოგისას კი ვერაფერს გაიგებ. მე მათ კარგად ვხედავ რკინის ჭიშკრიდან.

— კაკ-კაკ — მიკაკუნებს ვიღაც. ნეტავი ვინ არის?

მოხუცი ქალია, თავზე შალმოხვეული. რა უნდა? სამუშაო დღე რახანია დამთავრდა.

— რა გნებავთ? — ვუახლოვდები მას ნელი ნაბიჯით, როგორც ნამდვილი დარაჯი.

— გააღე კარი! — მოხოვს ის ქალი და კაკუნს განავრძობს.

— ვის ეძებთ? — ვეკითხები მე.

— შენ ვინა ხარ? — პასუხის ნაცვლად მეკითხება ქალი.

— მე? დარაჯი! — ვეუბნები ამაყად. მამ როგორ, ახლა ხომ ჩემს ხელშია მთელი ოლქის სოფმეურნეობის ტექნიკა! მე აქ უფროსი ვარ. მინდა შემოუშვებ ამ ქალს, არ მინდა და თოფიც მკილია მხარზე! ახლა რომ ეს ამ ქალს ვუთხრა, ალბათ სიცილით მოკვდება. დედაჩემის ხნის ქალია. ორივეს დასვენების ასაკი აქვთ. დედაჩემი კი ხან წყალს ზიდავს, ხან პურს აცხობს, ხან ქათმებს უვლის და ვინ მოსთვლის, რას არ აკეთებს! დრო აღარ არის დაისვენოს დედამ და მამამ, მაგრამ მაშინ ვინ

მიხედავს ოჯახს? უფროსმა ძმებმა სკულთარი ცხოვრება მოიწყვეს, ჩვენ უმცროსები, სასწავლებლად გამოგვგზავნეს. ჩემი დაც სწავლობს. ჰოდა, სხედან დედაჩემი და მამაჩემი სახლში მარტოდ-მარტონი. სხედან კი არა, შრომობენ. მამა რომ საქონელს უვლის, ოფლი ღვარღვარით ჩამოსდის სახეზე. ამიტომ არის, რომ მრცხვენია გავუშხილო ჩემი სტიპენდიის დაკარგვის ამბავი. ეს იმას ნიშნავს, ფული გამომიგზავნეთმეთქი, ვთხოვო. ვანა არ გამომიგზავნიან, ვალს აიღებენ და ისე არ დამტოვებენ, მაგრამ რატომ უნდა შევაწუხო?

მათ ისედაც ათასი საზრუნავი აქვთ. ვინ იცის, რამდენ ღამეს ათენებენ ჩემზე ფიქრში. არა, ისევ ის სჯობია ჩემი შრომით მოვიპოვო კაპიკები. აი, ვდგევარ ახლა დედაჩემის ხნის ქალის პირისპირ. იგი მოხოვს, კარები გავუღო. მე კი აუცილებლად უნდა გავიგო, ვინ არის და რისთვის მოსულა. ასეთია წესი. აქ შემოსვლა ამ დროს არც ისე ადვილია. ქალმაც უნდა შეიგნოს, რომ ეს ასეა და რომ მე დარაჯი ვარ. ისე კი, რა სასაცილოა, ჩემთან რომ ვინმე მოვიდეს სახლში, ხომ არ დაკუწყებ გამოკითხვას — ვინ ხარ და რისთვის მოსულხარ-თქო.

რას იხამ, ეს ხომ მთავრობის დაწესებულებაა და არა საკუთარი სახლი!

— მე დამლაგებელი ვარ, — მეუბნება ქალი და იღიმება.

ო, ღმერთო ჩემო! აქამდე როგორ ვერ მივხვდი. ამ ხნის ქალი ამდენ-ხანს ასეთ სიცივეში გავაჩერე. მისგან ამისათვის კარგი ქოთები მეკუთვნის, ის კი მიღიმის.

— ბოდიშს ვიხდი. მე არ გიცნობთ და... — დავიმორცხე მე.

ახლა კიდევ ამ კარების საკეტმა გააწყალა გული! ნეტავი, რაში სჭირდებათ რკინის საკეტს რომ უდგამდნენ. ხისა უფრო მოსახერხებელია. ვინ შემოამტვრევს ახლა ამ კარებს!

მელიქონე კახიანი
სტუმარი

როგორც იქნა, გავალ.

— მობრძანდით.

— ვის მაგივრად მუშაობ, შვილო?

— ჩემი თავის მაგივრად.

მგონი ძალიან თავხედურად ვუბა-
სუხე, თუმცა რატომ? ხომ შეიძლება
ამ ქალსაც ამხანაგურად უთხრა რამე,
თუნდაც გაეხუმრო? მაგრამ უფროსებს
არ უყვართ ამგვარი პასუხები. მათ ეჩ-
ვენებათ, რომ უმცროსებმა სულ და-
კარგეს ზრდილობა.

მან ცერად გადმომხედა; აჰა, ხომ
ვამბობდი, — ეწყინა!

— მე აქ უნდა ვიმუშავო, — ავუხ-
სენი რაც შეიძლება რბილად.

— მართლა?

— მართლა.

ქალი ყურადღებით მათვალისწინებდა.

— შენ ხომ ჯერ ტუჩზე ღედის რძე
არ შეგვშობია, აქ როგორ იმუშავებ?
მაგ ქურთუკისა და ჩექმების გარდა ვე-
რაფერს ვხედავ, — დედასავით მიცა-
ცხანებს იგი.

ჩუმად შევეყურებ. იგი აღარაფერს
ამბობს და წინაშეაყენ მიდის. მერე
უცებ მეკითხება:

— იქნებ მატყუებ?

— არ გატყუებთ.

— აბა როგორ უნდა იდარაჯო აქ
მთელ ღამეს? — კვლავ სწუხს იგი და
თავს აქნევს.

ამ ქალს იქნებ მართლა ბავშვი ვგო-
ნივარ? საბუთები უნდა ვუჩვენო. მე
ხომ ოცი წლისა ვარ. მთელი ოცი
წლის! ჩემზე პატარები ბარიკადებს მა-
რთავდნენ, ტანკისქვეშ წვებოდნენ, ყუ-
მბარებს ისროდნენ, დღედაღამე არ ეძი-
ნათ, სიცივესა და სიციხეს უდრტივინვე-
ლად იტანდნენ, მე კი იმასაც არ მანე-
ბებენ რომ ერთ ღამეს გავათენო და ორ
ღამეს ვიძინო. ის კი არა და, რომ არ
ვისწავლობდე, ცოლსაც კი შევირთავ, რა-
თა დედაჩემს ყველაფერში მივეხმარო.
აი, ასეთი შეგნებული ვარ. ესენი კი ძუ-
ძუმწოვარას მეძახიან. ეჰ, რა უმწეო
ვეყოფილვარ.

ამ კარებს ჯერ არ დავკეტუ. დამ-
ლაგებელი ხომ უნდა წავიდეს. ^{კარგად}
ღამდება. ფეხები გამეყინა, ^{შეგინა}
ჯერ არაფერია საშისი. ეს ქალიც ხომ
აქ არის. წავალ, ერთი, ჩემს ჯიხურს
გავაღებ, ცოტა გათბობა არ მაწყენს.
მოიცა, ეს ვინ მოდის? მგონი ნაცნობია.
რა უსაქმოდ დაყალიბობს... არჩილია.
დაველაპარაკო? ასე ჩაცმულს რომ და-
მინახავს, სიცილს დამაყრის. თანაც წა-
ვა მერე სოფელში და ქვეყანას შემეყ-
რის. ქალებსაც მეტი არ უნდათ — სა-
ჭორაო გაუჩნდებათ. ისე კი, რა მჭირს
დასაციანი. შრომა სასაცილოა?

მე თუ მეკითხავთ, ყველა სტუდენტი
უნდა მუშაობდეს. ეს ჯიხურის კარიც
რა ჯანდაბურად იღება.. ზეთი უნდა წა-
ვუსვა, თორემ ყოველთვის გამაწამებს.
აი აქ რუკას დავკიდებ, აქ კი — პლა-
კატს. არა, ამ კუთხეში აჯობებს. ახლა
ცეცხლიც დავანთოთ. ეს ფიცარი და-
ნით დავაქუტებმათ. საღ არის ჩემი და-
ნა?.. რატომ არ ვკიდებ? მოდი, ჯერ ქა-
ლადღს მოვეუკიდებ. ესეც ასე. აინთე,
აინთე, აინთე, აინთე, რა? ფუი! ჯანდაბას
შენი თავი, თითიც დავიწვი, ესეც ცეცხ-
ლი!

— ბიჭიო! —

ვინ მეძახის? ჰო, ის ქალია. დაუ-
ლაგებია და წასვლას აპირებს.

— კარები დაკეტე!

— კარგით, კარგით.

— ერთი, კარგი ცეცხლი დაანთე
ლუმელში და იმღერე, „სივარაიდა“!
ნუ გეშინია, რამდენი წელია აქ ქურ-
დი არ მინახავს. ღამე მშვიდობისა.

— გზა მშვიდობისა.

ეს ქალიც წავიდა. სულ მარტო ვარ.
ქუჩაშიც თითქმის აღარაეინ ჩანს. ერ-
თი საათი ვნახო: ოჰო, თორმეტის ნა-
ხევარია, უცბად გაურბენია დროს.

რა ნათელი ღამეა, წვიმიან ამინდს
ვერ ვიტან. ტალახი რომ აიზილება, რა-
ტომღაც ვბრაზდები. აი, თოვლს კიდევ
რა უჭირს. ქარბუქიც კი სჯობია ტა-
ლახს... უკვე სამის ნახევარია. ჩემს ამ-
ხანაგებს ახლა ღრმად სძინავთ. ვინ
იცის, როგორ ხვრინავენ? არა უშავს,



ხვალ მეც ვიხერინებ. დედაჩემმა რომ იცოდეს ახლა სადა ვარ, ის საცოდავი მთელ ღამეს ვერ მოისვენებდა.

წავიდე ერთი, საწყობები შევამოწმო. თოფსაც წავიღებ—ზრდილობის გულისათვის. ასეა წესი.

აჰა, აქ ჯერჯერობით ყველაფერი რიგზეა, აქაც... ახლა რა გავაკეთო? მგონი მეძინება. მოდი, ჯიხურში შევალ და ცოტას წავთვლემ. კარგია ახლა ჯიხურში, თბილა. მაგრამ არა! მე დარაჯი ვარ და გარეთ უნდა ვიყო. ვინ იცის, რა მოხდეს. უჰ, რა ცივა. იქნებ იმ „ვილოსში“ ჩავჯდე? ეს ძაღლები საიდან მიყეფენ?

— ქაღი, ქაღი! — ვუტეე მეც. ისინი მაინც ყეფენ. მაგათ მეტი რა საქმე აქვთ... კარგია მანქანაში ჯდომა! ახლა რომ ეს „ვილოსი“ ადგილიდან მოწყდეს და ჭიშკარს დაეჯახოს... რა ბავშვური ფიქრებია! რად უნდა ვიფიქრო ისეთ რამეზე, რაც არ მოხდება. ახლა რომ უცებ ავფრინდე და ჰაერში ვინავარდო! ესეც კარგი ფანტაზიაა.

არა, მაინც როგორ მივიღე სამიანი! ფეხები სულ გამეყინა. იქნებ აჯობებს, გავიარ-გამოვიარო.

ესენი ვინ არიან, აქეთ რომ მოდიან? უნებურად თოფს ხელს ვუშპერ.

— ჰეი, ჰეი! — მეძახიან ისინი. უი, კანტორის მუშაკები ყოფილან. ალბათ მამოწმებენ, მძინავს თუ არა.

— ეჰეი! — ვპასუხობ მეც.

— როგორა ხარ? — მეკითხებიან ქუჩიდან.

— როგორც მხედავთ, ისე ვარ! — თავს ვიძებ მე.

ეგაც თქვენ! ძუძუმწოვარა რომ ვიყო, ახლა შუაძილნი ვიქნები.

— ყოჩაღ, ყოჩაღ — მაქებენ მოსულები — წიგნაკი გაქვს? ხელს მოვაწერთ.

— რატომ? — ვერ მივხვდი.

— იმიტომ, რომ აქ ვიყავით.

— არა, არა მაქვს.

— კარგი, მოგცემენ. ყურადღებით იყავი, ღამე მშვიდობისა!

— გზა მშვიდობისა! — მეც კეთილსურვილები გავყოლე და მაშინვე ქუჩიდან მათი ფეხების ბაკაბუტიც მომესმა.

ისე დავბიჯებ ერთი კუთხიდან მეორეში, როგორც ნამდვილი დარაჯი. ასეთი დარაჯის ნახვა მხოლოდ კინოეკრანზე შეიძლება. განსხვავება ისაა რომ იქ ყოველთვის მოხუც დარაჯს უჩვენებენ. ძალიანაც კარგია, რომ დარაჯი ვარ. ერთი მწერლის შრომა კეთილი გულით მეორეს მიეუძღვენი. პატარა მოთხრობა მაინც ყოფილიყო, მთელი რომანი წაგართვი იმ კაცს. ნამდვილად ახია ჩემზე.

რა კრიალა ასფალტია. დავდივარ და ნაბიჯებს ვითვლი. თოვლი რომ მოვიდეს, ჩემი ნაკვალევი სუფთად დააჩნდება. რა კარგი იქნება, თოვლი რომ მოვიდეს! მოვლენ დილით თანამშრომლები და ნახავენ ჩემს ნაბიჯებს. მაღლობას მეტყვიან, გაუცვირდებათ, რომ ამდენი ვიარე. სულაც აღარ მცოცავა, რა თბილი ჩექმებია. ზურგსაც კარგად მიტობს ეს ქურთუკი. მხოლოდ ცხვირი მაქვს გაყინული.

აღარ აპირებს გათენებას? მგონი კი. ცაზე სულაც აღარ ჩანან ღრუბლები. გადაიწმინდა მთელი ცა. ალბათ კარგი ამინდი დადგება. რაღა დარჩა გათენებამდე? ეს დიდი ისარი კიდევ ერთხელ დატრიალდება მთელ წრეზე და მორჩა. ჩქარა ისარო, ჩქარა, ნუ ზოზინობ!

წიგნები უნდა გავამზადო. ჯერ კი, ამ ისარივით, ერთხელ კიდევ შემოვუფელი ჩემს სამფლობელოს... ესეც ასე. ყველაფერი რეგზე ყოფილა.

ბაკ-ბუც — მესმის ქუჩიდან ვინ არის? ბაკ-ბუც — ახლა მოპირდაპირე მხრიდან ახმაურდა ვილაც. ქუჩაში თანდათან მომრავლდა ხალხი. თენდება, ადამიანებს გაუღვიძიათ და გარეთ გამოსულან. ეს ვინ მოდის აქეთ? დირექტორია. რა ადრე მოვიდა სამსახურში.

მელიქონე ააზივაძე
სტუმრები

მოწინავე ადამიანი ასეთი უნდა იყოს. თვითონ რომ ავციანებდეს, სხვას რაღას მოსთხოვს? წავალ, კარებს გავუღებ.

— დილა მშვიდობისა, პატარა გმირო! — მილიმის დირექტორი.

„გმირი“ კიდევ მესმის, მაგრამ ეს „პატარა“ რაღა იყო? მართალი რომ გოთხრათ, ვბრაზდები. ნეტავი რას აიჩემეს ეს სიტყვა. ყველას რომ თვალში ვეპატარავები. დიხაც რომ გმირი ვარ. რაო, გმირი მეტს გააკეთებდა აქ წუხანდელ ღამეს?

— როგორა ხარ? — ხელს მართმევს დირექტორი.

— არა მიშავს.

— ხომ არ შეგცივდა?

— ჯერ-ჯერობით ბედს არ ვემღურო. ისევ თავხედურად გამომივიდა პასუხი. როდის უნდა ვისწავლო უფრო სებთან წესიერი ლაპარაკი!

დირექტორს კი გაუღიმა, სულაც არ სწყენია ჩემი პასუხი; როგორც ჩანს, კეთილი კაცია.

— შემდეგში სულ აღარ გაგიბრდება, — დამაიმედა მან.

დიახ, უფროსები იმედს უნდა აღევდნენ უმცროსებს.

— ახლა ინსტიტუტში უნდა წახვიდე ხომ?

— დიახ..

გაგიბრდება უძილობის შემდეგ... მე გაუფრთხილებ საწყობის გამგეს, ცოტა ადრე გაგიშვას ხოლმე, რომ არ დავიგვიანდეს.

რამდენი კარგი ადამიანია ამ ქვეყანაზე! ერთ კეთილ სიტყვას რამდენი შეუძლია, გულზე კარაქივით დაგაღწება.

ის კაცი, აქეთ რომ მოდის, საწყობის გამგეა. ღიბიც ღიბი აქვს და ცხვირიც.

— აბა, როგორაა საქმე, ხომ არაფერი დაგიკარგავს? — მეკითხება და თან კანტორისაკენ მიაბიჯებს.

— გაუალ, გაუალ! — ეძახის მას დირექტორი. გაუალი კამეჩივით იხედება ჩემსკენ, რადგან ხმა რატომღაც ჩემი მხრიდან ესმის.

— გაუალ! — კაბინეტის დანჯარადან მეორდება დირექტორის ხმის ხმა. — დილა მშვიდობისა!

ქუდს უხდის გაუალი. მისი ლაპლაპა თავი იმერულ ცულსა ჰვავს.

— გამაღობთ გაუალ. ეგ ბიჭი ადრე გაუშვი ხოლმე, ლექციებზე არ დაგვიანდეს. ახლა შეამოწმე საწყობები და თუ ყველაფერი რიგზეა ნულარ მოაცდევინებ.

რად უთხრა ასე? იქნებ ვეცოდები? როგორ არ მიყვარს, როცა ვინმეს ვეცოდები. მე ხომ იმედებით სავსე ვარ, არც ძალა მაკლია. რამდენიც წესით მეკუთვნის, იმდენი უნდა ვიმუშაო.

— არა, არ მინდა, ვიქნები, — უარს ვაცხადებ.

გაუალს ჩემთვის არც შემოუხედავს, საწყობებისაკენ მიაბიჯებს. მეც უკან მივყვები.

— სხვაგანაც ასეთი წესრიგია?

— დიახ.

— მაშინ შეგიძლია წახვიდე... გაიქეცი, გაიქეცი! — ხელით მანიშნებს იგი.

რატომ არ შეამოწმა დანარჩენი საწყობები? იქნებ მენდობა? ან იქნებ ჰგონია, რომ მე დირექტორის ნათესავი ვარ. ხა, ხა, ხა!

ბაკ-ბუკ, ბაკ-ბუკ! — მივაბიჯებ ინსტიტუტისაკენ. თვლები ერთმანეთზე მეწებება, შეძინება. არა უშავს, დედას და მამასაც ეძინებათ ხოლმე, მაგრამ არ იმჩნევენ. ერთი ღამე გატეხე დიდი ამბავი!

— ვარაიდა, სივარაიდა! — მივღვივარ მივიმღერი. ახლა მე ვსწავლობ და ვმუშაობ კიდევ, ახლა ნამდვილად სასარგებლო ადამიანი ვარ!

ესეც ინსტიტუტი.

— ადრე უნდა ადგე, რომ ნამძინარევა არ იარო ლექციებზე, — მომძახის ჩემი თანაკურსელი გოგო.

სულელი! მაგან რა იცის, რომ მე საერთოდ არა მძინებია წუხელ. ეს გოგოები არასოდეს შედიან მღვდობარეობაში. ახლა გამახსენდა, რომ პირი არ და-

მიბანია. ტულეტისავე გავრბივარ, რა ცივი წყალია! როგორი სასიამოვნო ყოფილა სახის გავრილება.

ზარია!

გავრბივარ. ჩვენი ლექტორი უკვე კარბშია შესული. მე უკან მივდევ, მკაცრად მიყურებს, არაფერს მეუბნება, მაგრამ თუ კაცს გულზე ყურები გაბნია, ამ უთქმელ სიტყვას გაიგონებ.

ლექტორი ლექციის კითხვას იწყებს. მე კი წიგნაკში ვინიშნავ რაღაც-რაღაცეებს, ბევრნი უბრალოდ უსმენენ. მე კი ჩაწერა მიყვარს. მხოლოდ ახლა რატომღაც ცუდად მესმის და ხელიც არ მემორჩილება. კალამს ვდებ, როგორ დამიძიძიდა ქუთუთოები. ველარაფერს ვხედავ, თვალები თავისთავად მეხუჭება. ასე კარგია. ოი, რა კარგი ყოფილა ასე... მგონი მძინავს. მერე ლექტორი? რა სირცხვილია... მაგრამ... მაგრამ რა კარგია ასე...

საოცარია. მე ისევ „სოფემეურნეობის“ ეზოში ვარ. „ვილისში“ ვზივარ. „ვილისი“ თავისით გარბის. საცაა ჭიშკარს დაეჯახება, რა მეშველება? არა, არ დაეჯახა, ცაში აფრინდა. ჰაერში ვარ. რა კარგია! როგორ ბრწყინავენ ვარსკვლავები. ეს ვენერაა, აგერ მთვარეც, ზედ მთებია მოხატული. ვიღაც ხელს მიქნევს. მე ხელებს ერთმანეთს ვუჭერ და ვყვირი:

მეგობრობა!

— ისლამ, გძინავს?

ეს ლექტორის ხმაა. აა? წუთუ მეძინა? თვალებს ვახელ. ზარის ხმაა. — რაა? — წამოვხტი ადგილიდან.

— ყურადღებით უნდა იყო, — მეუბნება ლექტორი და გადის. ესე იგი მეძინა. კი, ნამდვილად მეძინა. რა ვქნა

ახლა? არა უშავს, ამ თემას კარგად ვისწავლი.

— ისლამ, შენ არ წამოხვალ? — მეკითხებიან გოგოები.

— სად?

— ჩვენ დღეს თხილამურებით ქალაქ-გარეთ გასეირნებას ვაპირებთ.

რა ვუთხრა? დავეთანხმო? მერე ძილი? რაც არის, არის. ღამე დავიძინებ. მეყოფა. როგორ შეიძლება გოგონებს უარი ვუთხრა ასეთ სასიამოვნო წინადადებაზე.

— აუცილებლად წამოვალ — ვპირდები.

ისევ ლექცია. მერე სადილი ბუფეტში. ზვალ პრაქტიკული გვაქვს, უნდა მოვემზადო. საღამოს — ქალაქ-გარეთ. ღამე — ძილი.

სტუდენტი ვარ.

სტუდენტის ცხოვრებაში მზიარულეობაცაა, გაჭირვებაც, სიყვარულიც და... ერთი სიტყვით, სტუდენტ — ეს ყველაფერს ნიშნავს.

რა კარგია სიცოცხლე!

— სტუდენტი! ეს ერთი სიტყვა ისეთ ბგერებს გამოსცემს, გეგონება გარმონზე უკრავენ ღამაზ მელოდის.

ტანჯვა-წვალება? მერე რა! მთავარია, რომ გული სავსეა და ხალისიანი. უზრუნველად რა აზრი აქვს ცხოვრებას.

კარგია სტუდენტობა.

მხოლოდ ის ვერ მიპატიებია ჩემი თავისთვის, რომ ტყუპისცალებივით მსვავსი რომანების გამო უსტეპენდიოდ დავრჩი; თორემ რა სჯობია ღამით დარაჯობას...

და მაინც ვისი ბრალი იყო ეს? ეშმაკმა უწყის.

მარგინა მზია ხათაგურაძე.



პანანაზის წყარო

ზაფხულში მამამ მთაში წამიყვანა. ჩვენი მანქანა მიხვეულ-მოხვეულ შარაზე მიჰქროდა. ხეობის ვიწრობაში საშინლად ჩამოცხა. ხის ფოთოლიც კი არ იძროდა, წყალი მომწყურდა. სულ ახლოდან ისმოდა ლიახვის საამური ხმაური.

— მამა, გააჩერე მანქანა, ლიახვზე ჩავიდეთ, მწყურია.

— ცოტა მოითმინე, შვილო, საცაა ვახანაზის წყაროსთან მივალთ.

მამამ მანქანა უფრო გააქროლა. რამდენიმე წუთის შემდეგ ავივაკეთ. მოულოდნელად შეაჩერა მამამ მანქანა, კარი გამიღო და გადადიო, მითხრა. პატარა ვაკობზე სხვა მანქანებიც იდგა, მგზავრები ჯგუფ-ჯგუფად ეხვეოდნენ წყაროს და ვინ ჭიქით, ვინ ბოთლით სვამდა ცრემლივით კამკამა წყაროს წყალს.

ჩვენც დავლიეთ. ჰო, ჰო, რა ცივი წყალი იყო. წყალი კი არა უქცდავების წყაროდ მეჩვენა. ახლა არ იკითხავთ, როგორ იყო იქაურობა მოწყობილი?

ვიღაცის მარჯვე ხელს ქვის ღარში წყალი გამოეტარებინა.

წყაროს აქეთ-იქით ყარაულებივით ედგნენ თელები. ჩრდილში კი ქვის სკამ-სუფრა იყო გამართული, წყაროს თავზე გადებულ ფიქალზე საჭრელით ვიღაცას გულმოდგინედ ამოეკვეთა: «ძვირფასო მგზავრო, მიირთვი წყაროს წყალი, გაამოს, მერე თელებქვეშ დაისვენე და გზა მშვიდობისა გქონდეს! ვახანაზი».

რამდენჯერმე გადავიკითხე წარწერა.

— ვინ არის ვახანაზი? — ვკითხე მაჩემს.

— ეს გრძელი ამბავია, ჩემო ბიჭიკო. მერე მოგიყვები.

თელების ძირში დავისვენეთ. ქვის მაგიდაზე გაშვალეთ სუფრა. რა გემრიელად შევექცით ცივად მოხარშულ დედალსა და ხაჭაპურებს. თან წყაროს წყალს ვაყოლებდით. ერთი სიტყვით ძალიან მომეწონა ვახანაზის წყარო.

გზაში კიდევ შევახსენე მამას დანაპირები და აი რა მიაპბო:

— ვახანაზი, შვილო, მეტყევე იყო ქვეყანა უყვარდა. ხალხისთვის სასარგებლო საქმეს აკეთებდა...

მამამ მანქანა შეაჩერა და ქვევით გამახედა. გამიკვირდა, ტყეში ვაშლსა და მსხალს რა უნდა-მეთქი.

— ეგეც ვახანაზის მოსაგონარია, ჩემო პატარავ, მაქალოსა და პანტას არ გაუშვებდა. თან დაჰქონდა სანამყენე ყლორტები და სადაც კი წააწყდებოდა გარეულ ხილს, კულტურულ ჯიშებს ამცნობდა.

მერე ერთ დიდ ქლიავთან მიმიყვანა, შავი ქლიავი ჩაბინდულიყო. ერთი ცალი მოვწყვიტე და ხელით გადავწმინდე. თითქოს შემომცინა შავქლიავმა.

— ესეც მისი ნახელავია...

— თავისთვის აშენებდა მამა?

— არა, შვილო, თავისთვის კი არა, ყველაფერს ხალხისთვის აკეთებდა. ეს ტყე, ეს მიწა, ეს მთები, ფაბრიკები, ქარხნები ყველაფერი ხომ ხალხისაა...

— მაშ, ამ ხილს ვინ კრფის?

— ხალხი, კოლმეურნეობა...

— თვითონ ვახანაზი სად არის?

— სამამულო ომში დაიღუპა.

ხმის ამოღება ვეღარ მოვახერხე, ასეთი კარგი ადამიანი დაიღუპა! უჰ, რამდენ რამეს გააკეთებდა აქამდე!

— ფაშისტებმა ჩვენს მთებში დესანტი გადმოსხეს. ვახანაზმა შეამჩნია ისინი და მარტომ განიზრახა მათი გა



ნიარალებს. უთანასწორო ბრძოლაში დაიღუპა იგი. მტრის გევამებს შორის ვახანაზი იცნეს, ხალხმა დიდი პატივით დაასაფლავა მისი ცხედარი უღრან ტყეში, ერთ ლამაზ კორდზე.

გული მეტყინა. აი თურმე ვინ ყოფილა ვახანაზი.

ერთ თვეს დავრჩით მთაში. უკანასკნელ კვირას გადაუღებლივ წვიმდა. ნაკადულებიც კი მდინარეებად იქცა. ცამ პირი გაიხსნა და კოკისპირული წვიმა ქვეყანას წალეკას უჭადდა. გამოვტყდები და მეშინოდა წვიმისა და ქუხილისა.

კვირა დილით ცამ ლილილოსფრად გადაიკარა. ნაწვიმარზე მზის სხივები ოქროსფრად იღვრებოდა. დედამიწას ოხმივარი ასდიოდა. მამამ მანქანა გამოიყვანა. მე პაპას და ბებუას დავემშვიდობებ და პერი!

მეჩქარებოდა ვახანაზის წყაროსთან მისვლა. ახლა მე ყველაფერი ვიცოდი მასზე, სოფელში თითქმის ყოველდღე ახსენებენ ვახანაზს. წისქვილი ვახანაზმა გააკეთა, ხიდიც ვახანაზის ვადებულა, გზა ვახანაზმა გაიყვანა, ერთი სიტყვით, სოფელში თუ კი რამ კარგა აქვთ, ყველაფერი ვახანაზის სახელთანა დაკავშირებული.

ხალხს უყვარდა იგი, პატივს სცემენ მის სახელს. ძალიან მეჩქარებოდა ვახანაზის წყაროზე მისვლა.

მამამ მანქანა დაამუხრუჭა. თვალის დახამხამებაში გავაღე კარი და გადმოვხ-

ტი. იცოდა მეცა. სადღა იყო ვახანაზის წყარო. მიწა ჩამოქცეულიყო და ქვეშ წყარო მოექცია. თელებს წელამდე სწვდებოდა მიწა.

ლამის ცრემლები გადმომცვივდა. მასაც ეწყინა ვახანაზის წყაროს გაქრობა, მაგრამ არაფერი თქვა. მერე მწარზე ხელი დამკრა და მითხრა:

— არაფერია, შვილო, არ დაშრება ვახანაზის წყარო!..

ერთ კვირა დილით მე და მამა წერაქვებითა და ბარებით შევიარაღდით და გეზი ვახანაზის წყაროსაკენ ავიღეთ.

— სადამოდე მოვრჩებით მუშაობას... — თქვა მამამ და ზედ წყაროსთან გააჩერა მანქანა.

...და აი საკვირველება!

ჩვენამდის აქ სხვა ყოფილა. მარჯვე ხელს ისე გაუწმენდია აქაურობა, რომ ვერც კი იფიქრებდი, თუ ერთი კვირას წინ აქ მეწყერისაგან იყო წალეკილი წყარო. მხოლოდ თელები იდგნენ ნაბრძოლებივით. ძირებზე ალაგ-ალაგ კანი აჰვლეჯოდით.

— ხედავ, შვილო, ვახანაზს სხვებიც ჰყავს მიმდევრები. კეთილ საქმეზე იმათაც მიუწევთ გული. ვახანაზის წყაროს დაშრობა არ უწერია.

წყაროს წყალი კი ისევ ისე მოჩუხჩუხებდა ღარზე და ამ ჩუხჩუხში მკაფიოდ მესმოდა: „ძვირფასო მგზავრო, შეგერგოს წყაროს წყალი, დაისვენე და შემდეგ მშვიდობით იმგზავრე ვახანაზი“.

ოსურიდან თარგმან ელინა ბაზარულმა.



კლდეა მალჩაჰა

გ ღ ღ ე ბ ა

მიძღვბ თუ მიღობ, მაინც არ მიწდობ
დავით გურამიშვილი.

რუსეთის არმიის მეთაური

ვახტანგ მეფის გარდაცვალებამ გარდავეწილ ქართველთა საქმე უარესად არია. პოლიტიკური ემიგრანტები იქცნენ უსახლკარო ლტოლვილებად, რომელთაც დაკარგეს ფასი რუსთა თვალში და ახლა მხოლოდ საკუთარ თავზე უნდა ეზრუნათ და ლუკმა-პურის მოპოვებისათვის ებრძოლათ.

დავღვთ თუ საღმე წავიდეთ, ერთად ვიძებნით პურია...

სამწუხაროდ, ვახტანგი საშინაო საქმეებში საკმაოდ რბილი, წყნარი, ლობიერი მეფე იყო. მას ნაკლებად ეხერხებოდა: „მთავართა ზაკვისა ცნობანი“ როგორც ვახუშტი ბატონიშვილი იტყვოდა. შურიან კარისკაცთა აღაგმვა სიცოცხლეშიც უჭირდა, თორემ მისი გარდაცვალების შემდეგ ხომ სრულიად აიშვეს თავი. მართალია, ვახტანგი ადრევე გადადგა, პოლიტიკურ მოღვაწეობაზე ხელი აიღო და ასტრახანს დაემკვიდრა, როგორც კერძო პირი, მაგრამ ლტოლვილი ქართველებისათვის ის მაინც მეფე იყო, — ავტორიტეტი, საყრდენი იმედი და დედაბოძი.

ასედაც აღმოჩნდა: მისი რიდი კიდევ

ჰქონიათ რუსეთის საიმპერატორო კარზე, მის სიცოცხლეში პოლიტიკურ ემიგრანტთათვის გადაწყვეტილი სიტყვა არ უთქვამთ. მისი სიკვდილისთანავე კი უცებ შეუწყვიტეს საზრდო ყველას და აშკარად განუცხადეს: „ან გვემსახურეთ, ან გაგვეცალეთ“.

უპატრონოდ დარჩენილ ქართველ ემიგრანტთა წინაშე საარსებო წყაროს საკითხი მთელი სიგრძე-სიგანით დადგა. დავითისათვის ეს პრობლემა სხვებზე იოლი როდი იყო. საარქივო ცნობების მიხედვით მასთან იმყოფებოდა შეუღლე, სიდედრი, მოსამსახურე ცოლით და ასულით, ორიც მოახლე ქალი და მრავალ ომგამოვლილი, დაჭრილი ბიძა — მერაბ გურამიშვილი.¹

ვინ გამოკვებავდა უმიზნოდ და უანგაროდ, ან ვინ დააპურებდა ლტოლვილთ? რუსეთის მბრძანებლებმა და მათმა ხელქვეითებმა კარგად იცოდნენ, რომ ათასწლოვან ბრძოლებში გამობრძმედილი ქართველები საუკეთესო მეო-

¹ მოსკოვის ქართველთა ახალშენის სიაში წერია: «Гурамов Давид — князь с княгиней, с тещею, при нем служитель один с женою. с дочерью, служительнии двое». (1737 г.).



მრები იყვნენ. და ალბათ, ამიტომაც უფრო მწვავედ დაისვა მათ წინაშე ასეთი დილემა: ან ჯარში შედით, ან გაგვეცალეთო. რუსთა საიმპერატორო კარი ამით გარდახვეწილთ პრაქტიკულ და უდაოდ მართებულ წინადადებას აძლევს. ან წადით თქვენს ქვეყანაში, ან ჩვენს სამსახურში ჩადექითო. მართლაც როდემდე შეიძლებოდა სხვის კარზე უქმად გულხელდაკრეფილი ჯდომა და დროის უსაზმნო ფლანგვა? რუსეთის მაშინდელი გამგებელნი სპარსეთის მიმართ ორჭოფული პოლიტიკისა, ყოყმანისა და დათმობებისათვის არიან დასაგმობნი, თორემ ასეთი წინადადება ამდენი სტუმართმოყვარეობის შემდეგ სრულიად გასაგებია:

მის დროს რუსთა თქვებ: ქართველნი,
 ეს თქვენცა გაგეგონება:
 თვით ქრისტე ბრძანებს: „ძნელია ორთა
 უფალთა მონება,“ —
 იწამეთ ერთი უფალი, თუმცა გენებოს ცხოვნება,
 ან წადით, ანუ დადექით თავს ნუ მიეცით
 ღონება.

მოკლედ: ან დადექით, ან დროა „მიბრძანდეთ გზასაო“:

ჩვენ ოც წელს იქით სტუმარსა ვერ უზამთ
 თავაზასაო.
 შემოგვეწვიოს თუ არას, მუდამ ვერ ვაჰყვით
 მზასაო...

ცხადია სხვის ქვეყანაში დარჩენა, როცა მამულს თითოეული მათგანი ას კაცად უღირდა, სამშობლოს დალატს უტოლუებოდა. ასეთი გადაწყვეტილების მიღება მეფის ანდერძის დარღვევაც იყო. ვახტანგმა თვითონ ვერაფერი იღონა, თორემ ანდერძი სწორი დაუტოვებდა. ბაქარს მიმართეთ, საქართველოს მიხედეთო. მათ კი ჰავის გამოცვლამ თითქოს გულებიც გამოუცვალა, ყველას ბრჭყვიალა ეპოლეტები, მოსირმული აქსელბანტები და ოქროს დილეები ელანდებოდა და ის არჩივს. ქართველ დიდებულთა ამ ნაბიჯს დავითი საკმაოდ შეუბრალებლად ახასიათებს:

ქართველნი ხცდენ და გატეხვს მეფე ვახტანგის
 მცნებაო:

წინ წაუარეს ბაქარსა, ხაქმე ქნეს თავის ნებაო,
 სწორედ იმ გზაზე წავიდნენ საითაც იყო სნებაო.

ამ განცხადებაში თავის დახსნის, თავის დაძვრენის ცდა არ იგრძნობა. სიმართლე ნათქვამია პირდაპირ და მკაცრად. რაც შეეხება დავითის საქციელს, ალბათ არც შეძლება ეყო და არც საშუალება, რომ მას ერთს ექცია ზურგი ემიგრანტთათვის და დაბრუნებულნიც სამშობლოში, სადაც კვლავ სხვადასხვა ჯურის გადამთიელნი თარეშობდნენ. ქართველთა ბჭობა დიდი დავისა და დავიდარბის შემდეგ იმით დამთავრდა, რომ ემიგრაციამ რუსეთში დარჩენის გადაწყვეტილება მიღო. მერე, რა ჯარი ჰყავდა რუსთა მეფეს!

არს მოსაწონი მნახველთა გაწყობა რუსის
 ჯარისა,
 ათას ხუთას კაცთ ერთფერად ტანთა ცმა
 სხმა აბქარისა: —
 მწყობ-რივად შესვლა-გამოხვლა ქცევა, ვით
 ბრუნვა ჯარისა

როგორც ვხედავთ, ქართველები აღფრთოვანებულნი იყვნენ რუსთა არმიით, მოსწონდათ მისი წყობა, ერთფერად სვლა და სათანადო გადაწყვეტილებაც მიიღეს. ისინი დარჩნენ რუსეთში, სადაც ამდენი წელი გაატარეს და თავიანთი ჯანი, ნიჭი და პატრიოტული სულისკვეთება ახალ სამშობლოს შესწირეს. ამას გვიმოწმებს პოეტო.

ქართველნი რუსთა არმიაში დედოფალმა ანა იოანეს ასულმა ჩაირიცხა. ნაწილობრივ უკვე ვიცნობთ ანა დედოფალს, მაგრამ ზოგეერთი რამ მაინც სათქმელი დაგვჩნა. ანა იოანეს ასულმა იმდენი განათლება მიიღო, რამდენიც ყოველ წესიერ ფრეილინას მოეთხოვებოდა. მეფე იოანე, მამამისი, სულით უმწეო კაცი იყო, დედამ კი შვილი რატომღაც თავიდანვე აითვალწუნა. ანას ცეკვები, ფრანგული და გერმანული ენები შეასწავლეს კარგად და რუსეთის დედოფალი რუსულად გამართულად ვერ წერდა! ვერც ბიძა-

ელგუჯა მაღრაძე
 გოდება

მისმა პეტრე დიდმა იზრუნა მომავალი იმპერატორი ქალის სათანადოდ აღზრდისათვის. ჩვიდმეტი წლის ქალიშვილი პეტრეს სურვილით, ნებითა და დასტურით კურლანდიის პერცოვს ფრიდრიხ ვილჰელმს მიათხოვეს. დიდებული ქორწილის შემდეგ ორი თვეც არ გასულა, რომ პერცოვი რაღაც შეუძლოდ შეიქნა და სული უფალს ჩააბარა. ახალგაზრდა ქვრივმა კურლანდიაში ერთგვარ შექირებებაში გაატარა მთელი ცხრამეტი წელი, იქვე დაუახლოვდა პერცოვ ბირონს და რუსეთში იშვიათად ჩამოდიოდა ხოლმე. პეტრე მეორის კურთხევას კი დაესწრო, და აი, როცა ახალგაზრდა პეტრე მეორე (თხუთმეტი წლისა 1730 წ.) გარდაიცვალა, დიდკაცობამ გადაწყვიტა გვერდი აევლო პეტრე დიდის შვილიშვილისა და ასულისათვის, რათა თავიანთი ძველი მიზნები განეხორციელებინათ. ასე აღმოჩნდა რუსეთის ტახტზე ანა იოანეს ასული: ბუნებით ქირვეული, არც თუ უნიჭო, მაგრამ ავი და შურისმაძიებელი. ამ ქალმა ქვეყნის მართვის სადავეები ბირონს მიანდო, თვითონ კი „ყინულის სახლს“ აშენებდა, კარის მასხარა, თავად გოლიცინის კომიკურ ქორწინებებს აწყობდა, კურიოზულ პროცესიებს მართავდა და მთლიანად უაზრო განცხრომასა და დროსტარებას იყო გადაყოლილი.

ახალი იმპერატორი პირველად, როგორც წესია, სიკეთესა და მშვიდობას დაჰპირდა ერს, მაგრამ პირობა უმაღლვე დაარღვია და შვედებს ომი აუტეხა. ჯარში ჩარიცხულ ქართველებსაც იქით უკრეს თავი, სადაც დაფდაფთა ცემა გაისმოდა. ტყვის წამლის მძიმე სუნი იდგა და უწყალოდ იღვრებოდა მოტკბო-მომჟეო წითელი ფერის სითხე. ანა დედოფლის პირველი დიდი სახელმწიფოებრივი ნაბიჯი იყო ხელსაყრელი მოლაპარაკება ირანის შაჰთამაზ-ყული-ხანთან, მეორე, გენერალი ლასი ოცი ათასი რუსი მხედრით შეიჭრა პოლონეთში, მეფე ლეშჩინსკი გაიქცა და რუსები დანცინგს დაეპატრონენ.

ანა იოანეს ასულმა 1735 წელს ათასიანი კორპუსი გაუგზავნა იმპერატორ კარლოს მეშვიდეს საფრანგეთის წინააღმდეგ, ქართველთა მეფისათვის კი მხოლოდ თავაზიანი ღიმილი ჰქონდა შემონახული. ავსტრიელებს ანას დახმარება აღარც დასჭირდათ, ფრანგებს შეურიგდნენ.

ერთი წლის შემდეგ ფრანგებმა იმას მიაღწიეს, რომ ანამ სისხლისმღვრელი ომი წამოიწყო თურქეთის სულთანთან, რომლის თანაგრძნობაც აქტუბელთა თათრებს უკრაინაში სათარეშოდ. ანას არც ამ ომში უღიმოდა ბედი. მალე მისი მოკავშირე ავსტრია იძულებული შეიქმნა თურქეთთან სამარცხვინო ზავი შეეკრა და დედოფალმაც ავსტრიას მიჰბაძა. რუსეთი ჰკარგავდა პეტრე დიდის მონაპოვარს, კარავდა ყველაფერს, რაც თურქეთს წაართვა, აზოვის გარდა, და იძულებული იყო ზავის პირობების თანახმად იქაც დაეწვია სიმაგრეები.

ასეთი იყო ანას საგარეო პოლიტიკის სავეალლო შედეგები. საშინაო პოლიტიკაშიც იოჰან ბირონის სუსტი ჭკუის მიხედვით ირჯებოდა... თავის ექვსი წლის ახლო ნათესავსა და მემკვიდრეს — ბრაუნშვაიგის პრინცს იგივე ბირონი დაუტოვა რეგენტად, ანდერძით. ანამ 1730-დან 1740 წლამდე იმეფა.

ასეთი იყო რუსეთის დედოფალი ანა იოანეს ასული, გარეგნულად „მშვენიერი, ზნეკეთილი და ხელოვანთა მფარველი“, სინამდვილეში კი ქეშმარიტი რუსული კულტურისადმი მტრულად განწყობილი, უბადრუკი და რუსთა მიწისათვის უცხო, მის მეფობას გენიალური პეშკინი „სამინელებას“ უწოდებს, ხალხმა კი მისი მეფობის შავზნელი დრო ერთი სიტყვით დაასურათხატა: „ბირონოვშინა“.

1738 წლის 28 მარტს რუსეთის სამხედრო არმიის ახლად შექმნილ ქართველთა ნაწილის შემადგენლობაში დავითიც შევიდა. 25 მარტი ვახტანგ მეფის გარდაცვალების დღე იყო.

ქართველ ჰუსართა როტის შედეგ-



საქართველოს
ხალხთა
წიგნობის
სამსახური

ნის ბრძანება 1738 წლის 28 მარტს გამოვიდა. ასე რომ, გურამიშვილი ვახტანგ მეფის გარდაცვალებიდან სამი დღის შემდეგ უკვე რუსეთის არმიის შემადგენლობაშია ოთხმოცდამეცხვამდე ქართველთან ერთად. როტა კი თანდათანობით ივსებოდა. ეს ასეული მოკლე ხანში ესკადრონად იქცა. იმავე 1738 წელს ახალი უმაღლესი ბრძანებაც მიიღეს. ქართველებისათვის უკრაინაში უნდა მიეცათ მიწა-წყალი, მათ თვითონვე უნდა გაეჩინათ საქონელი, ჰყოლოდათ ცხენი, შეეძინათ აღჭურვილობა და ხაზინიდან არაფერი არ მოეთხოვათ. თავადებს თითოს ოცდაათი კომლი ყმა ეძლეოდათ, აზნაურებისათვის კი ათათი იყო განკუთვნილი. ქართველებმა მიწები პოლტავის მხარეში მიიღეს. გურამიშვილმა მირგოროდიდან ოციოდე ვერსის დაშორებით, მდორე ხოროლის პირას მიიღო სოფელი, რასაც უკრაინელებმა გურამოვშიჩინა უწოდეს, თვითონ კი ახალდაბას ეძახდა.

ასე იყო თუ ისე, აქამდე საპატიო სტუმრად მყოფმა ქართველობამ უღელს დიადგა, რუსეთის მეფის ქვეშევრდომობა მიიღო, სამხედრო სამსახურში შესვლა ინება. ცხადია, უქმად ყოფნა შინა თუ გარეთ სამარცხვინოა, ადამიანის ვალია საქვეყნო საქმეში მონაწილეობა, საქვეყნო საქმის სამსახური და ერთმორწმუნე, მოძმე ქვეყნის არმიაში შესვლა დიდებას უქადდა მრავალ ქართველს. მაგრამ რა ბედი ეწეოდა თვით საქართველოს? ამაზე ფიქრი ქართველ ემიგრანტთაგან მხოლოდ რამდენიმე კაცს უკარგავდა ძილსა და მსვენებას.

დავით გურამიშვილის მეთაური ასეულში მამუკა დავითაშვილი დავიდოვად დაწერილა. იგი ერთი ხეპრე, გაუთლელი, უბადრუკი პიროვნება ყოფილა, რომელიც თურმე ძალზე უხეშად ექცეოდა ხელქვეითებს. ასეთი რამ ისტორიაში ბევრჯერ მომხდარა. ვიღაც რეგენი, მხოლოდ ჯარისკაცად გამოსადეგი პიროვნება უკვდავი კაცის წვალებით

ერთობა და მერე შთამომავლობა მის სახელს ისევ მისი მსხვერპლის წყალობით იგებს და ინახავს. სახელგანთქმული შაჰ-ნამეს ავტორის — ფირდოუსის მტერი, მის დროს, ყველაზე დიდი კაცი თვითმპყრობელი შაჰი იყო, მაგრამ მისი სახელი ამჟამად იმითაა ცნობილი: რომ დიდ ფირდოუსს მტრობდა და იძულებული გახდა სამშობლოდანაც გადახვეწილიყო. ასეთი რამ ქვეყნად არავის უკვირს! ისტორიაში ხშირად იმარჯვებს უხეში ძალა და ძლიერებს აღარ ასამართლებენ. ან ასამართლებენ მაშინ, როცა მსხვერპლნი საფლავებში წვანან და მავანნი და მავანნი კი ჰკუთას მაინც ვერა სწავლობენ. ვინ იცის, რამდენი დამცირება გადაუტანია დიდ პოეტს ჩიტირეკია მამუკასაგან, რომელიც შემპართებელი და გულოვანი მებრძოლი ყოფილა, მაგრამ ხელქვეითთ თურმე არწივისებურად, მხოლოდ ცალი თვალით დაპყურებდა ზემოდან და პოეტის ნათელ შუბლსა და ცხელ გულს ვერ ამჩნევდა! მემამუტიანე ღუმს და დავით გურამიშვილიც არას გვაუწყებს. ქართველებს დასახლება არ აცალეს. ან მათთვის ვისა სცხელოდა. პრუსიის მეფე ფრიდრიჰ დიდი, რუსეთს კარგა ხანია ემუქრებოდა. ცალკე ოსმალნი ლესავდნენ მახვილს. ჩრდილოეთიდან შვედების მეფე არ ცხრებოდა. ვიდრე ქართველნი ახალი ბუდეების მოწყობას მოასწრებდნენ ისინი ჰუსართა პოლკში ჩარიცხეს. დავით გურამიშვილი მოხუცებულ ბიძა—მერაბთან ერთად ჰუსართა პოლკშია და ომის გამოცხადების დღიდან თავი ფრონტზე უკრებს.

მიწის დანაწილება კი იოლად არ მომხდარა. მეფის წყალობა ვერ შეიფერეს, ხოლო წყალობა კი ასეთია:

თავის ვეზირებს უბრძანა, საეზო გარიდებს მათიო;
თავადთა ოცდაათი და აზნაურთათვის ათიო;

ელგუჯა მალრამი
გოდება

თუ არ აღბრუნდნენ, კიდევ ერთ-ერთი მანქანით, სართილი, მივცით თანახმობა, არა იყოს რა ხელათი.

ამ ქვეყნად, რაც რამე ბოროტი, ავი საქმე მომხდარა, ქვეყნებს შიგნითა თუ სახელმწიფოებს შორის, სულ მიწების განაწილების გამო ყოფილა და აბა ქართველთა შორის, და ისიც არა სამშობლოში, არამედ უკრაინაში გამოყოფილი მიწები ისე როგორ განაწილდებოდა, რომ შურსა და ქიშპობას, ანგარებასა და სიხარბეს, წამგლეჯაობასა და უტიფრობას თავისი სიტყვა არ ეთქვა. მაშინვე დაწყებულა ალიაქოთი, როგორ თუ გავათანასწორესო. მირაჟი გამქრალა და ვახტანგის ამალის წევრნი მწარე სინამდვილის წინაშე წამდგარან. ათასზე მეტი დიდებული, ყველა რომ ოფიცრად ჩაერიცხათ, მთელ არმიას ეყოფოდა. უმრავლესობას. თურმე, მხოლოდ ჯარისკაცის ფარაჯა ერგო და შურის ქიმერა საწიმიარი ღრუბელივით უცებ გაბერილა: ბევრს პროტესტის ნიშნად ქართველთა დანაყოფი მაშინვე მიუტოვებია. ცხადია, კულაბზიკა თავადები იუკადრისებდნენ თავიანთი თანატოლების ხელქვეითობას. მხოლოდ გურამიშვილი შეხვედრია მეფის ბრძანებასა და საწუთროს განაჩენს უხმოდ, უჩუმრად. პროტესტი არც სიტყვითა და არც საქმით არ განუცხადებია. ბრწყინვალე თავადიშვილი კი იყო, მაგრამ ბედის განჩინებას უსიტყვოდ დამორჩილებულა, ჯარისკაცის ფარაჯას დასჯერებია ყოფილი ჯაბადარაბაში.

მირგოროდის მხარეში დაასახლა მრუდე ბედმა გორისუბნელი თავადი. მისთვის არ იყო ფარსავი საქმე, თორემ უკრაინაში მისი ჩაახლება დღესაც არგია მის ქვეყანასა და ხალხს. მდორე ხოროლის პირას, უკრაინის კუთვნილ მიწაზე მასი ცხოვრება ერთა შორის ძმობის მტკიცე საძირკველი და საკრდენია, რომელზეც აღიმართა უკრაინელთა და ქართველთა ქვეშაირი უკრაინერთაგანება და სიყვარული მშვიდობის ქავს და ომიანობის დროს.

1743 წლიდან მთელი ნახევარი საუკუნე გაატარა მირგოროდსა და შემოგარენში დავითმა. ნახევარი საუკუნე, ეს ხომ მთელი ცხოვრებაა! რაღა თქმა უნდა, ფაქტიურად, დავით გურამიშვილი უკრაინის მკვიდრია. გადაუჭარბებლად უნდა ითქვას, რომ მისი არსება ისეა მოდებული ეროვნული სახმილითა და სულისკვეთებით, კვარივით ისეთი სურნელოვანი ცეცხლითა და გზნებით იწვის, რომ ეტყობა უცხო მხარე საკუთარ სამშობლოდ ჰქცევია. დავით გურამიშვილს მშობლიურივით შეუსისხლობრცვბია უკრაინული მიწა, რაც მთავარია, უკრაინელი ხალხი, მათი ენა, ყოფა, ზნე, ადამ-წესები, ტრადიციები, და ხალხური სასიმღერო მოტივები.

ნახევარი საუკუნე გაატარა დავითმა უკრაინაში. ეს ნახევარი არაა მშვიდობიანი ცხოვრების ქამი. სამჯერ მოუხდა საკუთარი კერის მიტოვება და სამ დიდ ომში მიიღო მონაწილეობა. ამას დავუმატოთ აყრა-დაყრა, მტერთაგან სახლკარის გადაბუგვა და გაპარტახება...

სხვაგან ყოფნის სავარაუდო წლებიც რომ მოვაკლოთ, დავითს 30-32 წელი მაინც მირგოროდის გუბერნიაში უხდება ცხოვრება. თუ რამე მოსაგვარებელი აქვს, მირგოროდში ან პოლტავაში ჩადის ხოლმე, ხანაც ახტირკაში, სადაც ყოველწლიურად ორ ივლისს რელიგიური დღესასწაული იმართებოდა. დანარჩენ დროს მეურნეობას ანდონებს. იგი გამრჩე მეურნედ გამოიყურება, ხნავს და თესავს, თავისუფალ დროს კი წერს, კითხულობს და ხალხის კეთილდღეობაზე ოცნებობს. სანწუხაროდ დიდი ხნით დაწყნარებული ცხოვრება მას ბედის წიგნში არ უწერია.

მოშურნეთა „მოღვაწეობამ“ ქართველთა საქმე საბოლოოდ წაახდინა. პოლკი არსებითად დაშალეს და ქართველ ოფიცრებსა და ჯარისკაცებს სხვადასხვა მხარეს უკრეს თავი, ავსტრიაში, შვეიცარიაში, პრუსიაში მიმოდანდინეს, დაფანტეს, გათქვიფეს, და რუსეთის უნაპირო იმპერიის ზღვაში ჩაიკარვა



ის ორიოდ ცვარი, რასაც აქამდე „დევნილ ქართველთა“, „ეხატანგის ამაღის“ სახელი მაინც ერქვა. ამ ეროვნული ტრაგედიის მთავარ მიზეზად პოეტი შურს აცხადებს.

შურსა რა ესმა სისწორე, ერთობა მან იწყინაო; რკინა რბილი და ფოლადი, თქვა, ვანასწორა ვინაო?

ვისაც ფრთამალი მერანი ჰყავდა, შურს განერიდა, გაქცევით უშველა თავს. დავითს კი ჭავჭავი ჰყავდა და ვერსად წავიდა. ქართლის ჭირის მოზარე დიდი პოეტური ოსტატობით აგვიწერს შურის დამლუბველ მოქმედებას. სურათს უფრო აცოცხლებს და ამძაფრებს კლასიკური პოეტური ხერხი: შური გაპიროვნებულია და ისე მუსრავს ადამიანებს როგორც ცოცხალი არსება:

შურმან დაჩაგრა და მოკვდა ყაფლანისშვილი
ტეტიო,
შურმან ციციშვილის ადამას დაარტყა თავში
კეტიო;
დაშვებული მეც შურით დავიარები ხეტიო;
დამწენილება გონება, თავზე შეხვევის რეტიო.

შური შლის საძმო კავშირს, მოსვენებას უკარგავს ადამიანებს, ზიანს აყენებს მემკვიდრეებს:

შურმან მე დიდად დამკოდა, ხმალი შემომკრა მისრისა,
მსხვილს შვილებს ყელი დამიჭრა, წვრილები
ფეხით მისრისა;
ცეცხლით დამიწვა სახლ-კარი, ვამე, ჭავრი
მკლავს მის სრისა!
ვით აღესილი ღახვარი, მით ხედა გულსა მისრისა.

ამრიგად, შურმა გურამიშვილს ახალი ტყვიელები მიაყენა, გული დაუკოდა, მსხვილ შვილებს ყელი დაუჭრა, წვრილები ფეხით უსრისა, ე. ი. დაუკარგა თავისი ნალოლიალები, გონითი ნაღვაწი პოემები და ლექსები. სადაც შური და ღვარძლი ფეხს მოიდგამს, იქ ყველაფერი ჩარხუკლმართდება. კინკლაობა, ქიშპი და უსიამოვნებისაგან სიკეთე ზარალდება და ბოროტება ზეიმობს. ამ განუწყვეტელი დევნისა და შევიწ-

როების გამო ხელნაწერები ვერ დაბინავა; ქამთა სიავის მსხვერპლი შეიქმნა ის, რაც პოეტმა ფიზიკური და სულიერი ძალების დაძაბვით შექმნა. გულკეთილი პოეტი ქარაგმებით მიგვანიშნებს ზოგიერთ რამეზე, მაგრამ სიმართლეს პოეზიაში ვერ გაჰქცევია და მისი გონითი ნაღვაწიდან აშკარად გამოსჰვივის, რომ იგი მოშურნე, მავნე ინტრიგათა მზაკვრობას ბევრჯერ აღუშფოთებია:

მას მემურნეთა პირველად არა აქნდა-რა ძალები,
გამოაჩინა ბოლოს დროს ფარული
დანაკრძალები:
გვიტყუვნა, ხორცი თვით კამა, ჩვენ
მოგვიყარა ძვლები,
ხე ვარჯოვანი დაგვახმო აყოვა ნაუქანძალები.

აშკარაა: უღირსთ დაუჩაგრავთ ღირსეულნი, ვარჯოვანი ხე გადახმარა, ნაკუნძალები აყვავებულან. პოეტი შევიწროებულთა, დევნილთა და ჩაგრულთა ბანაკშია. ის ღმერთს ეაჯება სამაგიერო მიაგოს ბოროტ ადამიანებს, რომელთაც სიკეთე ფეხით გათელეს, შორს, ნაგავში გადაისროლეს და ჩვენი მგოსანიც უსამართლოდ და უღვთოდ დაჩაგრეს:

ვანაბოროტა კეთილი შურმან აუბა თვალები;
წინა აღუძღვა ბრმა ბრმათა, არივა გზა და
კვალეზი
დაბენძლ, დაარიოშა, ოქროს მორივა რვალები;
გარდახდევინოს უფალმან, რაც ჩემი ედვას
ვალეზი!

პოეტური აღმასვლით დავითი ნათლად გვიხატავს შურით აღძრული თანამემამულის სიავესა და მუხანათობას:

ვით თხზა ცხვარი, მივენდე უპიროს,
მოლაღატესა,
წამიდვა, სამკმო მიწენა, თავს წააყუნა
ფლატესა,
მიოხრა თუ: აგერ საფოთლი, კარგია ვინც იქ
ვახტესა,
თვით ვახტა, მე შიგ ჩამავლო, ჰვავს ეშმაკობით
ანტესა.

როგორც ვხედავთ, ლექებიდან თავდახსნილი პოეტი ახლა საკუთარ თანადღვუჯა მადრბძმ გოღება

მომავთ გაუტანლობითა და უპირობით არანაკლებ გაუტანჯავთ. იგი ანტეჟირისტეს გადაპყრია, ხელახლა ორმოში მოხედრილა, რის გამო თავის თავსაც კიძხავს: შევციდი და მწყემსსა წაუველ, მრუდე გზით ძოვნა დავიწყე და დახეთ „უძღებებამან რა მიყო, ხედავთ ამ ჩემსა შოვნასა! სიმსუქნისათვის დავიკვლი, ძაღლი შესჭამენ ქონასა!“

„შურით მიყენებულ ზიანზე და წინამძღოლთან შეჯახებაზე დავითი სხვაგანაც ლაპარაკობს, მაგალითად, „ადამის საჩივარში“.

გულს მაძგერა მტერმან შუბი, გამადინა
სისხლი ღვარად,
წინამძღვართან მიგდო ჩხუბი...
წინამძღვარი კი ორგული, ფლიდი და
გაიძვერა ვინმე ყოფილა:
ვექვობ ის იყოხ ორგული, ვინც გახლავთ
წინამძღომელი.
თვალ-გული ხარბი, ანგარი მუცელი
გაუძღომელი.

ამრიგად, ერთხელ ხნარცვიდან ამოსული პოეტი ისევ ჩავარდა სხვა უარეს ხაროში, უცხო მხარეში სალაშქროდ წასულს, ყველა იმედი უკან დარჩენია. ეროვნულ დარდსა და კეჟანს ემატება პირადი და გვაროვნული დარდი, რაც საწუთროს საშინელი სამღურავის მიზეზი ხდება. ამ მოშურნეთა შორის ცხადია, უკანასკნელი არ იქნებოდა ხსენებული წინამძღოლი მამუკა დავიდოვი.

საბრძოლო ეპიზოდების პოემაში ასახვის თაობაზე კი უნდა პირდაპირ განვაცხადოთ, რომ პოეტი ძალიან მოკლედ და სხარტად გადმოგვეცემს ვრცელ ამბებს და მკითხველისათვის მხოლოდ ერთ ბატალურ სცენას იმეტებს:

ჩვენი ვითხრა სამსახური, სხვა რა ვექნა ამის
მეტე:
ათას შვიდას ოც-და-ცხრამეტს ხოთინის კარს
ვთხოლიშეთ კეტი.
ორმოც-და-ორს ფინდრიდავან ცეცხლით
გამოვბუჯეთ შვეტი
ორმოც-ჩვიდმეტს ბრუსის კოროლს შურუყვიეთ
ტახტის სვეტი.

ესაა წამიერი მოგონება დიდი ბრძო-

ლებისა და ქართველებისა. ამ ლაქონიურ მატინეს მოსდევს წლის ამბავი:

ორმოც-თვრამეტს ბრუსმან დაგვკრა, თავსა
დაგვახვივა რეტი,
მე ჩემს ძმებსა დამაშორა, ლუწისაგან დავრჩი
კნტი.
მაღდმურხის ციხეშიგან, დამსვა კარებ
დანაკლმეტი
მუნით ვიხსენ შინ წამოველ, ქერი ვხან და
ყანა ფეტი.

სულ ესაა! თვრამეტი წლის ბრძოლასა და ცხოვრებას ეთმობა თექვსმეტი სტრიქონი. აქაა: ჩასაფრებაც, სანგრებში ჯდომაც, იერიშიც, გამარჯვებაც, ტყვეობაც, შინ დაბრუნებაც, ფეტვის თესვაცა და ყანის მკაც.

ეტყობა ომგადახდილი პოეტი ლექსის წერის ხასიათზე მაინცა და მაინც აღარ უნდა იყოს, მეტადრე როცა საცხოვრებელი ადგილიც ძალდატანებით გამოუცვალეს...

ამრიგად, 1739 წელს ქართველთა ნაწილი თურქეთს ებრძვის, ბესარაბიაში, ხოთინის ციხის აღებაში ეხმარებ რუსეთის არმიას.

ხოთინის ლაშქრობაში ქართველთა ესკადრონი 1739 წლის ორ აპრილს წავიდა. ამ ჯარში იყო დავითიც.

დიმიტრო კოსარიკი რამდენადმე განავრცობს ჩვენთვის ცნობილ დეტალებს: „მოსკოვიდან ფრონტზე მიმავალი გზა უკრაინაზე გადიოდა. აქ მათ გაიარეს უკრაინის ქალაქები: გლუხოვი, ბატურინი, ნეჟინი, კოზელეცი და ბოლო კიევიში მივიდნენ. მაგრამ დავით გურამიშვილს დრო არ ჰქონდა დაეთვალარებინა და დამტკბარიყო იგივენდარული ქალაქის მშვენიერებებითა და ღირსშესანიშნაობებით. ჯარები წინ მიიწვიდნენ და ჯარისკაცის ვალი ხომ უდრტვინველი, ერთგული სამსახურია. გაიარეს ვასილკოვი, ფასტოვი, მთელი კიევიშინა, პოდოლია და კამენც-პოდოლსკის ახლოს მიადგნენ დნეპრის ნაპირებს. ლაშქრობა მძიმე იყო და მომქანცველი. დნესტრის მარჯვენა ნაპირს უკრაინა ნანგრევებადა და პარტახად ექცია



თურქეთის სულთნის ცხენოსანთა ყაჩაღურ თავდასხმებზე და თარეშს. გზაში სოფლების წარბაქი სურათების სანაცვლოდ მათ ხვდებოდათ უღაბნოდ ქცეული ნაოხარი ადგილები. გაძნელდა ჯარის სურსათით მომარაგების საქმე. ტრამალებში მიმავალ ჯარისკაცებს შეშა და წყალიც კი საკუთარი ზურგით მიჰქონდათ“.²

ერთ უკრაინულ ხალხურ სიმღერაში დადასტურებულია ის ქება, რაც გურამიშვილს რუსეთის არმიის მისამართით უთქვამს:

დიდებულ ადგილ ხოთინთან
ჰეი მდინარესთანაო,
ექვსი თვე არის ოსმალო
რაც იბრძვის რუსებთანაო.
რუსთა დაიწვეს შეტევა,
ოსმალო სისხლში ბანაობს,
ბევრ ოსმალ-ბაშას დაადგა
უღელზე სიკვდილის დანაო.
...გორებს დაჰფრენენ ყორნები
შავ ფრთების აფარფაშებით.
ჰე, ამოწვიტეს რუსებმა
ქაბუჯი ოსმალ-ბაშებით!³

ჩვენ შეგვიძლია ლექსის დახმარებით მხოლოდ დაეაზუსტოთ ის დრო და ადგილი, რომელთანაც დავით გურამიშვილის ცხოვრების მღელვარე ეპიზოდებია დაკავშირებული: 1739 წელს ქართველთა ნაწილი ოსმალებს ებრძოდა ყირიმის ფრონტზე, ხოთინის ციხესთან. ხოთინი ქალაქია ბესარაბიაში, დნესტრის ნაპირზე მდებარეობს. აქ ძლიერი სიმაგრეები იყო აგებული რუსთა და პოლონელთა მიერ. ციხის ბურჯები და გოდოლები თურქთა წინააღმდეგ საბრძოლველად მზად იყო. 1673 წლის თერთმეტ ნოემბერს აქ სობესკიმ სასტიკად დაამარცხა თურქები და ხელთ იგდო სამოცდაექვსი დროშა, მათ შორის წინასწარმეტყველის მწვანე დროშა, რაც ძლევა-მოსილმა სობესკიმ რომის პაპს კლიმენტი მეათეს გაუგზავნა არმადანად. იმ დღეს ბრძოლის ველზე ოცი ათასი თურქი დაეცა, დნესტრის ხილა ჩატყდა და რვა-ათასი თურქი მდინარეში ჩაიხრჩო. მერე, 1711 წელს ხოთინი ისევ თურქებმა იგდეს ხელში. 1739 წელს მინიხის კორპუსმა ხოთინი თურქებს კვლავ წაართვა. ეს იყო დიდი ისტორიული გამარჯვება, და იქ ხოთინის ციხის მისადგომებთან გამართულ სისხლისმღვრელ ბრძოლებში დავითის ხმალიც ელავდა. მართალია, ბელგრადის ზავით ციხე-სიმაგრე ისევ თურქებს დარჩათ, მაგრამ გამარჯვებას მაინც დიდი მორალური მნიშვნელობა ჰქონდა. ხოთინის ციხის აღება-დაბრუნება რუსთა და თურქთა მხრივ მთელი საუკუნე გაგრძელდა, ვიდრე 1856 წელს ხოთინის ციხე საერთოდ არ გაუქმდა.

ფრონტის სარდლობა თავის ოფიციალურ მოხსენებაში ქებით იხსენიებს ქართველ მეომრებს: „ქართველები თავიანთ სამსახურს ძალიან მამაცურად ასრულებენ... ქართველები ისე იქცევიან, როგორც შეეფერება მამაცსა და სანდო ხალხს, ასე რომ მათგან მეტის მოთხოვნა შეუძლებელია... ქართველები ძალზე საჭირონი არიან. ამიტომ ძალიან გვჭირდება რაც შეიძლება ეგზომ მამაცი ხალხი“.⁴

ასეთი მიუდგომელი, უანგარო ქება ბრძოლების წარმმართველთაგან, მათგან, ვინც უშუალოდ ადგილზე განაგებდა საკუთარსა და მოლაშქრეთა ბედს, ჩაწერილი ისტორიულ დოკუმენტში კიდევ ერთი ნათელი დასტურია იმისა, რომ სიმამაცითა და ერთგულებით ქართველები მუდამ წინ იდგნენ. ამ ჯარის მეომარი იყო დავით გურამიშვილიც, მასაც ეხება სარდლობის მაღალი დახასიათება.

თვითონ მინიხი ვააოცა ქართველი მებრძოლების სიმამაცემ, და ეს ახალი ამბავი არ იყო, ყველგან—ინდოეთში, ავღანისტანში, შუა აზიაში, ეგვიპტეში,

⁴ ფონდი სენატი № 1663. ფ. 376. 549. (Цент. Гос. Архив древних актов ЦГДА).

² დ. კოსარიკი, დავით გურამიშვილი. 18-19.
³ თარგმანი თ. ჩანგულაშვილისა.

ელგუჯა ვალრამი
გომდება

ჩრდილოეთსა თუ დასავლეთში—სადაც კი ქართველთა ხმალი ელავდა, გამარჯვება და გაოცება იყო მათი თანამგზავრი. იმ მამაცთა შორის, რომელთა სახელები შემატანიან შემოგვიანხა და ვიცით, დავით გურამიშვილიც დგას. ხოთინის ბრძოლაში თავის გამოჩენისა და სიმამაცისათვის დავითს მთავარსარდალს ბრძანებით აწინაურებენ და კაპრალად ნიშნავენ. ეს მოხდა 1739 წლის ხუთ აგვისტოს. ბრძოლა კი გრძელდებოდა, რომელიც მხოლოდ ცხრამეტ აგვისტოს დასრულდა. ზავიც შეიკრა. დავითი უკვე კაპრალია, თვრამეტი დეკემბრიდან კვარტირ-მაისტერი, 1840 წელს კი ვახმისტრი შეიქმნა. იმ დროისათვის ეს ძალიან საგრძნობი წარმატებები იყო და ასეთი წოდებები იოლად არავის ეძლეოდა. მით უმეტეს, რომ ჯარისკაცების დაწინაურება მაშინდელ დროში იშვიათი გამონაკლისი იყო. გურამიშვილის პირადულმა თვისებებმა: შემართებამ, სიმამაცემ, და მოსაზრებულობამ განაპირობა მისი დაწინაურება.

თვითნებობისა და ძალადობის მეტად არეული დრო იყო: სასახლის ინტრიგებს თან სდევდა ხშირი ომები, ბატონყმური უღლის სიმძიმე, საყოველთაო სიბნელე, ჩამორჩენილობა, ჯაშუშობა. ერთეულები ფუფუნებაში ცხოვრობდნენ, მილიონები კი ჩავკრის უღელში გმინავდნენ. ამ თვითნებობისა და ძალადობის შედეგი იყო უთუოდ ის უმადურობაც, რისი მსხვერპლიც მრავალი ნათამარი ქართველი გახდა.

უმადლესი მთავარსარდალობის მიერ არაერთხელ შექმულ ქართველ მეომრებს, ხანდაზმულებსაც კი, სენატმა საარსებო წყარო დაამადლა. საკუთარი სისხლის ფასად ნაყიდი დამსახურებულები, უზრუნველი ცხოვრება არ აღირსა. თვითონ ჩვენი სასიქადულო პოეტის ბიძას მერაბ გურამიშვილს, ნამსახურს, პოლკის საბრძოლო დროშასავით ათასგან დაჭრილსა და დასახიჩრებულს, ხოთინის ბრძოლის მონაწილეს, უარი

უთხრა თხოვნაზე, ცხოვრების სახსარს მიბოძეთო.

გურამიშვილი ხომ ისედაც მძიმედ დღეში იყო და რა უნდა მიეცა მოხუცი ბიძისათვის, გარდა იმისა, რომ ლუკმას უყოფდა! საქართველოში ლაშქრობაზე ფიქრიც შეუძლებელი შეიქმნა. უკრაინის ბარაქთან მიწაზე, სადმე კარგ ადგილზე, მინც მიეცათ ერთგული სამსახურისა და თავდადებისათვის რიგიანი მამული. მაგრამ ბირონის სენატი უთვისტომო ქართველებს კი არა, თვითონ შუმ რუსებს ჩავგრავდა. განა მისი თვითნებობისა და ძალადობის მსხვერპლი არ შეიქმნა კაბინეტ-მინისტრი არტემ ვოლინსკი?

დედოფლისაგან წათამამებული ბირონი, ქვეყნის შიგნით, ძლიერი და ყოველისშემძლე იყო, გარეთ კი... ნადირშაჰი წარმატებებს წარმატებებზე აღწევდა და სულ წინ მიიწეოდა. შუა აზია დალაშქრა, მისმა ხმლის ელვამ ინდოეთამდე უწია, რუსეთის ჩაუდგა ჯიბრში და კასპისპირეთი დააცოცხლანა...

1740 წლის ჩვიდმეტ ოქტომბერს ანა იოანეს ასულმა მოულოდნელად განუტევა სული. დაიწყო ბირონის დესპოტური თვითმმართველობა. ბევრი კეთილშობილი რუსი მოღვაწე გასწირა და აწამა, მაგრამ მეფის გვირგვინი ვერ იქნა და თავზე ვერ დაიდგა. მხოლოდ სამ კვირას მართავდა ქვეყანას, საყვარლის გარეშე უღლეური. მალე სასახლეში გადატრიალება მოხდა და ტახტზე აიყვანეს მეორე ანა, ლეოპოლდის ასული, იგივე ელისაბედ—ეკატერინე, ქრისტინა, მეკლენბურგ — შვერინის ჰერცოგის ასული. დედამისმა, ალექსი მიხეილის ძის შვილიშვილმა ვერ გაუძლო სასტიკ ჰერცოგს, ქმარი შიშითა და რუსეთში დაბრუნდა, თან ელისაბედიც ჩამოიყვანა. რაკი ანა იოანეს ასულს მემკვიდრე არა ჰყავდა, კარისკაცთა რჩევით ტახტის მემკვიდრედ დედოფალმა ეს ელისაბედ—ეკატერინე ქრისტინა აირჩია და სახელიც თავისი დაანათლა.

ბირონი დაამხეს, ზოგიერთი მინის-



ტრი გადაასახლეს, პერტოგს სიკვდილიც კი მიუსაჯეს, თუმცა მერე შეიწყალეს და კიდევ დიდხანს ითარეშა... ტახტი კი იმჯერად წილად ხვდა ვარეგნულად კეთილს, მაგრამ გაუნათლებელს, ზანტსა და უქნარა ანა ლეოპოლდის ასულს, რომელიც მთელ დღეებს ბანქოს თამაშში ატარებდა... რა დღე უნდა დადგომოდა იმპერიას ასეთი მბრძანებლის ხელში!

პოეტს ბედი ვინ მისცაო, ნათქვამია. როცა ხარბი, შურიანი მამულიშვილები საუკეთესო მამულებს იზომავდნენ პოლტავის, მირგოროდისა და პრილუკის რაიონებში, და საკუთარ ბედნიერებას სკედდნენ, სხვის სიკეთის მოიმედე და მათ ხელებში შემყურე გურამიშვილმა მიწა იქ მიიღო, სადაც მიუბოძეს, და „სადაც არა იყო მწადი“ — ბოროლის ჭაობებში, სოფელ ზუბოვკაში. მღორე მდინარის პირას, სადაც ლაქაშების მეტი არაფერი ხარობდა. იქ ჩაიყვანა მოსკოვიდან ოჯახი და მოხუცებული ბიძა მერაბი. მაგრამ, მალე ცოლი, მოხუცებული ბიძა და მსახური უპატრონოდ დაჰყარა და თვითონ ისევ ბრძოლის ველზე წავიდა.

დიმიტრო კოსარიკმა ვაარკვია, რომ 1741 წლის თორმეტ დეკემბერს, თერთმეტი მირგოროდელი ქართველის სიაში დავით გურამიშვილი აღარ იხსენიება, სამაგიეროდ მოხსენებულია მერაბი.

შეედებთან ომი უკვე გაჩაღებული იყო. შეედებს ჭერაც ვერ მოენელებინათ ის დამარცხება, რაც პეტრე პირველმა აგემა პოლტავასთან 1709 წელს, რევანშის აღება ეწადათ და განზრახული ქონდათ ბალტიისპირეთის უკან დაბრუნება.

ქართველ ჰუსართა პოლკის მოლაშქრენი ომში იმ იმედით მიდიოდნენ, რომ ვინც ცოცხალი გადაარჩებოდა, საკუთარ ადგილ-მამულში დაბრუნდებოდა, მაგრამ 1742 წლის ოცდაოთხ აგვისტოს ახალი უმაღლესი განკარგულება გაიცა, რომლის ძალითაც ქართველ თავადაზნაურებს მამულები უკრაინის

ნაცვლად ახლა ორენბურგში უნდა დარიგებოდათ. ეს იყო, ახალი დედოფლისაგან, ერთგული სამსახურის პასუხი. ამ ბრძანებამ ქართველები აღაშფოთა. საბედნიეროდ, ჰუსართა პოლკმა ამ საშინაო საკითხშიც გაიმარჯვა. ელისაბედმა კიდევ გამოსცა ერთი ახალი ბრძანება და იმ ბრძანებით ძველი ბრძანება დაადასტურა. ამრიგად, 1743 წლის ოცდაოთხ ოქტომბერს საბოლოოდ გადაწყდა ქართველთა დასახლება უკრაინაში. მირგოროდში დასახლებულან თავადები: დავით რატიშვილი, ზაალ ხერხეულიძე, დავით გურამიშვილი, აზნაურები: ოდიშელიძე, ხაჭაპურიძე, კობიაშვილი, ინასარიძე.

მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის არმიის მეომარს დავით გურამიშვილს ბედმა გაუღიმა და მცირეოდენი შესვენება აღირსა. ერთი დღე პურთბილსაც კი გაუღიძმებს ხოლმე მოიხარა! მაშ, კედელზე ჩამოვკიდეთ საჭურველი და ზუბოვკაში გავემგზავროთ.

ზუბოვკელი გეპტრიჩე

ზუბოვკილამ მომავალმან ვნახე ერთი ქალი...
და ვ ი თ გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი .

1743 წლიდან გურამიშვილის ცხოვრებაში მყუდრო დღეებიც დგება. იმ ხანებში იწერება „ზუბოვკელი ქალი“. უკრაინული ლექსის სასიმღერო კილოზე გამართული „ზუბოვკა“ მსუბუქი ლირიკის შედევრია. ლალი და უდარდელი მელოდიით იწყება ეს ბრწყინვალე ლექსი:

ზუბოვკილამ მომავალმან ვნახე ერთი ქალი,
მეტად ტურფა, შევნიერი, მახე დამრჩა თვალთ,
შავ თვალ-წარბას, პირად თთორსა ახსნა შავი
ხალი.

მისმან ეშხმან დაცამლენწა, შემიმუსრა ძვალი.

სადა, უბრალო, სასიმღეროა ეს ლექსი თავიდან ბოლომდე; მკვლევარები ლაპარაკობენ ერთი ფრაზის— „მისმან ეშხმან დაცამლენწა“ მწიგნობრულ ხა-

ელგუჯა მალრაძე
გოდება



სიათზე, მაგრამ ეს მწიგნობრული კი არა, უადრესად ნატიფი რუსთაველი-სებური პოეტური ფრაზაა, რასაც მაღალ რევისტრში აპყავს ლირიკული ლექსი და აძლიერებს ემოციურ შთაბეჭდობას.

ზუბოვეკის სანახებში წყნარი ხოროლი მოედინება. გარშემო მურყანი, მტირალა ტირიფები და ლაქაშები. აქ, ამ ჭაობიან მიდამოებში, ხშირად დაიარება დაბრძენებული პოეტი და წყლის წისქვილის გამართვაზე ოცნებობს. მირგოროდიდან ზუბოვეკამდე მანძილი ათი კილომეტრია. დავითი ხან ცხენით მგზავრობს, ხან ქვეითად დაიარება. აქ ტყეცაა, ველიცაა, ყორღანები, ლაქაშები და ჭალაკები... ფიქრთვასართველად დროც ბევრი აქვს და ადგილიც ზედგამოჭრილია.

უკრაინამ თავისი შვილობილის მემკვიდრეობა პირველად მიკოლა ბაჟანის თარგმანის წყალობით გაიცნო. „ეს მაღალპოეტური, სიცოცხლითა და სიყვარულით სავსე ნაწარმოები გვიხატავს ავტორის შინაგან სახესაც და ახალგაზრდა ულაშხესი უკრაინელი ქალის ხატსაც. ადამიანური გრძნობებით აღსავსე ეს ლექსი დიდი პოპულარობით სარგებლობს უკრაინაში, მეტადრე ამ უკანასკნელ წლებში, როდესაც ქართველი პოეტის სახელი ხელახლა აღდგა და განახლდა.“⁵

ზუბოვეკისა და სოროჩინის გზაჯვარედინზე მაღალი, მწვანით მოსილი ყორღანია აღმართული. პოლტავეშჩინის ეს მიდამოები ხალხს ლეგენდის ბურუსში გაუხვევია. აქ შეხვდაო დავითი ზუბოვეკელ მზეთუნახავს, აქ შეიქმნაო მისი ხორციელი მშვენებისადმი შენამსჭვალეები, და ქალის სახელიც კი გამოსტაცეს დავიწყების მდინარეს—ტატიანა!

ვინ იცის, პოეტის ცხოვრებაში რა როლის შესრულება არაგუნა წილად მოიხრამ ზუბოვეკელ ქალს. იმ დღესაც ფიქრგასართველად დავითი ალბათ მწი-

რით ეული გამოვიდა სახლიდან ატმა-დაღმა დაჰყვებოდა მიუსაფრთხილ ტი მოდულუნე მდინარეს, და ბედზე შემომწყრალი სოფლის სამღურავს, ხოროლის მღორე ზვირთებს ანდობდა:

ნაღვლით დღენი შემომოკლდა,
აღარა მაქვს, დამელია:
ყველა მწარედ გარდამექცა
რაც რამ ტკილიად დამელია.
მძორთა ჩემთა შესაქმელად
მზას არს ტურა და მელია,
აქ წამოვალ მეც თქვენთანა
სად ძმა მიცდის, და მელია...

სევდით გულგაჟენილი პოეტი ტრამალზე ჩერდება, ყვავილებს პერეტს, მათი სურნელით იბნიდება, მოკრეფა უნდა, მაგრამ ამქვეყნად ყვავილთა წამიერი ყოფნა გაახსენდება და მოსაწყვეტად ვერც ერთს ველარ გაიმეტებს. ფიქრი ფიქრს აედევნება, მწარე მოგონებები მოეძალება, გულდამძიმებულ, შეჭირვებულ პოეტს სანუგეშოდ თვალთვან ცრემლის გამოწურვა უნდა, მაგრამ ნუგეშის ეს იმედიც გაუცუდდება. ყვავილებს ადამიანებად წარმოიდგენს: „ასე ვართ ჩვენც მიწასთან მიჯაჭვულნი, ასე გვარწევს წუთისოფლის ქარი, ასე განვიძარცვებით და დავტყნებით, ვის ადრე მოსწყვეტს ნიავი და ვის გვიან გააგდებინებს თავს ქარტეხილი. აი, სადაური სად წარმომისროლა, ახლა კიდევ საით მეწევა!“ იგი ობოლი მარგალიტის ჯავრს გაუთანგავს. ეს ობოლი შექმნილა ახლა მისი საზრუნავი, მისი არდავიწყების იმედი, მისი ნუგეში, ნაინატრად ნაზარდი წიგნი. ანდა უკეთესი ძე ვისა ჰყოლია, უკვდავი და ერთგული. ოღონდ კი დაუღვევარმა ადამიანებმა არ მოწყვიტონ ყვავილივით, ხელნაწერი არ დაუკარგონ, სიმღერა ზარად არ გარდაექცეს და დავითი ისევ იცოცხლებს:

მე რაც ვშობე, შვილიად ვსჭერვარ,
ეს თუ მჭრდელმან გამოიზარდა,
ვზრდი მომღერლად, მე თუ ჩემი
სიმღერა არ გამოიზარდა...

მაგრამ ეს ყოველი ხომ წინათ იყო, ჯერ კიდევ ვახტანგ მეფის სიცოცხლე-

⁵ დ. კოსარიკი, დავით გურამიშვილი უკრაინაში, 1949 წ. თბილისი, „საბჭოთა მწერალი“, გვ. 24-25.



ში. აი, ასეთ ფიქრებსა და მოგონებებში იძირება პოეტი. ფიქრი, ოცნება, სურვილი, სინამდვილე ერთმანეთში ირევა, მათ შორის ზღვარი იშლება და მწელი გასარჩევი ხდება, სად მთავრდება ერთი და იწყება მეორე.

მთის კორტოსზე წამომდგარი სალოცავივით ყველასაგან მიტოვებულმა, იმ სალოცავივით, მორწმუნენი წელიწადში ერთხელ და ისიც დღესასწაულზე რომ მოინახულებენ ხოლმე, თვისტომთ დანატრებულმა, თესლაშრეტით გადამხმარმა და ეულმა ხოროლის სანახებში გასეირნება მოიწადინა. მოგონებათა უწყვეტი ჯაჭვი სადღაც შორის ნისლში იკარგებოდა. იქნებ გულიდან ჯავრი გადავიყარო, ნელა დაუყვა მდორედ მავალი მდინარის ნაპირს. თაკარა მზე სულ ცოტა ხნის წინათ გადახრილიყო დასავლისაკენ, თუმცა სიცოცხლის მფენ მის სხივებს სიცხოველ და შუქი ჯერ კიდევ არ დაეკარგათ. მზის სიმხურვალე მოელაპუნა მხრებზე და მთელ სხეულში სასიამოვნო ჟრუნტელმა დაუარა. სულ ახლოდან შემოსმა გუგულის მოძახილი და ქედანთა დვრინვა. ამ ხმამ და მოგონებათა ჯაჭვმა თითქოს სამშობლოში დააბრუნა. ბურანში მყოფმა ჯერ ნაბიჯი შეანელა, მერე სრულიად შეჩერდა, უცებ ვიღაც წამოეწია და გადაუსწრო კიდევ. დავითი გამოერკვა. სწორედ ის იყო, ვის ნახვასაც ინატროდა...

ჩითის კაბაში გამოკვალთულ ქალს სხეულის ყოველი ნაკეთი, თითქოს შიშველიაო, ისე მოუჩანდა. ფერადი კაბა უფრო საჩინოს ხდიდა ქალის ხორციელ მშვენებას. ქალს ხელთ სიყვარულისა და დაუმცხრალი ჟინის სათავეს — წითელი ვარდის ნაცვლად პურის ფეთავეები და ყაყაჩოების კონა ეპყრა. ბედის ვარსკვლავს იგი ბალ-მასკარადებისათვის არ გაეჩინა. ბალ-მასკარადებზე დავითს ბევრი პარიკიანი და გაპუდრული მოცეკვავე ქალები ჰყავდა ნაწიხი. ისინი უხვად აფრქვევდნენ ნელსაცხებლის სასიამოვნო სურნელს და ამოოდ ცდილობდნენ მარაოებით გაე-

გრილებინათ შიშველი გულმკერდი და მკლავები. პუდრისაგან რუსული ზამთარივით გადათეთრებულთ, ცეკვის დროს ლაწვები ევაკლებოდათ, ოფლი ეძალებოდათ და პუდრგადაცილებულ სახეებზე პაჭუა ცხვირები უპრიალებდათ ხოლმე. ამას კი არც ნელსაცხების სუნი ასდიოდა და არც პუდრი ჰქონდა სახეზე თოვლის ფიფქებივით მიყრილი. ჯანსაღი ნაბიჯით მიდიოდა, თეძოვანიერი, თვალგიშერა, პირად თეთრი და შავ ხალებდამსხდარი, ეშხიანი და ძვალთშემუსერელი, ამ ქალის ხილვაზე „მამაკაცური მანზუნენლი გულისთქმანი“ აღსდგნენ მასში. კარგა ხანია თვალი ეჭირა ქალზე, მალულ უქვერეტდა, სხვა არავისთვის ემეტებოდა, საკუთრივ სწადდა, რაც შეიძლება მალე უნდოდა დაუფლებოდა მდიდარ საუნჯეს.

„მალე არს ქარი, ხოლო გულისთქმანი კაცისანი უმალეს მისა არიან“. ამ ქალისადმი სიყვარულის ვნება, მის პირველ ნახვისთანავე აღძრა, მერე ცეცხლივით ნელ-ნელა გაუღვივდა გულში, მალე სიყვარულის ვნების სახმილი მოგიზგიზე ხანძრად გადაეცქა, რომლის ჩაქრობა უკვე აღარა ძალას აღარ შეეძლო. განუყრელად უნდოდა სულ მის სიახლოვეს ყოფილიყო, მისთვის ეცქირა, ეგრძნო მისი მშველი სუნთქვა, ქალი შეუმცდარი, მშვენიერი სქესისათვის დამახასიათებელი, გუმანით მიუხედა საწადელს, და განეროდა. ქმრიანი ქალისათვის მომაციუნებელიაო უცხო კაცის სიახლოვე, თავიდან მომწყდო, ერთხელ დაუბრუნებლად ახალ კიდევ პირში. წინააღმდეგობამ დავითი კიდევ უფრო გაახელა და გააღიზიანა. იმ საღამოს სასეირნოდ გამოსული გზად გადაეყარა, ქალმა ეს შემთხვევითი შეხედრაც განზრახულში ჩაუთვალა, რაკი იცოდა, რომ მისდამი სიყვარულით შენამსკვალეები ერთთავად მისი სახლის ირგვლივ მიმოდიოდა.

ელგუჯა მაღრაძე
გოდება

—რაო, რას გამობი, ჩემი ხომ არ გეშინია—სცადა გამოლაპარაკება დავითმა.

—სწორედ აღამიანისა უნდა გეშინოდეს, თორემ სხვა რაა საშიში? რა ერთთავად ჩვენი სახლის ირგვლივ დაბორიანობ, სხვა ადგილი ვერ გამოიჩინებ სასაფლაოსად?

—შენ გადამიკეტე ღვთისა და კაცისკენ მიმავალი ყველა გზა—შარა და ბილიკი. აღარც სალოცავად დავდივარ და ნაცნობთა შეყრასაც ვაფურბივარ. ყველას ერთბაშად დავცილდი და მიზეზი კი შენა ხარ!.. დავყურაყურებ თქვენი სახლის ირგვლივ და მინდა თვალი მოგვკრა, დაგინახავ და მინდა გამოველაპარაკო, გულში ჩაგიკრა და გიჭურჭულო, რომ შენმა მშვენებამ ამაფორიაქა, ამ ცოდვით სავსე მიწაზე ადგილს ვერ ვბოულობ. ვცდილობ შენზე ფიქრი გონებიდან ამოვიგდო, აღარ დაგინახო, მაგრამ ამაოდ ვირჯები, გული კვლავ შენსკენ მოიწვეს, შენი უყურადღებობა სატანჯველს მიძლიერებს. შენს დანახვაზე აღტაცება და სინანული ერთად მუუფლებს. შენი მშვენება სიყვარულის სახმილით მწვავს! შენი სახევა გულში ჩამძახის არავის დანებო, ის შენ გეკუთვნისო, შენი ბავები კი ჩემთვის დაუჭერებელ არას წარმოსთქვამენ და დაბადების დღეს მაწყევლინებენ. შევიანანი რომ გნახე, ვნანობ იმასაც, რომ ამ ქვეყნად გავჩნდი და შენ გადაგეყარე!..

ქალი უსმენდა და გაყურებული იყო.

დავითმა კარგად იცოდა, რომ ახლაცოდვილივით აღსავლის კართან იდგა და სახატეში შესვლა ვეღარ გაუბედა. ყოყმანობდა და გონებაში სწონდა, განვეითარებინა ფიცხელი შეტევა, თუ გონიერად მოფიქრებული ციხის საალყო წესით ვატეხის გეგმა განეხორციელებინა.

უეცრად ქალს ხელი სტაცა, ტუჩი ტუჩს შეუწება და უსურვაზივით ჩაეხვია. ერთის წამით სიყვარულის ვნებამ ალბათ ორივეს ერთიანად დარია ხელი, გონი დააკარგვინა და თავდავი-

წყებისაკენ უბიძგა. ქალის დაბნევა და გაყურებამ დავითი წაათამაშა და თავმოყვარეობა აძილულდა ერთხელ კიდევ ეცადა ბედი, იქნებ სწეოდა საწადელს. ერთხელ კიდევ გამოვიდებო თავს,—გაიფიქრა,—იქნებ ბუნების წიაღში ხოროლის პირას, სურნელოვანი, შემგქნარი თივის ბულუღებზე, ბუნების ხმა მოუპოვებდა იმას, რისთვისაც ამაოდ იღწვოდა მისი სახლის ახლომახლო. და როცა ქალს მკლავები სალტესავით შემოაქლო, გზის იქით მდგარი თივის ბულუღისაკენ ციმციმ წაიღო, ზედ დააწვინა და მის დაუფლებას ლამობდა, სწორედ მაშინ გამოუჩინებდა ქალი: ავო კაცო, ვით გაბედე, და თავი მითხოვეო, ეს უთხრა გავაპასებულმა: შენგან თვალად უყეთესი ვაჟიკაცი, ქმარი შინ მიზის, შენგნით ნუმცა მსმენიაო სიტყვა ამის მეტი, — სთქვა ესა და უიმედოდ შეყვარებულ მიჯნურს თავში კეტი დაჰკრა. დავითი დაბარბაცდა, თავს რეტი დაესხა და გარდაიქცა.

მართალია, ქალმა მისი წრფელი გრძნობა სიტყვიერად და უხეში ძალით უარჰყო, ავად მოექცა და მისი ხორციელი მშვენებით აღტკინებული ხელი მიჯნური კეტის დარტყმით მიწას განართხო, მაგრამ ამ ამბავს დავითის არსებაში ქალისადმი სიძულვილი მაინც არ დაუბადებია. მართალია, ამ ქალმა ერთ წამში შეუღმუსრა თვითრწმენა, ჩაუხშო სასიცოცხლო ძალა, განარინა ოცნებას, გაუფანტა ნეტარების ბურანი და გაუცამტვერა ნალოლიავეები იმედი, მაგრამ მისდამი შენამსკვალეები გულის გაბოროტება ვერ შესძლო. შეურაცხყოფილ თავმოყვარეობას დავითი მტარვალ შურისმძიებლად და პატარა კაცუნად არ უქცევია. პოეტი დარჩა პოეტურ სიმაღლეზე, როგორც იღუმალეებით მოცული მუზათა მოყმის დიდსულოვან ბუნებას შეჰვეროდა. დავითი დარჩა ნახ, მოსიყვარულე მიჯნურად, ვის გულში კვლავ სახმილივით ენთო და საკმეველივით სასიამოვნო, ნახი სურნელით იწვოდა ქალის ხორციელი სილამაზითა და ძვალთა შემმუსვრელი ეშხით დან-



თებულის, ეტრატზე დღემდე ჩაუქრობელი კანდელი.

... და როცა მიწას განრთხმული იხილა ძე-სულიერი, ქალს შეჰბრაღდა მისთვის თავგადაკლული ხელი მიჯნური, ვით ბნელს ნათლისვეტი, თავს დაადგა, მოეფერა, დაუყვავა, აღერისი დაუწყყო და გაუცინა კიდევ.

მერე ქალურმა კდემამ სიფრთხილის აუცილებლობაც უქარნახა და მიჯნური ასე დამოძღვრა: აქ ნუ ვსხედვართ, არავინ გვენახოს, ახლა დროა ავდგეთ, თავთვისთვის შინ წვიდეთ და მერე შეგხედებით. „კიდევ მოვალო“ აღუთქვა, გულს ნანატრი იმედი განუძლიერა და ბუნების წიაღში კვლავ შეხვედრის იმედის ბურანში დასტოვა.— იქნებ ბუნების ამაყ შვილს ბუნების წიაღში აქვს განზრახული ვნების მორჩილი შეიქმნას, თუ ასე არაა, აბა რად უნდა აღუთქვა მოვალო...

ისეთი საიმედო სიტყვა და სიხარული დაუტოვა და წავიდა. ადამიანის ამამაღლებელი, სიყვარულით ვნებული პოეტი მოუთმენლად ელის თავის ერთადერთ სასოებას, ის უვის ნუგეშად, მისდამი ვნების სახმილით იწვის. გამიჯნურებული გურამიშვილი თავის სიყვარულისა და სატრფოს მოლოდინს მთელ ჰიმნს უძღვნის:

იმ ჩემისა საყვარლისა სამსახური მსურსა,
აბა, მისთვის გამოიჯნურდა, გული მისთვის
ხურსა.
იმედი მაქვს, რასაცა ვსთხოვ, მომცემს არა
შურსა,
უკვდავების წუაღს მიმოქებს, ცხოვრებისა
პურსა.

„პურს არსობისა“ და „უკვდავების წყაროს“ უზენაესს შესთხოვდნენ მორწმუნენი. აქ, ეს სიყვარული ჩვენ ცამდე ამაღლებული გვეგულება და რაკი პოეტს საყვარელი არსების გარეშე ამ ქვეყნად სიცოცხლე აღარაფრად მიიჩნია, რასაც დამაჯერებლად გვიდასტურებს თვითონ დავით გურამიშვილის სტრიქონები, საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ გულთა ეს ორთაბრძოლა წარმატებით დაგვირგვინებულა. ერთ-

მანეთისადმი შენამსჭვალე. გული დროებით კი გაუხარათ, მაგრამ ამ ამბავს ტრაგედია მოჰყოლია. ზუბოველი მზეთუნახავს ძვირად დასჯდომია პოეტის მიჯნურობა. „სახით ვხედავ ჩემთვის მეკდარსა, სისხლით გაბასრულსაო“,— გვაუწყებს პოეტი. ზუბოველი ბეატრიჩეს სული პოეტს უკვე ცად ეგულვის, აღარც თვითონ უნდა გამწარებული სიცოცხლე და მიცვალებული მიჯნურის სულს ეაჯება: „ქვესკნელსა ვარ, ვერა გხედავ, მეგულვები ცადა, გეაჯები ნუ გამწირავ, წამიყვანე მან—და!“ გურამიშვილს ცხოვრებისა და მოღვაწეობის მკვლევართა ერთ ნაწილს ასეთი ფინალი საფუძველს აძლევს დასკვნას, რომ ლექსში ლაპარაკია ზებუნებრივ წმინდა სიყვარულზე, რომლის გმირი ქალიც—სიმბოლოა... მეორედმა ის შეხედულება, რაც დანტესა და ბეატრიჩეს შესახებაა ცნობილი. მაგრამ არც იქ არ შეიძლებოდა ციურ რანგში აყვანილ ტრფობას მიწიერი სარჩული არა სდებოდა. ვერ წვდომა, დაშორება, განსაცდელი, დაბრკოლება აძლიერებს განცდას, ჰეშმარიტი პოეტური მადლით ცნებული პოეტის ძალუმი სიტყვა კი ციურ იერს აძლევს წამიერ გატაცებას.

ძლიერი სიყვარულით ვნებული პოეტი რეფრენით უფრო აძლიერებს სასიმღერო ლექსის ფინალს: „ქვესკნელსა ვარ, ვერა გხედავ, მეგულვები ცადა...“ განა ცაში არ ეგულებოდათ ვარდასული დროის გამორჩეულ პოეტებს ის იდეალი, შებვა და იმედი, რაც მრუდე წუთისოფელში დაკარგეს, წაართვეს, შეუგინეს, ჯვარს აცვეს. შემოქმედს, იმედი მაინც უნდა შეარჩინო, რომ იარსებოს თუნდაც რუსთაველის ცნობილი სტრიქონები გავიხსენოთ „მიმაგალი ცას შესტირის“...

„ზუბოკა“ ამ დებულების ერთ-ერთი დადასტურებაა. პიროვნული განცდა ამ ლექსში ზოგადკაცობრიულ განზოგადობებს პოულობს.

ელგუჯა მადრაძე
გმობება

გურამიშვილმა „ზუბოვკით—ორი რამ მაინც დამტკიცა: რომ ეს მეზნე-ბარე პოეტი, მამაცი მეომარი, მართო-სული, მორწმუნე ქრისტიანი იმავე დროს უაღრესად ძლიერი, ამაღლებული გრძნობების კაცი და გატაცებული მიჯნური ყოფილა და მეორეც — რომ უკრაინელი ქალი ფრიად სპეტაკი, ოჯახის ერთგული, ზნეობრივად სა-მაგალითო ადამიანი შეხვედრია. სწორედ ასეთები ზრდიდნენ ვადამთიელე-ბთან მეგრძოლ მამაც უკრაინელ ვაჟა-ცებს და ინარჩუნებდნენ ამ ხალხის სა-უკეთესო ადათწესებს. გურამიშვილია პირველი მწერალი, რომელმაც სხვისი ეროვნული სახატე არ დააბინძურა, უკრაინელი ქალის პატიოსნებას, შეუვა-ლიებას და სიმტკიცეს ასე უშუალოდ, გზნებით უმღერა და ჩვენს გულეში ნამდვილი სიწმინდის ძეგლი აუგო.

„შეუძლებელია ზოგადკაცობრიული მნიშვნელობის ლირიკული შედევრი დაიწეროს და მასში ავტორის პირადი ცხოვრებით განცდილი ვნება და ეინი-ანობა არ იყოს ჩაქსოვილი“, — ამბობს პოეტი სიმონ ჩიქოვანი და ჩვენც ამ აზრს ვეთანხმებით.

ასევე სწორ მოსაზრებად გვეჩვენება სიმონ ჩიქოვანის თვალსაზრისი, რასაც იგი დავით გურამიშვილის ავტობო-რტრეტის გამო გამოსთქვამს: „ავტორს პოემებში და ლექსებში გამოთქმუ-ლი სურვილები თუ აღსარება საკ-მარისად გამოკვეთილად არ მიუჩნე-ვია და ეს ნახატიც წიგნისათვის მიუ-მატებია, რათა მკითხველს ნათლად გა-ერკვია პოეტის შინაგანი ხასიათი და გავგო მისი ლირიკული დადადისის ნამ-დვილი შინაარსი. ნახატის ქვემოთ ავტორს მიუწერია: „ეს კაცი ასე ილო-ცავსო“.

ღმერთო, მაჩვენე ყანები,
ამ სარწუავთ მონაყვანები!
ღმერთო, დამასწარ ზაფხულსა,
ფქვილს, ამ წისქვილში დაფქულსა.

პოეტი ამ წარწერით თითქო გვეუბ-ნება: მართალია, მე ვლოცულობდი, მა-გრამ ამქვეყნიურ ყანებსა და წისქვილ-

ზე ვლოცულობდი. ყანისა და წისქვი-ლის შესახებ არა მარტო ვლოცულობდი, არამედ ნახევრად ბრმა ვეწინა-მით და დიდი გეგმების განსახორციე-ლებლად ვმუშაობდი. ე.ი. ამ მიწაზე მეც სიცოცხლეს, ცხოვრებას ვამკვი-დრებდიო. ავტორი ხსენებული წარწე-რით თითქო გვეუბნება: „დავითიანის“ საგალობლების გარეგნულმა იერმა შე-ცდომაში არ შეგიყვანათ, მე ყანის სა-რწყავისა და წისქვილის გამოგონებე-ლი ვარ და წუთისოფლის გარდაქმნი-სათვის ვიღწვიო. ამ ნახატში წარმო-დგენილი კაცი, ეტყობა, მრავალ ქარი-შხალგამოვლილია და თითქო ცოცხ-ლობს, მაგრამ იგი სრულიად არ არის მისტიკურად განწყობილი და ამქვეყნი-ური ცხოვრების უარყოფელი. ეს კა-ცი ყანებზე ფიქრობს და მოწადინებუ-ლია ახალი წისქვილი ააშენოს. ამიტომ ეს თითქოს პრიმიტიულად დახატული ავტობორტრეტი დავით გურამიშვილის პოეტური სამყაროს ერთგვარი გასაღე-ბია და მისი შინაგანი ხასიათის თავისე-ბურად ამხსნელია.

„დავითიანის“ ავტორი სიცოცხლის, მშვენიებისა და გაზაფხულის მომღერა-ლია. იგი მიჯნურია, მომკელი, მეწის-ქვილე, მესიტყვე, მხედარი და სამშო-ბლოსათვის ხელაპყრობილი მგალობე-ლი. „დავითიანში“, უპირველეს ყოვ-ლისა, ცხოვრების სიმღერაა აღბეჭდი-ლი:

აწ მე საერო წაღკოტი
მგონია პატიოსანი,
მიყვარს და მალ-მალ მსურიან
მისთა უფავილთა უნოსანი
გავშორდი საღმთო ბაღნართა,
ვსთმე მის ბულბულთა ოსანი,
მივჰყევ საწუთროს ზღაპართა,
შვეიქმენ არაკოსანი...

დავით გურამიშვილი ამ სტრიქონე-ბში საერო ცხოვრების მომღერალია. იგი სიბერეშიც წუთისოფლის ყანების მოყვანას ცდილობდა და მის მიერ ხალხისათვის აწენებულ წისქვილში დაფქულ ფქვილს ნატრობდა. ეს სიცო-ცხლის სიყვარული და ხალხის ყოფა-



ცხოვრების გაუმჯობესებისათვის გაწეული შრომა და დეწლია გამოსახული. როგორც ეს სურათი, ისე გურამიშვილის მთელი ბრწყინვალე პოეზია ხალხური სულით, საერთო წალკოტის სიყვარულითაა გამთბარი“.⁶

დახ, რაოდენი რწმენა, სიცოცხლის სიყვარული და ამქვეყნიური ცხოვრებით ტკბობის სურვილი უნდა გააჩნდეს კაცს, რომ წელთა სიმრავლით დამძიმებულმა, ოთხმოც წელს გადაცილებულმა კაცმა, მთელი გულით მოიწადინოს მის მიერ გამოგონებული საჩუქავი სისტემა და წისქვილი წაადგეს მამრალთ და შრომის ტვირთი შეუმსუბუქოს.

„ზუბოვკა“ მცირე ზომის პოემაა, კახაკ დუშა-პრავდივიას ხმაზე დაწერილი. ზოგიერთი მკვლევარის ახალგაზრდობისდროინდელი აზრითა და ვარაუდით (მერე მოწიფულობაში ეს აზრები შეცვალეს) სხვა რელიგიურ ლექსებთან ერთად „ზუბოვკაც“ ქრისტეს სამიჯნურო ლექსია.

სრულიად ზორცმესხმული ზუბოვკელი ქალი, რომელიც პოეტს ეუბნება: „არ მინდისაზ, არ მიყვარხარ, სხვა მყავს კარგი მყვარი, — შენგან თვალად უკეთესი ვაჟი-კაცი ქმარიო“, — უეცრად თითქოს აღმოჩნდება იესო ქრისტე. ზუბოვკელი ქალის სახით თუ ქრისტეა დახატული და ეს სიტყვები მაცხოვარს წარმოათქმევინა დავით გურამიშვილმა, მაშინ იგი მორწმუნე არ ყოფილა. მგონია, ჩვენი მკვლევარების ეს დასკვნა ძალიან გაბედული, დაუსაბუთებელი და მეტისმეტი უნდა იყოს.

მართალია გურამიშვილი ამბობს:

ჩემის სიყვარულისათვის სცემეს ხელშეკრულება,
სახით ვხედავ ჩემთვის მკვდარსა, სისხლით
გაბასრულსა,

მაგრამ განა იესოს მარტო დავითისათვის სცემეს? ან რა სათქმელი იქნებოდა მაშინ, ეს სოლომური სიტყვები — სხვა მყავს კარგი მყვარი, ვაჟი-კაცი ქმარიო! — სადაც ხაზგასმითაა ნათქვამი

კარგი მყვარი და ვაჟი-კაცი ქმარი. დავით გურამიშვილი, არავეს დარიღებდა როცა საჭირო იყო სიმართლის თქმა და რაღა საკუთარ ლექსში გაუჭირდებოდა სიმართლის დაწერა. ზუბოვკა არაის იგავური ლექსი, რომლის შინაარსი გადატანითი მნიშვნელობით უნდა გავიგოთ და ავხსნათ. იგი სასიმღერო კილოზე და, რაც მთავარია, „კახაკ დუშა პრავდივიას“ ხმაზე დაწერილი ლექსია. აქ იმ სასიმღერო ლექსის სათაურიც კი, რა სასიმღერო მოტივზეც ზუბოვკელი ქალი შეიქმნა, მიზნობრივად უნდა იყოს პოეტისაგან შერჩეული. ასე რომ, ზუბოვკელი ქალის სახეში, ზოგიერთ მკვლევარის მიერ მისტიკური საყვარლის დანახვის ცდა, და ირეალური, მისტიკური სახის შემოთარების ვარაუდი ჰაერში გამოდებულა. ზუბოვკელი ქალის სახე უთუოდ შთაგონებულია უკრაინელი ქალის ხორციელი მშვენებით და აქ საქმე მიწიერი ტრფობის საგანთან — ქალთან გვაქვს. რომანული კვანძი და სიუჟეტის ოსტატურად გაშლა აქ მარტო ალეგორიულ-სიმბოლურ მიზნებს რომ ემსახურებოდეს, წარმოდგენელი იქნებოდა ისეთი ინტიმური განწყობილება, ტერმინები და კონკრეტული სიტუაცია, რაც სასულიერო რომანის ცნებასთან შეუთავსებელია, მით უფრო რომ სამიჯნურო მოტივი, ბუნებრივი ლტოლვა, გრძნობა, სიყვარული და ცოლქმრობა ჩვენი პოეტისათვის არა თუ უცხო ცნება არ არის, არამედ უაღრესად ნაცნობი და ჩვეულებრივი ამბავია. სიყვარულისა და ცოლ-ქმრულ ერთგულებას გურამიშვილი ხშირად ეხება „დავითიანში“, ხოლო ქაცვია მწყემსი ხომ საერთოდ ადამიანური ენებების ჰიმნს წარმოადგენს და მთლიანად ასეთ ამბებზეა აგებული.

პოეტის სამიჯნურო თავგადასავალზე პოემაში სხვაგანაც არაერთხელაა მინიშნებული. „სიმღერაში“, რაც „ზუბოვკის“ შექმნის ხანებში უნდა იყოს დაწე-

⁶ სიმონ ჩიქოვანი, რჩეული წერილები, „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1963, გვ. 51-52.

ელგუჯა ვალაძე
გოძიბა

რილი, აშკარადა ნათქვამი: საყვარელ-
მან სიტყვა ავი მითხრა, გულსაწვავი:

ნეტა რად ვიყო შენია

სახით ავრივად შეენია

მე ვარდი ვარ, ბულბულთ მრთავი, ყვავს რად
მოგვე თავი?

მე მისთვის არ მიკადრა მან,

შეირთო სხვამ პირ-ბადრამან.

დავითზე პირ-ბადრი თავის დროზე
სხვა ვინ უნდა ყოფილიყო, მაგრამ აქ
ამ ვითარებაში, ეტყობა საქმე ამას ვე-
ლარ შეუმსუბუქებია და ქალს მწარედ
დაულონებია პოეტის:

მე მისთვისა ვსქმუნავ, ვსტირი,

მარიდა მან პირი;

ჩემზედ აიღო ხელია,

მამიდვა ცეცხლი ცხელია.

ძნელი დასადგენია, რამდენად ავ-
ტობიოგრაფიულია ეს ლექსი, საღ მო-
ხდა ეს ამბავი— ლამისყანას თუ მირ-
გოროდში, ერთი ცხადია, პოეტი შეძრ-
წუნებულა:

მკვიდრს საყვარელს გავუყარე,

წუთი შევიყვარე

შემემთხვა დიდი ცოდვანი

მისთვის მაქვს შფოთვა-ბორგვანი.

საერთოდ, ეს ლექსი პოეტის ბიო-
გრაფიის კიდევ ერთ თავსატეხ ფურ-
ცელს წარმოადგენს. ერთი რამ უდა-
ვოა: ავტორისათვის უცხო არ არის
ცხოვრების არც ერთი მხარე, სიტკბოც
იცის და სიმწარეც, ზედ მიწენით იც-
ნობს ქალის ხასიათს, ზნესა და ბუნე-
ბას, საყვარულსა და განხეთქილებას.

ქალს მიჯნური ჯოხით უცემია, კარში
გაუგდია, პირი მოურადებია, ახ-
ლა კარდაკარ დადის გლახად, ტანთ აც-
ვია თალხად და შებრალებას ითხოვს.
ქალი პირობებს უყენებს, როგორც
ხდება ხოლმე:

მიბრძანა:

თუ მე შენ გინდე, გაქვდეს ჩემი რიდი,
•
ერიდე ჩემსა წყენასა, ავს ნუ აუბნებ ენასა
თუ შენა ხარ ჩემი მუვარი, ნუ ხარ გულმზაკვარი,
იყავ შენ გულ-მართალია, როგორც რომ
სამართალია.

ჩემი მცნება დამარზე თავი შეინახე,

თუ ჩემი თავი გინდაო, იყავ უოვლისტორით
წმინდაო...

მორიგება მაინც არ ხდება, ეტყობა,
კაცი სხვა ქალების მიმართაც მრავალ-
ღრილი, მაევანსა და მაევანსაც ურიგებს
სიყვარულის აღთქმას და ეკეის ფი-
ლა ივსება. ესეცაა: ყველა საკუთარი
თვალთახედვით უყურებს საგანს, და
ის, რასაც ქალი „გულმართალს“, „ყო-
ვლისტორით წმინდას“ ეძახის, კაცისათ-
ვის მიუღებელია. ასეა თუ ისე, ამაყი,
მომთხოვნი ადამიანური თვისებებით
შემკული ქალი და საყვარულში თავი-
სუფლების ტრფიალი მიჯნური ვერ მო-
რიგებულან, რის გამო კაცი სინანულს
შეუპყრია: „მკვიდრს საყვარელს გავე-
ყარე, წუთი შევიყვარეო,“ ამბობს.

დაახლოებით იმავე შინაარსისაა
ცნობილი „სიმღერა“, რომლის მიხე-
დვითაც ვარდმა ბულბული შეიძულა
და ყვავი შეიყვარა. ბულბული კეით-
ხება ვარდს, რად მიღალატე, ხომ გიყ-
ვარდიო? ვარდმა მიუგო: „თუმცა
გაქვს კარგი ფერი, ჩემთვის იყავ უფე-
რული, არ შემეფრიო“. კაცსა და უმა-
დურ სატრფოს აღშფოთებული ბულ-
ბული ასე არცხვენს:

მე გაქმევი, მე გასმევი, მე გაცმევი ტანთ
შენ დახარბდი მცირეს ძღვენთა სხვისგან

მონატანთ...

რადგან ასე მომიგვარე მე, შენს შესართავს
ის თუ გინდა, ქრმად, შეირთვე, ნება დამირთავს...

თვითონ პოეტი კი ამ უმეცრებას,
ავისა და კარგის ვერ გარჩევას, განუ-
კითხველობასა და უსამართლობას სა-
მართლიანად აღუშფოთებია და ლექსს
ასე ამთავრებს:

ფუ შენ ცრუო საწუთროო, ხარ არაფერი!
ვარდს ყვავს შერთავ, ასკილს ბულბულს,
არს რა საფერი?

აქ მოტანილი რამდენიმე სტრიქო-
ნიც კმარა იმის საბუთად, რომ დავით
გურამიშვილს ხორციელ საყვარულზე
ხელი არასდროს აუღია:

მკვიდრს საყვარელს გავუყარე

წუთი შევიყვარე;

შემემთხვა დიდი ცოდვანი და ა. შ.

მართალია პოეტი გულის ხეაშიადს
მაინცდამაინც ბევრს არაფერს გვიმ-

ხელს, მაგრამ რაც ეტრატს ანდო, ისიც კმარა იმის საბუთად, რომ მოხუცობის უამს ასექტურობამდე ერთგული მორწმუნე დავითი, სოფლის სიამეთა მოტრფილად იყო ყოველდღიურ ცხოვრებაში:

ბაღად ვიჯდი მასთან, ვისაც ვუვარობდი, ვარდთა სუნით, უვავილით ჭვრეტით ვხარობდი, არა შექვნიდა კვენხა, ვაი და ვიში არცა წარწყმენდისა რიდი და შიში, ვნაღვლობდი არაფერსა! ცხოვრებასა ჩემსა შით ვატარებდი, მოუვარესა ჩემსა თავს ვუვარებდი. განსცხრებოდი, ვიშვებდი, ვიხარებდი ჭავრთა სევდათა შე ვიჭარვებდი მას ბაღში შექცევითა.

მართალია, ესაა „სიმღერა“, მოგონება ფრიად ზოგადი, მაგრამ ასეთი სტრიქონები რეალური განცდის გარეშე არ იწერება.

ისიც სწორია, რომ რელიგიურ წიგნებში ჩვეულებრივი ამბავია ალგორითული სიყვარული და სატრფოს სახეში ქრისტეს სარძლოს ძიება, ასე ხსნიან მაგალითად სოლომონის „ქებათა ქებას“ და სხვას. მაგრამ დაუშვებელია ამ მისტიციზმის ბრმად გადატანა სიცოცხლით სავსე შემოქმედის მემკვიდრეობაზე, მისი ასეთი რელიგიურ-მისტიკური ახსნისათვის საფუძველი მხოლოდ ნაწილობრივ, და ისიც ეულად შთენილი, მიუსაფარი პოეტის ხანდაზმულობის ხანაში თუა შესაძლებელი. თვითონ „სოლომონის ქებათა ქებაზეც“ ხომ მეცნიერთა შორის გაუთავებელი დავაა და ერთ ნაწილს იგი ხორციელ რომანად და არა რელიგიურ მისტერიად მიაჩნია!

„ზუბოვკა“ დავითის ერთ-ერთი ცხოველი სამიჯნურო თავდადასავლის ფართო, ნათელი გზენებით აღსავსე ფურცელია. უმკველია, ზუბოვკელმა ქალმა დიდი შთამაგონებელი ცეცხლი შთაბერა შემოქმედის სულს სიჭარმავის წლებში, ვნების სახმილი შეუწოთ, ჭაბუკური სიმშაგით აღაგზნო იგი, განსაკუთრებული, როლი ითამაშა მის ცხოვრებაში, ვაიცისკროვნა პოეტის ელვარე მუზა, რის გამოც ქალისა და

მისდამი შენამსკვალეები პოეტის სახელიც იმ განუყრელ ორეულთა შორის მოიხსენიება, რომელთაც დავიწყება და სიკვდილი არ უწერიათ და გარდაცვალება მხოლოდ იდუმალების ჰაეროვან ნისლებში ხევეს.

S. პირაშვილის ჩინოტი

შე, მეფეთა სამსახურო; რუსული ხალხური სიმღერა

ძუნწია ბიოგრაფიული ცნობები, მაგრამ ალაგ-ალაგ იდუმალი სურვილი გვიბურობს, კიდევ უფრო ძუნწობდეს ისტორია, რათა არ შევიტყოთ, მოვისმინოთ, გავიგოთ და ვიცოდეთ მთელი ის ძნელბედობა, რაც გურამიშვილის ცხოვრებას აჩრდილივით თან ახლავს ხანგრძლივი ცხოვრების გზაზე.

აი, თუნდაც მაგდებურგის ტყვეობა, მერე ავადმყოფი პოეტის მგზავრობა გერმანიიდან პეტერბურგამდე, რაც ორი თვე გაგრძელდა..

ნამსახურმა, ნაჯათმა და დაავადმყოფებულმა დავითმა მარიენბურგში მიაღწია პატაკი არმიის მთავარსარდალს გენერალ სალტიკოვს 1759 წლის 17 დეკემბერს. ავადმყოფობა, ასაკი და დალილობა თავისას ითხოვდა.

მეექვსე ათწლეულში ჩამდგარი მეომარი სამართლიანად მოითხოვდა მოსვენებასა და სიმშვიდეს.

ვინ აღირსებდა ასე იოლად სხეულისა და სულის სიმშვიდეს? თუ ლეკთა ტყვეობიდან თავდაღწეულ ახალგაზრდა თავადს ანა იოანეს ასული ალერსიანად შეხვდა, 56 წლის ვეტერანი ჯერ კიდევ ჯარისკაცთა მწყობრში იდგა. სამხედრო კოლეგია არ ჩქარობდა. ჯანმრთელობა შემოწმებას ითხოვსო. რამდენი ვინმე ითხოვს ამას! დაიცადოს, მოითმინოს, ჯარისკაცი არაა?

კოლეგიამ 1760 წლის 23 თებერვალს განიხილა გურამიშვილის განცხადება. დავითს მართლა დასუსტებია

ელგუჯა მაღრაძე
გრომბა

თვალთა ისარი, ცხენიდან გადმოვარდნისას მხარი მოუტეხია, მარცხენა გვერდი სტკივა, თავბრუ ესხმის, ყურებში შუილი აქვს... კოლეჯის წევრებს არ სურთ შეუსმენლელად მოინათლონ და დავით გურამიშვილს სამხედრო სამსახურისათვის უვარგისად აცხადებენ. რჩება მხოლოდ ფიცის ჩამორთმევის ცერემონიალი... აღმოჩნდა, რომ ელისაბედ პეტრეს ასულის ერთგულებაზე ფიცი არც მიუღია. სამაგიეროდ, ის იბრძოდა უკეთ, ვიდრე მრავალი ფიცმილებული.

დასრულდა დავითის მხედრული ცხოვრებაც. ოცდაორი წლის ერთგული სამსახურის საზღაურია მხოლოდ პორუჩიკის წოდება და პოლკის სიიდან ამორიცხვა! კაპიტნის წოდებაზეც კი უარი უთხრეს! 1760 წლის პირველი ივნისის პეტერბურგის სამხედრო კომისიამ ასეთი გადაწყვეტილება მიიღო:.

„პრუსიის ტყვეობაში ნამყოფი ქართველ ჰუსართა პოლკის პოდპორუჩიკი, თავადი დავით გურამიშვილი ავადმყოფობისა და სამხედრო და სამოქალაქო სამსახურში უვარგისობის გამო დარჩეს საკუთარ კმაყოფაზე, სახელობითი სიის მიხედვით დაჯილდოვებულ იქნას პორუჩიკის ჩინით და ამოირიცხოს პოლკის სიიდან“.⁷

ეს ბრძანება თითქმის ორი თვის შემდეგ აღწევს მოხუცი პოეტის ყურამდე. 26 ივლისს მას აუწყეს „მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის ბრძანება“, მალოროსიაში წასვლის ნება გექმევით. მართალია, ბრძანებაში აღნიშნული იყო მისი ყველა წარჩინება, წარმატება, ნამსახურობა, მაგრამ ეს რა ნუგეშია? 22 წლის სამსახურის შემდეგ სწეული და მოხუცებული პოეტი მოსკოვზე ვავლით მიგრაციისაკენ მიეშურება და არაფერი არ გააჩნია, პორუჩიკის ბრჭყვილა სამხრეთლებისა და მოსირმული კურტაკის გარდა.

⁷ ს. ყუბანეიშვილი, „დავით გურამიშვილი ქართველ ჰუსართა პოლკში“, თბ., 1955; დ. კოსარიკი, „დავით გურამიშვილი“, თბ., 1957, გვ. 33.

1760 წლის აგვისტოში გურამიშვილი თავის ცივსა და პარტახ მკვთოში ჩადის. მაგრამ ეს რა მამულია? ამდენი წლის ბრძოლისა და განსაცდელის, ასეთი მძიმე და შორეული ლაშქრობის შემდეგ კარ-მიდამო გაპარტახებული ხვდება. პოლტავშიჩის პანებს საკმაოდრო ჰქონდათ, რომ ქართველი თავადების ისედაც რის ვაივავლახით აშენებული ბუდეები კვლავ დაექციათ. შლიახტა ხომ ქართველებს ისე არ აყენებდა, და თმში წასული უმემკვიდრო თავადის სახლ-კარს ვინდა დაინდობდა. ერთიც კია; შლიახტამ კარგად იგრძნო, რომ საიმპერატორო კარმა მათ საგანგებოდ ჩაუსახლა უცხო ტომელნი, შლიახტა მიხვდა, რომ ახალმოსახლენი მათ მამაპაპეულ სამკვიდროში იყვნენ სხვის ბუდეში განზრახ ჩაწყობილი გუგულის კვერცხები, საიდანაც სხვა ჯილაგისა და გვარ-გუჯაბის ბარტყები უნდა გამოჩეილიყვნენ და მათს საკუთარ სინსილას, ბეიტს, ბახალასა და ჭუეებს უნდა დარეოდნენ. საიმპერატორო კარს კარგად ჰქონდა ათვისებული რომაელთა: divide et impera⁸. ამიტომ იყო, რომ შლიახტა გააფთრებთ იბრძოდა ქართველ თავადიშვილთა უკრაინის მიწა-წყალზე დასახლების წინააღმდეგ.

ჩვენთვის ნათელია, რა გუნებაზე დაბრუნდა ტყვეობიდან ცხოვრების ნახევარ გზას გადაცილებული პოეტი. აკი თვითონვე ამბობს: „ოდეს დავით გურამისშვილი ბრუსიაში დატყოვდა და თუ რამ აქნდა თავისი საცხოვრებელი, ისიც დაეკარგა, იმისთვის ტირილი“.

ყველა დოკუმენტი მეტყველებს ქართველთა სამეურნეო სიმწლეებზე. ეს აშკარად ჩანს პოეტის განცხადებიდანაც:

გავხდი ვლახაკი და დავრდომილი...
 შურმა ხომ სიცოცხლე გაუმწარა:
 „ცეცხლით დამიწო სახლ-კარი“-ო ვალალებს უსასოქმნილი დავითი. თუ ჩვენი მეცნიერები პოეტის ამ თქმაშიც

⁸ ლათ. დაპყავ და იბატონე.



ალეგორიას არ აღმოაჩინენ, პოეტს სახლ-კარი გადაბუგული დახვედრია... სამწუხაროდ, პოეტი არ სწერდა დღიურებს! მისი ცხოვრების წიგნში, მკვლევართა დიდი ცდის მიუხედავად, მთელი ათეული წლებია „ჩავარდნილი“, უცნობი, ბურუსით მოცული. ათეული წლები კი დიდი ადამიანის ცხოვრებაში — მთელი ტომებია. ალბათ ოდესმე (სამწუხარო ნუგეში კია) მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, პოლტავის, ხარკოვის, ლიუბლინის, მირგოროდის არქივებში კიდევ აღმოჩნდება საინტერესო გულისხმასაყოფი საბუთები.

დღეისათვის კი უფრო უმადურობის მეტყველი საბუთები მოგვეპოვება. რუსეთის საიმპერატორო კარის სამსახურში მყოფი ქართველები რუსების მხარდამხარ იბრძოდნენ, იმპერიის მიწა-წყალს იცავდნენ, იმპერიის-მოხელეებს კი იმდენი სინდისი არ აღმოაჩინდათ, რომ რუსთა მეფის მიერ ქართველთათვის ნაბოძები მიწები შლიახტის თვითნებობისაგან დაეცვათ.

პოეტს წაუხდა ჭირნახული. ადამიანის გარჯა-სიზიფეს შრომად იქცასიბერე მიეძალა, აღარ შეუძლია, სიზაბუკე გაქრა. ამოდ ეზიდება ლოდს მზიანი მწვერვალისაკენ. სულერთია, ლოდი დაუგორდება და ყველაფერი ხელახლა დასაწყები გაუხდება. ყოველ შემთხვევაში, ასე მოუვიდა ჩვენს პოეტს. ბიძა მერაბი გარდაცვლილი დახვდა, ძმა ქრისტეფორე — შორეულ ოსეთში წასული, ქრისტიანობის გასაპრცელებლად... რა მისცა ამ ქრისტიანობამ დავითს ან სხვას? გავიღოდა პოეტი მოამაგე ბიძის სამარეზე და ტიროდა. უთუოდ ამ დროის სულისკვეთებას გამოხატავს სიმღერა, რაც დავითს შეუქმნია ცნობილი რუსული სიმღერის მოტივზე:

შამოდგომამ მოუწოდა ყინვასა,
სიყვილით და ფოთოლთა ცვივნასა,
მამეშალა მე მით წუთისოფელი,
გამიცუღდა ყველა მამი მყოფელი,
წამიხდა ჭირნახული.
... ვაი მოკლებულსა სიბერით ბრმასა,
ნეტავი მატებულს მოზარდსა ყრმასა!

ბერიკაცი დაღმა მიღის გორვითა,
ყრმა აღმართზე და ყინულზე ცორვითა,
ბერს უძძიმს, ყრმას მსუბუქ ჩანს.

ეს შემოდგომა — ზამთრის ლექსია, სულის სიმძიმისა, მაგრამ პოეტს ამა ქვეყნის სიამისათვის მთლად ზურგი არ უქცევია, არც ის რჩება შეუძმნეველი, რომ მიწას ისევ ამკობს სიამის ყვავილნარი (ვა, რამდენი ყვავის ზაფხულს ახალნი!“)

ჩვენ არ გვიკვირს დავითის სულიერი ტანჯვა, დეპრესია, პესიმიზმი. კაცი, რომელმაც დაკარგა სამშობლო, ამოდ იბრძოდა ოთხსავე მხარეში, დაბერდა, ჭირნახული წაუხდა, უშვილოდ, უძიროდ გადაგების წინაშე აღმოჩნდა, — არაგულწრფელი უნდა იყოს, რომ სოფლის სიამეს უმღეროს ნიადაგ. ჩვენ უფრო ის გვიკვირს, რომ ევროპელ მრავალ დიდ პოეტთა მსგავსად სრულ უიმედობასა და მისტიკაში არ გადავარდა.

ყველა ძნელბედობას მეზობელთა ჭირვეულობაც ზედ დაერთო.

უდავოა, დავითსაც ავიწროვებენ ომში წასვლამდეც და დაბრუნების შემდეგაც.

შლიახტა 1764 წელსაც კი, თითქმის სამი ათეული წლის შემდეგაც, დაქინებით მოითხოვდა ქართველთა აყრას და მხოლოდ ბედნიერი შემთხვევითობის გამო არ განხორციელდა მთავრობის ადრინდელი განზრახვა, რომ ქართველობა ორენბურგის გუბერნიაში გადაესახლებინათ.

ქართველ დიდკაცთა ეგოისტური გაუმართლებელი ნაბიჯი რუსეთში დარჩენისა ახლა უფრო თვალსაჩინო გახდა.

ურთიერთობა ისე გამწვავებულა, რომ შლიახტა და ქართველი თავადები ერთიმეორეს არბევდნენ. განსაკუთრებით ველური ხასიათი ამ ავი საქმისათვის შლიახტას მიუცია, საერთო მტრის წინააღმდეგ საომრად წასულ ქართველთა ოჯახები „თვითნებურად და თავზე-

**ელებუჯა მალრამი
გოდება**

დურად... უბრებია და უოხრებია.
„შლიახტიჩებს“ ავკაცობაში თურ-
მე არც ქართველი მემამულეები
ჩამორჩებოდნენ, მათაც არაერთხელ
მოუხდენიათ მეზობელთა დარბევა. მა-
თაც ყმების შევიწროვება, ძარცვა-რბე-
ვა და ძალადობა ჰქონიათ დევნილ, და
ერთადერთი ქართველი, რომელსაც
მეურნეობის გონივრულად მოწყობაზე,
წისქვილსა და სარწყავ სისტემაზე უფ-
იქრია, ისევ ჩვენი პოეტი ყოფილა.

დავითმაც ოცდაათი კომლი მიიღო,
მაგრამ „შურმა“ ისე დაჩაგრა, რომ უმ-
წეო ლატაკის მდგომარეობამდე მისუ-
ლა. თანამემამულეთა შური, ეტყობა,
ვერც ადგილობრივი შლიახტის ძალა-
დობამ გაანელა. ვერ იქნა, ვერ შეიკრა
ქართველთა სამო ოჯახი.

კოსარაიკი წერს:

„მირგოროდის ყველა ეს მემამულე:
ასეულის მეთაური ზაბილა, ჯილოსანნი
ლომიკოვსკი და სოხაკი, მეზობელი
შეძლებული მიწისმფლობელები რო-
ძიანკები, ბაზილევსკები, ოსტროგად-
სკები ხშირად გზავნიდნენ პეტერბურგ-
ში კოლექტურ საჩივრებს და მოთხო-
ვნიდნენ ქართველი ჰუსარების გადასახ-
ლებას სადმე ორენბურგის ტრამალებ-
ში ან სხვა შორეულ მხარეში“. ცხადია,
ეს იყო არა მარტო ურთიერთ ქიშპის
გამო წარმოშობილი მოთხოვნა. სამოთ-
ხის მსგავსი ქვეყნიდან დაუფიქრებ-
ლად აყრილი და უკრაინას შეხიზნულ,
ერთმორწმუნე, ძველი კულტურის ერ-
ისშვილების აყრა და შორეულ ციმბი-
რის მწირ ველებზე, სადაც ისინი აუ-
ცილებლად დაიღუპებოდნენ, გადასახ-
ლება ქართველთ, ერთი პირობა, ნამ-
დვილად ემუქრებოდათ.

გამკითხავი კი, ღვთის გარდა, არა-
ვინ იყო. ქართველებს ხომ სამშობლოს
გარეთ ცხოვრების მოწყობის დიდი ნი-
ჭი არასოდეს ჰქონიათ და ავგულ შლი-
ახტასთან ბრძოლაში რას გახდებოდნენ?

ღარიბი მემამულე, ნომარი, ნატან-
ჯი და დაავადებული გურამიშვილი რას
გახდებოდა მსხვილ-მსხვილ ღლავებთან,
რომელთაც მისი მეზობლობა არ ეჭამ-

ნიკებოდათ? შლიახტა არც თავისი ქვე-
ყნის უნიჭიერეს პოეტებს სცემდა
ტიეს, თორემ გადაამთიელის ნიჭს ვინ
რას აქნევდა?

პავლო ტინინა თავის ღრამაში „ფე-
ოდალის ბოლო“ ამ მტკივნეულ სა-
კითხს შეეხო. შლიახტის წარმომადგე-
ნელი, მემამულე ქალბატონი ერთნაი-
რად დასცინის დიდ უკრაინელ პოეტს
გრიგოლ სკოვოროდას და დიდ ქართ-
ველ პოეტს დავით გურამიშვილს, თავ-
შესაქცევდა და გასართობათ აცნობს
მათ ერთიმეორეს.

„დედოფალმა ანა იოანეს ასულმა
აქ ქართველ ჰუსართა პოლკი შემოგვი-
სახლა, — ჩივის ეს ლალი ცხოვრებით
დამტკბარი მემამულე. — უცხო ქვეყ-
ნელები დაგვასვა თავზე... რა ვუყოთ,
ვებრძვით...“ დავითსაც შესამაინი ენით
უმასპინძლდება.

„— მაშ თქვენ ხართ დავით გურა-
მიშვილი? საუცხოა. ეს კი გრიცკო
სკოვოროდაა, მსოფლიოს მოქალაქე,
გლახაკი, გაიცანით! ჰა-ჰა-ჰა! ქართვე-
ლი პოეტი თავადიშვილი, ჩაგრულთა
ქომაგი, მემამულე და მოგზაური, ჩვე-
ნი სოფლის ფილოსოფოს...“

ასეთი ატმოსფერო მკაცრი გამოც-
და იყო ადამის ძისათვის — არანაკლებ
მკაცრი, ვიდრე ლეკთა ტყვეობა. მაგ-
რამ დავით გურამიშვილს ვერ შეაძუ-
ლეს უკრაინელი ხალხი. შლიახტა სულ
სხვაა, ხალხი სხვა და მათ შუა დიდი
ზღვარის არსებობა ბრძენ მგოსანს შე-
უძმნეველი არ დარჩენია. სიტყვიტ და
საქმით ის გამრჯე, შრომისმოყვარე,
გულწრფელი, ალალი, მამაცი, პათიო-
სანი, შემოქმედი უკრაინელი ხალხის
მეგობარია. ის ხედავს ხალხის სულსა
და გულს, მის ამბოხებათა ტალღას, რაც
ავკასიონამდე აღწევს. „ბორკილიან-
თა“ საქმეებით აივსო სასამართლოს
არქივები. გაქცეული ყმებით — ციხეე-
ბი. ასი ათასობით გლეხი აუჯანყდა მე-
ფის ძალადობას. მასობრივი პროტეს-
ტებით და შეიარაღებული ამბოხებე-
ბით შეიძრა ათობით გუბერნია, ტრამა-
ლები გადაანათა ცეცხლის ენებმა. ადა-



მიანთა სულში დანთებული ნაბერწყ-
კლიდან უზარმაზარი ალი ავარდა, რო-
მელიც მთელს უკრაინას მოედო.

როცა ძალადობაზე აგებული იმპე-
რია ხავსდება, ლზება, შმორდება, მას
ქება-დიდება და იარაღი დიდი ხნით
ვეღარ იხსნის. ბატონყმურ რუსეთს
შიგნიდანაც და გარედანაც ებრძოდნენ.
ეს ხდებოდა დავითის თვალწინ, სამო-
ციან წლებში.

მთავრობის კი, როგორც ზღაპრულ
გველეშაპს, ძალას ჰმატებდა სამხედ-
რო წარმატება და ხალხის ხვედრი სუ-
ლაც არ ადარდებდა.

1760 წლის 28 სექტემბერს რუსე-
თის ჯარებმა დიდ წარმატებას მიაღწი-
ეს. ჩერნიშოვის კორპუსმა ბერლინი აი-
ღო. ფრიდრიხ მეორის წინ გარდაუვა-
ლი საფრთხე და უცილობელი სიკვდი-
ლი აღიმართა, მაგრამ მოხდა „ბრანდე-
რბურგის გვარის სასწაული“ — ელ-
საბედის გარდაცვალების შემდეგ რუ-
სეთის ტახტზე დაუბრკოლებლად ავი-
და ფრიდრიხ მეორის ბრმა თაყვანის-
მცემელი პეტრე III, რომელმაც რუსე-
თის 16 ათასიანი კორპუსი გუშინდელი
თანამებრძოლის, ავსტრიის წინააღ-
მდეგ დაძრა, შემდეგ კი სამხედრო კავ-
შირი შეკრა დამარცხებულ ფრიდრიხ
დიდთან. ამრიგად, გერმანელთა მეგო-
ბარმა პეტრემ უმუხთლა რუსეთს და
უარესად გაამწვავა პირადი ურთიერთო-
ბა თავის მეუღლესთან — ეკატერინე-
სთან, რომელიც გონებით ბევრად უფ-
რო მალა იღვა მასზე და ქმრის დამ-
ხობაზე ფიქრობდა და ოცნებობდა.

დავითი ამ დროს ერთი თვის დაბ-
რუნებული იყო შინ და თვალნათლივ
ხედავდა, რომ იმპერატორი წარმატე-
ბამ გაათავებდა. შინ დაბრუნებული ჯა-
რისკაცები ძველ შინაურ მტერს — შლი-
ახტას ჩაუვადეს ხელში.

ჯერ კიდევ 1760 წლის 13 დეკემ-
ბერს ელისაბედ პეტრეს ასულმა გა-
მოსცა ბრძანებულება, რაც მემამუ-
ლეებს ნებას აძლევდა თავიანთი ყმე-
ბი — გუშინდელი ნამსახური — ნაბრ-
ძოლი ჯარისკაცები — განუსაზღვრელი

ვადით ციმბირში გადაესახლებინათ,
მართალია, მომდევნო წლის 25 დეკემ-
ბერს ეს „ბრძენი ელისაბედი“, პეტრეს
კარიკატურა გარდაიცვალა, მაგრამ ტი-
რანებს რა გამოლევდა! გონებაშეზ-
ღულულმა, უგულო პეტრე მესამემ
„თავდაზნაურთა თავისუფლების მანი-
ფესტი“ გამოსცა და ხალხებს იმედი
გაუტრუა. ეს იყო განთქმული კურო-
ზული მანიფესტი.

1762 წლის 28—29 ივნისს⁸ მოხ-
და ახალი ვადატრიალება. ჰერცოგ
კარლ ფრიდრიხ პოლშტინიელის შვი-
ლი — ლუთერანელი — გერმანელი
კარლ — პეტრე — ულრიხი ტახტზე
ასვლის შემდეგ პეტრე მესამედ წოდე-
ბული მონარქი, მისმა მეუღლემ ჯერ
გადააყენა, ტახტზე ხელი ააღებინა, მე-
რე კი, გვარდიის ფიცით და ტახტზე
ასვლით გაძლიერებულ ეკატერინეს და
მისი მრჩევლის ალექსი ორლოვის ბრძა-
ნებით ყოფილი იმპერატორი გადაიყვა-
ნეს როფშის ციხეში, სადაც პეტრე III
მალე გარდაიცვალა, უკეთ სიცოცხლეს
გამოასალმეს. ტახტზე განმტკიცდა ეკა-
ტერინე II. ამით ხალხის მდგომარეო-
ბა არ გაუმჯობესებულა. პირიქით, გაუ-
არესდა.

ეკატერინე რიცხვით მეხუთე თვით-
მპყრობელი იყო, რომელსაც დავითი
მოესწრო. მონარქები იცვლებოდნენ,
მონარქია და რუსეთის ხალხი რჩებოდა.
მილიონობით გლეხის გვამით მოიფინა
რუსეთის მიწა.

ეკატერინემ მახრჩობელასავით მო-
გულა რუსეთი. საგანგებო ბრძანებულე-
ბით უარყო ხმები ბატონყმობის გაუქ-
მებაზე, ბარბაროსულად მოსპო გლეხთა
ბელადი პუგაჩოვი, დაადსტურა ელი-
საბედის მკაცრი განკარგულებანი, მე-
მამულეებს მათზე საჩივრის შეტანისათ-
ვისაც კი გლეხთა ციმბირში გადასახლე-

⁸ დ. კოსარიკის წიგნის ქართულ გამოცემაში
შეცდომით წერია 29 ივლისი.

ელგუჯა მადრაძე
გოდება



ბის უფლება მისცა. შონობის უღელი დაუმიმა ყმა-გლეხებს. უკრაინა, მაშინდელი მალოროსია, ორმაგად დაიხაგრა. მოსპო სეჩი, გაუქმდა დამოუკიდებლობის ნასახიკ კი. გარეგნულად სათნოების ნიღაბში გახვეული ავხორცი დედოფალი საყვარლებს ცხვირსახოცებით იცვლიდა, ქვენა გრძნობები განაგებდნენ უზარმაზარ იმპერიას, და როგორც დიდმა პუშკინმა მოსწრებულად აუგო ანდერძი: „არ იყო საჭირო არც უკუა, არც დამსახურება, არც ნიჭი, რომ მამაკაცი სახელმწიფოში მეორე კაცად ქცეულიყო. დროთა ვითარებაში ისტორია ფარდას ახდის ეკატერინე მეორის უწყინარობისა და შემწყნარებლობის ნიღბით დაფარული დესპოტიზმის სასტიკ მოქმედებას... საყვარლების მიერ გაფლანგულ ხაზინას, გამოაჩენს დაკნინებას კანონმდებლობაში, პაპულობას მისი საუკუნის ფილოსოფოსებთან ურთიერთობაში, და მაშინ ცთუებული ვოლტერის ხმა ვერ იხსნის მის ხსოვნას რუსეთის წყევლა-კრულვისაგან. ეკატერინემ იცოდა თავისი საყვარლების გაიძვერობა და მძარცველობა, მაგრამ დუმდა“.

რუსეთის ხალხის სიბრძნე მეტყველებს მისი უდიდესი მესტიყვის ამ დახასიათებაში. პუშკინისვე სიტყვებით თუ ვიტყვი, ეკატერინემ „ყმადა აქცია თავისუფალი მალოროსია“.⁹

ხალხი ამბოხებებით პასუხობდა. 1768 წელს აჯანყდა დნებრის მარჯვენა ნაპირის გლეხობა. მერე რუსეთი მოიცვა პუგაჩოვის ამბოხების ტალღამ, მაგრამ დესპოტი დედოფალი სისხლში არჩობდა მილიონების სულისკვეთებას.

დავით გურამიშვილი, დიდი პოეტი და პუშკინისტი, ცხადია, ზოზლით შესცქეროდა ძალადობის შენობებულ ურჩხულს, ძირმომპალ სისტემას, მაგრამ რა შეეძლო? მხოლოდ თავის ადამიანური, კეთილი სიტყვით ქადაგებდა ხალხის სიდიადეს, ადიდებდა „თოხის

მონას“, წელში მოკეცილ გლეხობას და არც უფიქრია სხვისი ნაოფობათი გამდიდრება.

დესპოტებს თავიანთი „საქმე“ აქვთ, პოეტებს — თავიანთი. მირგოროდში ებრძოდა სიღარიბეს თავადი გურამიშვილი და თავის ლექსთა კრებულს ადგენდა, შოთა იყო მისი გზის მანათობელი ვარსკვლავი, სიბერეშიაც სწავლობს და ამდიდრებს თავის გამოცდილებას. რაკი მეფეებს ზრდილობა და შებრალება არა აქვთ, მართალ ხალხს მაინც უქადაგოს, რა დიდი ძალაა სწავლა, როგორ აქცევს ის ბრიყვს კაცად, ადამიანად, მოქალაქედ.

გურამიშვილი რომ რუსეთის მეფეთა და შლიახტის ვერაგობას არ მიაწერს მთელი რუსეთისა და მალოროსიის ხალხს, ეს იქიდანაც ჩანს, რომ რუს და უკრაინელ ხალხებთან ქართველ ხალხის ძმობას ქადაგებს და სწამს ამ ძმობის სასიკეთო შედეგი.

დავითი არ ეხება მტიყნეულ საკითხს, მეფეთა დესპოტურ რეჟიმსა და გლეხთა ამბოხებას, მაგრამ სტრიქონებს შორის ვგრძნობთ, რა ბოღმაც უტრიალებს გულში. სხვათა ბედი აწუხებს, თორემ თვითონ ასე თუ ისე შეურიგებელია ბედთან და კმაყოფილია იმით, რაც თავისი სეხნიის ღმერთმა უბოძა: გაჩანაგებული სახელ-კარით, მცირე მამულითა და პორუჩიკის ჩინით...

სამსახური დავითსაც ჯარისკაცად უნდა დაეწყო, მაგრამ იმდენი ბრძოლისა და განსაცდელის შემდეგ, ცხადია, დაწინაურდებოდა, და ახლა გვიკვირს. რომ მხოლოდ პორუჩიკის წოდებამდე მიღწია. ეს კი აშკარაა, 1787 წელს პოეტი თავის ნახაზებს ასე აწერს: პორუჩიკი თავადი დავით გურამოვი“ ჩანს, საბოლოოდ დავითი სოფლად დამკვიდრდა.

თუ ფაქტები პირდაპირი გზით ვერაფერს გვეუბნებიან გურამიშვილის „კრამოლურ“ აზრებზე, თვით საგანთა ლოგიკა ცხადყოფს, რომ სამეფო კარი უკმაყოფილო იყო პოეტისა და საამი-

⁹ Пушкин. Полное собр. соч., 1949, т. 8, № 23-125.

სოდ უთუოდ საკმარისი საფუძვლებიც
ქონდა.

ცალკე შეიძლება ვიმსჯელოთ „ვახ-
მისტრ გურამიშვილის“ საქმეზე, სამხე-
დრო კოლეგიამ რომ განხილვა არ აღი-
რსა, ჩამყავა რამდენიმე თვე, დასმე-
ნის ქალაქებზე ამოქნარა, მერე კი თა-
ვისი საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი პო-
ეტი, რომელიმე რიგითი სალდათივით,
„საეჭვო პირთა“ სიაში შეიტანა, „ძიე-
ბით“ დაემუქრა, და ბოლოს კი ძლივს
„პრაპორშიკის ჩინი“ გაიმეტა. ასეთი
წყალობა ანასა და მის ბირონსა ჰვავს.
გონება ჩლუნგმა ტირანებმა, რომელ-
თაც, სამწუხაროდ, ისტორიის მრისხა-
ნე განაჩენი აღარ ესმით, არად ჩაგ-
დეს პოეტის ერთგული სამსახური, მძი-
მე ტყვეობა, გაჩანაგებული კარ-მიდა-
მო, დაამცირეს და საეჭვო პირად გამო-
აცხადეს, რამაც ვეტერანი მეომრის
ისედაც არეული საქმეები კიდევ უფრო
დახლართა და გაართულა.

ეტყობა, გურამიშვილი არ მოერიდა
ბირონის პარტიკსა და ანას მოლაპლაპე
ფარჩა-ატლასებს, რასაც უწნეობის
ლაქები დღემდე ვერავინ მოაცილა და
თავისებურად გაჰკიცხა საიმპერატორო
კარი, ასეთ შემთხვევაში კი ტირანები
ნიადაგ მოიერიშე მორიელებს ემსგავ-
სებოან. მეფეებმა შეურაცხყოფის გარე-
შეც მკაცრად და პირქუშად იციან ან-
გარისწორება და მათმა შეურაცხყო-
ფილმა თავმოყვარეობამ არავითარი
საზღვარი არ იცის შურისძიებისას.

ვინ დაასმინა დავით გურამიშვილი?
სამწუხაროდ, ისტორიის ანალებმა არ
შემოგვიანახა იმ გონებასუსტი მსტოვ-
რისა და ჭაშუმის სახელი, მაგრამ თვით
პოეტისაგან ვიცით, რომ ჭეშმარიტი
შემოქმედის მტერთა და მოშურნეთა
ნაკლებობა არც საქართველოში და არც
სხვაგან არასოდეს არ ყოფილა საგრძ-
ნობი. შურმა დაჩაგრა დავით გურამი-
შვილიც. იქნებ საიდუმლო საქმეებში
ოდესმე აღმოჩნდეს ცნობები იმაზე, თუ
როგორ მოხდა ეს მორიგი ვერაგობა.
დღეს კი უტყუარად მხოლოდ ის ვიც-
ით, რომ ღრმად შეურაცხყოფილი პო-

ეტი ისევ ლექსებში ეძებს სასოებასა და
ნუგეშს. გაუტანლობამ, შურმა და სა-
მართლის გაუჩინლობამ უფრო კმ-
ტი, პირქუში და სევდიანი გახადა პო-
ეტი, უფრო ნაღვლიანი კაეშნიანი ჰან-
გები მოამძლავრა მის პოეტურ მემკვი-
დროებაში და უთვისტომოს, მიუსა-
ფარს და დავრდომილ მოხუცს სქოლა-
სტიციზმი განუძლიერა.

მ. გაღარჩინილი ბანძი

„მაშინ იხარებს მწიღნავი
ოდეს მოისთვლის მტვენებსა“.
დავით გურამიშვილი.

1949 წლის 7 აგვისტოს პოეტის საფ-
ლავზე საყოველთაო-სახალხო ზეი-
მი გაიმართა და გაიხსნა მის უკვდავსა-
ყოფად აღმართული ქანდაკი.

ამ დიდ ზეიმს, ვიდრე ცოცხლობდა,
დიდი საძირკველი თვითონ დავითმა
ჩაუდგა, ხომ შეიძლებოდა ყველაფერი
დაკარგულიყო?

ცრუმან საწუთრომ რაც მომცა,
ისევ იმანვე წამართო...

ასე ჩიოდა ჭარმაგი პოეტი, მაგრამ
სინამდვილემ გააქარწყლა პოეტის
სოფლისადმი სამღურავი.

„დავითიანის“ გადაწერა და ავტო-
რედაქტირება გურამიშვილმა 1774
წელს დაამთავრა. ამის შემდეგ კიდევ
18 წელი იცოცხლა. 18 წელი პოეტის
ცხოვრებაში — მთელი ეპოქაა. რას
აკეთებდა ამ წლების მანძილზე ეს მრ-
ვალჭირგამოვლილი კაცი, ისტორია
ამაზე დუმს. სამწუხაროდ, დაკარგუ-
ლია არა მარტო საბუთები, არამედ
ლიტერატურული ნამუშევრებიც. შე-
უძლებელია თითქმის ორი ათეული
წლის განმავლობაში პოეტს ახალი
ქმნილებები არ დაეწერა, მაგრამ სადაა
ეს ქმნილებები? რომელმა ღვარმა წაი-
ლო, რომელ ქარს გაჰყავა? მათი ასა-
ვალ-დასავალი უკვალოდ გამქრალა.

პოეტი უკვე ხანშია შესული. ჩანი
ჰალატობს. ხუმრობა ხომ არ არის,

ელგუჯა მაღრაძე
გომდავა

სამოც წელს უახლოვდება! სახლი და კარიც გაჩანავებული ხვდება და გოდებით წერს თავისი უბედური თავგადასავალის მორიგ თავს: „ოდეს დავით გურამიშვილი ბრუსიაში დატყოვდა და თუ რამ აქენდა საცხოვრებელი, ისიც დაეკარგა, იმისათვის ტირილი“.

პოეტს თავის ძნელბედობაზე ლაპარაკიც კი მოსწყინდა, მოკლედ მოჭრა: მუხით ვიხსენ, შინ წამოვლელ, ქერი ვხან და ყანა ფეტვიო“.

რალა ხენა-თესვა შეეძლო გაპარტახებულ მამულში დაბრუნებულ დავროდომილ მამვრალს?

უკრაინელი ხალხი — პოეტური ხალხია. უკრაინაში იციან პოეტური სიტყვის ფასი. დავით უთუოდ პატივისცემის გრძნობით იყო გარემოცული, მაგრამ ვის რა გააჩნდა, ვის რა შეეძლო?

უკრაინელებს დავითი ძმურად შეეწყო, შეუთვისა, შეესისხლხორცა.

დმიტრო კოსარიკი თავის წიგნში იმოწმებს ერთ ძველ უკრაინულ გადმოცემას, რომლის მთხრობელსაც უთქვამს, რომ პრუსთა ტყვეობაში მყოფ მის შორეულ წინაპარს შინაურებისათვის წერილის გამოგზავნა სდომებია, მაგრამ წერა-კითხვაზე მწყურალად ყოფილა, ერთ მირგოროდელ ქართველ ოფიცერს წერა უსწავლებია. მადლიერ ჯარისკაცს უკითხავს, რითი გადაიხადო მადლობა, მზის შუქი რომ დამანახვეო? ოფიცერს კარგახნის ფიქრის შემდეგ ასეთი პასუხი გაუცია:

— ჩემი სულისათვის საუკეთესო მადლობა იქნება იმ ადამიანის სიხარული, რომელსაც წერა-კითხვას შენ ასწავლიო. შვილსაც ასწავლე, რომ ასე მოიქცესო.

„დავითიანი“ რომ წავიკითხეთ, ჩვენი ოჯახი დარწმუნდა, რომ სწორედ დავით გურამიშვილი იყო ის ქართველი ოფიცერი, რომელმაც სათავე დაუდო ჩვენი ოჯახისა და სოფლის სწავლა — განათლებასო“, — წერს კოსარიკი.

ეს, ერთა ძმობის, ქართველი პოეტის

განმანათლებლური მისწრაფების სამაგალითო, დამაჯერებელი ფურცელია. „გლახაკსა და დავროდომილს“ ახალგაზრდა მეუღლე ტატიანა ვასილის ასული მხარში ამოუდგა დაქვეყნილი სახლ-კარი აღადგინეს, ყანა დათესეს, ბევრი პური და ფეტვი მოიყვანეს.

ტატიანა ოცი წლით უძეკროსი ყოფილა დავითზე. გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ მისი სახით პოეტს ერთგული, მზრუნველი თანამეცხედრე ჰყავდა.

მაგრამ რალა იგი სინათლე, რასაც ახლავს ბნელია? სად ხოროლის მდორე მღვრიე ტალღები და სად მქუხარე, ანკარა არაგვი! სად ქართლის მთავორიანი ამწვანებული მთები და სად ტრამაისის ერთფეროვნება. გარნა საწუთრომ შორს დატყოვრცნა მარტვილი მგოსანი. ვინლა აჩვენებს ყარბ პოეტს ზედაზენს, ქართლის მიწას და შიომღვიმეს სანახებს! თითქოს ჯერ კიდევ ჰყავს ძმა, მაგრამ ველარ ხედავს? რალა მკვდარი და რალა შორს მყოფი და შინმოუსვლელი! მხოლოდ ათიოდე წლის შემდეგ მოუვა მისი სიკვდილის ცნობა... ეტრათი ხომ ყველაფერს იტანს.

ისევ ცეცხლის კვერი ტრიალებდა ქართლ-კახეთში და უმოწყალოდ ლეწვდა მამულის მკვიდრთ. ქვეყანას არ ესმოდა თავისი შვილის, სევდიანი მოთქმა, ზარი და გვრანი. შვილს არ ესმოდა მამულის გოდება.

და მაინც მათ ესმოდათ ერთიმეორის დარდი და წუხილი...

ლტოვილი წინასწარმეტყველივით მარტოსული დახეებტება უკრაინის ტრამალებზე და გულსაკლავ სტრიქონებში აქსოვს ნაღველსა და კვემანს. ლექსებში ეძებს ნუგეშს და სასოებას ხმალშემოხსნილი გურამიშვილი:

ვაი თუ მოვკვდე უმაღლო,
შევიქმნა ცოდვის ზეირი,
დავკარგო ხორცის სიმძლრე,
სულითაც ვიქმნა მშვიერი;
მისთვის მომადგეს რისხვანი
ზეგარდმო, ღვთივ ზეციერი,
სრულად წამეროვას ქვეყნდა,
მე მაქვნლეს რაც ნივთიერი.



საქართველოს
საქმიანობა

მდინარე განაგრძობს უნადვლოდ
ღენას და წინასწარმეტყველური ლექ-
სიც მის ტალღებს მიჰყვება:

ვამე, თუ შორს გზას წავიდე.
საგძლად ვერა-რა წავიღო.
წინ მებუფენი დამიხვდენ,
რაც მოხონ, ის ვერ გავიღო,
ქრისტეს წინ წავდებ ქედ-ღრეკით.
თავი ვერ მალდა ავიღო...

ვამე, თუ ჩემის სიკვდილით
გული არავის ხტიაოდეს,
გულ-უმხურვალოდ ტირილდეს,
განგებ ხმამალა კიოლდეს...

ასე კუშტად და უიმედოდ შესცქე-
რის უთვისტომო პოეტი მომავალს, ასე
ესახება თავისი აღსასრული, და ის მე-
ტად დიდი და სულით მდიდარი ადამიან-
ია იმისათვის, რომ ამაზე თვალი და-
ხუჭოს, სინამდვილეს თვალი არ გაუს-
წიროს.

განა ყოველთვის საწუთროს აღანა-
შაულებს? საკუთარ თავსაც ხშირად
სდებს ბრალს, როგორც ყოველი გო-
ნიერი კაცი, რომელსაც არ აღმოაჩნდა
„პრაქტიკული ნიჭი“, ცხოვრების მო-
წყობის უნარი, და მძიმე სულიერი წუ-
ხილის დროს ივიწყებს თავის კეთილ-
შობილურ მისწრაფებებს, თავს კიცხავს
და გმობს — რა უნიათო გამოვდექიო!

გურამიშვილსაც ასეთი განწყობი-
ლება მოიცავს ხოლმე და აიძულებს
შესძახოს:

ვითა ცხოვარი გზა შეცდომილი,
მგელთ წარსატაცად ფარებთა გარე,
ეგრეთ შენ, თაო, ხარ გახდომილი,
ასეთი ხაქმე მე მომიგვარე!

დღეს გვესმის ამ საყვედურის უსა-
მართლობა. გვესმის ისიც, რაც მოუგვა-
რა დავითმა თავის თავს, — უკვდავება.
პოეტმა დაკარგა ოქროს ბეჭედი,
ქორწილის კარი დახშული დახვდა,
მტერმა გაძარცვა, საქორწინო სამოსე-
ლი წაართვა, ახლა კარს გარე მდგარი
ღმერთს ეხვეწება: შენსა მას ქორწილს
მეცა მივწვდიო“. მართლაც, სხვა რაღა
დარჩენია? ვინ დაუგრებს პატრუქს
სანთლისათვის? ვინ დაასხამს ზეთს მის
ჩამქრალ ბაზმას? შვილი არა ჰყავს და

ხელმწიფე უმადურია... სულიერი ტანჯვა
გრძელდება...

ხშირად ეძებს ნუგეშს თავისი ბიბლი-
ური სეხნიის ხსენებაში და მასავით
ღვთის სამკობ ლექსებს ამღერებს თა-
ვის ნაღვლიან ქნარზე.

დავით თქვა ღვთისა ქებანი,
უკრა ქნარ-წინწილ-ებანი,
ღვთისავე ნებითა,
კარგისა მცნებითა
იპოვა ძებნითა,
აღიდა ებნითა...

ბოლოს ის დავითი შეიქმნა მეფე სვი-
ანი, და ხომ დავითის მემკვიდრია იესო
ქრისტე!

ჩვენი დავითიც ამ იესოს შესთხოვს
შეწვევას და ქვეცნობიერად ოცნებობს
იყოს თვითონაც პოეტური სიტყვის უგ-
ვირგვინო მეფე. ეს ერთი თხოვნა კი
განგებამ მასაც შეუსრულა. ხმამალა
კი მარტო ამას იტყვის:

აწ რომ არ მიხმონ მეღეკსედ, მემარ-
თლებიან მე რასა?

ჩრდილოეთის უღიმრამო პეიზაჟი,
მოსკოვის „უღარო სიცოცხლე“ ხში-
რად ჩანს „დავითიანის“ გვერდებზე;
გავიხსენოთ თუნდაც ნაცნობი სტრიქო-
ნები:

მოსკოს ქალაქს მწეს ველოდი
და ვერ განახეთ აქ სუ დარო!
სოლად დგომა გვირჩევნია,
აქ სიცოცხლე გვაქვს უღარო;
კაპან ქარსა მქვალი ექრას,
რას გვიშველი ვთქვათ, სუ დარო,
შენ განკუთრენ მწუხარება,
ადგომა და ქვაგ-სუღარო!

მეფის („სუღარის“) გულგრილობა
აქ კაპანის ქარის სუსხიან ფონზე ერთ-
ხელ გამოკრთება და ისიც კმარა.

მკვლევარები ფიქრობენ, რომ დავი-
თმა სამხედრო სამსახურს თავი 1769 —
74 წლებში მიაწვია,¹⁰ მაგრამ დანამდ-
ვილებით რაიმეს თქმა შეუძლებელია.
ნაომარი პოეტი ზუბოკვაშიცი არ და-

¹⁰ თ. ქორღანია, ივერია, 1882, II; 3.

ელგუჯა მალრაძე
გოდება

ყენეს, „ძალაუნებრივ წაიყვანეს იქ სა-
დაც არა იყო მწადი“.

სწორედ ეს იყო ბედის წყრომა! დევ-
ნილი, ნაწამები კაცი დიდ წყალობასა-
ვით აფასებდა ლუკმა-პურს, ყაზახმა
რუსმა რომ მისცა, ახლა კი ცნობილ
ადამიანს, მეომარს, ვისაც იმპერიისათ-
ვის სისხლი უღვრია. მისთვის ბოძებულ
მამულშიც აღარ აყენებენ!

სად უნდა წაიყვანათ პორუჩიკი გურა-
მიშვილი? ნუთუ ისევ არმიაში, რაც ისე
მოპაზებრდა, ამაზე ფიქრიც აღარა
სურს? თუ ასეა საბოლოოდ თავის მამუ-
ლში დავითი მხოლოდ სამოცდაათიან
წლებში უნდა დაკვიდრებულყო, სრულიად
ჭარმაგი და დასუსტებული.

მაშ სად წასვლა მოსთხოვეს ხანდაზ-
მულ პოეტს? რომელიმე მემამულემ
მითაცა მისი ადგილ-მამული და
სხვაგან დაასახლეს თუ ისევ პოლკში
დააბრუნეს? ჩვენ ეს არ ვიცით, მაგრამ
საეჭვოა ექვსი ათეული წლის
კაცი ისევ ომში ან საერთოდ სამხედრო
სამსახურში წაიყვანათ. თუნდაც ასე
მომხდარიყო, საგანგებოდ ამაზე წუწუ-
ნი დავითისაგან ადრე არ გვსმენია (ის
საერთოდ უჩივის თავის ბედსა და ღვთის
განჩინებას) და ვერც ახლა გავიგონებ-
დით. მოვალეობას ის არასოდეს არ გა-
ურბოდა, და ეს სირცხვილადაც ჩათ-
ვლებოდა.

„სხვაგან წადი“ არც არის იმ კილოზე
ნათქვამი, რომ სამსახურში დაბრუნება
ვივარაუდოთ. მართალია, ზოგიერთი
სწავლული საწინააღმდეგო აზრისაა,
მაგრამ აქ ზეცად ასვლა უნდა იგულის-
ხმებოდეს. იქ ასვლა, საითაც ჩვეულებ-
რივ ბოლი მიისწრაფის. ჩვენის ღრმა
რწმენით, დავითიანის ტექსტი ამ მო-
საზრებას სავსებით ადასტურებს. თუ
სტრიქონებს წინასწარ აკვიატებული,
რაიმე მოსაზრების გარეშე წავიკით-
ხავთ:

სასიკვდილოდ მივსწურვიღვარ, ყელში
სული ამოხოლსა
ახალდაბას ნულარ ხარო, მეძახიან, ამო ბოლსა!
აწ რომ მე იქ წამიყვანონ, ვინ გამიზრდის
ამ ოხოლსა?

ვფიქრობთ, სტრიქონებს შუა გამათ-
ქმული აზრი ნათელი და იოფიანად დასა-
სნელი უნდა იყოს. ხანდაზმულნი მსუქნი
გრძნობს სიკვდილის მოახლოებას, „ყე-
ლში სული ამოხოლსა“ წერს. ე. ი. სუ-
ლი მხდებო, ქრისტიან მორწმუნეთა
აზრით სხეულს გაყრილი სული ზეცი-
სავენ, თავისი მარადიული სამყოფისა-
კენ მიიღტვის. ახალდაბა კი უკრაინის
„ნოვოსელიცა“ უნდა იყოს, როგორც
ამას სავსებით სწორად ვარაუდობს ს.
ყუბანეიშვილი. „აწ რომ იქ წამიყვა-
ნონ“ — ე. ი. თუ უფალი თავისთან
მიხმობს ეს ოხოლი — „დავითიანი“
დაუშთავრებელი დამრჩებო, „მე რაც
ვმოზე შევილად ვსაყრვარ“, „ვზრდი
მომღერლად“, „თუ სიმღერა ზარად არ
მეჭკა, მეფეთ სამსახურით ეს საზრ-
დელად გამიზარდაო“, მაგრამ მეფეთ
სამსახურს მარტო პოლკს ხომ არ გუ-
ლისხმობს!

ყოველ შემთხვევაში, პოეტურ შე-
მოქმედებაში ხელი რომ შეშლოდა,
საკმარისი იყო დავითს ის სატანჯველი
გადაეტანა. რაც მეორე ტყვეობიდან
დაბრუნებამდე გადახდა. პოეტი „აქა-
იქ მგზავრობს“, „ვერ მოუტლია“, მაგ-
რამ საქმეებზე სიარულს მარტო სამ-
ხედრო სამსახური ხომ არ ითხოვს!

არც პირად ცხოვრებაში ჰქონია ბე-
დი. ღვთისაგან ძეთა და ასულთაგან
უღირსად მიჩნეული პოეტი მუდამ სა-
წუთრო სოფლის სამღურავშია:

სამ-ოთხ რიგად მუხანათმან გულს ლახვარი
მამაღერა.
სულ მატირა ჩემი დღენი, არაოდეს არ
მამღერა;
ვით ბოლოკი, მქნა ავრეზი, ამაროკა, ამაღერა,
თესლ-აშრეტით გამახშო და უნაყოფოდ
ღამებერა.

ასე თავისებურად, გულახდილად,
შეულამაზებლად და ხატოვნად სოფ-
ლის სამღურავი იშვიათად თუ ვინმეს
გამოუთქვამს.

განა მხოლოდ დავითი, პოეტი მამუკა
სააკაცეც უჩივის გარდახვეწილ ქართ-
ველთა უბედურებას: „დასწყევედ, ვინც
რომ მოვიდა პირველ რუსეთის მხა-
რსა“.



დევნილი, სნეული, დაბერებული, ნახევრად ბრმა, „სამკვიდრო ქვეყნით გამოძებული“ პოეტი სევდის ლახვართაა დაჭრილი, მაგრამ მისი სიღიადე სწორედ ისაა, რომ სულით არ დაცემულა. იმედის სხივს ეპოტინება:

სიბრმე უღროდ კაცს არ აბერებს
თუ გულში მთლად აქვს, კიდეც ამღერებს.

წუთისოფელმა პოეტს „გააყრევინა თავზე თმა ხშირი“ და წყალს გაატანა მისი რწმენა. სიკვდილი ახლოვდება, სულის სიმშვიდე შორდება, იმედის უკანასკნელი სხივი ჩამქარალა... ვინ დამარხავს, ვინ დაუდგამს ტაბლას, ვინ აღირსებს აღაბს, რომელი აუნთებს სასთელს, ვინ დაუდგამს ბაზმას?

ავტობიოგრაფიიდან შემოგვცქერის მელოტი, ცალი თვლით ბრმა პოეტი. ამ სიბრმავეს მისივე მოხსენებითი ბართიეც ადასტურებს: „ამის ავად მოხაზულობას ნუ დამიწუნებ, ცალის თვლით ბრმა ვიყავ, მეორითაც ავად ვხედავდი. ჩემის ხელით მაგის მეტი ვერ შევიძელ და სხვას ვერავის ვენდევ ამის მოუპარაობის მიზეზითა“. ამასვე ადასტურებს „ქაცვია მწყემსის“ ცნობილი ადგილი, სადაც შვილი მიმართავს მამას (ავტორს):

მამა, რომ ლექსავ, ყოყმანობ, აყენებ,
ფიქრით სენს რომე თავს მიაყენებ;
ბრმა ცალ — თვალა ხარო, ეგვეც არ მოსთხარო,
რომლითაც ხედავ...

პოეტს გულს უკლავს უთქმელი სიტყვის კაეშანი. გრძნობს, ვერ მოასწრო ყველაფრის თქმა, უნაყოფოდ დაკარგა საუკეთესო წლები...

ყველაზე მძიმედ დავითი მაინც უშვილობას განიცდის, უშვილობა და უკეთესი წლების „ფუტად დაკარგვა“ აუხდენელი ოცნება, განცდა იმისა, რომ ვერ თქვა, რაც ეწადა, გულში ხინჯად ჩარჩენია დიდ შემოქმედს, და ეს უთქმელი სიტყვის ტანჯვა, ყველაზე უფრო მძიმე ტანჯვა, სამარეშიც თან მიჰყვება:

რაც დამარჩა, ვერ ვსთქვი, მეწადა მეთქვა
გრძლად, თავი მეცადა,
ვერა ვსთქვი, მოცლას უცდელი, ნეტამცა არა
მეცადა!

უშვილო პოეტს წიგნი უშვილებია, ან რა გასაკვირია? ამ წიგნშია მისი სული და ხორცი, მთელი მისი ხასიათი გონება, არსება. ეს შვილიცაა და მეტიც, მთელი ერისათვის სანუეკარი ქმნილება. საკაცობრიო პოეზიის მარგალიტად დარჩება პოეტის ინტიმური აღსარება:

მშვილდს მომიწივა მუხთალმა, ისარი გულში
მამასო,
არ მომცა ძე, არც ასული, არცინ მიძახის
„მამასო“;
მან დამიჩაგრა გონება და მტერი თავსა მამასო,
დაჯექ და ლექსა დაფიწვე, ვსთქვი თუ:
ვიშვილებ მამასო!

თუ მართლაც უშვილობა იყო „დავითიანის“ შექმნის მიზეზი, მაშინ ქართველ ხალხს არ ეთქმის საყვედური ღვთის მისამართით. ამ უშვილობის გამო, მაგრამ ცხადია, ეს მხოლოდ სიტყვის მასალაა. ტანჯვა-ვაება, რაც პოეტს თავს გარდახდა ალბათ ნაკლებად შეუმსუბუქებოდა იმით, ცხრა ვაეიც რომ ჰყოლოდა.

ღირსეულ ლექსთა კრებულს სახელიც ღირსეული შეურჩია: „დავითიანი“:

ამად ამ წიგნსა სახელად
უწოდე დავითიანი,
დავით შევაწყვე, შევკოწე,
ვით ვარდნი და ვით იანი.

ახალი ლექსების გარდა მას უდავოდ შემორჩენია სიჭაბუქეში და შემდგომ დაწერილი ნიმუშებიც — იქნებ ზეპირად ახსოვდა, აღადგინა, ან გაცრეცილი ფურცლები შემორჩა... ცხადი ესაა, რომ „ამ ლექსს თავი მოუყარა, სადაც ეთქვა თითო ობლად,“ და დაუმატა ხანდაზმულობის დროის ლექსებს, რომელთა რიცხვი, ცხადია, ბევრად მეტია. პოეტის ხელთუქმნელ ძეგლს, მის პერმპო შვილსაც მამის ბედი ეწია:

მირიან ბატონიშვილს „დავითიანის“ ხელნაწერი მდინარეში ჩაუვარდა. მაგრამ მოხდა სასწაული და ხელნაწერი უვნებლად ვადარჩა.

როდის შეადგინა პოეტმა „დავითიანი“? კ. კეკელიძე ვარაუდობს, რომ

ელგუშან მალრახმ
ბრძდება

ეს არ უნდა მომხდარიყო მაგდებურგის ტყვეობიდან განთავისუფლებამდე, ე. ი. 1759 წლამდე: „საფიქრებელია, რომ მთელი კრებული შეუდგენია 1774 წელს თუ მის მახლობელ წლებში“. თვითონვე აღნიშნავს ბოლო მიწაწერში იმ დღეს, როცა გადაწერა დაასრულა: — 1774 წლის 29 ნოემბერს.

მაგრამ ერთი საქმეა კრებულის შედგენა და მეორე — მისი ნაწილების დაწერა. ერთბაშად და ისიც სიბერეში ასეთი ლექსთა კრებული ვერ დაიწერებოდა. პოეტი უთუოდ ინახავდა ყველაფერს, რისი შენახვაც შეეძლო.

სიბერეში კი შეუკრავს და გადაუწერია კიდევ თავისი გონითი ნაღვაწი. „დავითიანის“ ისტორიული ნაწილი პოეტს 1780 — იან წლებში უნდა დაესრულებინა. ამის საფუძველს იძლევა ის ცნობილი ამბები, რომელთაც ამ პოემაში უპოვიათ ადგილი: ტყვეობა, დახსნა, თავის მამულში დაბრუნება, „ქეზის და ფეტვის ხენა“, ძალაუნებრივ წაყვანა იქ, „სადაც არა იყო მწადი“... „ქაცვია მწყემსიც“ პოეტს სიბერეში დაუწერია, ცალი თვალთ ბრმას, ხოლო „კაცისა და საწუთროსაგან ცილობა“ 1774 წელს დაუსრულებია. ამრიგად, პოეტურ ქმნილებათა უმეტესობა სიბერეშია დაწერილი, და ნიჟის გაფურჩქნის ხანის წლებში მოუტლელი პოეტის შესაძლებლობა ძირითადად უქმად დაკარგულა.

„მწერდი ცხენს მჯდომი ვლასქრობდი“... ასეთი იყო ქართველ მგოსანთა ხვედრი.

ლასქრობის დროც წავიდა.

სამოცდაათიანი წლების შემდეგ პოეტი თავის ღარიბულ სავანეში საბოლოოდ ეძლევა ლიტერატურულ შრომას, აწესრიგებს თავისი მემკვიდრეობის საქმეს — ლექსთაკრებულის გადაწერა-შეკვება-თავმოყრას. ამ საქმეს დავითი უდიდეს მნიშვნელობას აძლევს.

„დავქმ და ლექსა დაიწყო, ვსთქვი, თუ ვიშვილებ ამასო“...

პოეტი მთელი თავისი ლიტერატურ-

რული ნამოღვაწარის თავმოყრას ვსთქვი ლისხმობს, თორემ მოლექსეობა ვაღი ვაღი ათეული წლის წინვე დაწყებული“.

მოცალუობას მეტისმეტად დიდხანს ელოდა, მეფეთა სამსახურმა შთანთქა ძვირფასი დრო! ძლივს მოიცალა ჩვენი პოეზიის ერთმა დიდმა პატრიარქმა ღრმა სიბერეში პოეზიისათვის. არავინ აცალა, თორემ პომეროსივით თვით თვალისჩინის დაკარგვაც არ ყოფილა მისთვის დაბრკოლება:

სიბრმე უდროთ კაცს არ აბერებს, თუ გული მთლად აქვს, კიდევ ამერებს.

დავითი ვახტანგის კარზე უკვე აღიარებული მოლექსე იყო. როგორც აღვნიშნეთ ვახტანგმა მოსკოვი 1734 წ. დატოვა. ამის შემდეგ გურამიშვილმა კიდევ 58 წელი იცოცხლა. ეს მთელი ეპოქა შემოქმედისათვის. რალა მტკიცება უნდა, რომ ამ ხნის განმავლობაში აუარებელი ლექსი დაიწერებოდა, მაგრამ დავითს აქედან ცალკე გადაუთეთრებია თავისებური რჩეული, სიბრძნის წიგნი, სახელმძღვანელო, რაც ცხოვრების გამოცდილებამ დააწერინა დანარჩენი დაკარგულია. მაგრამ რაც არ დაკარგულა, ისიც უკვდავი ძეგლია სტიქიური რელიზმისა, ცოცხალი დიდაქტიკური, პოლიტიკური, სოციალური ლირიკისა, რასაც საფუძვლად სიმართლის თქმის პრინციპი უდევს. პოეტი არ ერიდება არავის და არაფერს. ის გრძნობს, რა მიზანსაც მოუტანს სიმართლის თქმა, მაგრამ რა გაეწყობა ვინც არა ჰგავს კახაბერსა, ის ვერ იტყვის კახაბერად.

მართლაც, სიმართლეს არ ელაღატება: „ავს თუ ავი არ ვუწოდე, კარგს სახელად რა დავარქვა?“

მახინჯი მხარებების, მწარე სინამდვილის გამომხეურება მთქმელს სარგებლობას არ მოუტანს, „მაგრამ ფარვა სიავისა ქვეყანას არ მოუხდების“.

აი, ეს ამბილებული პრინციპი განსხვავებს დიდ შემოქმედს იმ წვრილმანი მედროვეებისაგან, რომელთაც შე-



ბლი შეუტრავთ, მათს საქმეს და ნა-
შრომს ვერ შეეხებით, რადგან ხავე-
რდის სავარძელში სხედან და მფარვე-
ლობას უწევენ ძლიერნი ამა ქვეყნისა-
ნი! ეს მართლაც რომ ქართლის ჭირია,
მარადიული მტკივნეული საკითხი ყო-
ველი ერისათვის და მეტადრე ქართვე-
ლობისათვის, რომლის უზარმაზარ ფი-
ზიკურ და გონებრივ შესაძლებლობას
ყოველთვის ეღობება წვრილმანი ქი-
ში, შური, ხვანჯები, ინტრიგა, ძლიე-
რთა უკადრისობა ...

ადვილი არ იყო პოეტისათვის იმ
მწარე სინამდვილის პოეტურ მატია-
ნედ ქცევა, რომელშიაც უხდებოდა
ცხოვრება, რომლის მოწმე და მონა-
წილც თვითონ იყო. „მეტად მწარედ
გული მტკივა, მაყრყოლებს და ტანში
მზარავსო“, — აღიარებს გურამიშვილი.

გურამიშვილის მძლავრი პოეტური
ნაკადი ეამთა სიავის უდაბნოში არ დამ-
შრალა, ჩვეულებრივზე მეტი ძალითაც
კი მოსჩქეფს სიბერის ეამს შექმნილი
სტრიქონებიდან. კრებს, ასწორებს,
ათორებს, კრავს, აწესრიგებს. ძველ
ხელნაწერებს, ზეპირად აღადგენს და-
ვიწყებულს და უმატებს ახალს. წერა-
ზე, გადაწერაზე და ილუსტრირებაზე
1787 წლამდე უმუშავნია: მის ძველ
ხელნაწერზე ახალი ვარიანტებია და-
წებებული, შესწორებებია ...

თუ პოეტის უკანასკნელი ნაწარმო-
ებების პოვნა გაძნელდა, სამაგიეროდ
დაუღალავმა მოღვაწეებმა ჩვენს დრო-
ში შუქი მოჰფინეს პოეტის კერძო
ცხოვრების ზოგიერთ ფურცელს.

1767 წლის 15 — 28 მარტს, თითქმის
ორი კვირით, პოეტი პოლტავაში ყო-
ფილა, თავადაზნაურთა, განწესის შე-
მუშავებაში მიუღია მონაწილეობა.
პოლტავის, მირგოროდის და გადიანი
წარჩინებულთა ამ განაწესს ხელს აწე-
რენ სეკუნდ-მაიორი გ. ჩიკვაძე, კაპი-
ტანი ი. ნინიევი, კაპიტანი კანჩიელოვი,
კაპიტანი ოდიშელიძე და დავით გურა-
მიშვილი.

1787 წლის შემოდგომაზე დავითი
კრემენჩუკში გამგზავრებულა.

ეს უბრალო გასვირნება არ ყოფილა.
პოეტს თან წაუღია მთელი თავისი
ავლადიდება, რათა გემის დაღუპვი
წინ ეს განძი საქართველოსათვის გა-
დაერჩინა.

საქართველოს კი პოეზიისათვის ნა-
კლებად ეცალა. ახლა მისი ბედი წყდე-
ბოდა.

შვიდწლიანი ომის შემდეგ უფრო ვა-
ხშირდა ქართველი ელჩების ჩასვლა
პეტერბურგში. ხანგრძლივი მომქანცე-
ლი მოლაპარაკება მფარველობის თაო-
ბაზე დასრულდა გეორგიევსკში დადე-
ბული ტრაქტატით, რაც საქართველო-
ზე რუსეთის მფარველი ხელის გაწვდე-
ნას აკანონებდა. მაგრამ ეს პროტექტო-
რატი ჯერჯერობით მხოლოდ ქალა-
კულზე რჩებოდა. რუსეთის იმპერიის
არწივი თავზარს სცემდა თურქეთისა
და სპარსეთის ვეშაბებს. რუსეთი თა-
ვისთვის იყო, საქართველოს ფიზიკური
არსებობა კი საფრთხის წინაშე იდგა.

არც უკრაინა იყო უკეთეს დღეში.
ეკატერინემ ბატონ-ყმობის უღელი კა-
დევ უფრო დაამძიმა, რვალით შექე-
და, თავადაზნაურობის უფლებები გა-
აფართოვა, პუგაჩოვი კაციქამია ბელა-
დის მძვინვარებით აწამა და სისხლია-
ნი ხელებით ეცა წელში გატეხილ
ხალხს. კარის პოეტები „მფარველ დე-
და-იმპერატორს“ ხოტბებს უძღვნი-
დნენ, უკრაინელი ხალხი კი გახრწნი-
ლი დედოფლის სისხლიან „სათნობას“
ანდერძს უგებდა:

კატერინა, შე ქაჭალო,
ეს რა ხაქმე ჰქენი,
მზიარული ჩვენი მზარე
როგორ წავვირყვენი!!

მართალია, დედოფლის ყურს არა
სწვდებოდა უკვდავი ხალხის ცრემლში
ნალესი ლექსი. ის, თითქოს დიდი კე-
თილისმყოფელი ვინმე იყო, ისე ვალა-
ქლავებული ესტუმრა უკრაინას, რო-
გორც იციან ხეპრე დესპოტებმა.

11 თარგ. თ. ჯანგულაშვილისა.

ელგუჯა მალაჩიძე
გოდება

ეს მოხდა 1787 წელს. ამ დროისათვის თავადმა გრიგოლ პოტიომკინმა თავისი რეზიდენცია კრემენჩუკში გამართა, რათა მოზემე სისხლიანი დედოფლისათვის „პოტიომკინის სოფლები“ ეჩვენებინა.

პოტიომკინი ეკატერინეს დროის თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწე იყო. მან ჯერ კიდევ 1783 წელს დაარბია ყირიმი და ნოვოროსიისკის მხარეს შეუერთა. თავისი ცბიერებითა და ახირებული პიროვნებით პოტიომკინმა თავისი სახელი უკვდავყო, ლიტერატურის ისტორიაში შეიტანა და საანდაზოდ აქცია. ეს ანდაზა „პოტიომკინის სოფლები“ მაშინ შეიქმნა, როცა 1787 წელს ეკატერინესთან ერთად სამხრეთში იმოგზაურა. დიდი დედოფლისათვის რომ ახლად დაპყრობილი მიწის სიუხვე და კეთილმოწყობა დაემტკიცებინა, პოტიომკინმა ააგო, გერცენის თქმით, „მუყაოს სოფლები“, თვალისმომჭრელად შედებილი ქოხები, სახლები, თაღები; ტომრები ქვიშით აავსო — ხორბალით! სხვადასხვა გუბერნიიდან მორეკილი და საგანგებოდ მორთული ხალხი შეახვედრა — აქო და ადგილობრივი მკვიდრნი ვართო, თანაც ამ ხალხს ადგილს უცვლიდა, საქონლის ჯოგებსაც სოფლიდან სოფელში გადარეკავდნენ და „ფხიზელი“ თვალის პატრონ დედოფალს ერთ ჯოგს ათჯერ აჩვენებდნენ ...

ჩაივლიდა ეკატერინე და ხელოვნური ნარგავები ჰკნებოდნენ, მუყაოს კედლები იქცეოდნენ, ხერსონის სასულდახელო სიმაგრე პირველსავე ავდარში დაინგრა და დაიშალა... მთელი ევროპა ისმენდა გაუგონარი სიყალბის ამბავს, თვით ავსტრიის იმპერატორი იოსებ II მონაწილეობდა ამ საცირკო „ტრიუმფალურ“ მსვლელობაში გრაფ ფალკენშტაინის ნიღბით...

„პოტიომკინის სოფლები“ ამ დუბჰირი სინამდვილის ამსახველ თქმად შემორჩა ისტორიას.

რა ბედი ჰქონდა ქვეყანას, რომელსაც ასეთი გაქნილი მეფისნაცვალი

და ასე იოლად მოსატყუებელი იმპერატორი ჰყავდა! რა გული უნდა უქონებოდა დიდ პოეტს, რომელიც წინასწარ თავის თვალწინ ხედავდა მთელს ამ საზიზღარ სიყალბეს, კომედიას, ბუტაფორიას?

გურამიშვილი ხსენების ღირსადაც არ ხდის ასეთ ჟონგლითობას, მის სიდიადეზე კი ისიც მეტყველებს, რომ განზრახ არ ჩასულა კრემენჩუკში, სადაც ეს ამბავი ხდებოდა, სადაც, შეუჩნჯკოს ლექსის თანახმად, ბავშვი შიმშილით კვდებოდა, მდინარეზე კი ოქროს ნავი მიცურავდა, შიგ კი „თავადებს და სარდლებს შორის იჭდა დედოფალი“ ...

... დედოფალი
სისხლიანი ხელით,
შმაგი მტერი უკრაინის
მშვიერი ძუ მგელი.

გურამიშვილი არ დასწრებია კრემენჩუკში გამართულ ნადიმს, სადაც მამხალეებზე მალა აღიოდა ქლესა თავადის ბაქიაობა თავისი კუთხის ზღაპრულ „კეთილდღეობაზე“.

ბრძენმა პოეტმა ღვთივ გვირგვინოსანი დედოფლისა და მისი ამალის დუმილი ამჯობინა. ხომ შეეძლო ჩასულიყო და წყალობა ეთხოვა? ფეხიც არ მოუცვლია.

სამაგიეროდ მაშინვე გაემგზავრა, როცა გაიგო, კრემენჩუკში მირიან ბატონიშვილია ჩამოსულიო ...

1787 — ეს გურამიშვილის ცხოვრების უკანასკნელი წელია, რაზედაც დაბეჯითებით ვიცით რამე. 32 წლის პოეტი საოცარი ზრუნვითა და გულმოდგინებით კრავს თავისი „შვილის“ — პოეტური მემკვიდრეობის არტახებს, რომ შთამომავლობას არ დაეკარგოს. ესეც მისი შრომისმოყვარეობასა და შორსმჭვრეტელობაზე მეტყველებს.

ბედნიერ შემთხვევას უნდა მივაწეროთ გურამიშვილის პოეტური მემკვიდრეობის გადარჩენა იმ ეპოქა სიკვლეში როცა პოეტს თავისი წიგნი, დაბეჭდილი კი არა, ხელნაწერების სახითაც კი არ უხილავს. ერთადერთი ცალი, მისი-

ვე ხელით გადაწერილი დედანი, ალ-
ბათ ჩვენთვის სხვა მრავალ დაკარგულ
ძვირფასეულობასთან ერთად უიმე-
ლოდ გაქვხვეოდა შეუცნობლობის ბუ-
რუსში, მირიან ბატონიშვილი რომ არა.
(1774 წლის ხელნაწერი დაკარგულია).

როგორც ზემოთაც ითქვა, ეს მოხდა
1787 წლის სექტემბერში, თითქმის
ორასი წლის წინ და 13 წლის შემდეგ
პირველი ხელნაწერის გამზადებიდან
გურამიშვილმა გაიგო, რომ მის მეზო-
ბლად, კრემენჩუკში, ფელდმარშალ
პოტიომკინთან სტუმრად იმყოფებო-
და ერეკლე მეორის ელჩი, მირიანი.
სასწრაფოდ გადაუთუთრებია თავისი
ლექსები და პოემები, საინჟინრო გამო-
გონებათა ნახაზებთან ერთად მირიან
ერეკლეს ძე ბატონიშვილისათვის მიუ-
რთმევია. ეს ახალი შემოქმედებითი
მუშაობის ნაყოფია. იყო ხელნაწერი
ერთი მელნით, ერთი ხელწერითა და
ერთნაირ ქაღალდზეა შესრულებული,
რაც მოწმობს, რომ საგანგებოდ ამ შე-
მთხვევისათვის მოუშაადებია. ჩაკერე-
ბულია მხოლოდ ორიოდ დამატებითი
ფურცელი.

მირიანი, როგორც თითქმის ყოველი
ქართველი დიდებული, განათლებული
და პოეზიის მოყვარული კაცი იყო. და-
წვრილებით არ ვიცით როგორ მოხდა
პოეტის და ელჩის შეხვედრა, რაზე ის-
აუბრეს და რა ითათბირეს, მაგრამ ყვე-
ლაფერი უდავოდ ისე მოხდებოდა,
როგორც ორივეს ღირსებას შეშვენოდა.
მირიანს ხელნაწერი მიუღია და მოცა-
ლეობის ჟამს, ზამთრის გრძელ ღამეე-
ბში სიამოვნებით უკითხავს. ბესიკის
და სხვა ქართველი პოეტების მეგობა-
რი მირიანი თვითონაც წერდა ლე-
ქსებს. უდავოა, ასეთი საჩუქარი უცხო
მხარეში მას ვაგახარებდა, რადგან იცო-
და მისი ფასი.

მირგოროდიდან კრემენჩუკში დავი-
თი შარავზით წავიდა. 120 კილომეტრი
გაიარა ღრმად მოხუცებულმა, ნახევ-
რად უსინათლო კაცმა, რომ ხელნაწე-
რი გადაერჩინა და ღარიბი ხალხის
ხვედრიც შეემსუბუქებინა იმით, რი-

თაც შეეძლო სარწყავი არხით და წი-
სქვილით.

გზაში პოეტმა უთუოდ ბევრი
ახალი ნახა. ყმა-ვლესობა დრტვინავდა,
ბობოქრობდა, იარაღს ლესავდა.
ჰაიღამაკების აჯანყება წლობით გა-
გრძელდა. „არ გვინდა ყმობა!“ გაიძა-
ხოდნენ მეამბოხენი, ეს ყმობა რუსე-
თში გაგრძელდა მეტ ხანს, ვიდრე სა-
დმე სხვაგან ...

გურამიშვილს უთუოდ ეცოდინებო-
და მეზობელი თავადების ბაზილევსკე-
ბის ოჯახის სისასტიკის ამბავი. სალტი-
ჩხა და ბაზილევსკაია — რუსეთისა და
უკრაინის ბოროტი ფურციები, თავიან-
თი სისასტიკით საანდამოდ და საწყე-
ვარად დარჩენილან ისტორიაში. პო-
ეტს ეცოდინებოდა ისიც, როგორ აე-
შალა ვერაგ დესპოტებს სოფელ ტუ-
რბაის გლესობა, როგორ აღდგა ხალხი
აუტანელი რეჟიმის წინააღმდეგ და
როგორ დამარცხდა. გურამიშვილმა
1784 — 1787 წლებში გადაწერილი
ახალი პირი მიართვა მირიანს, წისქვი-
ლის ნახაზებსა და არხასთან ერთად.

კრემენჩუკსა და ელისავეტგრადში
ბატონიშვილს მწერალთა მთელი დასი
შემოუყრებია. ვიცით, რომ მათ შორის
იყო ბესიკი, მაგრამ სამწუხაროდ არ
ვიცით შეხვდა თუ არა გაბაშვილს გუ-
რამიშვილი.

ერთადერთი, ძუნწი და მტკიცე ის-
ტორიული ფაქტი ვიცით ამ ისტორი-
ულ შეხვედრაზე: მირიან ბატონიშვილს
პოეტმა ასეთი არხა მიართვა:

ქ. ღმერთმან ბედნიერის მათი დიდებუ-
ლების ქართლისა და კახეთის მეპატრონის
მეფის ირაკლის ძის მირიანის კირი და სატ-
კივარი მათს ფერხთა მიწა-მტკერს მომცეს!

მათი გავიგონე დიდრონ ღამეებში შესაქ-
ცევლად ქართლური წიგნების დამქირებობა,
და ამაღ კანდიერ ვიქმენ და მივართვი ჩემი
ნათქვამი წიგნი, რომელსა ეწოდების „დავი-
თიანი“. ამ წიგნში არის ჩატანებული ჩემგ-
ნით ახალი მოგონებული სარწყავის და წისქ-
ვილის მოხაზულობა და ამბავი. ჩემის ხე-
ლით დაწერილია ქართულად. და ეს ჭერ

ელგუჯა მალბაძე
გოდება

არსად არის გამოცხადებული ჩემის უძლურობითა და გაუბედობითა. და ამას ვითხოვ მათის დიდებულების წყალობას: ეს ამბავი რუსულად ათარგმნონ და მოხაზულობა უმჯობესად მოახაზონ და სვეტლიშის კნიჟს აჩვენონ და გააშინონ და. რაც იქილამ ბრძანება გამოვიდეს, მე მიბრძანონ.

მოწონებით მიწა — პირგაუბრებით თავკანსმცემელი მათი მონა და უმაჟოფლო გურამიშვილი დავით.

წელსა 1787 ხევდემბერს.

ძვირფასი ხელნაწერი მირიანმა პეტერბურგში წაიღო, მერე მოსკოვის, ვოლგისა და კასპის გავლით თბილისში ჩამოიტანა, გადაარჩინა სასტიკ დროსა და მანძილებს და დღეს საქართველოს სიძველეთა ეროვნულ საცავშია შენახული. ორასი წელია მას შემდეგ, რაც ეს ვანი ვადაჩია. ქართველი ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს მისი შემნახავის ამავს.

საუბედუროდ არ ვიცი, რა ბედი ეწია დავითის წამოწყებას და როგორ წარიმართა ამის შემდეგ მისი ავტორის ბედი.

გურამიშვილის ლექსები ყველასათვის ცნობილი და მისაწვდომია. რას წარმოადგენენ პოეტის ნახაზები? ეს ძეგლია მის ინტერესთა სიფართოვისა. უკრაინაში ცხოვრების დროს დავითს ბევრი უფიქრია ხალხის კეთილდღეობისათვის. ქართული სარწყავი სისტემის მაგალითზე განუზრახავს ისეთი სისტემის აგება, რაც უზრუნველყოფდა რაბებით წყლის ამაღლებას და გვალვის დროს გამოიღო მწირი მიწების მორწყვას, ვინ იცის, რამდენს ოცნებობდა პოეტი უძილო ღამეებში მობიბინე ველ-მინდვრებზე, დარიბი გლეხის სიხარულზე, თავისი გამოგონების წარმატებაზე!

მასვე შეუდგენია მექანიკური წისქვილის აგების გეგმა-ნახაზი. წისქვილის პროექტი განუზრციელებელი დარჩა, მაგრამ საგანთა ლოგიკითა თუ გარემოებათა უცნაური გადალახვის წყალობით ამ წისქვილმა დიდი სამსა-

ხური გაუწია გამოგონებლის მშობლიურ ხალხს. შეიძლება ვთქვათ, რომ ლექსები მხოლოდ ერთგვარი პოეტური დანართის როლს ასრულებდნენ ამ პროექტებისათვის, რომელთა განხორციელებას სახსრები უნდოდა. დავითს არ გაჩნდა სახსრები, მასალები, თანხები, რომ ცდები ჩაეტარებინა ამ მიზნით უფრო მიმართა მირიანს და ალბათ პოტიომკინსაც. მბრძანებელთა წყალობა იმით ამოიწურა, რომ ხელნაწერი შემოგვინახეს. ჩვენთვის ეს დამსახურება მთავარია, მაგრამ დაუკმაყოფილებდა ეს წყალობა პროექტების ავტორს? ეს მკითხველმა განსაჯოს.

ქართული ლექსის გამოჩენილ თეორეტიკოსს, პოეტ მამუკა ბარათაშვილს შემოუწახავს 1731 წლის ხელნაწერ ლექსთა კრებული, რომლის ბოლო გვერდზე მის მეგობარს დავით გურამიშვილს თავისი ხელით წაუწერია „სა ვარგონია, მეონია“.

გ. ლუონიძის და დ. კოსარიკის ვარაუდით დავითს მოსკოვში უნდა დაეწერა „მოსკოვს ქალაქს მზეს ველოდით“, „პატარა ქალო თინაოს ხმაზე“ „დალადა“, „სიუხვის კოცა“, „ამოცანები“, „ანბანთა ქება“ ... იქვე უნდა მომწიფებულებო „ქართლის ქირი“. ცხადია, რუსეთის მიწა-წყალზე გურამიშვილი მოხვდა მშვიერ-მწყურვალა, შიშველ-ტიტველი. რაიმე ხელნაწერი გადარჩენაზე ფიქრიც ზედმეტია. მოსკოვში კი მიეცა წერის საშუალება, და რაც ზეპირად არ ახსოვდა, მას საღლა დაწერდა?

ხელნაწერებს თავიანთი ბედი აქვთ. თუ გურამიშვილს ბედი არ გაეხსნა, მის ნაწერებზე ეს მაინც არ ითქმის. საბედნიეროდ, მზრუნველმა ხელმა ის უამთა სიავეს გადაარჩინა და საშუალოდ გადასცა მის კანონიერ მფლობელს-ქართველ ხალხს.

დიდება საუნჯის მხსნელთ!



ფუ, შენ, ცრუო, საწუთროვო, რად არ
მძულდი, რად მიყვარდი
შენ ყოფილხარ მწარე მხნაკვი, მე მეგობრე
ტკბილი ყანდი;
აქ საყვადავდ რად მოგვეყვანდი, თუ მუნ
ცოცხალს წამიყვანდი?

«mors quid est? aut finis, aut transi-
tus»¹².

დადგა პოეტის შემოდგომა. სცივა,
ქარი ხმელ ფოთლებს აყრის, უმძიმს,
წაუხდა ქირანახული:

იყო დრო, გურამიშვილსაც ჰქო-
ნია ოქროს დღეები:

ვიცნობ, მეც ვიყავ სოფელსა
განცხრომასა და შევებასა,
მიყვარდა, კარგა მიმანდა,
ვდილობდი არ გაშვებასა...

ჩვენ ვნახეთ გურამიშვილის ახალგა-
ზრდობის ძნელბედობა, იქ ასეთი ბე-
დნიერება არ შეგვიმჩნევია. მაგრამ სი-
ბერეში პოეტს სიამის ოდინდელი სხი-
ვიც მშედ ესახება. ესაა მოგონება!

სიბერეში იგონებს პოეტი იმ დღეთა
უზრუნველობას, როცა „განსცხრებო-
და, იშვებდა, იხარებდა,“ ძვირფას ხა-
ლათსა და ნაჩუქარ ქათიბ — ახალუხს
შეზაროდა, ქალებს უღიმოდა, „სცო-
დავდა“, არ აქვდა კვნესა, ვაი და ვი-
ში“ „ბაღად იჭდა მასთან, ვისაც ყვა-
რობდა“; ეს მისტიკური სინანული
სრულიად ზედმეტა გარჯა იყო. გურა-
მიშვილი არასოდეს არ გაუწევიერებია
ბედს ისე, რომ მისი სინებვიერე სინა-
ნულად ღირებულოყო. მისი მელანქო-
ლია სამშობლო ქვეყნისაგან დაშორე-
ბითა და მისი ძნელბედობით აიხსნე-
ბა, რასაც პოეტის მოხუცებულობაში
რელიგიური მოტივების მოძალეზაც
დაერთო.

ის ფიქრობდა იმაზე, რაც ქვეყნად
დაქარგა, დაქარგა კი ყველაფერი.

საწუთრომ ზურგი აქცია. ბედმა ვი-
საც არ უნდოდა, ტყუბი მისცა, ვისაც
უნდოდა — მისთვის ცალიც არ გაიმე-
ტა.

მკვლევარები საგონებელში ჩაავდო
საწუთროს ასეთმა სამღურავმა:

ამაზე თედო ჟორდანიამ ეტკვი გამო-
თქვა: „ნუ თუ პოეტი სამშობლოში
ყოფილა რუსეთიდგან დაბრუნებუ-
ლიო?“.. ნამდვილად კი საქმე უბრა-
ლოდ იხსნება: ლაპარაკია, საიქიოსა და
სააქაოზე. ესაა ყოფნა-არყოფნის დი-
ლემის თავისებური, გურამიშვილისეუ-
ლი გადაწყვეტა. დავითი რომ საქა-
რთველოში დაბრუნებულოყო, სულ
სხვა სატიკივარი ექნებოდა და სხვაგვ-
რადაც წარიმართებოდა მისი ცხოვრება
და შემოქმედება.

უთვისტომო პოეტი უცხო ცის ქვეშ
მოგონებებით ცოცხლობს. დედ-მამა
ავონდება, შიო მღვიმის და ზედანის
მამულები, სახლი და სამარხი მამაბა-
პური. ავონდება ქრისტეფორე,
მღვდელ-მონაზონი, რომელიც ბაქარის
ნებართვით მოსკოვში სტამბას აწყობს
და ბიბლიას ბეჭდავს ... ცოლი ავონდე-
ბა და სიდდერი, მოსამსახურე და მისი
ასული, ისე მოკლედ და ბუნდოვნად
ნახსენები რუსულ დოკუმენტებში, რომ
ძნელი გასარჩევი შეიქმნა ეს ცოლი სა-
ქართველოდან ჩაუვიდა მოსკოვს თუ
მოსკოველი ქალი შეირთო.

მხოლოდ ქრისტეფორეს ცხოვრების
ამბავია ნაწილობრივ აღდგენილი. 1746
წელს წიგნების ბეჭდვისათვის ალბათ
უსახსრობის გამო თავი დაუნებებია და
„ოსეთში ქრისტიანობის აღმდგენელ
კომისიაში“ დაუწყია მუშაობა, 1753
წელს გარდაიცვალა და მისი ქონება მი-
სივე ანდერძის თანახმად სინოღს და-
ვითისათვის გადაუცია. ცოლი და სიდე-
დრიც ალბათ მანვე ჩაუყვანა დავითს
მოსკოვში, მაგრამ უკრაინაში აღარ ჩა-
ნან.

დღესდღეობით ცნობილია, რომ
უკრაინაში მისი მეუღლე იყო ტატია-
ნა ვასილის ასული ავალიშვილი, რომე-
ლიც დავითზე ორი წლით გვიან გარდა-

¹² „რა არს სიკვდილი, ყოველივეს დასასრული
ან ფერიცვლება“ — სენეკა.

იცვალა, ნაშვილები პატარა დარაიკ დღემოკლე გამომდგარა...

ისტორიულ დოკუმენტებში ტატიანა ვასილის ასული ავალიშვილი თავად გურამიშვილის (გურამოვის) მეუღლედ ითვლება 1745 წლიდან 1792 წლამდე, ე.ი. მთელი 47 წლის განმავლობაში.

ჩვენ არ ვიცით, რა ნაკლი და ღირსება ჰქონდა ტატიანას, გარდა კარგი სახელისა და გვარისა. სწორად მიგვაჩნია ვარაუდი, რომლის მიხედვითაც ეს ახალგაზრდა ქალი უნდა ოფილიყო ვინმე მამუკა ავალიშვილის შთამომავალი (შვილიშვილი), რომელიც 1727 წელს მოსკოვში ჩასულ ქართველთა სიაშია მოხსენებული. სხვა ავალიშვილი რუსეთს გადახვეწილ ქართველთა შორის არ ჩანს. ქალის მშობლები ალბათ დავითის მეზობლები იქნებოდნენ, და ეტყობა, დავითმა ეს ქალი „ხათრით“ შეირთო, რადგან არსად მის შესახებ არაფერს გარკვეულს არ წერს, არც შვილა ჰყავს, არც რაიმე აღტაცებას გამოხატავს ამ დაგვიანებული ქორწინების გამო. ჩანს, ოჯახურ ცხოვრებაზე ადრევე აუცრუვდა გული და აღარცა სჯეროდა მისი ნაყოფი მას შემდეგ, რაც ადრინდელ სიყვარულში თუ დაოჯახებაში მარცხი განიცადა. ვფიქრობთ, დავითი და ტატიანა უბრალოდ მოვალეობისათვის ცხოვრობდნენ ერთად, წყნარად და თანხმობით. ქალს არც მზითევი მოჰყოლია და არც შვილი უჩუქებია, არც გავლენიანი ნათესავები ჰყოლია, რომ თავიანთი სახელები სიგელ-გუჯარებში ჩაეწერათ... ასეთი მეუღლე ალბათ პოეტისათვის დიდი ნუგეში არ იყო, მაგრამ დავითი ნუგეშს აღარ ეძებდა... უსახელოდ უსიყვარულოდ ეწევა წუთისოფელის ჰაბანს.

ნატანჯი პოეტი რომ ადრე ახალგაზრდა ასაკში გარდაცვლილიყო, ეს სრულიად ბუნებრივი იქნებოდა, მაგრამ ისეთი მკვლევარები, როგორიც არიან მარი ბროსე და თედო ჟორდანია. „ერთი მცოდნე ქართველის“ ცნობას იმორწმუნებენ და ფიქრობენ, რომ გურამიშვილი XIX საუკუნის დამდეგს გარ-

დაიცვალა უკრაინაში (მალოროსიაში), სადაც დაკრძალულია კიდეც. ამის შესახებ ცნობა სწორია, გურამიშვილს თითქმის მთელი საუკუნე უცოცხლია და ქართულ მწერლობაში პატრიარქად ჩაითვლება.

მაგრამ დმიტრო კოსარიკის გამოკვლევის შემდეგ აქ სათუო არაფერია. სიმართლე რომ ითქვას, აქ დიდი განსხვავება მაინც არ აღმოჩნდა ვარაუდსა და ფაქტს შორის. დავითი ორსავე შემთხვევაში საკმაოდ მიუახლოვდა ბიბლიურ ასაკს.

თავჩაღუნული ჩასცქერის წყალს ცრემლთამფრქვეველი და საწუთრო სოფელს უჩივის: „სულ დამიხიცი მოყვასნი, ერთიც არ დაღინდილებსა“. პოეტის ჩივილი ისე სამართლიანია, როგორც ნათელია მისი პოეტური სიტყვა: „ასე მალაღმან მე დამამდაბლაო“.

დგას დავითი ობოლივით და ლოცულობს: — რა არის ჩემი ცხოვრება ამ ქვეყანაზე! წამერთო დღენი მზიანი, ღამენი ცა მოწმენდილი. ცრუმან საწუთრომ რაც მომცა, ისევ იმანვე წამართო. აწ რით წარვმართო კეთილად ჩემი საქმე? დმერთო, მომეცი იმისი ღონე, რომ ურიგო საქმეს განმარიდო, ღრძუ და ფიცხელი გული დავიმშვიდო... ვარსკვლავიან ცას შევცქერი და ჩემ ბედის ვარსკვლავი ვერ მიპოვნია... ვაი თუ მოვკვდე უმადლო, შევიქნა ცოდვის ზიარი, დავკარგო ხორცის სიმაძღრეც, ხორცითაც ვიქმნა მშვიერი!.. ვაი თუ შორ გზას წავიდე, საგზლად ვერა რა წავიდო... ვაი თუ ჩემის სიკვდილით გული არავის სტიკიდეს...

დავითის მთელი ცხოვრება ერთი ასეთი მწარე მონოლოგია, ცოდვა ბრალით ნალესი გოდებაა ბედშეკრული კაცისა.

სიზმრად იხილა, კარს გარეთ რეკდა, ქორწილში შესვლად შიგნით იწევდა... და ის არ შეუშვეს, მტერმა გამძარცვა ტანთ საქორწინო შესამოსელი მართალია, ეს ქრისტეს ქორწილი იყო. მაგრამ დავითი ხომ იქ შესვლაზეც ხშირად ოცნებობს! ნუთუ ქორწილში ვე-



დარასოდეს შევა, პეტრე და პავლე კარს დაუხშობენ, ჩამქრალ ბაზმაზე ზეთს არავინ დაუხსამს? ნუთუ ქრისტე არ განკურნავს „ბრმა — ყრუ — საპყარს“ აი, ამ ფიქრებშია მოსკოვშიც, ზუბოვკაშიც და მაინაც, როცა „ბრუსიაში დატყოვდა“.

გულსაკლავია პოეტის ანდერძი. ცრუ საწუთრომ პირი არიდა, „მანვე დამალა, ვინც აღაშენა“, ყველაფერი უკან დარჩა. მაგრამ ის ბოლომდე დიდ ჰუმანისტად რჩება.

გურამიშვილის ანდერძის ქვაკუთხედი ესაა:

შვირთა ჭმევა, შიშველთა ცმევა,
უსამართლობით არვისი რბევა.

პოეტს ესმის: „მკვდარს არას არგებს ტყება — ტირილი... მიმეცით რამე მღრღელთ წირვის ფასი“... მაგრამ უშვილო მგოსანს აღარც ამისი იმედი აქვს. ველარავინ აღუნთებს სანთელს, აღარვინ დაუდგამს ტაბლას, მაღალმან ასე ის დაამდაბლა და არც კი ვარაუდობს. რომ არა ღმერთი, არამედ ადამიანი, მიიღე ხალხი აამალღებს ძნელბედობით „დამდაბლებულს“.

ასეთი უშვილობა, მრუდე ბედი და უმწეო სიბერე კაცს არ ახარებს, და ღრმად მოხუცებულმა პოეტმაც რაზე უნდა იფიქროს, თუ ებიტაფიაზე არა? ხანდაზმულ ადამიანს უდავოდ ერთი ფიქრი აღედგრის: სად დაიმარხო, რომელ მხარეში? წინაპართ საფლავებს შორის განისვენებს, თუ სხვის ქვეყანაში.

გურამიშვილის ბედი ამ მხრივაც გამწარებულია. მას ბედ-იღბლის წიგნში არ უწერია მშობლიური ცის ქვეშ დანებება.

აი პოეტის ებიტაფიაც:
„ახლა მობრძანდი, მკითხველნო, მნახე,
მისად ხანუქვოდ სად დავიმარხე...
აღსასრული ახლოვდება. ბრძენი
პოეტი გულისტკივილით იგონებს თავის სამკვიდროს, თავის სავგარეულო სამარხებს — კახეთს, ზედაზენს, ქართლის შიო-მღვიმის მონასტერს, სადაც

მის წინაპართა „ძვალთ შესალავა“, „ორივე ქვიტიკით აღშენებული, სახლ-გალავნებით დამშვენებული“ განსასვენებელია.

დაღვრემილი დავითი მკითხველს შესჩივის: „ხორციო აქ ვლპები, აწ ჩემი სული არა ვიცი რა, სად არს მისული?!“ ამ ნაღვლიან ჩივილს ერთვის თავისებური „მემენტო მორი“, ცრუ საწუთრო არც შენ დაგინდობს! შენდობა მანც მიბრძანე და სამაგიეროდ ღმერთმა შენი ცოდვა შეგინდოს!

მსგავსი ფიქრები უცხო მხარეს უთვისტომოდ დაბერებული და უშვილოდ გადაგებული მორწმუნე კაცისათვის ბუნებრივი იქნებოდა. ნუგეშად მხოლოდ პოეზიის რწმენა რჩებოდა.

მრავალ განსაცდელში გამოვლილი პოეტი თავის ლექსთა კრებულის ბოლო წერტილად სვამს ლექსს, რომლის სათაურია „ამ წიგნის გამლექსავის სულის მოხსენება“. დავითი ერთხელ კიდევ გადაავლებს თვალს თავის მძიმე წარსულს და დავითის საგალობელით მიმართავს ღმერთს, თანაც ვერ გაიგებს, ეს რომელი დავითია ნაგულისხმევი: ბიბლიური მეფსალმუნე მეფე თუ ჩვენი ნაჯაფი და ნატანჯი პოეტი. ორივე ხომ ერთნაირად ნაცადი და ბრძენია! აკი თვითონვე აცხადებს: „მის ღვთის ძის მამის დავითის სეხნა გურამისშვილი ვიყავ დავით მეო“. დავით მეფე ხომ ქრისტეს წინაპრად ითვლება! დავითიც, მისი სეხნია ამ სახელს გაათამაშებს და თავის უკანასკნელ ლექსშიც კი არ კარგავს ირონიის გრძობას:

აწ თქვენ ამაზედ რა ცილობა გაქვთ
არა ვიცი რა, რას მედავით მე!

თუ ბიბლიურმა დავითმა ფსალმუნები დატოვა, ჩვენმა დავითმა გულწრფელ ლოცვებთან ერთად დიდი ადამიანური პოეზიაც დაგვიტოვა, როგორც დავითმა იერუსალიმის აშენება განიზრახა, მარტოხელა პოეტმაც ხალხის

ელგუჯა მადრამძე
გოდება

საკეთილდღეოდ ნახაზები შეადგინა და ლექსებს დაურთო... ეს წყლის ასამალ-ლებელი და წისქვილი თუმცა მოვიგონე და დავხაზე, ჯერ არსად არის გამოცხადებული ჩემის უძღურობით და ხელმოკლეობით, და ამ ჩემს ნათქვამს ლექსის წიგნში ჩამიტანებია...”

ბევრი რამ არის ნათქვამი და გათვალისწინებული ამ ნახაზსა და მის სიტყვიერ დახასიათებაში. ეს ჭეშმარიტად კეთილშობილური და პოეტისათვის საოცარი წამოწყება თავდება ლექსით, რაშიაც ჩანს თუ რა დიდ მნიშვნელობას აძლევდა ბრძენი დავითი თავის ნააზრევს მოხუც ფაუსტივით ხალხის სასარგებლოდ რომ ვარაუდობდა:

ესე რაც ნეშტი მაშინა დავიდგი დავითმა შინა,
მას თუ ვერ დებავს წითლადა, ცუდი უოფილა
მაშინა;

როდესაც მტერი მებძოდა, ეს საფრად
მდგომდა მაშინა.
მას ხმაღსა ვსცემდი უშიშრად, ვინც მე თავის
ხლმით მაშინა.

მირგოროდში ხვდებოდა თავის მებრძოლ მეგობრებს. აქ მუდმივად იდგა სამხედრო დანაყოფი, რომელშიაც რუსი და უკრაინელი მხედრების გარდა ქართველებიც შედიოდნენ. ოფიციალურ ბარათებში ნათქვამია, რომ მირგოროდში მათ საკუთარი სამოსახლო ჰქონდათ ქალაქის უფროს მაიორ ფხეიძის მეთაურობით. დავითს უთუოდ ჰქონდა უშუალო კავშირი და სანუგეშო საუბრები იმ ქართველებთან, რომლებიც გემის დაღუპვას გადარჩენილი მეზღვაურებივით ამ პატარა „კუნძულს“ — „ქართველთა კოლონიას“ აფარებდნენ თავს, მაგრამ ვინ შეინახავდა ამაზე ცნობებს? ვინ იცის სად რომელმა ქარმა გაფანტა „უამთ ვითარებით“ უცხო მხარეს გადახვეწილთა ჩანაწერები?

ბედის ძიებაში იყო მთელი თავისი დღე და მოსწრება, და აი, რა დასკვნამდე მივიდა:

რას ჰქვია აწ ბედი?
ურმა ვიჟე, დავებრდი, —

ჯერ ვერ მიცნია.

ღრმა სიბერემდე იცოცხლა პოეტმა, რომელსაც კარგად ჰქონდა შეგნებული თავისი პოეტური მტყუარების წონა და მნიშვნელობა. ნუთუ მრავალი ათეული წლის განმავლობაში მხოლოდ ეს ერთი მცირე ტომი შექმნა? ცხადია, არა. ვერა ძნელბედობა ვერ შეაფერხებდა მის კალამს — ქართველი პოეტებისათვის ეს ჭირი არ ახალია, ძველია. საწერად იცლიდა თვით გვირგვინოსანი პოეტი, რომელიც ჩიოდა: „მწერდი ცხენს მჯდომი, ვლამქრობდიო“.

გურამიშვილს ასე თუ ისე მეტი დრო ექნებოდა, ომიდან დაბრუნების შემდეგ მაინც. მაგრამ ექვი არაა, მისი ლექსების დიდი ნაწილი, მეტადრე ახალგაზრდობის ლექსები, სამუდამოდაა დაკარგული. ერთადერთი, ან თუნდაც ორ—სამ ცალ ხელნაწერს სად ვერ გაფანტავდა და დაფხრეწდა ეამთა სიავის ქარი! მუდამ დევნილი, ლტოლვილი, პყრობილი, ან სიღარიბესთან შებმული პოეტი ცალკე მტრებმა და შურიაწმა მოქიშპეებმა შეაფიწროვეს:

შურმან მე დიდად დამკოდა, ხმალი შემომკრა
მისრისა,
მსხვილს შვილეს ეელი დამიქრა, წვრილგმა
ფხვით მისრისა
ცეცხლით დამიწო სახლ-კარი, ვამე, ჯარი
მკლავს მის სრისა

ლექსში ლაპარაკია ხანძარზე, რაც ბოროტმა ადამიანებმა პოეტის სახლს შეუთნეს, და რამაც იმსხვერპლა მისი მსხვილი და წვრილი შვილები, ე. ი. პოემები და ლექსები.

მისი ნახაზები პოეტის ხატვის ნიჭზეც მეტყველებენ.

დავითს თვალსაც დააკლდა ფაუსტივით:

ეს ალბათ, მართლაც ფაუსტიური აღსასრული იყო ხალხის კეთილდღეობაზე ფიქრში დაღეული ბრძენი ქართველი პოეტისა.

სამშობლოსა და საკუთარი ხალხის უბედურება არის მიზეზთა-მიზეზი დავით გურამიშვილის განუწყვეტელი



საქართველოს
წიგნების
კავშირის
კავშირის

მოთქმისა, საწუთრო გაუტანელი, დაუ-
ნდობელი, და მუხანათი, თავის ნებაზე
რომ ათამაშებს მის მშობელ ხალხსა და
ქვეყანას. ჯვარცმული და მკერდში მა-
ხვილგაყრილი ქვეყანა და ხალხი, აი.
გურამიშვილის გოდების, ვალალების,
ტირილისა და მოთქმის საფუძველი.
ქვეყნის აუტანელი გასაჭირით გულშე-
ღონებულ პოეტს ანკი რა დარჩენისა
გლოვისა და ვაების, მეტი:

გული ღონდება, ვიწყო გოდება;
ვაი საწუთრო, ცრუო სოფელი
ბორცნა-ბოდება, რაც მაგონდება,
ვაი საწუთრო, ცრუო სოფელი!
სული მშორდება, ხორცი მშორდება:
ვაი, საწუთრო, ცრუო სოფელი!
რად მშვა დედამ, შავმან ბედამან
ვაი, საწუთრო, ცრუო სოფელი!

ნისლივით მოეჯარა ფიქრები და
სულის საოხად ჰოროლის სანახებისა-
კენ გასწია. გულისმომწვევლებმა კე-
შანმა და სევდამ დაიშინა, დარდმა წაა-
რთვა სულის სიმშვიდე, ნაღველმა იმ-
ლაგრა, კვლავ უწყალოდ უწყო წვალე-
ბა სხეულის შემმუსვრელმა უკურნებე-
ლმა სენმა — მარტოობის დიადმა ქენჯ-
ნამ, წელთა სიმრავლემ ჯანგატეხილს
და ნაიარევს თავისი დალი დასვა, მაგ-
რამ მის ნიადაგ მოგიზგიზე ცეცხლით
ანთებულ სულს მაინც ვერარა მოუხე-
რხა. მწვავე განცდებამოვლილი მოუ-
ღლევი და გაუტენელი სული, ჰაბუკუ-
რი გზნებით, კვლავ ოცნებათა საუფლო-
ში დააფარფატებდა. გონება ცინცხალი,
შეუბღალავი, უზადო შერჩა, გული უბე-
რებელი, ჰკუა ნათელი, მესხიერება
უნაკლო. აზროვნება კვლავ სალი ჰქონ-
და, გამჭირახობაც არ აკლდა, მაგრამ სა-
წუთროს კივივის მაინც ვერა და ვერ
არჩევს, ხსნის გზის ძიებაში შემოაღამ-
და და აღარ იცის საით გაიქცეს, რომ
კვლავ პირქვე არ ჩაემხოს მდინარეებად
დადგრილ სისხლში და შიგ არ ჩაიხრ-
ჩოს.

მე ანად ვპვივი, ვპვივი და ვპვივი,
ვერ ვანვარკვივი შენი კივივი:
თბილი და ცივი ორივე მტკივი
საით გავიქცი, რომ არ წავიქციე!

ხანდაზმულსა და მსციტ მოსილს
სამშობლო დაქცეული ეგულება, საკუ-
თარ კარმიდამოში დაბრუნების იველი
საბოლოოდ გადაეწურა, ნათესავთ და
თვისტომთ ნახვის სასოება დაეშრიტა,
აყვავებულ ბაღ-ვენახების ხილვა—ზმა
ნებებშიც აღარ უწერია, გრძნობს მოახ-
ლოებულ აღსასრულს, სასომიხილს
ცაზე მზე კი არა მოჭრიატე ვარსკვლა-
ვიც აღარ ეგულება და გოდებს:

დამივსე ვანი, კარავ-ხევანი,
ზაღთ ხეივანი, ვარს ვალავანი,
დედ-მამა, ძმანი, გამყარე დანი,
საცა რომ შამქენ, მუნ აღარა მქენ.

შეჭირვებული პოეტი ერთთავად
მამაბაპეულ ძეალთშასალაგზე ფიქ-
რობს. იობივით სწყევლის ამ ქვეყნად
თავის გაჩენის დღეს და ერთს პათეტუ-
რად კიდევ შესძახებს: რად მშვა დედა-
მან, შავმან ბედამან. საწუთროს დაუნ-
დობლობით გულმოკლული გურამიშ-
ვილი სწყევლის იმ ღამეს, როცა ითქვა
— ჩაისახაო ადამიანი და გაოგნებული
იმას ჩივის რომ ამ ქვეყნად „ვერ განა-
რჩივა“ რა არის კარგი და რა არის ცუ-
დი, სძინავს თუ ღვიძავს, ცოცხალია თუ
მკვდარი?

თუ ხარ ღვიძლი, რაღა არს ძილი?
თუ ხარ სიმაძღრე, რა არს შიმშილი?
თუ ხარ სიცოცხლე, რა არს სიკვდილი?
იჲვე ერთ-ერთი, იწამე ღმერთი!

ცას აპხედა. ზეცის თავანი მოკაშ-
კაშე ვარსკვლავებს მიექარგ-მოექარ-
გათ. უღრუბლო, მოსარკული ცა უკრა-
ინელი კაცივით გულლიად გადაშლილი
ეჩვენა. მოჭრიატე ვარსკვლავებმა ქე-
რათმიანი ვოგონების თვალთა ციალი
გახსენა. კაცის გული მაინც ზღვასავით
უძღები ყოფილაო, გაიფიქრა. შეინანა,
ახალგაზრდობა რომ ტანჯვა-წვალემა-
ში ასე მალიად გაუფრინდა და ერთი
ისეთი ამოიოხრა, თითქოს გულიც თან
ამოაყოლაო. ყოველივე ეს წამისად
იყო. მიწის უძღები შვილი კვლავ კოს-

ელგუჯა მარბამე
გოდება

მოსურ სამყაროს შეერია ფიქრით. ისევ ცას აპხედა, ადამიანი იყო და მაინც იქ ეგულოდა იმედის გამკრთალი ნათელი. იმწამს ისე მოეჩვენა, რომ ცა მოქრუხებულყოფი, საავდრო ღრუბლები მისჯარვოდნენ და მოელვარე ვარსკვლავთა შუქი წყვიდადს შთაენთქა, „რად მშვა დედამან შავმან ბედამან?“ წაიბუტბუტა თავისთვის, მერე გაახსენდა, რომ სამღურავი ამ სიტყვებით ერთხელ უკვე სიტქვა, მაგრამ თავი ინუგეშა „თუმცა სიტყვა და ძალი ისივ არის, იქნების კაცი ამ რიგს ხმას უფრო გაეწყოს“. ნეტავ რას აქნევს ადამის მოდგმა ამ ტანჯულ არსებობას ქვეყნად, რად უნდა ეს აღუესებელი საწყაული, სადაც ერთთა აქვთ ფუფუნება, რაც მეორეთა სილატაცესა და ვაებაზეა დამყარებული, სადაც ერთთ აქვთ ცად შუქმომგენი სახელი, ხოლო მეორენი ამ სახელების შექმნას ეწირებიან ზვარაკად. ყველაზე დიდი საიდუმლო ამქვეყნად მაინც სიკვდილია. სიკვდილი ანთავისუფლებს ადამიანებს ამქვეყნიური სატანჯველიდან. ცათა საუფლოში ყველა თანასწორია, იქ არავის არაფერი გააჩნია და იქ არაფერი აღარ იყიდება, იქ უკანონობა წყვეტს არსებობას. მხოლოდ სიკვდილით თავისუფლდება ადამიანი სხვათა მონობიდან. უცოდველთ და კეთილ ადამიანებს კი არა ქვეყნის ამომგდებ დამნაშავეთაც კი ამქვეყნიური სატანჯველიდან მხოლოდ სიკვდილი დაიხსნის.

მონობიდან ადამიანის დამხსნელი სიკვდილი და გამათავისუფლებელი უსასყიდლოდ. მიუდგომელი, უანგარო მსაჯული და მოსამართლე.

ერთთავად სიკვდილზე უნდოდა ეფიქრა. გრძნობდა მოახლოებულ აჩრდილს სიკვდილისა. კარგახანია ის აჩრდილი დაძრწოდა მის გარშემო, მის შერინებასა და დადრკომას ლამობდა, უნდოდა ეს სულით ძლიერი ადამიანი გაეტეხა, დაეჩათინებინა, მერე უწყალო კლანჭები ჩაეგლო, და თავის საბრძანებელში წაეცანცალეზინა.

ახლა კი უნდა ჩავაბარო ანგარიში საკუთარ თავსა და ზეცას. ერთი გვეხსენო უნდა, რა ჩამიდენია, ვინაა ჩემი მისთვის შეურაცხმყოფია, რა აღთქმა მიმოცია და დამიდევს მოყვასთათვის, არ შემისრულებია, სიტყვა გამიტეხავს, პირობა დამირღვევია.

ყოველივეს სასწორზე დამიდებენ, მიანგარიშებენ, ამიწონიან, არავინ მომიფონებს, არავინ მომიალერსებს, თუ ცოდვამ გადასწონა სატანჯველს მომისჯის უფალი და ცეცხლს მიმაძღვევენ:

შემკვრენ, შემკონენ, არ მომიფონენ,
მეის წამიყონენ, არ დამიყონენ,
მადლს ამიწონენ, არ მამიწონენ
ცოდვანი სძლევენ, ცეცხლს მიმაძღვევენ!

სიცოცხლის თასი დაცლილი მაქვს, სულ მალე მეღის ფერისცვალება, ეს კი აღსასრულს ნიშნავს აღსასრული—ფერისცვალება — სიკვდილი. ვარდასვლა, ნეტავ რა უნდა იმალვოდეს ამ სიტყვათა მიღმა? ნეტავ დღე დამადგება თავს სულთამხუთავი თუ დამე მომიბტება. არა, სულთამხუთავმა მომაკვადვის თავს წადგომა, ნადირივით გამთენიისას იცის. როცა ყველას ძილქუში აწევება, და ფხიზლად მოდარაჯე ახლობლებსაც წასთვლემთ ხოლმე, მაშინ სიკვდილი მეღიასავით შეიბარება მსხვერპლის საწოლში, სუნთქვას გაუხშირებს მომაკვდავს, წამოახროტინებს, სულს ამოართმევს და უცებ გათანგავს. რა მალიად კი მომთავრდა ყოველივე. არა, სიკვდილის ცელს ალბათ აჩონჩხილი მკლე კაცის სახე უნდა ჰქონდეს, ასე დადის იგი ქვეყნად და ყველაფერს უწყალო ხელითა სთიბავს და სცელავს:

მიღის—მოდის ეს სოფელი, ქართველითა
ზღვისებრ დღვანეს
უქან დასდევს დრო და უამი, მის ნახსელავს
ქსოვს და სთვლავს.
ის მკლე კაცი ცელს რას აქნევს. რასა სთიბავს,
რასა სცელავს?
ამად ვსწუნობ საწუთროსა, სულ ბნელია,
რასაც ელავს!

თეოლოგიაში ღრმად განსწავლულმა გურამიშვილმა კარგად უწყალოდა, რომ

უფალმა მოიღო მიწა, შეამზადა ხორცი შთაბერა სულა ცხოველი, ადამი და ადგინა სამოთხესა შინა და ამცნო ცნებათა დამარხვა, ხოლო იგი გარდახდა უფლის დამოძღვრას განზრახვითა ეშმაკისათა, რისთვისაც გამოაძო ღმერთმან სამოთხიდან და უბრძანა: „მიწა ხარ და მიწად მიიქცეო, რამეთუ მენება, რათამცა უკვდავ გყომცა, და აწ მოკვდავად დამისჯიხარ მიწა ეგე მიწერი“. განრისხებულმა უფალმა არა მარტო ადამი დასაჯა სიკვდილით, არამედ ყოველნი მისნი შთამომავალნი და ნათესავნი, ყოველივე ეს კარგად იცის დავითმა, იცის, რომ ღვთის უზენაესა განგებით ყოველ დაბადებულს სიკვდილი აქვს მისჯილი. მორწმუნე ქრისტიანი როგორადაც დავითს ჩვენი ზოგიერთი მკვლევარი წარმოგიდგენს თავის გამოკვლევებში, სიკვდილს უნდა მამაცურად შეხედეს, რადგან ადამის ძის სიკვდილით ღვთის ნება სრულდება.

ყოველი დაბადებული, განვითარებული და ხრწნაღია. ესე იგი სიკვდილი გადაუფალია და ყოველი არსი, ვინც ქვეყნად იშვა ღვთის სასჯელს ვერ ასცდება პირველცოდვის გამო. ამის თაობაზე თვითონვე წერს: ყველას გვეწვევის სიკვდილი, გემართებს დაუხვდეთ მზათაო ის ჩვენსკენ მოდის, ჩვენ მისკენ, ვერცად აუქცევთ გზათაო. ქრისტიანულ თეოლოგიაში ღრმად ჩახედულმა გურამიშვილმა კარგად იცის, რომ უფალი ყოვლისშემძლეა, ეს მისი უზენაესი ნებით ხდება ადამიანის ამ ქვეყნიდან გარდასვლა.

აღარ მაქვს სუნთქვა, არც ამოქშენა, მანვე დამშალა, ვინც აღმაშენა.

ყოველივე ეს თუ ღვთის ნების გამოხატულებია, როგორც ეს მორწმუნეს, ღვთისმოსავს უნდა სჯეროდეს, და არა ბუნების ძალისა და მისი მკაცრი კანონი, მაშინ დავით გურამიშვილის სიტყვები: რად მშვა დედამან, შავმან ბედამან? წუთო სოფელო, ცუდ სამყოფელო, ვამე, სიკვდილო, სულთა მძრობელო! წარმართის მიერ წამოსროლილ ღვთის

გმობასა ჰგავს. ხოლო მისი სიკვდილის და კაცის შელაპარაკება და „ცილობა“ კაცისა და საწუთროსაგან ცილობა და ბჭობა, ერთმანეთის ძვირის ხსენება ფილოსოფიურ რანგში აყვანილი უჭულის დამხსნელ ლექსებს გვაგონებს. „ბრძენი კაცი კი, — როგორც ეპიკურე გემოძღვრის, — არც სიცოცხლეს გაუბრბის და არც სიკვდილის ეშინია, რადგან სიცოცხლე მას არ ამძივებს და არც სიკვდილი წარმოუდგენია დიდ ბოროტებად“, რადგან ბოროტებათაგან ყველაზე უსაშინლესი — სიკვდილი ჩვენ სრულიად არ გვეხება, რადგან როცა ჩვენა ვართ, სიკვდილი არ არის, ხოლო როდესაც სიკვდილი იწყებს მეუფებას, ჩვენ აღარა ვართ. ასე რომ, იგი სრულიად არ ეხება არც ცოცხლებს, არც მკვდრებს, რადგან პირველთათვის იგი არ არსებობს, მეორენი კი უკვე აღარ არსებობენ. ბრბო კი ხან გაუბრბის სიკვდილს, როგორც უდიდეს ბოროტებას, ხან კი ძლიერ სურს იგი, როგორც ცხოვრების ბოროტებათა შეწყვეტა“.¹³

დავითს ადრე ახალგაზრდობაშიც ხშირად უფიქრია სიკვდილზე, მაგრამ როგორც ყოველ სულდგმულს არ სჯეროდა რომ თვითონ შეეხებოდა იგი. წელთა სიმრავლესა და სიბერეს რომ შეუტია მაშინდა ირწმუნა სიკვდილის ცელის მოახლოება. წავალ ამ ქვეყნიდან და აღვიკვები პირისაგან მიწისა, ვიქნები იგი რაიცი ვიყავ დაბადებამდე, და როგორც მოვფრინდი ამ ქვეყნად ისევე გავფრინდები შორს, შორს. ახლა ეკლესიასიტეს დამოძღვრა გაიხსენა: „ამოება ამოვოთა და ყოველივე ამავო. რაი უმეტესობა კაცისა ყოველსა შინა შრომასა მისსა, რომელი შურების მზესა ქვეშე. ნათესავი წარავალს და ნათესავი მოვალს და ქვეყანა ჰგვის უკუნისამდე“
ნუთუ განძლა ვინმე ამა ქვეყნად შუ-

¹³ დემოკრიტი, ეპიკურე — „ფრაგმენტები, წერილები“, თბილისი, 1959, გვ. 207.

ელგუჯა მალრაძე
გოდება

ქით ცხოველით და იმქვეყნიურ ცხოვრების გულისათვის ჰკვათამყოფელმა ვინმემ დაპოვ ეს „ამავო“ ქვეყანა. მაშინ რატომ იმქვეყნიური სამოთხის მკადაგებელი სულიერი მამანი არ ესწრაფვიან განსვლას ამ „ამავო“ ცხოვრებიდან და არ ცდილობენ უფალთან შეერთებას. მათ მჭერმეტყველურ, მახვილგონივრულ ქადაგებებსა და რეალურ ცხოვრებას შუა ნიადაგ საოცარი ბურუსი და ბუნდოვანება ისადგურებს ხოლმე. სწორედ იმ ბურუსში უნდა იმალვოდეს კაცთა დაუოკებელი სწრაფვა სიცოცხლისადმი. მაგრამ სიკვდილით, რითაც არსთაგამრეგ გვსჯის, ადამიანი ხომ მაინც ჩიტბატონასავით უკვალოდ ქრება ამ ქვეყნიდან. ნუთუ ასე წამიერი და უმიზნოა სიცოცხლე ჩვენი? რამდენი დაუმცხრალი და დამცხრალი ვნება ისპობა ადამიანის სიკვდილთან ერთად? მაგრამ ადამიანის სიცოცხლისა და შემოქმედების წყაროც ხომ დამცხრალი და დაუმცხრალი ვნებანია? დიახ, სწორედ ეს დაუმცხრალი ვნებანი ამოძრავებს კაცთ მოდგმას, ესაა მარად უკვდავი მამოძრავებელი ძალა სიცოცხლისა და დაუსაბამო შთამავონებელი ბიძგი ჩვენის ცხოვრებისა.

და მაინც რაოდენ დღენი და დამენი მონაცვლეობენ, ეგოდენ გვიახლოვდება აღსასრული. დასტურ მართალია იყო წმინდა ეფრემ ასურის: „ვაი რა ავი მოსასულელი მოგვივალს! ვაი, რა უწვევარი სტუმარი არს! ვაი რა საძაგელ არს ხმაი ჰამბავისა მისისა! ვაი რა შესაძრწუნებელ არს განმზადება მისთვის მასპინძლობად! ვაი რა საზარელ არს შეყრა მისი და საშინელ ხილვა პირისა მისისა!“

... და თუ იკითხო: სიკვდილი რაი არს, ანუ რის არსებისაგანი არს, მე გითხრა შენ: სიკვდილი ვითარცა არარაი არს და განმქარებელი ჩვენი არს; სიკვდილისა არსება უჩინო არს და ხილულისა ჩვენისა არსებისა უჩინო მყოფელი არს; სიკვდილი უხორცო არს და ხორცთა ჩვენთა დამადნობელი არს; სი-

კვდილი უსულო არს და სულთა ჩვენთა წარმტაცებელი არს; სიკვდილითა მკვლანი არა აქვს და ძვალთა ჩვენთა განსამშვივლებელი არს; სიკვდილსა ძარღვნი არა ასხენ და ნაწევართა ჩვენთა დამსხნელი არს; სიკვდილი უხმო და უსიტყო არს და სიტყვათა ჩვენთა დამადუმებელი არს; სიკვდილი უცნობო არს და ცნობათა და გონებათა ჩვენთა მიმღებელი არს.

გვეშინოდენ სიკვდილისაგან! უკეთუ არა სჯერ-ხარ, სიკვდილი მესისხლე არს ჩვენი; სიკვდილი მამის მკვლელი არს ჩვენი; სიკვდილი მშობელთა ჩვენთა დამხოცელი არს; სიკვდილი ძმათა და ნათესავთა ჩვენთა ამომწყვეტელი არს.

ვეკრძალნეთ სიკვდილსა! ჩვენდაცა მზა არს მოსიკუდილ და წარწყმედაცა ნებავს და შთაყვანა, ვიდრე ჯოჯოხეთამდე. სიკვდილისა ზარმაცი ცხენი გვეწევა და ჩვენი სწრაფი ცხენი ვერ წარელტვის. სიკვდილისა უქონელი ხრმალი ჩვენთა ხორცთა განჰკვეთს და ჩვენი რკინის მახვილი მას ვერას აენებს; სიკვდილისა უხმო ხმა გავგანქრევს და ჩვენი მრავალმოუბარენა მას ვერას შეასმინებს; ჩვენი ვედრება მას ვერ მოამშვიდებს; ჩვენი ლიქნა მას ვერ დააწყნარებს, ქრთამი ვერ დაგვაგებობრებს; თქრო და ვერცხლო ვერ დაგვაწყობს. ესრეთ უწყალოა ჩვენ ზედა.

ვაი, მოსლვისა მისისა მოლოდინსა! წმიდათა კაცთათვისცა საზარელ არს მოსლვა მისი, რამეთუ იტყვის ფსალმუნი ნდ: „შიში სიკვდილისა დამეცა ჩემ ზედა“.¹⁴ და „სხვაგან იტყვის: „მიწად სიკუდილისა შთამხადე მე“.¹⁵ რასადა ვიტყვი დავითისა და სხვათა წმიდათა, თვით მაცხოვარი იტყოდა მარკოზის იდ თავსა შინა: „შეძრწუნებულ არს სული ჩემი, ვიდრე სიკუდილმდე“.¹⁶ აი როგორი შემადრწუნებელი არს

¹⁴ ფს. 54,4.

¹⁵ ფს. 21,16.

¹⁶ მარკოზი 14, 34.



სიკვდილი მართალთათვის, ვაი რა—მე
ეგოს ცოდვილსა?!”

— სიკვდილი ყველას ათავისუფლებს
ტანჯვა-წვალებისაგან, — აცვიატა ეს
აზრი და მოსვენება დაუკარგა, — მაგ-
რამ ხომ არიან ისეთი ადამიანები, ვინც
არას დაგიდევენ ტანჯვა-წვალებას,
ეპოტინებიან აკრძალულ ხილს, წამი-
სად ბედნიერნი და კმაყოფილნი რჩე-
ბიან, და თუ თავის ისედაც ხანმოკლე
სიცოცხლის ნახევარზე მეტს დიღეგე-
ბის ლესვას მონადომებენ ამისი ჯავ-
რი აღარა აქვთ სწორედ ასეთი უჯი-
თი ადამიანების არტახებში მოსაქვე-
ვად, დასაშინებლად არსებობს ზესთა
სოფელი და ჯოჯოხეთი. ზოგიერთის
წრეგადასულ სითამამესა და თავხედო-
ბას კი ჯოჯოხეთი და განსაწმენდელი,
მარადიული ტანჯვა და წვალებაც არ
შეეღის. ანდა რას აქნევს ადამის ძე ამ
ქვეყნად ყოფნას, სადაც მხოლოდ ბო-
როტებას, შურს, მტრობას, ორპირობას
და ყოველგვარ სისაძაგლეს დაუსადგუ-
რებას? ირგვლივ ყოველივე წყვდიადი-
თაა შემორკალული და ნათელი არსაი-
დან იხილვება! ამოა ჩემი შფოთვა და
დრტყენვაც: ამოაება ამოაებათა და ყო-
ველივე ამოა“. მერე დიონისეს სიბრძ-
ნე გაახსენდა რუსთველისგან გადმო-
ცემული:

ამ საქმესა დაფარულსა ბრძენი დიენოს
განაცხადებს!
ღმერთი კარგსა მოაფლინებს და ბოროტსა
არ დაბადებს“.

თუ ღმერთი ბოროტს არ ბადებს, მა-
შინ სიკვდილიც არ ყოფილა ბოროტე-
ბა. ანდა რატომაა ბოროტება სიკვდი-
ლი როცა იგი ღმერთის ნებით ხდება ამ
ქვეყნად. სიკვდილი მიახლოებაა და-
მბადებელთან ყველა იმისათვის, ვისაც
ჯოჯოხეთში დანთქმა არ უწერია, —
განვიღო გზას ერთხელ კიდევ გადაავ-
ლო გონების თვალი, ერთხელ კიდევ
აწონ-დაწონა თავისი ცოდვა-მადლი,
— უსამართლობა თითქოს არასდროს
ჩაუდენია ხალხის და ქვეყნის წინაშეც

პირნათელი უნდა იყოს, ხშირად აპყ-
ლია გულისთქმას, მაგრამ ცოდვა რამ
არ მიუძღვის, თორემ გაახსენდებოდა
ცოდვა ხომ განზრახ, საკუთარი ნების
გამოხატვით უნდა ჩაედინა. უნებლიე
ცოდვას ცოტა ვინმე თუ სჩადის. აღვი-
რახსნილი სურვილებიც არა ჰქონია,
ჟინს აპყოლია, ქალებთან განცბრომას-
აც მისცემია, თუცა საკუთარ ვნებებს
მუდამ იმორჩილებდა, იოკებდა. კარგი
კი ჰქმნა რომ ასე იყო? ეს მკრეხელუ-
რი აზრით გაუჩნდა. ეჰ, ცხოვრების
დაწყება რომ თავიდან შეეძლოს?! თუ-
მცა მართლაც რომ შეეძლოს, ისევ
იმავე გზას აირჩევდა სავალად, მოწა-
მებრივ გზას. ნეტავ განჩინება მის ამ-
ქვეყნიურ ცხოვრებას ვინ უნდა გამოუ-
ტანოს? ნუთუ არსთაგამრიგე იმისათ-
ვის იცლის, რომ ყოველ სულდგმულს
ცოდვა-მადლი აუწონოს? არა! ყველა-
ფერსა და ყოველივეს ისევ ცხოვრე-
ბაში ედგმება გვირგვინი. ყველას და
ყველაფერს განაჩენს ყოვლის უწყა-
ლოდ დამამხობელი და ყოვლის უებ-
რო მკურნალი დრო, ჟამი და შთამომ-
ვლობა გამოუტანსო, ამას ეუბნებოდა
გონების ხმა. დღე-ღამის სამანზე
ელოდეთ სიკვდილს, ამას ჩასჩურჩულე-
ბდა წინათვარძნობა, და ისე სარწმუ-
ნოდ, რომ სიკვდილს თითქოს შეეგუ-
კიდევ, გულის ხმა კვლავ სიცოცხლეს
ითხოვდა. სულის ძახილი კი მშობლიუ-
რი მიწის ყივილის ხმას აპყვა. და თით-
ქოს ყურებში ჩასძახოდა: ზედაზენი და
შიო-მღვიმე არისო შენი განსასვენებე-
ლი სავანე.

არსთაგამრიგე იმ ღამით ძილში გა-
მოეტება — ზეცაში წაგიყვან, შენ ხომ
ცად ამალეობა დაიმსახურეო, — უთხრა
სასიამოვნო ღვთაებრივი ხმით. — ყო-
ველი დაბადებადი, განვითარებადი, მო-
მავკვდავი და ხრწნადიო, — გაანდო, —
ხოლო თანამომემე თლეს გამოაკლდები
თუ ხვალ, სიცოცხლით მინც უძღები
აღესრულები და ამას არავითარი აზრი

ელგუჯა მალრაძე
გოდება

არა აქვსო, — დაამშვიდა. დავითს სიკვდილი უფრო საშინელებად წარმოედგინა, ვიდრე სინამდვილეში აღმოჩნდა. იგი სწორედ გამთენიისას, დღისა და ღამის სამანზე აღესრულა. გარდაცვალა ძილბურანში, იმ სასოებით, რომ იქ მაინც არ იქნებოდა მარტო თვისტომთ, ნათესავთ, ახლობელთ, მეგობრებს მოკლებული, ყოველშემთხვევაში ასე აღუთქვა უფალმა:

მარტო ვიყავ, არვინ მყვანდა მე ღვთის მეტოხება პატრონი,

არცა მაქვანდა საიმედოდ საჭურველი
სამხედრონი,
ღმერთს მივენდევ, მან ისმინა იგი ჩემი
სავედრონი...

დავითმა, უთვისტომო და უძირო პოეტმა, „ყრმებს უძღვნა“ თავისი წიგნი, რათა „არ შექმნან დასახვევლად“.

ესეც ერთი ფაუსტური ნაბიჯია ბრძენი ქართველი მგოსნისა!

უბრალოდ, უზარხეიმოდ დამმარხეთო, კუბოს ნუ შეღებავთო, ანდერძად ტოვებს, სილამაზე მოეშლებათ.

... ალბათ, სიკვდილის წინ ისეც ოცნებობდა მორწყულ ველებზე, მობიბინე ბალახზე, მწვანე ჯეჯილზე, ჭალაში ჩადგმულ წისკვილზე და ფაუსტივით სანახევროდ დაბრმავებული, მაგრამ ნათელმზილველი მისგან დამოუკიდებლად ჩურჩულებდა: „შეჩერდი, წამო! ერთი დღე კიდევ მაცოცხლე და მაცქერინე ოცნების ყვავილებისათვის!“
სიკვდილი ცელს ლესავდა...

მთელი საუკუნენახევარი არაფერი იცოდა ქართველმა ხალხმა, თუ სად განისვენებდა მისი სასიქადულო შვილი.

1837 წელს პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიაში ქართულ ლიტერატურაზე მოხსენებით გამოვიდა ჩვენი ერის დიდი მოამაგე მარი ბროსე. სხვათაშორის მან განაცხადა, გურამიშვილის სამარეს ვეძებდი, მაგრამ ამაოდ დავეშვით.

1874 წელს დიდი ილია ერთი კვირით დარჩა პოლტავაში, მაგრამ „დავი-

თიანის“ ავტორის საფლავს ვერც მან მიაკვლია. ამაოდ გაისარჯა მგოსნის მგალობლიშვილიც.

1896 წელს აკაკი წერეთელმა ანდერძად დაგვიგდო, მირგოროდსა და ზუბოვკაში ეძიებდეთ მგოსნის სამარესო.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ფრთა შეესხა იმ დიდ ძიებას, რასაც უწინ მხოლოდ გულშემატკივარი, ერის მოჭირნახულე ერთეულები აწარმოებდნენ.

1929 წლის აგვისტოში პავლო ტიჩინა და პეტრო პანჩიკ საგანგებოდ ჩავიდნენ მირგოროდში, მცდელობა არ დაუკლიათ, მაგრამ ვერაფერს მიაკვლიეს. ადგილობრივმა მცხოვრებლებმა მათ ძველი სასაფლაოც კი ვერ უჩვენეს.

ამ საქმეს შუქი მოჰფინა უკრაინელმა დაუცხრომელმა მკვლევარმა დმიტრო კოსარიკმა.

1937 წელს უკრაინის მწერალთა კავშირის რუსთაველის საიუბილეო კომიტეტმა დმიტრო კოსარიკს არქივებში ქართული საბუთების ძიება დაავალა.

დეკემბრის თვეში კოსარიკმა პოლტავის სახელმწიფო არქივში მიაკვლია ცნობებს, რომელთა თანახმადაც 1782 — 1783 წლებში გურამიშვილი, მისი მეუღლე ტატიანა და მათი გლენები უკრაინაში იმყოფებოდნენ... მკვლევარმა მოსკოვისა და უკრაინის არქივებში ძიება განაგრძო და 1940 წლის 21 ივნისს მიაგნო პოეტის გარდაცვალების მეტრიკულ ჩანაწერს.

დმიტრო კოსარიკმა მოიძია ის ძვირფასი მასალები, რომელთაც შუქი მოჰფინეს გურამიშვილის ცხოვრების მანამდე უცნობ დეტალებს.

კოსარიკის ნამდვილი გვარი კოვალენკოა. მწერალი 1904 წელს დაიბადა პოლტავის გუბერნიის ერთ-ერთ სოფელში, აქვს წიგნები ჰუსკინზე, შევჩენკოზე, გორკოზე, გურამიშვილზე... ჩვენთვის განსაკუთრებით ძვირფასია მისი მუშაობა უკრაინა-საქართველოს ურთიერთობაზე.



კოსარიკის წიგნი „დავით გურამი-
შვილი“ კიევიში გამოვიდა 1950 წელს,
ქართულად კი 1948 წელს გამოქვეყნ-
და მისი წიგნი „დავით გურამიშვილი
უკრაინაში“.

თავის აღმოჩენის შესახებ ქართუ-
ლი საზოგადოებრიობის წინაშე კოსა-
რიკი მოხსენებით გამოვიდა 1948 წლია
იენისში.

გურამიშვილის სამარე კოსარიკს
უჩვენეს ბორის გავრიშმა და ზაქარია
კუროჩკამ. ექვსი წლის შემდეგ მათი
ცნობა თორმეტმა სხვა მირგოროდელ-
მაც დაადასტურა. საფლავზე ყოფილა
თუჯის ფილა ასეთი წარწერით: „Князь
Давид Гурамов“. მწერალთა კავში-
რის კომისიამ და ქალაქ მირგორო-
დის საბჭომ ეს აღმოჩენა აქტით და-
მოწმეს.

კოსარიკის მიერ აღმოჩენილი დო-
კუმენტებიდან განსაკუთრებით მნიშ-
ვნელოვანია მეტრიკული წიგნი. ესაა
მირგოროდის ღვთისმშობლის მიძინე-
ბის ტაძრის სამრევლოს მეტრიკული
წიგნი, მოძღვრის თანაშემწის რომან
შაფრანსკის მიერ დაწყებული (მამაკაც-
თა გრაფა, №29). იქ აღნიშნულია, რომ
დავით გურამიშვილმა განისვენა 1792
წლის 21 ივლისს (აგვისტოს თვეში, ფე-
რისცვალბის დასაწყისში), მირგო-
როდში, დასაფლავებულია იმავე ტა-
ძრის ეზოში, ქალაქის განაპირას სორო-
ჩინცის შარაგზასა და პოლტავის ქუჩის
გადაკვეთაზე, ქართველთა ყოფილი
ახალშენის („ნოვოსელიცას“) მახლობ-
ლად. ამრიგად, მირიანთან შეხვედრისა
და კრემენჩუკიდან მირგოროდს დაბრუ-
ნების შემდეგ პოეტმა კიდევ ხუთი წე-
ლი იცოცხლა, მაგრამ მისი ცხოვრების
ტილოზე ამ მონაკვეთსაც ბურუსი ფა-
რავს.

სადაც იმ მიდამოებში, პოროლზე
უნდა გაემართა წისქვილი. ასეთია ვად-
მოცემაც, რაც დღემდე ცოცხლობს.
მაგრამ დანამდვილებით არავინ იცის,
დაეხმარა თუ არა პოეტს მირიანი. სა-
ეჭვოა, რადგან თვითონ საქართველო
ითხოვდა მაშინ დახმარებას.

1948 წლის 1 აგვისტოს პოეტის საყ-
ლავე ინახულეს ქარაველმა მწერლებ-
მა და მკვლევარებმა. შალვა დადიანმა
მუხლი მოიყარა და წმინდა სამარეს და-
აყარა ნ. ბარათაშვილის, ი. ჭავჭავაძის,
ა. წერეთლის, ვაჟას საფლავებიდან
აღებული მთაწმინდის მიწა...

საფლავთან დიდი სადილი გაიმართა.
ეს იყო მოძმე ხალხთა ზეიმი. გურამიშ-
ვილის სახელთან დაკავშირებული ადგი-
ლები უკრაინაში წმინდა ეროვნულ ად-
გილებად იქცა. კემშარიტად, ძლიერია
პოეზიის ჯადო!

მხატვრების ჯანაშიას და ქედიას პრო-
ექტის მიხედვით მოქანდაკე იაკობ რაე-
ბამ თეთრი ბარელიეფი გამოკვეთა.
მშვენიერი ვაჟაკური სახის პროფილს
ამშვენებს წარწერა: „დავით გურამი-
შვილი, მოძმე ქართველი ხალხის დიდი
პოეტი, 1705—1792“.

საოცარი დამთხვევა: 1792 წლის
1 აგვისტოს მირგოროდში გარდაიცვა-
ლა დავით გურამიშვილი, ხოლო 121
წლის შემდეგ, 1913 წლის 1 აგვისტოს
სურამში გარდაიცვალა ლესია უკრაინკა.
აგვისტოს თვეში იწყება ბუნების ფე-
რისცვალბაც. აგვისტოს 6 რიცხვი ფე-
რისცვალბის დღეა. ეს დღე, ზაფხულის
ცხელი დღე, ერთა მხურვალე ძმური
სიყვარულის დღეზე იმედ იქცა. 1948 —
1954 წლებში მირგოროდსა და სურამს
შორის აზიდული ცისარტყელა მეტყვე-
ლებდა ხალხთა სულისკვეთებაზე და
პოეტების როლზე. ნიკოლოზ ტიხონო-
ვი წერდა:

ორ ნახაჲს იქით იყო გაშლილი
ეს ცისარტყელა ორმაგი რკალი,
და გვერთებდა ძმური კავშირით,
ვით ხიდი, ზღაპრულ სვეტებზე მდგარი...

ეს დღეზე იმეტი 1949 და 1957 წლებ-
ში დაამშვენა ნათლის სვეტივით აღმარ-
თულმა ორმა ძეგლმა — დავითის ძეგ-
ლმა მირგოროდში და ლესიას ძეგლმა
სურამში.

ელგუჯა მალრაჲ
გოდება

1949 წლის 7 აგვისტოს ოცდახუთი ათასი მშრომელი შეიკრიბა ქობის ზემზე. საქვეყნო დიდების ჰიმნის ხმაზე ჩამოხსნეს საფარველი და გამოჩნდა ქვის სახე ჩვენი დავითისა...

სიტყვებით გამოვიდნენ სანდრო შანშიაშვილი, კარლო კალაძე, ალექსანდრე ბარამიძე, მაცვალა მრეველიშვილი, ბესო ჟღენტი, პავლე ტიჩინა, მიკოლა ბაქანი, ვიქტორ გოლცევი. რადიოში გაისმა ვლადიმერ სოსიურას ხმა:

ჩვენთან ერთად რომ იბრძოდნენ და, ჩვენი ხალხის რომ გწავლა ტკივილი, შენ უკრაინამ, ვით მშობელ დედამ, გულში ჩაგვიკრა ღვაწლი შევიღვივით...

უკრაინელი ხალხის აზრი ნათლად გამოთქვა საზეიმო დღეებში ზუბოვკის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ივანე სუპრუნენკომ: „უკრაინელი ხალხი მარად აღიდებს ქართველი ხალხის შვილს, რომელიც თავისი ლექსებით იმთავითვე ჰკვალავდა მუღმივი მეგობრობის გზას უკრაინიდან საქართველომდე“.

ეს ძიება სხივმოსილია (ლესიას და შიო ჩიტაძის, ტარასის და აკაკის, ილიას და მახეალ კოციუბინსკის მეგობრობით). ეს ორი ხალხი ქეშმარიტად სამოდ და სამეგობროდ შექმნილა, რაღაც მადლი და სიმტკიცე დაჰყვებოდა თავიდანვე ამ მეგობრობას. რასაც ვერ შლიდა ენის სხვადასხვაობა და გეოგრაფიული სიშორე.

დავითი, ლესია, ტარასი — რა ბრწყინვალე სამეულია! ეს საყვარელი აღამიანები, რომელთა ნათელი სახეებიც მარტო სახელის სხენებაზე თვალწინ წამოდგებიან ხოლმე, სიმბოლოა ორი ერის ძმური სიყვარულისა. ამ იმობის დროშაზე წერია დიდი ტარასის სიტყვები:

დიდება თქვენს ვაჟაცობას,
თოვლიანო მთებო,
თქვენ — დიდება! არ დანებდეთ
მომალდე სვავებს...
ზეცის მაღლი ეფიჩება
თქვენს ქალბა თავებს...

მირგოროლის ერთ-ერთ ქუჩას და

სკოლას ეწოდა გურამიშვილის სახელი, გაკეთდა მემორიალური დაფა. მემორიალზე ბაქანმა ბრწყინვალედ თარგმნა „დავითიანი“, ხალხმა რამდენიმე დღეში დაიტაცა თავისი ოდინდელი სტუმრისა და ნაშვილების ლექსთაკრებული.

გურამიშვილის სურვილი იყო კახეთს, ზედაზენს ან ქართლს, შიო მღვიმეს დაევაწებინათ მისი ცხედარი ამის სანაცვლოდ უცხო ცის ქვეშ დაიმარხა. ეპიტაფიაც კი ვერ წააწერეს მის სამარის ქვას, მხოლოდ წიგნში დარჩა:

ახლა მობრძანდი, მნახველო, მნახე,
მისად სანუფქოდ სად დავიმარხე!
ხორციით აქ ვლპები, აწ ჩემი სული,
არა ვიცი რა, სად არს მისული!

გურამიშვილი წუთისოფელმა სიცოცხლეში არ გაახარა და გარდაცვალების შემდეგაც კი არ შეუხსურლა უკანასკნელი სურვილი, ვერ წაუწერა უბრალო ქვაზე წარწერა, რომ შთამომავლობას სცოდნოდა, სად დაიმარხა ქართლის ქირის მოაზრე.

ტატიანა მოესწრო დავითის გარდაცვალებას. ვინ იცის, რა გულსაკლავად დასტიროდა თავის სახელოვან მეუღლეს!

გავიდა ორი წელიც და 1794 წლის 18 აპრილს იმავე მეტრიკულ წიგნში ჩაუწერიათ: „გარდაიცვალა თავადის მეუღლე ტატიანა გურამოვა, 68 წლისა“.

ამის შემდეგ „გურამოვების“ საგვარეულო წიგნი დაიხურა, რათა ორი საუკუნის შემდეგ იქ სხივი შეჭრილიყო და მგოსნის სახე სამზეოზე გამოეტანა.

დაიხ, ამოდ დაეძებდნენ გურამიშვილის სამარეს ილია და აკაკი. მხოლოდ ჩვენს დროში მოხერხდა პოვნა უკრაინელი მეგობრების დახმარებით. ამ მეგობრობის ნამდვილ სიმბოლოდ იქცა ლესია უკრაინკა, და მასზე აღრე დავით გურამიშვილი. უკრაინა იყო დავითის მეორე სამშობლო, და ალბათ ქართველი რომ არ ყოფილიყო, უკრაინელი პოეტის პატივს აკუთვნებდა არსთავამრიგე.

(გავრძელება იქნება).

ლაქსი
როგორღეცაა ახალი ქალაქის
დედოფალს ბოროტად ესაუბრება

როგორ მიხვალ, ერთხელ მაინც
 მოიხედე უკან!..
 აღარ გადგას ცისარტყელა
 თავზე ვიადუკად.

მე მეგონა, მხოლოდ ძილში
 შეიცვალე მხარი,
 მაგრამ, არა! უღარდელად
 გაიხურე კარი.

ახლა როგორ აფუხილთ
 თვალი ტანჯვით ნაშობს
 ან უშენოდ სიკვდილს, მითხარ,
 როგორ ვეთამაშო..

რომელ კედელს მოვეჭიოდ
 ან აივნის რიკულს,
 მითხარ, თავი ვის წინაშე
 უნდა მოვიდრიკო.

ან უშენოდ როგორ მიინდა
 ორმოცი წლის მოზარდს,
 დავრჩე მხოლოდ ოცნების და
 სიზმრის კალატოზად.

რამ ვებრძოლო უნდობლობას
 ნდობით, მხოლოდ ნდობით,
 გაფუშკლავდე მოგონებას
 ცეცხლით გამოხმობილს.

წარსულიდან რომ მეოცე
 საუკუნის თვისტომს
 მიყურებდეს დაჟინებით
 ორი ამეთვისტო.

ვამსწევებდე მზის წინაშე
 მუხლმოდრეკილ თბილისს,
 ჩემს ცხედარზე ისტორია
 სანამ გადაივლის...

არ მსურს, მხოლოდ სხვამ დახედოს
 მაგ თვალების ვიტრაჟს
 და უჩემოდ იცლებოდეს
 ვე სიცილის ლიტრა.

არ მსურს, მხოლოდ სხვაგან იყო,
 სხვამ დაგიგდოს ყური
 ან ყინვაში ნახო სხვაგან
 ფანჯრის გიპიური.

როგორ მიხვალ?.. რა გულგრილად
 აიჩეჩე მხრები,
 მეტისმეტე ნდობით სიტყვას
 რატომ ვეკიდები?..

როგორ მიხვალ?.. შემობრუნდი
 უძღები და შმაგი,
 ვადამჩეხე შენი შუერას
 ორი ლიანდაგით.

რომ აიჭრას ფიქრი მალდა
 და იქ იბანაოს,
 სიხარულის რეკოს ზარმა:
 ნაუ! ნაუ! ნაუ!

რომ დაგადგეს ცისარტყელა
 თავზე ვიადუკად,
 როგორ მიხვალ, ერთხელ მაინც
 მოიხედე უკან!..

უსახელო მალეობი

სიყვარულო, ვიცი, ვიცი, ყველაფერს ხვდები.
 და ისიც ვიცი, თვალებს ხუჭავ.
 თავს იტყუებ.
 სიძულვილთან ბრძოლას გაურბი.

არ გაუწოდო სიძულვილს ხელი.
იყავ სასტიკი.
არ შეიბრალო.
იცოდე, საფრთხე დაგემუქრება.
იმედი დიდი ნუგეშია.
მაგრამ იმედი ვერაგია.
იმედის იმედით ნუ იქნები.
(შეიძლება თავის სასასლესთან დიდხანს გალოდინოს,
შიგ არ შევიშვას).

მწუხარებამ არ დაგიკარგოს სიამაყე.
მე დაშენდე.
ჩვენ ერთმანეთის მხარდამხარ ვიბრძვით.
ო, სიყვარულო, ვინ იცის, ჩვენში
რომელი რომლის დასაყრდენია.

ეს უსახელო მალლობი ჩემი,
რომელიც შენი სამფლობელოა,
ავიდე ბრძოლით, გადავიხადე
ბრძოლა მედგარი, სასტიკი და დაუნდობელი.
მაიძულებდა თავყანისცემას
ზარბაზნებიდან ამოსული ცეცხლის ღვთაება.
ჩემი წარსულიდან წამოსული
ვჭრიდი უხილავ მავთულხლართებს.
წინ მივიწვევდი სიამაყის ქვეშევრდომი.
და გზადაგზა ჩემი ფიქრების გვამებს ვტოვებდი,
რომ გამემარჯვა სიკვდილამდე სიკვდილზე ბევრჯერ.
მე ვაფასებდი ვარსკვლავების ჩუმ ერთგულებას
წაკითხულია მრავალი წიგნი.
გავლილია განსაწმენდელი.
მე ვერასოდეს დავასაფლავებ
წარსულს მოცარტის რეჟიემით.
დაბადებამდე დაწყებულია
ჩემი ფარული იდუმალი კავშირი შენთან.

ამიერიდან ამ უსახელო
მალლობზე ჩემი დროშა ფრიალებს!..
ამიერიდან უკუნისამდე
ის სიყვარულის სამფლობელოა
და სიძულვილთან ორთაბრძოლაში
დასაცავია ჩემი მკერდით.

სხვა იარაღი რა საჭიროა,
სხვა რაღა უნდა მოვიშველიო,
განა არ კმარა სიყვარული უბრალო, ჩუმი?..
ყველა სანგარი გათხრილია.
ვინც სიყვარულის დაცვას აპირებს,
მოვიდეს ჩემთან!..

აბობოქრებულ სულის კოცონზე
ვინც დასაწვავად განწირულია,
მოვიდეს ჩემთან!..

ამ უსახელო მადლობს ვერავის
ცოცხალი თავით ვერ დავუთმო
და სიყვარულით ძღვევამოსილს
ქვეყნად ვერავინ მომერევა,
ბოლოს მე მხოლოდ სიყვარული მომიღებს ბოლოს!..



უწინ ხელი სტრიქონს სწრაფად
და თამაშით წერდა,
ახლა ნელა მისდევ დაღმა,
როგორც თუშურ ზერდაგს.

მოგონებას ისე ციცქნი,
როგორც ყურძნის კიმელს,
როდის მოვა დედოფალი,
როდის გაგიღიმებს?..

შენი შიში ბერად როდის
უნდა აღიკვეცოს,
რომ წეცვალის ელევია
სიხარულის სკერცომ.

უხილავი ხანძრით როდის
განათდება სული,
რომ თამამად მოიშორო
აზრი უსუსური...

როდის-მეთუი?.. სითამამე
როცა არა გყოფნის,
ლაჯიბია სიტყვა, როგორც
ეკლესია სოფლის...

ქ ა ლ ა ქ ი ს ბ ე ლ უ რ ა

როგორც ქალაქის ბელურა მიყვარს, ისე არ მიყვარს
არც ერთი ჩიტი. ის არის ჩემი ქალაქის ჩიტი და ჩენი სულის
მსგავსი ფრინველი.

მე მგალობელი ბუღბუღი არ ვარ. არც მერცხალი ვარ,
მკვირცხლი მერცხალი და გაზაფხულის მასხარობელი. არც
ტოროლა ვარ, რომ განთიადი ვაუწყო ქალაქს და ამ ქვეყანას.
მე ვარ ბელურა — ქალაქის ჩიტი.

შემოდგომასზე მე ვერსად წავალ და ვერც ზამთარში
მე ვერსად წავალ და მითუმეტეს, ვერც გაზაფხულზე და
ვერც ზაფხულში მე ვერსად წავალ. ამ მტკვარზე დახრილ
უძველეს ქალაქს მე ვერასოდეს ვერ მოვშორდები.

მე უზრუნველი ჩიტი არა ვარ. მე ვარ მზიანი და
ნისლიანი და კვამლიანი ქალაქის ჩიტი და ამ ქალაქის
ქვაფენილებზე უნდა ვიარო და ნამცეცები უნდა ვეძებო
სიხარულისა.

ხან მობუზულმა, ხან მოჟიჟივემ მე ამ ქალაქში უნდა
ვიცხოვრო და ზოგჯერ უნდა ავიჭრა ზევით, სანამ ეს გული
არ გამისკდება და გაყინული, ჩემი ქალაქის ქვაფენილს სანამ
არ დავასკდები.

პიესა ფლიჯისა და ვალტორნის თანხლებით

როცა გავა ასი წელი
ანდა კიდევ უფრო მეტი,
რომელიმე თუატრს ძველი
დასჭირდება სიუჟეტი.

აი, მაშინ ფიცარნაგზე
ჩვენ ერთმანეთს შევეყრებით
სხვისი ხმით და სხვისი სახით,
ჩვენი მზით და ჩვენი ვნებით.

ჩვენს სცენაზე გარდასახვას
ეცდებიან ვიღაც ორნი,
მათ საუბარს მხარს აუბამს
სან ფლეიტა, ხან ვალტორნი.

ბენუარი, ბელეტაჟი,
პარტერი და იარუსი
გაყურდება. მღელვარება
შეგვეტყობა სიარულში.

ვინც ოდესღაც ჩვენს გარშემო
ტრიალებდა უპიესოდ,
მაშინ ყველა იქ იქნება,
გინდ იუდა, გინდ იესო.

ხან ვიცინებთ, ხან ვიტირებთ
და როდესაც დაემუნჯდებით,
ფრთას გაშლიან შერხეული
მღუმარების ფასკუნჯები.

შეგვეცივდება, თითქოს ხიდზე
გადავდივართ, სანამ ვალსი
ჩავევითრევედეს და იქნება
ის დღე ჩვენი რენესანსი.

სხვის სხეულში გავლიძებულ
თრთოლვას იგრძნობს ჩემი ტანი,
ნათრევი და დეკაწრული,
როგორც ძველი ჩემოდანი.

სიყვარულის სამკუთხედი
თუ გაიბა, — ჭაბუკური
ჩემი ვნებით გაოცდება
ხალხი სულ სხვა საუკუნის.

სიყვარულის გრიგალს უნდა
შევებრძოლოთ მაშინ სამნი,
სანამ მე არ გამიცინებ,
როგორც ბუჩქი იასამნის.

და რაც იქნებ გულუბრყვილოდ
მოეჩვენოთ, მაგ ღიმილით
გააქარწყლებ და იცოცხლებ
კვლავ ღიმილის ალქიმით.

არა უშავს, ვიწრო კაბას
თუ გადიწივ მუხლზე ხელით,
თუ სცენაზე გაიქცევი
ქუსლმომძვრალი ფხსაცმელით.

თავისუფლად შეიძლება,
როცა გავა დიდი ხანი,
ჩვენი სიტყვა მოეჩვენოთ
მეტად ნალაღმარდოვანი.

შეიძლება სასაცილოდ
იქცეს ჩვენი ეტიკეტი,
როცა გავა ასი წელი
ანდა კიდევ უფრო მეტი.



სერაფიტის დატირება

1.

ვაი, სერაფიტ!

შენი სახელი ხელიდან მტევანივით გამოვარდა
და აქეთ-იქით გაიფანტა მისი მარცვლები
მომიტევე!

მუხლზე დავეცემი,
უნდა წამოვკრიფო,
იმითომ დავცქერო.

ვაი, სერაფიტ!

ასულო ზევახისა,
ფარსმან მეფის პიტიახშისა.
მეუღლე იოდმანგანისა,
პუბლიოს აგრიპას ძისა,
ქსეფარნუგ მეფის ეზოსმოდვარისა.
რომელიც იყავ ახალგაზრდა
და იყავ ისე მშვენიერი,
არავინ იყო მსგავსი შენი სილამაზითა.

ვაი, სერაფიტ!

შენი ოქროს კილიტებით
ბრწყინავს ჩემი სიზმრების მოსასხამი.
შენს ყელზე ვერძისთავის ავგაროზად
ქანაობს იისფერი ამეთვისტო
და ნიკაპს ესუტება
ვერძის ცივი დრუნჩი.

ავგაროზის კოლოფში ასვენია

კბილი გატეხილი,
ბავშვობაში რომ მოიცვალე.
გახსოვს, როგორ გვატრიალებდა კალთზე კევრი?
ან როცა დათვრა დიონისე,
ნიკაპი როგორ ჩამოღო საწინახელზე?

ვაი, სერაფიტ!

შენ ვერ დაგიტირებს
ჩემი ცრემლი კოკისპირული...

სიკვდილი მელის უსათუოდ!

როგორც აქტონმა,
თუთის ჭალაში დაგინახე,
შიშველი იყავ და ბანაობდი.

ბავშვები ვიყავით,
მომიტვე და მომეშველე,
როცა ირმად გადავიქცევი,
დამფლეთავენ,
ორ ქოფაკს კეტით ვიგერიებ!..

ვაი, სერაფიტ!
არ მასვენებს შენი ღამეების სერდოლიკი,
შენი თვალების სერდოლიკი,
შენი სამაჯურის სერდოლიკი.
დაბინდულია ოქროს მონეტაზე
ანტონინუს პიუსის ხუჭუჭი წვერ-ულვაში
და მარკუს ავრელიუსის შიშველი თავი.
ამ ქვეყანაზე მოსულთაგან
დღეს შენთან უფრო მეტნი არიან,
ვიდრე ჩემთან...

2.

ბედნიერო! ამ ქვეყნიდან
რომ წახვედი ადრე,
მაგრამ თავი სიკვდილს მაინც
რომ არ გაუკადრე.

როცა ველზე დაგვადგენა
უსახური მხეცი,
ნაბიჯს როდი აუჩქარე,
როდი გაიქეცი.

გადიარე მწვანე ველი
შენი თეთრი ქოშით
დედოფალმა, მიმავალმა
სიზმრის სამეფოში.

სანამ ქარში მოგუგუნე
ზარებს დარეკავდი,
შენ სიკვდილმა მოგახურა
ღამის პალეკარტი.

ახლა მხოლოდ ჩემს სიზმრებში
აშრიალებ ქიტონს

და თიბათვეს უმკლავდები...
ვაი, სერაფიტ!..

გაცოცხლებულ სურვილს ხვატი
გააფიცხებს თივით
და პზე სამთითს ატრიალებს
ველზე ეშმაკივით.

კვლავ ცახცახებს შენი ტანი
სიცივით და ვნებით,
ნაპოვნი და გალუმპული
წვიმის ქარავენებით.

ჩემს სიზმრებში შენ ვერავინ
ვერ გიშიშვლებს სხეულს,
ვერ კითხულობს ვერვინ შენი
სულის არამეულს.

და იცინი ისე, როგორც
უწინ იცინოდი,
ვიცი, გნახე, მაგრამ მაინც
როდის გნახე, როდის?..

მ ე ო რ ე მ დ ი ნ ა რ ე

აქ ყველა ქურა მტკვართან თავდება
და ყველა ქურა მტკვარს გადასცქერის.
აქ მუდამ მტკვრისკენ ხელებს იწვდიან
და მიცურავენ მტკვარში ცაცხვები.

ის აქ იქნება,
სულ აქ იქნება.

შენ თავიდანვე გშურდა მდინარის.
ქვეყნად გაქრება მხოლოდ მეორე
მდინარე — შმაგი და უჩინარი.
ის შენში მღერის და შენთან ერთად
ამ საუკუნის, ვთქვათ, მიწურულში
განწირულია დასადუპავად,
როცა ჩაყლაპავს ჟამის ბურუსი.
ის ჯერ მიღელავს ქუჩის კედლებში
და ესეთქება ქუჩის ქვაფენილს.
იმის გაქრობას ვერ შეამჩნევენ
ამ საუკუნის გეოგრაფები.
ის შენში მღერის და მიგაქანებს
რადაც სიგიჟით და გატაცებით
და არ ისვენებს.
ირეკლებიან და იმსხვერვიან შიგ ათასები.
იმის ზვირთებში ტორტმანებს ჩრდილი
ამ ხელთუქმნელი ქვეყნის სასახლის
და ეს მდინარე თავაწყვეტილი
გზა არის შენი თავგადასავლის.
შენ ხიდებს აგებ ამ მდინარეზე
და გადადიხარ, როგორც ულისე,
ხან წარსულიდან მომავლისაკენ,
ხან მომავლიდან — კვლავ წარსულისკენ.
აუმღვრეველი და ამღვრეული
ესახუნება მუცლით ტროტუარს:
და იძვრის ფიქრი იმის ზვირთებში
რადაც უეცრად და ქაოტურად.
ამ უხილავი მდინარის ტყვე ხარ,
შენ მასთან ერთად გადაეგლები
ჩახერგილ ლოდებზე და გაიქცევი...
უკან მოგღვევენ მთები — მღვერები...



როსკომ ბეჰანიშვილი

მ ა რ ა ო

მარაო ძველისძველი იყო, სპილოს ძვლისა, გაშლილი და ზედ უცნობი პეი-ზაჟი გამოჩნდებოდა. წელში მოხრილი ქალები მუხლამდე წყალში იდგნენ და ბრინჯს თესდნენ. ქალებს კაბები აეკეცათ, გამხმარი, წვრილი ფეხები ტალახით მოსეროდათ და მათი ისედაც თხელი მკერდი ქილის ქუდს დაეფარა. ქანცვამწყვეტ ჯაფას ქალებში ყველაფერი ქალური გაეჭრო.

როცა დოდო მარაოს დაკეცავდა, ყოველივე ეს მარაოს ცისფერ ატლასში გედვიით ფრთებდაკეცილი იძინებდა, მხოლოდ ოთახში კიდევ კარგახანს ტრიალებდა ნელსაცხებლისა და ქალის სხეულის შემპარავი, მათრობელი სურნელი.

ახლა დოდო მოწყენილი იდგა ქუჩაში, და თეატრის აფიშას ათვალიერებდა.

— დონ კარლოსზე გირჩევთ ბილეთის აღებას, — ჩასჩურჩულა ყურში ვილაცამ, — კარგი სპექტაკლია.

დოდომ შეხედა. სუფთად პირგაბარსული, მღალაი, ღმელი კაცი თვალებით უღიძოდა.

დოდომ არაფერი უპასუხა.

— თუმცა, გემოვნება ყველას საკუთარი აქვს...

ისინი კაფეში შევიდნენ. კაცმა ყავა შეუკვეთა.

არაფერი არ იყო უცნობი არც კაფეში, არც მის მენიუში და არც კაცის საუბარში. დოდო მამაკაცს მაშინვე ატ-

ყოზდა სიყალბეს და გულწრფელობასაც მაშინვე აფასებდა. მიზანი კი, დოდოს ფიქრით, ყველა მამაკაცს აერთიანებდა. რახან მიზანი ერთი იყო, რჩებოდა სხვაობა ხერხებსა და ილეთებში ამ მიზნის მისაღწევად. ამიტომ დოდო სამ ჯგუფად ჰყოფდა მამაკაცებს: ჯენტლმენებად, ხეპრეებად და თავხედებად.

დოდოს თხელი, ღრმად გულამოჭრილი კაბა ეცვა. ფაფუკი, თეთრი მკერდი მოუჩანდა. თვალებში ხანდახან გაუჩრთებოდა სიხარულის ნაპერწყალი, თუ ლამაზ შედარებას ან გულწრფელ სიტყვას გაიგონებდა. კალამბურები, პარადოქსები და ქათინაურები კაცს ჩეჩქევით ბლომად ჰქონდა. დოდო კი ატყოზდა, კაცს რაც უნდოდა. თვალებში ღიმილი უთიმთიმებდა და თავს ძლივს იკავებდა ხმამაღლა არ გასცინებოდა.

უსმენდა მოთმინებით და ყურადღებით. ვაცვეთილი, ძველი ფირფიტა ბრუნავდა. დოდო ნატრობდა ერთი საკუთარი აზრი, ერთი მართლაც ჭკვიანური რამ ეთქვა ამ „ჯენტლმენს“ და სადაც უბრძანებდა, იქ გაჰყვებოდა. მაგრამ კაცი ასეთს არაფერს ამზობდა და დოდოსაც არსად წასვლა არ უნდოდა.

სადამოს დოდო შინ იყო და სწორედ მაშინ სპექტაკლი რომ უნდა დაწყებულიყო, ამხანაგს ელაპარაკებოდა ტელეფონით:



— მომბეზრდა ყველაფერი.
 — ასე ვართ ყველა.
 — მე ხომ მაქვს საკუთარი გაგება...
 — რა თქმა უნდა. მაგას ყველას ვერ აუხსნია.
 — არც უნდა ავუხსნა. ბოლოსდაბოლოს, რალაცას ხომ თვითონაც უნდა მიხვდეს.
 — ვისა აქვს მაგისი თავი.
 — რისი თავი?
 — მიხვედრას ცოდნა უნდა. ხო ნახე, ღია გაეყარა.
 — თავიდანვე არ უნდა გაყოლოდა.
 — რა მეშხანობაა კარაკულოო, დუბლიონკაო... მაგრამ შიშველიც ხომ ვერ ივლიდა?
 — შიშველმა რომ იარო, ცოტა ლამაზიც უნდა იყო.
 სიცილის მერე.
 — უნდა მოგეწონოს, უნდა გაგიყდეს, ისე არ შეიძლება.
 — რა არ შეიძლება?
 — ცხოვრება.
 — გაგიყდი მერე, ვინ გიშლის.
 — გგონია იოლია?
 — სჯობდა მუშაობა დაგეწყო. გინდა ჩემთან მოდი, ინტურისტში.
 — ახლა კიდევ ექსკურსიებზე მატარე.
 — აბა რა გიყო, რალაც ხომ უნდა გააყეთო.
 დოდოს განსაკუთრებით უხდებოდა ღია ვარდისფერი კაბა. საყვლო ჭრელი ბაფთით ჰქონდა შეკრული, მკლავები მთლიანად დაფარული და ხელზე ერთადერთი უთვლო ბეჭედი ეკეთა. ამ დროს დოდოს თვალები მკაცრი იყო და იმედისმომცემიც.
 მისი ოთახი ბინაში სულ განაპირას იყო. დიდი ფანჯარა ბალისკენ გადიოდა. ბაღში გაზაფხულიდან შემოდგომამდე პენსიონერები იყვნენ, ზამთრობით ბავშვები. თუ ფანჯარა ღია იყო, ოთახი ხმებით ივსებოდა. დოდოს უყვარდა ეს ხმები. ისინი თითქოს სადღაც ეძახდნენ, აქეზებდნენ, ზოგჯერ სთხოვდნენ და ემუდარებოდნენ. ყოველთვის, როცა მოწყენილი იყო, ფანჯრის რაფას

დაეყუდებოდა და ბალისკენ აცქირებოდა.
 უკან საკმაოდ მოზრდილი ოთახი იყო. ნაცნობი საგნები. მაგნიტოფონი, კასეტებით გამოტენილი თარო, სიგარეტის კოლოფები, კედელზე რამდენიმე ჰედურება. საწოლთან, ტუმბოზე ყდაგადაკეცილი ყურნალი. იატაკზე დაფენილ ნოხს ყოველი ნაფეხური აჩნდებოდა. ამ ოთახში ყველაფერი არათუ სუფთა, სტერილებული იყო.
 მაგიდაზე თეთრი სუფრა ეფარა და ზედ რამდენიმე ატამი იდო. დედა ყოველთვის უჯავრდებოდა, მაგრამ მშრალ ხილს დოდო არასოდეს სდებდა თეფშზე. დააწყობდა და შორიდან უტკეროდა ამ უცნაურ ნატურმორტს.
 საღამოს ისევ ვილაცას დაურეკავდა. შეთანხმდებოდნენ და კინოში წავიდოდნენ.
 ის კი არ ჩანდა.
 დოდო ელოდა, მოთმინებით და ყურადღებით. ზოგჯერ მისი ნაბიჯების ხმაც ესმოდა. ხან ბალიდან, ხან დერეფნიდან, ხან კიბეზე. არა, ეს ხომ მეეზოვის ცოცხის ფხაკუნია; დედის ფაჩუნებია, ფოსტალონის ჩაკეცივებაა.
 დადებდა ბალიშზე თავს და გაყუჩებული მისჩერებოდა სივრცეს. შორს ჯერები რიალებდა, ქალაქი ხმაურობდა.
 ჭერს ხაზები გასდევდა. საღებავს ფერა შესცვლოდა და კუთხეში, ცენტრალური გათბობის მილი თითქოს შებოლილიყო. ფანჯარას წვიმის წვეთები შერჩენოდა და ერთი დიდი, მოღლილი ბუზი.
 შემოდგომა იდგა. წინ გრძელი, თოვლიანი ზამთარი იდო.
 „რომელი ჩემით უნდა ვიარო იმ მყაპში“, — გაიფიქრა დოდომ და შეციებულმა თავის გარდერობს შეხედა.
 მისი ნაბიჯების ხმა არ ისმოდა. მრცხველი ღულუნებდა დერეფანში. იგი ყოველთვის ღულუნებდა, მაგრამ ახლა ისმოდა მისი ხმა.

როსტომ ბაქანიშვილი
 მოთხრობები

იმ პატარა ქალაქში, სადაც მთელი ქვეყანა ხალხი ცხოვრობდა, ცირკი ჩამოვიდა. დიდ-პატარა სიხარულით ცას დაეწია. ის გარეგნული სიღინჯე, რაც პატარა, პროვინციალური ქალაქის მცხოვრებთ სტუმრის თვალის ასახვევად აქვთ შემონახული, ერთბაშად სადღაც გაქრა და თოფივით გავარდა: ცირკი! ცირკი!

ნაცნობ-მეგობრები, მეზობლები თუ უბრალოდ გამკვლელი ერთმანეთს რომ ხვდებოდნენ, მისალმებისა და ჩვეულებრივი მოკითხვის მაგაერ, ცირკის ამბებს ეკითხებოდნენ. ბილეთები გაცივდული კი არა -- დატაცებული იყო და ახლა რა ფარატიანა ქალაქის ნაგლეგებს ისე უფრთხილდებოდნენ, როგორც შემნახველი სალაროს წიგნაკს.

ყველა გახარებული იყო, თუმცა არავინ არ უფიქრდებოდა რა იყო სხარტულის მიზეზი. გახარებული იყო, შორჩა და ვათადა... გადაიდო ნიშნობა, ორი ქორწილი და კინალამ ქელეხიც გადადეს, მაგრამ მიცვალებულს მაცივარში ხომ ვერ შეინახავდნენ? ამიტომ ფაციფუციით მიაბარეს მიწას, ქელეხი სახელდახელოდ შეხანხლეს და კვლავ თავის სიხარულს დაუბრუნდნენ.

ხუმრობა ხომ არ იყო, იმ პატარა ქალაქში ცირკი ჩამოვიდა! ნაფეტვარიძეების მთელმა ოჯახმა ახალი ტანსაცმელი შეიკერა. კვირკველია გაყრილ ცოლს შეურიგდა. შრომის მასწავლებელმა ბისმარკ გურგენიძემ ორიანი აღარ გამოაყოლა მეშვიდეკლასელ ჯიბიდან გავარდნილ ხულიგანს ნუგზარ მგელაძეს. ლენგანმა შეწყვიტა რევიზია ინდივიდუალური შეკერვის ატელიეში. ჯორივით ზორბა კირილე ხუბუტიამ ოცდაათ კაპიკად გაყიდა ასი გრამი ოხრახუში ბაზარზე. ასეთი რამე არავის გაეგონა, ხუბუტია სამ აბაზს კაპიკს არ დააკლებდა მამამისი ონოფრე რომ ამდგარიყო საფლავიდან და ახალი აწიგული "ეყიდა. ქალაქში ყველაფერი მოწესრიგდა. მილიციელებიც კი თვი-

ნიერი და ლმობიერნი გახდნენ. ხუმრობა ხომ არ იყო, საგასტროლოდ მათთან ცირკი ჩამოვიდა!

საიდან დაესიზმრებოდათ ქალაქის მესვეურებს, რომ მათთან როდისმე ცირკი ჩამოვიდოდა. შესაფერისი შენობა არ ჰქონდათ. სტადიონი მაინც ჰქონოდათ, იქ გამართავდნენ ცირკს. მაგრამ სტადიონი რად უნდოდათ, ფეხბურთის გუნდი არა ჰყავდათ. რამდენჯერაც წავიდა მათი გუნდი ზესტაფონში თუ ყვარელში სათამაშოდ, იმდენჯერ თავმარდასისხლიანებულები დაბრუნდნენ. არა, მოწინააღმდეგეებს არ უცქემიათ, არც მყურებელი გამომდგარა ცუდი. უბრალოდ, თამაშის დროს, ფეხბურთელებს ვახსენდათ როდის რა ეწყენიებინათ და სულ ცხვირ-პირი დაუღლიავეს ერთიმეორეს.

ქალაქისთვის რა გზა დარჩენოდა, როგორც სხვა დროს, ახლაც თხოვნით მიადგნენ ნიკო კუჭუხიძეს, შენს ეზოში გაგვამართინე ცირკი, ამოდენა ხალხს ნუ გააწბილებო.

საკულდაგულოდ მოვლილ და აბიზინებულ ეზოში მალე დადგეს ძაღლები-სა და მაიმუნების, ფარშევანგებისა და ზებრების გალიები; გადაჭიმეს ბაგირი; ვაშალეს კარვები; ჩამოაკინცილეს სკამები და ორიოდ დღეში ისე შეიცვალა კუჭუხიძის კარ-მიდამო, რომ თვითონაც ველარ სცნობდა.

კუჭუხიძის ეზოსთან ლამის ბინა დაიდო მთელმა ქალაქმა. ბავშვები ხომ დაღამებამდე არ სცილდებოდნენ გალიებს. ფარშევანგებს საყენეს უყრიდნენ, მაიმუნებს მანდარინებსა და ვაშლებს სთავაზობდნენ და იღვა ერთი ვაიშეგებელი. ვისაც ბილეთი ვერ ეშოვა — ხეებზე მოენახა საფარი. ხან აქ ტოტიდან და ხან იმ ტოტიდან ტურებივით დაიჩხავლებდნენ ბავშვები, ფარშევანგები და მაიმუნები კი კრიახითა და კივილით ბანს აძლევდნენ.

დადგა ცირკის დღეც. ყველა აქვთ მოიჩქაროდა. აღმასკომისა და ფინგანის



თავკაცებს, რაიმალაზიების, მილიციისა და მონაკვეთის მესვეურთ ჩრდილიანი ადგილი შეერჩიათ. სხვები ვინ სად მოხვდა — ზოგი ეზოში, ზოგი სახლის სახურავზე, ახალგაზრდობა კი ბედურებით ყივყივებდა ხეებიდან.

პატარა ქალაქში მადა დიდი ჰქონდათ და როცა ფარშევანგები არ დაკლეს და ზებრები მხოლოდ გაატარ-გამოატარეს, ცირკი აღარ მოეწონა მაყურებელს. აქა-იქ უსტივინეს კიდეც, ბილეთის ფული დაგვიბრუნეთო. მაგრამ აი, დაჭიმულ ბაგირზე ჯამბაზი ავიდა და ხალხიც გაიტრუნა.

ჯამბაზმა ჯერ ხელები იქნია და უსიტყვოდ რაღაც იქაქანა, თითქოს ვინმეს უძალიანდებო. მერე მორჩილად თავი დახარა და შარვალი გაიხადა. ხალხმა სიცილი დაიწყო. ჯამბაზმა ახლა ხალხთი გაიხადა. სიცილმა იმატა. როცა ჯამბაზმა ფეხსაცმელიც გაიხადა და ტრუსის ამარა დარჩა, მაყურებელი უკვე გულიანად ხარხარებდა.

ჯამბაზი მოხუცი იყო, ფეხები უშნოდ და დაგრეხილი ჰქონდა. ჩავარდნილ მკერდზე რამდენიმე ღინღლი მოუჩანდა. ბეჭზე ლურჯი მელნით არწივი ეხატა, მაგრამ ჯამბაზს სიბერის კუჭი დამჩნეოდა და არწივს ფრთები აღარ ეტყობოდა. მართალია ჯამბაზი იცინოდა, მაგრამ ეს უფრო ტირილსა ჰკავდა, ბაგირზე გაჭირვებით იკავებდა თავს, მაყურებელს კი ეგონა ხუმრობსო და ჯამბაზი სიმწრით რაც უფრო იღრიჯებოდა, ხალხი უფრო ხარხარებდა.

— ეყოფა, ეყოფა, ჩამოვარდებაო, — დაიძახეს ბოლოს ქალებმა და მორცხვად მოკუმეს პირი. თავმოტვლებილი, სიცილით ჩაბყირებული კაცები კი გაოფლილ სახეს სუფრისხელა ცხვირსახოცებით იმშრალუბდნენ.

— არ ჩამოვარდება, გაუძლებს, — ამწვიდებდა ნიკო მეზობლებს და ჯამბაზს იმედის თვალთ შესცქეროდა.

შ ი შ ი

ცისფერად შეღებილ ჰორიზონტს რამდენიმე ადგილზე თეთრი ღრუბელი დაბნეოდა. ქვემოთ დიდი, მწვანე ველი იყო, ტოლ მწკრივებად დახაზული, მაგრამ მზეს ისე გაენათებინა, რომ ხაზები ერთმანეთში გადადიოდნენ და ბადეს ქსოვდნენ. მინდვრის მარჯვნივ წითელკრაშიტიანი, ორსართულიანი სახლი იდგა. სახლის ფანჯრები გზაზე იხედებოდა და იგი მწვანე ქალაღზე ბავშვის დახატულ ბრტყელ კოლოფსა ჰკავდა. შორიახლოს, გზაზე ცხენის ფორანი იდგა. ცხენს ცალი მუხლი შეეხარა და თავჩაქინდრული მიწას დასცქეროდა.

მეფორნეს ტვირთი მოეტანა და ახლა სახლის ქვედა, მარცხენა ფანჯარას მიჩერებოდა, საიდანაც ჩვეულებრივ გასამრჯელოს გადმოუგდებდნენ ხოლმე. ირგვლივ არავინ ჩანდა და სახლიდანაც ბაიბურთი არ ისმოდა. მოხუცმა

კოტემ ტვირთი ჩამოართვა, შინ შეიტანა და ფულის მიცემას კი აყოვნებდა. მეფორნეს ბევრი საქმე ჰქონდა. კარტოფილის ტომრები კიდევ სამ ოჯახში უნდა მიეტანა. ცხენიც მშვიერი იყო, ჩიჩვირჩამოშვებული ჩასცქეროდა მიწას, რომელიც დუჟს დაესველებინა.

ბევრჯერ მოსულა აქ მეფორნე. ამ სახლში მცხოვრებთაც კარგად იცნობდა. კოტეს ვაჟი სპირიდონი დღემდე არ ავიწყდებოდა. ჩინებული მონადირე როგორ დაიხრჩო ტბაში, ჩალიანს ზევით, მეფორნესათვის გაუგებარი იყო. ტბის შუაგულში ლურჯი წყალი იდგა. შიგ ვეებერთელა თეთრი მზე ჩანდა. ნაპირებზე მწვანე ფერი სჭარბობდა, რასაც დამალი წყალმცენარეები თუ გამოსცემდნენ. აქოთებული სუნიც იდ-

როსტომ ბეჰანიშვილი
მოთხრობები

გა. პოდან, საოცარი ის იყო, რომ სპირტიანი შუა წყალში, ღრმა წყალში კი არ დაიხრჩო, ვეებერთელა თეთრი მზე რომ ტივტივებდა, არამედ ნაპირთან, დამპალი სუნი რომ იდგა და წყალსაც ბაყაყისფერი დაჰკრავდა. მეფორნე დიდხანს ვაურობდა კოტესთან შეხვედრას, არ იცოდა მოხუცი მამა რითი ენუგეშებინა. ერთხელ მაინც შეხვდა პირისპირ, ბაზრობაზე. კოტეს დერგი ეყიდა, ორივე ყურში ხელები ჩაველო და წინ ოდნავ წახრალი მოდიოდა. მეფორნე მფესალმა და დასახმარებლად დერგს ხელი წაატანა.

— მძიმე არ არის, — უთხრა კოტემ.

— დიდხანია არ შეეხვედრივართ, — თითქოს თავს იმართლებსო, წაიბურტყუნა მეფორნემ.

— ჰო, მას მერე.

— მაინც, როგორ მოხდა?

— სპირტიანი მავარი მონადირე იყო.

— ყველა აქებდა. მეც ვნახე ერთხელ, წამოფრენილ იხეებს ესროლა ჩალიანში. რამდენიც ესროლა, იმდენი ჩამოაგდო.

— დამკდარს არასოდეს ესროდა.

— მაინც, როგორ ნობდა?

— თექვსმეტკალიბრიანი თოფი ჰქონდა. ჩემი ოცდარვაკალიბრიანი ვაჭქე. მაგრამ იმით არ ნადირობდა, პატარაზე შლისო საფანტს.

— დერგი ფორანზე დაგვედო, — უთხრა მეფორნემ, — მეც იქით მოვიდივარ.

— ხედავ, როგორი დერგი ვიყიდე!

— მწნილს ჩაღებ ალბათ?

— რა მემწნილებსა.

— მაინც, როგორ მოხდა?

— გულმა უმტყუნა.

— რა იცი, ვაკვეთეს?

— არა, ეჭიმებს არ დავანებე ვასაკვეთად. მე ხომ ვიცი ჩემი შვილის ამბავი.

კოტემ ღრმად ამოისუნთქა და გამხმარ მორზე ჩამოჯდა. მეფორნეს მოეჩვენა, რომ კოტეს მარჯვენა ხელი ცოტა გრძელი ჰქონდა, მხარი კი ჩამო-

ვარდნილი. მოხუცს პირი დაელოდა გაჭირვებით სუნთქავდა. მარცხენა ხელის მტევანი მორზე დაებჯინა. მარჯვნივ გადახრული იჯდა. სადღაც შორს იყურებოდა. თვალბში შიში ჩადგომოდა და ცივი მოლოდინი.

მეფორნემ რაღაც უთხრა. კოტემ ვერ გაიგო, გალურჯებული ტუჩებით სცადა გაღიმება, თუმცა კბილების ნაცვლად მისი პირიდან შავმა სორომ გამოიხედა. კარგახანს იჯდა მოხუცი ჩუმად. მერე მეფორნეს უთხრა:

— დაღე დერგი ფორანზე. მეც გამოვყვები.

— აღრვევ ვითხარი. ასე სჯობია.

მეფორნემ გადაალაჯა მორს, დერგი აიღო და ფორანზე თოკით დაამაგრა. მერე კოტეს დაეხმარა ასვლაში.

— არა, მანდ ვერ ამოვფოფხვდები, — წაიდუღუნა კოტემ და დაცვარული შუბლი მოიწმინდა. — აი ასე ჩამოვვდები, — კოტე მარჯვენა ხელს დაეყრდნო და ფორანზე შეეცოცა. ფეხები არ შეუქეცია, დაბლა დარჩა ჩამოშვებული.

დიდხანს მიდიოდა ფორანი. გზა ქვიანი იყო და კოტე ხან ქუსლს და ხან ტერფს ურახუნებდა ლოდებს. ტივილს ვერ გრძნობდა, სადღაც შორს იტკირებოდა. შორს კი მხოლოდ ტბის შუაგული მოჩანდა, სადაც ცხელი, თეთრი მზე ბოძივით დარტობილიყო.

...მეფორნემ გულმოსულმა შეხედა მარცხენა, ქვედა ფანჯარას. კოტე ისევ არ ჩანდა. ცხენი კი დაღლილი იდგა. გამხმარ გავაზე თემოს ძვლები ემჩინოდა, კუდი ფეხებშუა შეეკეცა და ერთი ყური მეორეზე პატარა უჩანდა.

— ნამუსიკ კარგი საქონელია, — თქვა მეფორნემ, — როდემდე ველოდო?

ბუზლუნ-ბუზლუნით მივიდა სახლამდე და რადგან ქვედა, მარცხენა ფანჯარა ღია იყო, შეიხედა. არავინ ჩანდა.

— კოტე! — დაუძახა.

არავინ უბასუხა. ოთახის სიღრმეში რაღაცამ გაიფაჩუნა და მეფორნემ თვალი შეასწრო დიდ კატას, რომელიც სკამიდან ჩამოხტა.



— კოტე! — ისევ დაიძახა მეფორონემ, ოღონდ ახლა უფრო ჩუმად, რადგან უცნაურმა შიშმა მუხლები შეუფორთოლა.

როცა კვლავ არავინ უბასუხა, მეფორნემ სახლს შეიოთარა, კიბეზე ააბოტა და ოთახის კაოები შეაღო. სკამი კარებისაკენ ზურგიით იღვა. სკამზე

კოტე იჯდა. მარჯვენა მხარი უფრო ჩამოვარდნოდა, ხელის მტევანი კი თითქმის იატაკს სწვდებოდა.

მეფორნეს აღარ დაუძახნია. ვერც ის გაბედა, მისულიყო და კოტე ტახტზე გადაეტანა. მან ხომ კარგად დაინახა, სულ ცოტახნის წინ იმ სკამიდან დიდი კატა ჩამოხტა.

პრეისკურანტი

ორნი ისხდნენ ბაღის კუთხეში. ქალს მუხლებზე მდუმარედ დაეწყო ხელები, კაცს სიგარეტისათვის უნდოდა მოეცილებინა, მაგრამ ასანთი თითებში ვაშეშებოდა. თვალები ცარიელი ჰქონდა. რა ეთქვა, არ იცოდა. სათქმელი კი ყელთან უბუყბუყებდა, როგორც ჭოობი, შიგ რომ ქვას ჩააგდებ. გაუპარსავი წვერი უფრო გამხდარს აჩენდა, ვიდრე სინამდვილეში იყო.

კაცს ვანო ერქვა. ორთაჭალაში დალაქად მუშაობდა. კარგი მუშტარი ჰყავდა: ყასბები, ვასტრონომის გამყიდველები, მექისეები. წვერის პარსევაში ხუთ მანეთზე ნაკლებს არც ერთი არ იძლეოდა. ვანო ბედს არ ემდუროდა. ხარფუხში ბინა იყიდა. ცოლმა ლენინგრადიდან და კივიდიან ავეჯი ჩამოზიდა. ყოველდღე ხორციანი საჭმელი ჰქონდათ, კვირაში ერთხელ გოჭს და ხიზილალასაც ყიდულობდნენ. ჩაცმითაც იცვამდა. სანამ სადალაქოში არ შევიდოდა, ვერ იტყოდით რომ დალაქი იყო.

ვანომ გახედა ცოლს და არაფერი უთხრა. ვერიკო ტუჩებდაბუხებულები იჯდა. ხმას არ იღებდა და ვანოს ყველაზე მეტად ეს სტანჯავდა.

შორიახლო დიდი შეკრეპილი ბუჩქი იდგა. მას ახალგაზრდა ქალ-ვაჟი ამოფარებოდა. ისინი ერთმანეთს ეხვეოდნენ და ისე მაგრად ჰკოცნიდნენ, რომ ბერე სულს ძლივსღა ითქვამდნენ. ვანო მონუსხულებით მიჩერებოდა ბუჩქს, თვალებს არ ახამხამებდა, სმენას დაბავდა, რათა ნორჩი ტოტების უნებლები

შეტოკებაც არ გამოპარვოდა. შუბლზე ჩამოშლილ თმას ზანტი ნიავი ეთამაშებოდა, ვანოს შუბლი უხურდა, თითებში ჩარჩენილი ასანთი თითქოს სწვავდა. სიგარეტს მოუყიდა. ღრმად ჩაისუნთქა ბოლი და სწორედ ამ დროს მოესმა ჩურჩული.

— სირცხვილია, ხალხი გვიყურებს.
— ვისა აქვს ჩვენი დარდი.
— შენ ასე გვონია. შეიძლება მილიციელიც იყოს სადმე.
— მერე, გეშინია?
— მრცხვენია, რისა უნდა მეშინოდეს.

ბიჭი ისევ მოეხვია გოგოს და რამდენიმე წუთს მათი ჩურჩული შეწყდა.
— საზიზღრობაა, — თქვა ვერიკომ. ვანოს არ გაუგია ცოლის ნათქვამი.
— ოჯახის ქალი აქ არც უნდა წამოვიდეს, — „ოჯახი“ ვერიკომ განსაკუთრებულად მკაფიოდ გამოთქვა.

სიგარეტის კვამლში ვანოს გაუპარსავი სახე ისიფერი ჩანდა.
— ეჰ, პატიოსანმა ქალმა იკითხოს, თორემ კაცი და ძალღი ერთია, — ახლა კი ხელებიც შეაშველა ვერიკომ სიტყვებს, — ვინ იცის, რამდენჯერ მდგარხარ ამ ბუჩქთან?!

— წავიდეთ, — ჩუმად თქვა ვანომ.
— რატომ ვეღარ ისვენებ? ძველი ცოდვები გაგახსენდა? კაცი და ძალღი...
— ჩემგან რა გინდა?
— არსადაც არ წავალ. შენი თვა-

როსტომ გაჟანგილი მოთხრობაა

ლით უყურე ამ საზიზღრობას, იქნება რაღაცას მიხვდე.

ბიჭს თავისი საწვიმარი გაეშალა და ორივე ზედ დამსხდარიყვნენ. ვანო ბიჭის გრძელ თმას ხედავდა. ასეთი გრძელთმიანი მუშტარი ყოველთვის სტუდენტი გამოდგებოდა ხოლმე. სტუდენტებს ფული ცოტა ჰქონდათ, მაგრამ მოსწრებული საუბარი იცოდნენ და ვანო მათ ზედმეტს არ ართმევდა, პრეისკურანტით კრეჭდა და პარსავდა.

ახლა გოგო ეხვეოდა ბიჭს. გრძელ თმებში თითები შეეყო, უალერსებდა და ძალიან ფრთხილად ლოყაზე ჰკოცნიდა. გოგო თხელი იყო, თასმასავით რბილად იკეცებოდა აქეთ-იქით. ვანომ ცალი თვალთ გახედა ცოლს. ვერიკოს თითქმის მთელი სკამი დაეკავებინა და საზურგეს უზარმაზარი, წითელი აგურივით მისწოლოდა.

მსუქანი კლიენტები არ უყვარდა ვანოს. ოფლის სუნად ყარდნენ ხოლმე. რიგიანად ვერ ბანდა იმ მუღრეგებს. ღიბი წინ არ უშვებდათ, რომ წელში მოხრილიყვნენ, სამართებლით გაფხეკილი ღაბაბი ცხვრის დუმასავით ეკიდათ გულისპირზე.

გოგომ გაიცინა ისე კეკლუცად, ისე რბილად, რომ ვანოს თავიდან ფეხებამდე სიამოვნების ყრუანტელმა დაუარა. ვერიკომ რაღაც წაიზმუკუნა და მსუქან ლოყებში კოტიტა ხელები წაიტყაპუნა. მერე ბრაზმორეულმა და გაჭარხლებულმა ღონივრად დაახველა და ბუნქისაკენ ზიზღით გადააპურჭყა. ვანო

სწრაფად წამოდგა, განზე გადასწრაფდა გარეტს მოუყიდა.



— სად მიდიხარ? — ქონწმორეულ უპეებში ალუბლის კურკებივით დაცოცავდნენ ვერიკოს თვალეზი.

— ცოტას გავივლი.
— მეც წამოვალ.

ვერიკომ წამოიწია, მაგრამ სხეული ველარ აიტანა. ერთი კიდევ ძლიერად დაჰკრა ფეხები მიწას და ტაშიც მიაყოლა, ჰოპლაო, წამოდგა და დათვი რომ ცეკვას მოინდომებს, ისე წაბაჯბაჯდა. ვანოს მეორე მხარეს უნდოდა გადასვლა, მაგრამ ცოლს გახედა და დაეზარა შემოეკლო.

— რა საზიზღრობა იყო, — თქვა ვერიკომ. — მაროთყნი!

ნაყინის გამყიდველი ქალი შეერთა და ნაყინი ყუთშივე ჩაუვარდა. მოუბოდინა, ამოიღო და ვერიკოს მიაწოდა.

— რა საზიზღრობა იყო, — გაიმეორა ვერიკომ, ნაყინს ქაღალდი შემოაფხრიწა და ვაშლივით ჩაკბიჩა.

ვანოს ფეხები უკან რჩებოდა. რამდენი წლის სიცოცხლეს დასთმობდა, ოღონდ ახლა იქ ყოფილიყო, სადაც დიდი, შეკრეჭილი ბუნქი იდგა, გოგო და ბიჭი ერთმანეთს ეხვეოდნენ და ჰკოცნიდნენ.

ბიჭს გრძელი თმა ჰქონდა. ასეთი მუშტარი სტუდენტი გამოდგებოდა ხოლმე. ვანო მათ ზედმეტს არ ართმევდა. ყოველთვის პრეისკურანტით კრეჭდა და პარსავდა.

უ ც ნ ო ბ ი

იგი კვლავ ქუჩაში მიდის. მარჯვენა მხარი ოდნავ წინ წაუწევია, მარცხენა ხელში ორადგაკეცილი გაზეთები უჭირავს. ისე განჩარებული მიდის, რომ უნებლოეთ გზას დაუთმობ, ფეხებში არ გაებლანდები.

მაღალია და შენს ზევიდან გადაჰყურებს სივრცეს. მზერას არაფერზე არ აჩერებს. საღდაც მოუსავლეთში იცქი-

რება. მისთვის თითქოს განუჩრეველია ყველაფერი, რაც ქუჩაში ხდება თუ წინ ეღობება.

განჩარებული მიდის. ვერ დაეწევი. არადა, სად მიდის, ცნობისმოყვარეობამ ლამის გადამრიოს. მსუნავად მიდევ მის ნაკვალევს და მაღიმილ მაღალ თავს გავხედავ, კარიდან დარტყმული

ბურთოვით სულ ზევით და ზევით რომ მიფრინავს.

საავადმყოფოში: დედა ჰყავს ალბათ ავად, სოფლიდან ჩამოიყვანა და ახლა, ოპერაციის მერე, არ იცის ცოცხალი თუ დახვდება. ფოსტაში: ამანათი მოუვიდა, წერილი უცხოეთიდან. შემნახველ სალაროში: სულ სამი მანეთი და ჩვიდმეტი კაპიკი დააკლდა, ბიჭავი რომ ეყიდა.

არა, პაემანზე არ ეჩქარება. პაემანზე არ მირბიან. თანაც მთელი ბლუჯა გაზეთები უჭირავს ხელში. იქნება სახალხო კონტროლიდან არის? სახალხო რაზმელთა შტაბში მიეჩქარება?

ქადართან „სპორტლოტოს“ ბილეთებს ჰყიდიან. ახალგაზრდები თავზე ახტებიან ერთმანეთს. მან ისე ჩაუარა, არც კი მიუხედავს, ვილაცას მხარი გაჰკრა, ვილაცას ფეხზე დააბიჯა.

იმ დღეს თითქმის მთელი საათი ვეღე და უცებ ამოდენა კაცი თვალსა და ხელს შუა დამეკარგა. ვიჟია ოხერი?! ალბათ მეტროში ჩავიდა, ასე უცებ სად უნდა გამქრალიყო? გავხედე გამოვლილ გზას და შევეკრთი, მთელი პლუხანოვის პაროსპექტი გამელაჯებინა და ვავზლის მოედანზე ავსულიყავით.

მერე ფილარმონიის წინ დავინახე. კონცერტის ხალხი ნელა, მასლაათით იშლებოდა. აქა-იქ ჩგუფ-ჩგუფად ჩერდებოდნენ. ერთმანეთს ეთხოვებოდნენ. ეფერებოდნენ. ხელს ართმევდნენ. იყო ნაზი და უდრტინველი განწყობილება, კონცერტიდან გამოსულთ რომ შეეფერებათ.

ის სწრაფი ნაბიჯით შემოიჭრა. მარჯვენა მხარი ოდნავ წაეწია, მარცხენა ხელში ორადგაკეცილი გაზეთები ეჭირა და სადღაც ზევით იცქირებოდა. მისმა გავლამ ერთბაშად გაფანტა ეს მთვლემარე ბურუსი. ადამიანებმა ფეხს აუჩქარეს ავტობუსის გაჩერებისაკენ, გადასასვლელებისაკენ, შინისაკენ.

მან გადასჭრა მოედანი, გავიდა მელიქიშვილის ქუჩაზე და მერე გზას ქვევით დაჰყვა, რუსთაველის მოედნისაკენ. სტრიდა. ნეონის სინათლე იისფრად

ეფინებოდა ქუჩას. ხალხი შეთხლებულიყო. ამ თხელ ნაკადში უფრო მკაფიოდ ჩანდა მისი სილუეტი.

განა შეიძლება ადამიანს სულ ეჩქარებოდეს? დღისით და საღამოს, დილით და შუალამისას? — ვეკითხებოდი თავს და იმ უცნობს მივდედდი. ის კი, როგორც მოულოდნელად გამოჩნდა, ასევე გაქრა, თითქოს მიწამ ჩაყლაპაო.

ხილზე რომ გადავდიოდი, ქარში, მაშინ კიდევ შევასწარი თვალი. შემოდგომის კულდაქარს მტკერი და ფოთოლი მოეხვეტა, დაეზზირალებინა და ხან ამ კედელს მიეხლებოდა და ხან იმ შენობას. ხილზე ქარი ზუზუნებდა, მტკვარიც თითქოს ჩვეულებრივზე ჩქარა მიდიოდა. მოაჯირიდან მისი მღვრიე ტალღები და ნავთის დიდი ლაქა ჩანდა. პალატოს საყელოში თავჩაყოფილი, სუნთქვაშეგუბებული გადავბროდი ხილზე, რომ მტკვრისა და ქარისათვის თავი დამეღწია. ამ დროს დავინახე. მას მარჯვენა მხარი ოდნავ წინ წაეწია, მარცხენა ხელში ორადგაკეცილი გაზეთები ეჭირა და სადღაც ზევით იცქირებოდა. ქარს არც კი გრძნობდა. რაღაც დაენახა, ალბათ ქარზე და მოგუგუნე ხილზე დიდი და საშიში და იმას მისჩერებოდა.

ხიდი გადავირბინე, შენობის კედელს ავეკარი და იქიდან დიდხანს გავცქეროდი, როგორ მიდიოდა ის ელბაქიდის დადმართზე. ნაბიჯი არ შეუწელებია, არავინ არ შეხვედრია, არავის არ მისალმებია. მერე უცებ თვალს მიეფარა.

ქუჩაში ხეტიალი არ მიყვარდა, მაგრამ მას რომ დავინახავდი, უნებლიეთ ნაბიჯს ავუჩქარებდი. თითქოს მრცხვენოდა, მოსეირნე ან ნელა მიმავალი რომ დავენახე. არადა, არსად მეჩქარებოდა. მაგრამ დავინახავდი თუ არა, გუნებაც შემეცვლებოდა და ნაბიჯიც.

ერთ ნაცნობს მაგონებდა, გამოცდის ჩასაბარებლად სახელმძღვანელო რომ ვერ იშოვა და უზარმაზარი ტომი ხელით გადაწერა. ძალიან მიკვირდა, რო-

როსტომ გაშანიშვილი
მოთხრობები



გორ გადაწერა-მეთქი. რომ დაეწერა, არ გამიკვირდებოდა. ახლა მისი განქარებული სიარული მაოცებდა და გულლით მწაღდა გამეგო, საღ მიეჩქარებოდა, ყოველთვის რატომ მიეჩქარებოდა ზამთარსა და ზაფხულში, კარგ ამინდსა და ავდარში.

რამდენიმე ამხანაგს დავანახე. სიცილი არ ეყოთ. „მოცლილი ხარო... რაში გეღარდებო... დარტყმული იქნებო...“ — მითხრეს და გამაჩუმეს.

მეც დავანებე თავი მისზე ფიქრს და როცა შემხვდებოდა, ვცდილობდი, თვალი ამერიდებინა. მაგრამ როგორც კი თვალის არიდება დავაპირე, მაშინვე ვიგრძენი მისი სწრაფი, დამცინავი მხერა, რომელმაც თავიდან ფეხებამდე გამზომა. ერთუნტელისამშლელი მხერა იყო. ცივი გაღიმება და ამ შეუმჩნეველ ღიმილში დაძირული ბოღმა თუ მუქარა. ვიფიქრე, მეჩვენებოდა. მაგრამ მეორედ შემხვდა და იგივე გრძნობა დამეუფლა.

თანდათან ფრთხილი გავხდი. ქუჩას შორიდანვე ეუთვალთვალეზი და როგორც კი მას თვალს მოვკრავდი, მეორე მხარეს ვადავდიოდი. ის გზას განაგრძობდა, მეგონა ვერ შემინიშნა-მეთქი. სწორედ ამ დროს, ათას კაცშიც რომ ვმდგარიყავი, მომძებნიდა და იმ ცივი ღიმილით გადმომხედავდა.

შევწუხდი. ქუჩაში იშვიათად გამოვდიოდი, ვარჩევდი ავტობუსით მემგზავრა. მივდიოდი ისეთ უბნებში, სადაც მას არ შევხვდებოდი. მაგრამ ასეთი

უბნები არ იყო. სადაც არ გელოდი, სწორედ იქ შევეფეთებოდი.

გადავწყვიტე, რომ უცნობი დამდევდა. ჩემი გაცნობა უნდოდა. რაღაცა სათქმელი სტანჯავდა. რად მინდოდა სხვისი დარდის წამოკიდება, განა საკუთარი ცოტა მქონდა?

გავუბრბოდი, თვალს ვარიდებდი. ის მიეჩვია, ახლა იშვიათად შემომხედავდა და გზას განაგრძობდა.

დღეს ისევ დავინახე ქუჩაში. მარჯვენა მხარი ოდნავ წინ წაეწია, მარცხენა ხელში ორადგაკეცილი გაზეთები ეჭირა და საღდაც ზევით იცქირებოდა. აღარ მოვერიდე, სულ ახლოს მივყევი. ქუჩა ჩიხში შევიდა, წინ დიდი, თეთრი, მაღალი კედელი მოჩანდა. ის მიდიოდა იმ კედლისაკენ. მიდიოდა და მეც მივდივედი.

ათიოდე ნაბიჯი დარჩა კედლამდე. მილაჩებს და მივალაჩებ. სამი ნაბიჯი. თავით ეტაკება? მეც დავეტაკები და საღდა წამივა, ჩავიგდებ ხელში და შევეკითხები, რას დადის, რას დაედებება, რა გული გამიწყალა!..

კედელს შუბლით მივდგომივარ. დაბნულმა მიმოვიხედე. მარჯვნივ ყრულ დამანული ჭიშკარია, მარცხნივ გასტრონომი, რომელსაც მინის უზარმაზარი ვიტრინა აქვს. მზე ზევით წასულა და ვიტრინაში ანარეკლი შეჩერებულა. მას მარჯვენა მხარი ოდნავ წინ წაუწევია, მარცხენა ხელში კი ორადგაკეცილი გაზეთები უჭირავს.





ახალგაღვიძებული
 ყრმა რომ დედას შესცინებს —
 ახლა ისე შეჰხარის
 დედამიწა დილის მზეს!..
 მთელი ღამე,
 რატომღაც,
 მოუსვენრად ეძინა, —
 უცებ გამოეღვიძა
 მამლის პირველ ყვირლზე!..

ეგებ თავბრუ დაეხვა
 ამდენ ტრიალ-ტრიალში,
 სამოძრაო ღერძიდან
 ეგებ გადაიხარა;
 დოლაბის ქვა ხომ ცვდება

მუღმივ დრიაშ-დრიაშით, —
 განუწყვეტელ ჭენებით
 ეგებ გადაიღალა!..

ისეა თუ ასეა,
 მე არა მაქვს უფლება —
 არ შევსთხოვო ზეციერს,
 არ ვეაჯო განგებას:
 — ღმერთო!
 დედამიწაზე
 ჰქმენ სიწყნარის სუფევა!
 ღმერთო! —
 იმ ყრმის ხალისი
 და სილადე არგე მას!..

დედამიწა

— მიფრინავს და მიფრინავს დედამიწა —
 ვეებერთელა ზღაპრული ხალიჩა“.

ანალი ზღაპრიდან

ვიცო
 იბრუნებს,
 იბრუნებს,
 დაგვღლის და
 თავბრუს დაგვახვევს, —
 მ ო ც ე ლ ი ლ ი ვ ი თ,
 რიგ-რიგად,
 დავეფინებით მკერდზე!..
 ერთ ს ა ი დ უ მ ლ ო ს გაგანდობთ,
 ვინმესთან თუ არ გამამხელთ:
 ერთი ღიმილი დავკარგე
 და.. ვარსკვლავებში ვეძებ.

კაფშა არ იცის —
 ვის უფრო
 ლამაზს ბედი რგებიან, —
 დილით
 ვარსკვლავებს აქრობენ,
 ცარგვალზე
 ცეცხლის ალი ჩანს!..
 ხ ა ნ დ ა ხ ა ნ
 მინდა ვისკუპო
 (ხაზი სუყველგან ჩემია), —
 ნეტაი,
 ხად მიგვაქროლებს
 ჩვენი ზღაპრული ხალიჩა!

ნაშიარი ღუმილი კედლიდან მოფლივარა კონჯა ბიჭავის სურათთან

გუშინწინდელ დღესავით
 მახსოვს ომის დაწყება,
 ხოლო —
 გუშინდელივით, —
 დამთავრება ომის...

მეჩვენება:
 ბიჭები
 მიყურებენ წყრომით.
 მწარედ გამიღიმებენ
 და მეც გული ჩამწყდება!..

რატომ არ წამიყვანეთ!
რატომ მეც არ მათმეთ!
ხომ იბრძოდნენ
თქვენს გვერდით
ჩემი კბილა ბიჭები!..
ახლა რალა დროსია,
რა გიშველეთ, ძმაო, მე! —
ცეცხლი მთუთქავს უალო,
უსამართლოდ ვისჯები...
თუ იქნება საჭირო —
თქვენებრ თავი გავწირო, —
მტერს დედა არ ვუტირო —
დამაყენებს რა გული!..

უყოყმანოდ მზადა ვარ,
უყოყმანოდ მზადა ვარ —
თქვენებრ მკერდით დავიცვა
საყვარელი მამული!..

გუშინწინდელ დღესავე
მახსოვს ომის დაწყება,
ხოლო — გუშინდელივით, —
დამთავრება ომის!..
სულსა ცეცხლი უალო
არასოდეს დაცხრება, —
საყვარელო ბიჭებო,
ნუ ვიკურებთ წყრომით!..

(სალალობო)

მაქვს სოფელში
ერთი სახლი.
მყავს ორი თხა.
ერთი ძაღლი.
პაუ, მართლა:
წისქვილი მაქვს, —
როცა ჩავალ
იმით ვხარობ...
იქით — დელე.
აქეთ — დელე

აქეთ — წყარო.
იქით — წყარო!..
ცაა სუფთა,
მზეა ნაღდი, —
მთებზე
ოქროს
ღვარი დივა...
თხა და ძაღლიც
რომ არ მყავდეს —
არც ისეთი
ღარიბი ვარ...

თეთრი ჰაერი
ეფინა ფერდობს,
ველსაც ეფინა,
მთასაც ეფინა...
ფრთები ვინატრე,
ფრთები — ო, ღმერთო, —
მთიდან
მთაზე
რომ
გადამეფრინა...

გადამეფრინა
ნათელი გულზე, —
მერე
უეცრად
დამიცდა
ფეხი
მაგრამ...
ვისმარე
ნაცადი ხერხი:
გამოვიღვიძე
ლა...
გავილურსე...

გავიდა ბარე ოცდაათი	შაფხულ-ზამთარი. —	ახლაც	მერვენება
ხანდახან	მაცნე	ახლაც	აქა-იქ..
	ობოლივით	დაჭრილი	
მიტირის ლექსი;		დედამიწის	
ცა დაბზარული		ძიითინი მესმის...	



სხვამ თუ არა, —	მე ხომ ვიცი —	აწი ჩემთვის სულერთია, —
რაც მტანჯავს	და	გინდ მაცოცხლე,
	რაც მაწვალებს...	გინდ მომკალი...
იმისთვისაც	მადლი უფალს,	ისე წავალ
რაც მადროვა,	რაც მაცალა!..	ამ ქვეყნიდან —
		როგორც
		მოდის
		მომავალი!..

ა ე ი ნ დ ი

გუშინწინ და გუშინ	არ გვწყალობდა მზე...	ზეცით მესმის ხმა —
შედარებით	კარგი დღეა	მკვეთრი,
	დღეს!..	მკვეთრზე
		უმკვეთრესი:
		— დღევანდელზე უკეთესი
		დღე იქნება ხვალ!..



თავეზე	ციდან	დღისით — ოქრო,	ღმერთი —
ღამით — ვერცხლი	მაცვივა;	ვინ რით უნდა გამაოცოს —	ჩაფიქრებული!..
უმდიდრესი კაცი ვარ!..	მთვარე არ ჩანს, —	გვიანია,	მე კი..
მზესაც ნისლი ებურვის...	ღმერთი ცოდვებს ინანიებს,	მუდამ ასე ვიჯადოქრებ, —	ვიდრე
		უმდიდრესი კაცი ვარ!..	დღისით — ოქრო,
			ღამით — ვერცხლი
			მაცვივა, —



პოეზიის მოყვარულებს ახსოვთ ახალგაზრდა პოეტის დავით მურჯიანილის ლექსები, რომლებიც ხშირად იბეჭდებოდა ჩვენს უურნალ-გაზეთებში.

იგი სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე. მუშაობდა გაზეთ „თრიალეთში“. დავით მურჯიანილი უდროოდ წავიდა ჩვენგან და ამ ლექსების გამოქვეყნებით მკითხველს კიდევ ერთხელ გვინდა გავახსენოთ ადრე წახული პოეტის სახელი.



რონინებს მტკვარი,
ვარსკვლავები აუსხავს მიძიად,
სამახსი გული
ერთადა სცემს თბილისის კართან.
წუხელის ზეგას
უწვიმია ყაყაჩოს წვიმა,
ყაყაჩოს ცვეცხლით
იფერფლება ცის ლურჯი კალთა.
სამახს ყაყაჩოს
მზე უცინის თბილისის კართან.

ზორკულ მის ქვეშ

სადღაც ქვეყნის შორს კუთხეში
ბედი გაპგლეჯს გულის ფიცარს?
მომაყარეთ ერთი პეშვი
ჩემი ქვეყნის შავი მიწა.

.

აღმისრულებთ დანაპირებს?
არ მსურს თქვენგან სიტყვა თბილი,
მე ეს მიწა დამიტირებს,
დედის ცრემლით გაჟღენთილი.

ვეფხისტყაოსნის დაბადება

იყო კრთომა, კრთომა ფერთა, მთებს შვენოდა ოქროს ფარი,
დიდუბეში ჯვარს იწერდა საქართველოს დედოფალი,
მზე მოჰქონდათ რქებით ირმებს, მადლდებოდა ქართლის ზეცა.
წყალთან იჯდა მესხი ვინმე, ტანზე ვეფხვის ტყავი ეცვა.

ქვითინებდა ლერწმის ყელი, ცხენი ება ცრემლის რუსთან,
დიდი შოთა რუსთაველი სიყვარულის სწერდა უსტარს.
შეტორტმანდა უცებ მიწა... ძვლები მამა-პაპეული.
იხმო მონა, წიგნი მისცა — ვეფხის ტყავში გახვეული.
სთქვა: — წავედი, ნულარ მეძებთ და შენც დროს ნუ მოიფეებ,
ესე წიგნი გადაეცეს საქართველოს მეფეთ-მეფეს.

დარბაზია მოჭედილი, დაჰკაშკაშებს მზის თალარი,
მეფის ტახტზე, მოწყენილი, წიგნით ხელში ზის თამარი.
გრძნობს რაღაცა ჰპოვა სულმა, ფურცლებს ფურცლავს სუნთქვის ქარი,
წიგნის კითხვა რომ დასრულდა, აქვითინდა დედოფალი,
დალალები გადიყარა, მშვილდა წარბი ცად აზიდა,
ბრძანა: — შოთა მომიყვანეთ, მომიძებნეთ, სადაც გინდათ.
შეაწუსა მეფე ჯაფრმა, ჟამი ედგა დაბინდების,
ოთხივ კუთხით დაიგზავნა სანაქებო რაინდები.
გადიარეს მთა... ცხრა ველი, დადიოდნენ ღამით, ღღისით,
ვერსად ნახეს რუსთაველი, ვერ იპოვეს კვალი მისი.



რამაზ ქობია

მზია სხრამეტი წლისა, კეთილგანადგომელი — თვრამეტი

მზიას და ქეთევანის საწოლები ერთ-მანეთის გვერდიგვერდ დგას. მოხდება ხოლმე, რომ მზია უხმოდ ჩაცურდება თავის ლოგინში, საბანს გაისწორებს, ორივე ხელს თავქვეშ ამოიწყობს და თავის უმცროს დას სწრაფ, ალმაცერ მზერას შეავლებს. ქეთევანი მაშინვე ხედება, რომ მზიას რაღაც საინტერესო აქვს სათქმელი.

იმ საღამოსაც ასე იყო. მზიამ ჭალი გამოართო, სწრაფად ლოგინში შეცურდა, ხელები თავქვეშ ამოიწყობა და შავად მზინავი თვალები ქეთევანს შეავლო. ქეთევანი მაშინვე გადაბრუნდა, „დიდოსტატის მარჯვენა“ ბალიშქვეშ ამოსდო და მზიას მომლოდინე მზერა გაუსწორა.

— იყავი? — ქეთევანმა რატომღაც ჩურჩულით ჰკითხა, თუმცა ოთახში დების მეტი არავინ იყო.

— ვიყავი.

— მერე?

— არაფერი. ბრძანებები დამაბეჭდიდნენ.

— მოეწონათ?

— მოეწონებოდათ.

— მერე?

— არაფერი. მოვიდა.

— მოვიდა?! — ქეთევანი ლოგინში წამოჯდა და მზიას აღტაცებული მზერა მიაპყრო. ამ მზერაში აღტაცებასთან

ერთად რაღაც გაუგონარისა და დაუჩვენებლის მოლოდინიც გამოსჭვიოდა

— კი.

— მერე?

— არაფერი. თავის კაბინეტში შევიდა.

— მერე?

— არაფერი. იქ ვილაციები იყვნენ. თანამშრომლები ტელეფონით ლაპარაკობდნენ. მთელ ინსტიტუტში მართა მაგისი ტელეფონი მუშაობს.

— ჰი — ჰი!...

მზია ჭერს მისჩერებია.

— მერე?

— კარებში გაჩერდა.

— თავისი კაბინეტის კარებში?

— ჰო!

— მერე?

— იდგა ასე. მერე ისინი გამოვიდნენ და შევიდა. ცოტა ხანს იყო რაღაც ქალღმერთები დახია და კალათაში ჩაჰყარა. მერე ადგა, გაიარ-გამოიარა და გამოვიდა. კაბინეტში ერთ წუთსაც არ ჩერდება. სულ დერეფნებში ეძებენ.

— დაგელაპარაკა?

— არა.

— სულ არ დაგელაპარაკა?!...

— მერე დამელაპარაკა.

— რაო?

— უჩემოდ არავის არაფერი დაუბეჭდო.

— მერე?
— არაფერი. დირექტორს დავეუბნებ.

— მერე?
— არაფერი.

დები გაჩუმდნენ. ქეთევანი ბალიშზე გულადმა გადაწვა და ფიქრიანად მომღიმარე თვალები ჭერს გაუშტერა.

დები იღია ჭავჭავაძის პროსპექტზე, ძველებური სახლის ერთოთახიან ბინაში ცხოვრობენ. არც დედა ჰყავთ და არც მამა. მზია ცხრაშექი წლისაა, ქეთევანი თვრამეტის. მზიამ საშუალო დამთავრა, უმაღლესში ვერ მოხვდა და სამეცნიერო ინსტიტუტში მბეჭდავ-მემანქანედ მოეწყო. ქეთევანი საშუალოს წელს ამთავრებს და თუ უმაღლესში ვერ მოეწყო, ესეც სადმე იმსახურებს. უმაღლესში მერე მოეწვობა.

ვრცელი ოთახი დებს საუცხოვოდა აქვთ მოწყობილი. კაკლის ხის საწოლებს შორის დაბალი საღამურის მაგიდა დგას. მასზე, საღამურის ნათურის ჩრდილში, მუდამ ორი წიგნი დგას — ერთი მზიასი, მეორე — ქეთევანისა. მოპირდაპირე კედელზე, ბრინჯაოს მძიმე ჩარჩოში დედუგოს და მამიკოს სურათი ჰკიდია. ოთახის მარცხენა კუთხე წიგნების დიდ კარადას და საწერ მაგიდას აქვს დათმობილი. დიდ პროსპექტზე გადაყურე ფანჯარაში ნეილონის ლამაზი ფარდა ჰკიდია.

მთელი ეს ავლადიდება მზიამ და ქეთევანომ შარშან შეიძინეს — მეორე ოთახის ფასად, რომელიც მეზობელს დაუთმეს. — მზიას და ქეთინოს ის ოთახი არაფრად სჭირდებოდათ, გველესიანებმა კი სული მოითქვეს: შვიდი სული ორ ოთახში ცხოვრობდა. მართალია, მზიასა და ქეთინოს ის საქმე სულ უანგაროდ არ გაუკეთებიათ, მაგრამ.. ბოლოსდაბოლოს, ისეთი რა მოხდა? მზია და ქეთინო ჯერ ახალგაზრდები არიან და თუ რამე დააშავეს, მალე გამოისყდიან. დიახ!.. დამშვიდებული ბრძანდებოდეთ! პატროსანი შრომით... დიახ!.. მზიას და ქეთინოს დედა და მამა ერთ დღეს დაეღუპათ, ავტომობილის კატასტროფაში. დედას არასოდეს

უმსახურია, მაშნო კი ისეთი პატროსანი კაცი იყო, რომ ზედმეტი ოჯახის სოდეს არაფერი შემოუტანია. რა გასაკვირია, რომ მზიას და ქეთინოს ხეივანი სკამებიც ვერ დაუტოვეს. ერთი სიტყვით, ქეთინოს და მზიას არავისთვის არაფერი დაუშავებიათ. და თუ დააშავეს, გამოისყდიან. ცხოვრებ წინ არის!..

— მერე? — ქეთინო ისევ მზიას მაჩერდა.

— არაფერი. დღეს ადრე წავიდა.

— ავი ყველაზე გვიან მიდისო?!..

— დღეს ადრე წავიდა.

— რატომ?

— არ ვიცი.

— არაფერი დაუბარებია?

— ჩემთვის არაფერი. კანცელარიაში დაიბარებდა.

— აღარ მობრუნებულა?

— არა.

იყუჩეს. მერე ქეთინომ ამოისუნთქა, ბალიშქვეშედან „დიდოსტატი“ გამოიღო და ყდაზე ხელი გადაუსვა, მაგრამ არ გადაუფურცლავს. გულადმა იწვა და ჭერს მისჩერებოდა.

ის კაცი, რომელზეც დები ლაპარაკობდნენ, მზიას ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეა. მზია პირველ დღესვე პირდაპირ გარეტიანებულ მოვიდა სახლში და დას გაუშხილა, მოადგილე ისეთი სიმპათიური კაცი გვყავს, რომ მეორე ისეთი არ მინახავსო.

— მაინც, როგორი?

— იი, ისეთი... ჭალარაა...

— ჭალარა?!..

— ჰო, მაგრამ ძალიან უხდება.

— სულ ჭალარაა?!..

— არა, მარტო აქ, საფეთქლებთან... ისე — არა.

— მომიყევი!

— რა?

— როგორია...

— ჩვეულებრივი...

— როგორ — ჩვეულებრივი?

— არა.. ერთი სიტყვით... წამოდი და შენ თვითონ ნახე.

— შემომიშვებენ?

— რატომაც არა!...



ქეთინო გაჩუმდა. ერთ ხანს ჩაფიქრებული იყო. მერე ხელი ჩაიქნია.

— არა. მიხვდებიან რისთვისაც მოვედი.

— როგორ მიხვდებიან?!

— ისე. არა. ჯერ ცოტა ხანმა გაიაროს.

ახლა მზია გაჩუმდა. ერთ ხანს ესეც ჩაფიქრებული იჯდა. მერე წამოდგა, სამზარეულოში გავიდა და კალათიდან სადილისათვის კარტოფილები ამოალაგა.

მესამე თუ მეოთხე დღეს ჭაღარა მოადგილეს მზია თავის კაბინეტში შეუწვევია.

— თვითონ გითხრა, შემოდის?

— თვითონ მითხრა.

— მერე?

— არაფერი. როცა შევედით, თვითონ მავიდას მიუჯდა და მეც მითხრა, დაჯექით.

— შენობით გელაპარაკება?

— პირველი ორი დღე თქვენობით გელაპარაკებოდა. ახლა აღარ.

— მერე?

— არაფერი. გამოძიება.

— რაო?

— რა ვიცი... რომელი სკოლა დაამთავრეო, რას აპირებო... ჯამაგირი იცის, რამდენიც მაქვს. თუ ვინმემ ფასიანი სამუშაო მოგიტანოს, აიღეო... ჰი-ჰი!..

— ჰი-ჰი!.. მერე?

— არაფერი. შენზე მითხრა, კარგად მიხედეო.

იმ დღეს მეტი აღარც ულაპარაკიათ.

ქეთინომ მალე დაიძინა კიდეც, მზია კი ფეხაკრეფით წამოდგა, ქვევით, გასტრონომში ჩავიდა და დილისათვის კვერცხი ამოიტანა. არა, ეს იმიტომ კი არა, რომ ჭაღარა მოადგილემ უთხრა უმცროს დას მიხედეო. არა, მზია ყოველთვის კარგად უვლიდა თავის უმცროს დას. განსაკუთრებით იმ ავი დღის მერე...

— რა ჰქვია? — ჰკითხა ქეთინომ მზიას მეექვსე თუ მეშვიდე დღეს.

— ბატონი ანდრო.

— ანდრო. კარგი სახელია.

— კი. ორმოცდაათი წლის იქნება ორმოცდაათის?!... — ქეთინო ლოგინში შეხტა.

— ალბათ. არა, რა ვიცი... — ორმოცდაათის როგორ იქნება?!.. — ქეთინოს ამის დაჯერება არაფრით არ უნდოდა.

— რა ვიცი... — მზიამ ცოტა იფიქრა და დაუთმო, — იქნება, ნაკლებისაც იყოს.

— მზია ორმოცდაათი რა ამბავია?! — ქეთინო, მე რა ვქნა?!... შვილი-შვილს ელოდება.

— შვილიშვილს?!.. როდის?

— რა ვიცი. მალე.

— ვინ გითხრა?

— ყველამ. თანამშრომლებმა.

— იპ!... — ქეთინომ ხელი ჩაიქნია, — ბევრი იცინა შენმა თანამშრომლებმა. მზია! რაც შენი მონაყოლიდან მე მაგ კაცზე ვიცი, ეგ ორმოცდაათი წლის არსგზით არ იქნება.

— აბა, რამდენის?

— არ ვიცი... მზია აღარ შეკამათებია. იმ დღეს ამ თემაზე აღარ ულაპარაკიათ. მეორე დღეს კი მზია სამსახურიდან ნაბტირა-ლევი, გატრეცილი და თვალებჩაწითლებული დაბრუნდა.

— მზია, რა იყო?!..

— არაფერი.

— მზია, მითხარი!..

— არაფერი-მეთქი.

ამჯერად მზიამ ქეთინოს არაფერი უთხრა. საღამოს კი, ძილის წინ, როცა უკვე დამწვინებული იყო, ლოგინში შეცურდა, ორივე ხელი თავქვევში ამოიწყო და ქეთინოს სწრაფი მზერა შეავლო.

— მზია, არც ახლა მეტყვი?

— ისეთი არაფერი მომხდარა.

— მზია, მითხარი.

თურმე მზიას სამსახურში ერთი თანამშრომელი ყოფილა. ვილაც მალაქელიძე. არა, ვილაცა კი არა, უფროსი

რამაზ კოზიძე
მზია ცხრამეტი წლისაა,
მთიშვანი — თმრამეზის

მეცნიერ თანამშრომელი. ხარისხი აქვს. მაგრამ ძალიან უხეში და თავშეუკავებელი კაცია. სულ ხმაურობს, სულ დავობს... მზიასთვის რაღაც ქაღალდები მოუტანია, გადაამბეჭდევო. მზიას ძალიან სასწრაფო სამუშაო ჰქონია და მალლაკელიძისათვის უარი უთქვამს, სანამ ამას არ მოვრჩები, თქვენ ვერ დაგობეჭდავთო, ან კიდევ მოადგილისგან ნებართვა აიღეთო. ამაზე მალლაკელიძე ავარდნილა და დავარდნილა, — ვინა გდინხარო; შე გუშინდელიო ლაწირაკო, ან ეგ შენი მოადგილე ვინ არისო, ეგ მოადგილე შენი უფროსიაო, ჩემი კი არაო, და ამისთანები. არა, მართლაც უდიერი კაცია. ხმაურზე კაბინეტიდან თვითონ ბატონი ანდრო გამოსულა და მალლაკელიძე ახლა იმას სცემია, — ეს ღლაპები თავზე დაგვასვითო, ინსტიტუტი ინსტიტუტს აღარ ჰგავსო, ილი ეტო ინსტიტუტ ბლაგოროდნის დევიც, ილი ჩტო ეტო ტაკოეო, და ამისთანები... ბატონმა ანდრომ, თურმე, მალლაკელიძის ჩხავილს ყურადღება არ მიაქცია და მზიას მშვიდად უთხრა, როგორც მე ვითხარი, ისე მოიქცეთო... მალლაკელიძე გავარდა და კარი გაიჯახუნა.

— მერე?
 — არაფერი.
 — ეგ რომელ საათზე იყო?
 — რა ვიცი.. თორმეტზე.
 — მერე? მას აქეთ სულ ტიროდი?
 — არა. რამდენჯერმე გავჩუმდი და თავი შევიკავე.
 — ჰმ!
 — რა იყო?
 — მზია, არ გეწყინოს და შენი ბატონი ანდრო...
 — რა — ბატონი ანდრო?...
 — რატომ ზომები არ მიიღო?
 — რა უნდა ექნა?...
 — იმ მალლაკელიძეს დღესვე ინსტიტუტიდან გავადგებდი.
 — რა უფლება აქვს?...
 — დიიიახ!...
 — როგორ ლაპარაკობ, ქეთინო?!..
 — როგორც ვლაპარაკობი...
 მზიამ იყუჩა. უმცროს დას აღარ შე-

ეკამათა და საღამური ნათურა გამო-
 რთო. ერთ ხანს გაუძნრეველად, ხმა-
 ამოუღებლად იწვნენ. მერე ქეთინო
 შეინძრა:

— მზია, გძინავს?
 — არა.
 — ვილაპარაკოთ?
 — მოდი.
 — მერე რით გათავდა ეგ ამბავი ჩვენს პირდაპირ რაღაც რედაქცია და მალლაკელიძემ თავისი დასაბეჭდი იქ წაიღო.
 — აჰა! მოუხდებია!...
 — ჰი — ჰი!...
 — გესმის, მზია? მაგ მალლაკელიძეს არასოდეს არაფერი დაუბეჭდო.
 — ოჰ!...
 — რა — დაუბეჭდავ?
 — რა უფლება მაქვს?!...
 — ბატონმა ანდრომ ზომ ვითხრა, არავის არაფერი დაუბეჭდოო.
 — უჩემოდ არ დაუბეჭდოო.
 — მერე?
 — თვითონ თუ გეტყვის დაუბეჭდევო, მაშინ...
 — ახლა რამე მიაგბე.
 — რა გიამბო?
 — რამე.

მზიას საამბოები არაფერი ჰქონდა. მალე დაიძინეს კიდევ. მეორე დღით კი, როცა ჩაის სვამდნენ, ქეთინომ განაცხადა, შენს სამსახურში უნდა მოვიდო და ბატონი ანდრო ვნახოთ. მზია შეფიქრებდა.

— რას მიყურებ? — თავისი კარაქიანი პური ქეთინომ ყურადღებით შეათვალიერა.
 — მგონი მართლა უხერხულია.
 — რატომ?
 — რა ვიცი. იტყვიან, რაღაც უბრალო უსიამოვნება შეემთხვა და მაშინვე და მოიყვანათ.
 — მაშ, რა ვქნათ?..
 — არაფერი. ცოტა კიდევ მოვიცადოთ.
 — მერე წამოვიდევ?
 — წამოდი.
 როგორღაც ისე მოხდა, რომ ამ დღიდან ორი თუ სამი კვირა ისე გავიდა,

რომ ჭალარა მოადგილე აღარც კი უხსენებიათ. ქეთინოს სკოლაში ისტორიის მასწავლებელმა კინლამ „ორიანი“ დაუწერა. გოგონა ორ საღამოს გაუჩერებლად ტიროდა, მერე კი ისტორიის სახელმძღვანელოს ჩაუჯდა და შუალამემდეგ თავს ზევით აღარ სწევდა. მზია ახლა ქეთინოზე აღრე იძინებდა. დეკემბრის დამლევეს ისტორიის მასწავლებელმა ქეთინო ისევ გამოიძახა, „ოთხიანი“ დაუწერა და მუქარით თითი დაუქნია, ამას იქით თუ „ოთხიანზე“ ნაკლებად გიპასუხია, იცოდე „ორიანს“ დაგიწერო. ქეთინო სახლში გამხიარულეზული დაბრუნდა, მთელი ჭურჭელი სულმოუთქმელად გარეცხა. იატაკიც გააპრიალა და დაძინების წინ მზიას შუქიანი თვალები მიანათა.

- მზია, მიამბე რამე.
- რა გიამბო?
- იმაზე... ბატონ ანდროზე.
- ისეთი არაფერი შემთხვევია.
- მაინც?
- გუშინწინ საბჭოდან გაბრაზებულნი გამოვიდა.
- რა საბჭოდან?
- სამეცნიერო საბჭოდან.
- მერე?
- არაფერი. ისევ მალაკელიძემ აურია.
- ბიჭოს!...
- უცნაური კაცია.
- რა უნდოდა?
- რა ვიცი... თუ კაცს ჩხუბი უნდა, მიზეზს ყოველთვის იშოვნის.
- მერე?
- მგონი, მეც ვუხსენებია.
- რაო?
- ალბათ, მაშინდელზე.. ხომ გახსოვს...
- მზია, მაშინ შენ აბსოლუტურად უდანაშაულო იყავი.
- რა უცნაური კაცია, ღმერთო!..
- მერე?
- დირექტორს უთქვამს, რატომ მე არ მომასხენეთო... და ბატონი ანდრო ამაზე გაბრაზებულა: თუ ასეთ უბრალო საქმეს ვერ გადავწყვეტ, მაშ, რაღა

- მოადგილე ვარ ან ამოდენა ჯამაგირს რატომ მიხდითო.
- შენ ვინ ვითხრა?
- დეილა ვერამ.
- ჯამაგირი მართლა დიდი აქვს?
- აუჰ!.. ოთხასი, თუ ხუთასი მანეთი. ხეირიანად არც კი ვიცი.
- მერე?
- დირექტორს უთქვამს, თქვენ მე კარგად ვერ გამოვითო.
- აჰა!.. უკან დაიხია!...
- ჰო!.. არა, ბატონი ანდრო გულით ავადმყოფია და ყველანი უფრთხილდებიან.
- გენაცვალე, გული ახლა ყველას ავადმყოფი აქვს.
- რატომ — ყველას?
- რა ვიცი. ყველა გულს უჩივის და...
- ზოგი შეიძლება ტყუილადაც ამბობდეს...
- ტყუილად?!..
- აბა რა!..
- ამ საღამოს ბატონ ანდროზე მეტი აღარ ულაპარაკიათ. მეორე დღეს კი მზია აფორიაქებული მოვარდა სამსახურიდან:
- ქეთინო, ხვალ ჩვენთან დისერტაციის დაცვაა.
- მერე?
- მერე და წამოდი. დარბაზში უამრავი ხალხი იქნება, ვინ შეგამჩნევს... ჰოდა, ბატონ ანდროსაც ნახავ. პრეზიდენტში იჯდომება.
- ვაი!...
- წამოდი!..
- რომელ საათზეა?
- სამზე. სწორედ მოასწრებ. სკოლიდან როგორც კი მოხვალ, წაისაუზმე და პირდაპირ წამოდი. მეორე დისერტაცია ვინ იცის, როდის იქნება.
- მოვალ, მზია, მოვალ. მაგრამ... კაბა?...
- ამ კაბითვე წამოდი.
- ამით?...

რამაჟ კოლიძე
მზია ცხრაშობი ფლისაა,
მითხვანი — თვრამაბის

— ჰო, აბა, ახლა ხომ არ გამოიბო-
ნებები!

— კარგი, მზია, კარგი! ოღონდ...

— ოღონდ — რა?

— მერე არ დამიწყო, რატომ არ ჩა-
იცივო.

— არა, ადამიანო, არა!

ასეც შეთანხმდნენ.

მეორე დღეს სამის ნახევარზე ქეთი-
ნო უკვე ინსტიტუტის შესასვლელთან
ტრიალებდა. მეორე სართულის ფა-
ნჯრიდან მზიამ გადმოიხედა და ხელი
დაუქნია. ქეთინო საღარბაზოში შევიდა
და მარმარილოს კიბეს აპყვა. მეორე
სართულის ტალანში მზია შეეგება, ხე-
ლი ხელში ჩააკიდა და მხარმარცხნივ,
კარგა მოზრდილ დარბაზში შეიყვანა.
დარბაზი თითქმის სავსე იყო ხალხით.

— სად დავჯდე?

— აგერ, იქ, კუთხეში.

— შენ?

— მე, ალბათ, პრეზიდენტში დამსვა-
მენ.. — ჰო! წესით დისერტაციაზე
სტენოგრაფისტი უნდა იყოს, მაგრამ..
მე მითხრეს, დაჯექი და თუ ვინმემ რა-
მე ისეთი თქვას, ჩაიწერო.

— რანაირი — ისეთი?

— აი, ისეთი... ერთი სიტყვით, კრი-
ტიკული.

— მე მარტო უნდა ვიყო?

— მერე რა გიშავს!...

— არა, არაფერი, მაგრამ..

— აი, აქ იჯექი.. თუ მოგეწყინება,
იმ კარიდან გახვალ.

— მზია?

— ჰო!

— ის?

— პრეზიდენტში იქნება. დაინახავ.

— მანიშნე, ვესმის?

— განიშნებ.

მზიამ გაუღიმა და წავიდა. ქეთინო
კედელთან მდგომ სკამთან ჩამოჯდა და
ნიკაპით ხელისგულს დაეკრძნო.

დარბაზი მალე ისე გაივსო ხალხით,
რომ ნემსი არ ჩავარდებოდა. ისმოდა
სკამების ხრაგუნი, ხმამაღალი გადალა-
პარაკება, სიცილი... პრეზიდენტის მა-
გიდის თავზე ნეონის გრძელი, რძისფე-
რი ნათურა აანთეს. მერე პრეზიდენტში

ერთი მეორის მიყოლებით ავიდნენ ვი-
ლაცა შავკოსტუმიანი და ნაცრისფერ-
კოსტუმიანი კაცები, მერე მზია ავი-
და, მერე ისევ ვილაც შავკოსტუმიანი
კაცი, და ძალიან გამხდარი, სათვალთ-
ვანი ქალი. კაცები ყველანი ჭადარანი
იყვნენ. განსაკუთრებით სიმპათიური
მათში ერთიც არ ერია. ასეთ კაცებს
ჟოველდღე ნახავ გინდ თეატრში
გინდ კინოში, გინდ სტადიონზე, — სა-
დაც გინდა. მზიას კი, ეტყობოდა, ქე-
თინოს არსებობაც კი გადაავიწყდა. სა-
ხეაწითლებული, აღელვებული, წამდა-
უწუშმ თავს უქნევდა, მის გვერდით
მჯდომ ნაცრისფერკოსტუმიან ჭადარა
კაცს, რომელიც დიდი დაბეჯითებით
რალაცას უხსნიდა. ნუთუ ეს კაცია ბა-
ტონი ანდრო?! არა, ამას ძალიან გრძე-
ლი ცხვირი აქვს, ეს ერთი, და მეო-
რეც — ეს ორმოცდაათის კი არა; ბარე
სამოცის და მეტისაც კი იქნება. სიბე-
რისაგან თავსაც კი აქიციანებს. არა, ეს
ბატონი ანდრო არ არის. მაგრამ, მაშ—
რომელია?

პრეზიდენტში სწრაფი ნაბიჯით ავი-
და და მაგიდის მარცხენა ბოლოს ვიუჯდა
ვილაც ახალგაზრდა. ამასაც ნაცრისფე-
რი კოსტუმი ეცვა. ძალიან შავი, მზზი-
ნავი თმა და ისეთი მუქი, თითქმის ყა-
ვისფერი პირისკანი ჰქონდა, რომ იფი-
ქრებდით, ეს ქართველი არ იქნებაო.
წინ საქადალდე დაიდო, გადაშალა და
მაგიდის მარჯვენა ბოლოსთან მჯდომ,
შავკოსტუმიან ჭადარა კაცს დიდი მო-
წიწებით თავი დაუქნია. ჭადარა ადგ-
და სამეცნიერო საბჭოს სხდომა გახსნი-
ლად გამოაცხადა. ქეთინომ მერე გაი-
გო, რომ ის შავგვრემანი ახალგაზრდა
ინსტიტუტის სწავლული მდივანი ყო-
ფილა.

დისერტაციას ვილაც შუახნის, მე-
ლოტი კაცი იცავდა. ქეთინომ კიდევ
გაიფიქრა, რალა დროს ამისი დისე-
რტაციაა, წყალტუბოს საგზურის რომ
ემბდღეს, სწორედ ის დროაო, დისერ-
ტანტი ძალიან ღელავდა. რალაც ჭადა-
ლდი რამდენჯერმე ძირს დაუვარდა.
ასაღებად რომ დაიხრებოდა, სახეზე
ერთიანად წამოწითლდებოდა ხოლმე

და თავმჯდომარეს — შავკოსტუმიან ჰალარა კაცს გაუთავებლად ბოდიშს უხდოდა. ამაზე თავმჯდომარეს ერთხელ ჩაეცინა კიდევ. მერე ის გამხდარი, სათვლიანი ქალი წამოდგა, ტრიბუნაზე ავიდა და თითქმის ერთი საათი ილაპარაკა. ხალხი ჯერ სულგანბული უსმენდა, მერე კი, რაც უფრო დიდხანს ლაპარაკობდა, დარბაზშიც ხმაურმა, ჩუბჩულმა და ხველებამ იმატა.

ერთი სიტყვით, დიდი მოწყენილობა იყო. ქეთინომ რამდენჯერმე ნამალევად, მაგრამ დაკვირვებით შეათვალერა პრეზიდიუმში მსხდომი კაცები — ჰალარათმიანებიც და ის გრუზათმიანი ახალგაზრდა, კაკლის მურაბასავით მრგვალი, მზზინავი თვალები რომ ჰქონდა, მაგრამ ბატონ ანდროს ვერაფერს მიახსენებდა.

სათვლიანი ქალის შემდეგ ტრიბუნაზე ნაცრისფერკოსტუმიანი ჰალარა კაცი ავიდა. გზდაგზა სათვალის შუშებს ცხვირსახოციტ წმენდდა. ამან ჯერ გამოაცხადა, ქალბატონმა ელენემ მე სათქმელი თითქმის აღარაფერი დამიტოვაო, მერე ჩაახველა, წყალი მოსვა, ისევ ჩაახველა, და რომ გააბა, იფიქრებდით, ამ წელიწადში აღარ გაათავებდით. ტრიბუნაზე სქელი ლურჯი და ყავისფერი წიგნები ეწყო. ეს კაცი ერთ წიგნს გადაშლიდა და რალაცას ამოიკითხავდა, ხან მეორეს.. ხან ზეპირად აღაპარაკებოდა, მერე ისევ წიგნს გადაშლიდა და ისევ კითხვას მოჰყვებოდა. ერთი სიტყვით, როცა, ამ კაცმა როგორც იქნა, ლაპარაკი გაათავა, ტრიბუნიდან ჩამოვიდა და თავმჯდომარემ შესვენება გამოაცხადა, ხალხმა იხუვლა და ნიაღვარივით მიასკდა გასასვლელ კარებს.

- ქეთინო?..
- რა იყო?.
- რას შევები?
- არაფერს.
- დაიდალუ?
- არა.

— მე პირდაპირ გათავებული ვარ. მართლაც მზია დაღლილობისგან გა-

ფთრებულიყო კიდევ, მაგრამ მაინც ილიმებოდა.

ქეთინომ არაფერი უპასუხა. მზია დას გვერდით მიუჯდა. ქეთინომ უკვე იცოდა, პირდაპირ დარწმუნებული იყო, რომ ბატონი ანდრო რატომღაც სხდომას არ ესწრებოდა. და ეს მზიამაც მყისვე დაუდასტურა. მიიხედ-მიიხედა და სწრაფად, დაბალი ხმით წასჩურჩულა.

- ცუდად გამხდარა.
- ?!..
- გულით.
- ჰმ?..
- თუ გინდა, წადი.
- წავალ.

სალამოს მზია ისეთი დაქანცული იყო, რომ ხმის ამოდების თავიც კი არ ჰქონდა. ჩაი ქეთინომ ლოგინში დააღვივინა. მზიამ ის-ღა უთხრა, დიდებულიძემ ორი შავი ხმა მიიღო, მაგრამ ხარისხი მაინც მიანიჭესო. და კიდევ ჩაეძინა. მეორე სალამოს კი მზია, ჩვეულებისამებრ, უხმოდ შესრიალდა თავის ლოგინში, მკერდზე საბანი გაისწორა, ორივე ხელი თავქვეშ ამოიწყო და ქეთინოს სწრაფი მზერა შეავლო. ქეთინომ „დიდოსტატის მარჯვენა“ ბალიშქვეშ ამოსდო.

- როგორ არის?
- კარგად.
- ძალიან ცუდად ყოფილა?
- არა, არც ისე. თურმე ხშირად ემართება. მაგრამ ერთი კვირა ლოგინში მოისვენებს და მერე ისევ კარგად არის ხოლმე.

- ის გრძელცხვირა ვინ-ღა იყო?
- რომელი?
- აი, შენ რომ გელაპარაკებოდა.
- როდის?
- დაწყების წინ. რალაცას რომ გიხსნიდა.
- ჰოო!.. ინასარიძე?
- მე რა ვიცი, ინასარიძეა თუ ... კარსანიძე!..

რამაჟ კობიძე
მზია ცხრამეტი წლისაა,
მეთევანი — თვრამეტი

— ის ინსასარიძეა. კარგი კაცია.
 — შენთვის ყველა კარგია.
 — ქეთინო!..
 — დიახ!..
 — რა გემართება?!..
 — არაფერი.
 — აბა, რა გინდა?!.. მორჩება ის აღამიანი, მოხვალ და ნახავ.

— იცი, რა გითხრა? ბოლოსდაბოლოს მაგის უნახავადაც გავძლებ — ქეთინომ გვერდი იბრუნა, ბალიშქვეშოდან „დიდოსტატის მარჯვენა“ გამოაძრო და დემონსტრაციულად გადაშალა. მზიამ აღმაცერად გაჰხედა. მერე აშაწაც გვერდი იბრუნა და საბანი შემოიკეცა.

— ქეთინო!
 — დიახ!..
 — ელექტრონის გამორთვა არ დავაიწყებ.
 — არა, ბატონო!..
 — ღამე მშვიდობის!..
 — ძილი ნებისა!..

ღები მეორე დღითვე შერიგდნენ. კაცმა რომ თქვას, ან გასაყოფი რა ჰქონდათ, ან მზია რაში იყო დამნაშავე? ქეთინო საქმიანად გაიქცა სკოლაში, მზიამ კი გულში მტკიცედ გადაწყვიტა, როგორც კი ბატონი ანდრო გამოძვინდება და სამსახურში გამოვა, ქეთინოს წავიყვან და, უბრალოდ, გავაცნობო. არა, მართლა და მართლა, რა უნდა ყოფილიყო ამაში ან განსაკუთრებული, ან, მით უმეტეს, საძრახისი? ეტყვის, ეს ჩემი უმცროსი დააო, და გავაცნობს. განა თანამშრომლების ოჯახის წევრებს არ ეცნობიან!

მაგრამ ქეთინოს არ ეწერა ბატონი ანდროს გაცნობა. ოთხშაბათ დღით სამსახურში მისულ მზიას ნამტირალევა, თავზარდაცემულმა კანცელარიის გამგემ უთხრა, წუხელ ბატონი ანდრო გარდაიცვალაო. დეიდა ვერას ხელში

ჩაკუჭული, სველი ცხვირსაწოცი მდაუწუმ ცხვირთან მიჰქონდა. სკამზე დაეშვა და გულზელი თა. იმდენად გაოგნებული იყო, რომ ერთი ცრემლიც არ გადმოვარდნია.

— მზია, საბეტდი არაფერი გაქვს? — ჰკითხა ცოტა ხნის შემდეგ დეიდა ვერამ და მუშტში ჩაკუჭული ცხვირსაწოცი ისევ ცხვირთან მიიტანა.

— არა, არაფერი.
 — კარგად გაიხსენე.
 — არა, დეიდა ვერა, ღმერთმანი — არაფერი.

— კარგი, მაშინ რედაქციაში გაცხადება წაიღე. თუ არ მიიღონ, იქიდანვე დამირეკე. იქვე დერეფანში ავტომატია. მერე მესამე სართულზე ადი, თინა ჟორჟოლიანი იკითხე და მის ოთახში დამელოდე. მე იქ დაერეკავ. გამიგე? — დიახ!

— აი, ფული, მერე მალე მობრუნდი. აქაც ბევრი საქმე გამოჩნდება.
 — დიახ!

მზიამ პალტო ჩაიცვა და ქუჩაში გამოვიდა. რედაქცია ახლოს, მესამე თემოთხე სახლის შემდეგ იყო. მზიამ პალტოს საყელო აიწია და ნელა გაჰყვანაწვიმარ, ტალახიან ქუჩას. მიდიოდა და ფიქრობდა იმაზე, რომ, კაცმა რომ თქვას, ბატონი ანდროს სიკვდილი მისთვის არც ისე მოულოდნელი ამბავი იყო. მზიას თითქოს გული მუდამ ეუბნებოდა, ბატონ ანდროს დიდი ხნის სიცოცხლე არ უწერიაო. ნამდვილად მზიას მუდამ ეშინოდა, დღეს სამსახურში მივალ და ბატონ ანდროზე რაიმე ცუდს გავიგებო. და აი, აღსრულდა კიდევ. ალბათ, ამიტომაცაა, რომ მზია ასე თუ ისე მშვიდად შეხვდა ამ ამბავს. აი, აკი მიდის, რედაქციაში მივა, რაც გასაკეთებელი აქვს, გააკეთებს... მაგრამ — ქეთევანი? მზია, როგორ გინდა ეს ამბავი ქეთევანს შეატყობინო?!..



ქველი თხილისის გახსენება

იოსებ გრიშაშვილის ხსოვნას

აქ ფიროსმანის ტრიალებს ჯადო,
მოწყენით გიმზერს თეთრი ტარიგი...
ბაზართან უნდა იდგე და ხატო —
კინტოს ღიმილი და თადარიგი.


მიჯნურის გული ჯერ მიუგნები,
ყარაჩოდელთა სიტყვა ხალაი,
ზურნის ზუილი, ჭრელი დუქნები,
ამაყი შუბლი ნარიყალასი.

ნაძვის ტივები, მტკვარზე მცურავი
მეტეხის ციხე ბევრის მნახველი,
ბედის ხსენება და სამდურავი,
შემოწოლილი გულზე ნაღველი.

სწორებში ჯდომა, ჭიქის წაქცევა,
ერთხელ ხსენება ერთი ქალისა,
სამუსაიფოდ, თავშესაქცევად —
მისმობს ბაღები ორთაჭალისა.

თავად დასტოვე მყუდრო ნაპირი,
იმ დღეებს შენი შუქიც ერია;
თავად გინახავს ეს ყველაფერი,
გიოცნებია და გიმღერია.

დედა-თბილისის იდექ კარებთან,
მზის გეცემოდა სხივი პირველი,
ძალას გმატებდა და გახარებდა,
ერის სიმტკიცე გასაკვირველი.



მზიური ბენია

ძნელია რამდენიმე სიტყვით თუ წინადადებით გამოხატო ის განცდა, რასაც ჩვენში პუშკინის სახელის უბრალო ხსენება აღძრავს. იგი პოეზიის სინონიმი, მასავით უბერებელი და ცეცხლოვანი, ზღაპრული ხილვების ამშლელი და მათრობელი.

რუსული ლიტერატურის მთელი განვითარება თითქოსდა მზადება იყო სიტყვის ამ ვადოქარის გამოსაჩენად. იშვიათად მომხდარა, ერთ კაცს იმდენი გაცემების მშობლიური მწერლობისა და კულტურის ასაყვავებლად, რამდენიც პუშკინმა გააკეთა. ფასდაუდებელია პუშკინის დეაწლი ახალი რუსული ენის საბოლოოდ ჩამოყალიბებასა და ფორმირებაში; გენიოსის შეუმცდარი აღდროთი ფართოდ გაუხსნა კარი ბუნებრივ ხალხურ მეტყველებას, დაეწაფა ხალხური ენის ძლიერ და შეურყვნელ წიადს, რუსული ლექსი მანამდე არნახულ სიმაღლესა და მშვენიერებას აზიარა. ამ მხრივ პუშკინი რუსთაველისა და დანტეს გიგანტურ ფიგურებს გვაგონებს.

არ არსებობს იმაზე დიდი შეფასება, პუშკინის პოეზიისა და პროზას გოგოლა და ტოლსტოიმ რომ მისცეს.

გოგოლი თავის ცნობილ სტატიაში წერდა: „თუ ვილაპარაკებთ პუშკინის ღირსებებზე, რაც მას სხვა პოეტთან განმარტვებდა, ეს გახლავთ აღწერის წარმოუდგენელი სისწრაფე და არაჩვეულებრივი ხელოვნება ორიოდვე შტრიხით მთელი საგნის ვადმოცემისა. მისი ეპოეტი იმდენად ბევრის დამტვევი და თამამია, რომ ზოგჯერ მთელი აღწერი-

ლობის მაგივრობას სწევს; მისი ფუნჯი ფრინავს. მისი მცირე ლექსი ყოველთვის მთელი პოემის ბადალია. გავვიკირდება მეორე პოეტის დასახელება ვის მცირე მოცულობის ლექსშიც იმდენი სიდიადე, უბრალოება და ძალია იყოს, რამდენიც პუშკინისაშია“.

გოგოლი სავანგებოდ მიუთითებდა თუ რა მომპირნობას იჩენდა პუშკინი სიტყვის ხმარებისას და იქვე აღნიშნავდა, რომ პოეტის თვითვეულ სიტყვას „უკიდევანო სივრცე“ ეძლეოდა.

ტოლსტოის აზრით, პუშკინი ერთი იმ დიდ პოეტთან იყო, ვის შემოქმედებაშიც „საგანთა განლაგების პარამონია სრულყოფილად მიყვანილი“. ტოლსტოი ყველა მწერლისათვის სავალდებულოდ თვლიდა „ბელკინის მოთხრობების“ გამუდმებით კითხვასა და შესწავლას, ხოლო პუშკინის ერთი პროზაული ნაწყვეტის პირველმა ფრაზამ, მას „ანა კარენინას“ დასაწყისი შთააგონა, სწორი ინტონაცია მიაგნებინა.

მკვლევარები აღნიშნავენ, რომ პუშკინს თითქმის არ ჰქონია მოწაფეობის ხანა; ამ მხრივაც იშვიათი გამოჩაქლისი იყო. თხუთმეტი წლისა დალოცა იგი აცრემლებულმა „მოხუცმა ღერყავინმა“, ხოლო „რუსლანისა და ლიუდმილას“ წაკითხვისთანავე ყუქოცსკიმ მოწაფის წინაშე თავი დამარცხებულად სცნო.

ლიცუმის ლექსებზე არც არასოდეს უთქვამს უარა პუშკინს, მხოლოდ მოგვიანებით შეიტანა მათში ზოგიერთი რედაქციული ხასიათის შესწორება.



ოცი წლისამ სავსებით მოცილა „ლიცეუმის გრიმი“ და დასრულებულ ოსტატად მოველინა რუსეთს.

პუშკინის ცხოვრებაში პირველი დიდი ტრაგედია იყო დეკაბრისტთა აჯანყების დამარცხება და მისი მეგობრების უმძიმესი ხვედრი. პუშკინს ახლო ურთიერთობა ჰქონდა დეკაბრისტთა ლიდერებთან, მაგრამ შეთქმულებაში უშუალო მონაწილეობა არ მიუღია. გამოძიებისას ქანდარმები ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რათა პუშკინი დამნაშავედ გამოეყვანათ, მაგრამ სასიკვდილოდ განწირულმა ბესტუჟევმა და მურავიოვ-აპოსტოლმა რაინდული სიმტკიცე გამოიჩინეს და თავიანთი თანამოაზრე პოეტი განსაცდელი-საგან იხსნეს.

ამ საბედისწერო დღეებიდან მოყოლებული, ეჭვმიტანილ პუშკინს ვასაქანს არ აძლევდნენ მეფე და ქანდარმერა.

ოცდაექვსი წლისა შეხვდა პირისპირ პუშკინი ასევე ახალგაზრდა ნიკოლოზ პირველს და სიკვდილამდე არ მოშორებია პოეტს იმპერატორის ავბედიით ლანდი.

ქანდარმთა კორპუსის შეფი გრაფი ბენკენდორფი და III განყოფილების აგენტი, მდარე მწერალი და ჟურნალისტი ბულგარინი სულს უხუთავდნენ პუშკინს. ბენკენდორფთან შეუთანხმებლად, ნაბიჯის გადადგმა და სტრიქონის გამოქვეყნება არ შეეძლო. მაინც ვერაფრით ვერ ჩაუკლეს ხალისი. სოფელ მიხაილოვსკოეში ორწლიანი გადასახლებიდან დაბრუნებულს ელიმებოდა, თორმეტი დროგი წიგნი წამიკითხავსო; მის მიერ წაკითხული ლიტერატურა ოცდაოთხ ვეება ყუთში იყო ჩაჰყდილი.

მალე თვით იმპერატორმა გამოაცხადა თავი პუშკინის პირად ცენზორად. ამიერიდან პუშკინის ყოველ ნაწარმოებს — დიდსა თუ მცირეს — განათლებული და ვერაგი ტირანის ხელში უნდა გაველო. ცნობილია, რომ პუშკინს თავისი ნაწერებიდან გამორჩევით უყვარდა „ბორის გოდუნოვი“ და მე-

გობრთა ვიწრო წრეში, მათივე თხოვნით, რამდენჯერმე წაიკითხა ეს დრამა ნიკოლოზმა ბენკენდორფის პირით ურჩია პუშკინს, კარგი იქნება თუ „ბორის გოდუნოვს“ ვალტერ სკოტის რომელიმე რომანის ყაიდაზე გადააკეთებ, უფრო კარგი საკითხავი იქნებაო. ამაზე პუშკინმა თავაზიანი უარი შეუთვალა, მაპატიეთ, მაგრამ ერთხელ დაწერილის გადაკეთება არა მჩვევიაო.

გასაოცარია ის ყურადღება და უზომო სიყვარული, რასაც პუშკინი ნაცნობებისა და ახლო მეგობრების მიმართ იჩენდა. რამდენ საალერსო სიტყვას იგონებდა მათ გასახარებლად. დეაკვირდეთ ვიაზემსკის, კრივცოვის, კავერიინის, პლეტნევის, დელვიგის და სხვათა სახელზე გაგზავნილ ბარათებს, რამდენი სიტობა მათში, რამდენს გვეუბნება თვით ეს მიმართებები: «Душа моя... ангел мой», «Пряник мой», «Любимец муз», «Безалаберный житель свободной Англии», «Кормилец» და სხვა ამგვარი.

განსაკუთრებით დელვიგს ანებივრებდა, რომლის უდროო სიკვდილმაც სამუდამოდ ჩასწყვიტა გული. ერთ წერილში ასე ემშვიდობება თავის უსაყვარლეს მეგობარს: კარგად, იყავი, აკოცე საკუთარ ქიპს, თუკი მოახერხებო. წერილებში გამუდმებით ფეთქავს პუშკინის ფანტასტიური იუმორი; კიუხე-ლბეკერს ხუმრობით ტევტონს ეძახდა; ერთ ბარათში ასე აბურთავებს გრაფომანსა და დამსმენ ცენზორს: მთელს რუსეთში ერთადერთი ბულგარინი წერსო. ქორწინებამდე რამდენიმე დღით ადრე პლეტნევისადმი გაგზავნილ ბარათში ასეთი კლამბური ჩაუწერია: «Взять жену без состояния, я в состоянии, но входить в долги для ее тряпок — я не в состоянии». ეს მისეპური ხუმრობა იყო, გენიის სწორუპოვარი ბუნების ერთი გამოსხივება.

მეორე ბენია

არ დარჩენილა იმ დროის ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი მოვლენა, პუშკინს რომ შეუმცდარი შეფასება არ მიეცეს. მისი მარად ფხაზელი, უზარმაზარი გონება ყველასა და ყველაფერს სწევდებოდა, ყველა სწუხვანის ფასი იცოდა. მისი უსაყვარლესი ავტორი შექსპირი იყო. ტრაგედიას შექსპირის თვალებით უნდა შევხედოთო, იტყოდა ხოლმე და თავად ამ პრინციპისათვის არასოდეს უღალატნია. შექსპირისეული სიმართლე და სიღრმე იგრძნობა მის მცირე ტრაგედიებსა თუ „პუგაჩოვის ისტორიის“ სისხლიან ქრონიკებში.

თითქმის არ დარჩენილა ქანრი, სადაც პუშკინს თავისი გადამწყვეტი და განუმეორებელი სიტყვა არ ეთქვას; — ლექსად დაწერილი გენიალური რომანით დაწყებული და არაჩვეულებრივად ფერადოვანი საყმაწვილო პოემა-ზღაპრებით დამთავრებული.

ჯერ კიდევ სათანადოდ შესასწავლია საქართველოსადმი, ყოველივე ქართულისადმი პუშკინის დამოკიდებულება. ამ მიზნით გულმოდგინედ უნდა დავაკვირდეთ მთელ მის უმდიდრეს მემკვიდრეობას.

კავკასიონის ზვიადი ხერხემლის ელვარებამ სულით ხორცამდე შესძრა თავისუფლების მომდერალი და მიჯაჭვული ამირანის საუფლოში ღვთაებრივი ხმები დასცდა მის სწორუპოვარ ჩანგს. საოცარი სიმძაფრით შეიგრძნო რუსეთის უდიდესმა პოეტმა ჩვენი ერის ისტორიული ბედი, მისი მრწამსი.

პუშკინის ტრაგიკული სიკვდილი არ იყო შემთხვევითი ამბავი. ჯერ კიდევ „ბრინჯაოს მხედარში“ იგრძნობა ის სულისშემხუთველი გარემო, ბნელი კოშმარით რომ აწვა პოეტს. ამ პოემაში ჩათქმული ალეგორიები და ბოლო წლების ბარათებში შეფარული მინიშნებანი საუცხოოდ გაშიფრა ა. ბელამ, რითაც ნათელი მოჰფინა პუშკინის ცხოვრების ზოგიერთ საიდუმლოს.

მეფემ და სასახლესთან დაახლოებულმა პირებმა ყველაფერი გააკეთეს, რომ მოეშხამათ, წონასწორობიდან გამოეყვანათ პოეტი. საქმე ოჯახის სიწმი-

ნდეს და პირად ღირსებას შეეხებოდა და პუშკინს სხვანაირად მოქცევაში შეეძლო — იგი სიკვდილის დადგა. უგულო ჯალათის ტყვიამ მიზანს მიაღწია. მთელი რუსეთი არანახულმა შეშფოთებამ მოიცვა.

სუსხიან იანვარში, სულთმობრძავი პოეტის ფანჯრებთან იდგა პეტერბურგის უბრალო ხალხი, მისი ნამდვილი ჭირისუფალი და ღამეებს უთევდა... მათ სათაყვანო შეიღს გადარჩენა არ ეწერა.

ამ საბედისწერო დღეებში დაიწერა სრულიად ახალგაზრდა ლერმონტოვის ლექსი — უდიდესი რისხვითა და შუროსძიების წადილით აღსავსე, სამარცხინო ბოძზე რომ აკრავდა პოეტის მკვლელებს. ლექსი საოცარი სისწრაფით გავრცელდა და საიდუმლო პოლიციას ახალი საზრუნავი გაუჩნდა — ქანდარმა შეფმა ბენკენდორფმა პირველი საქმე შეადგინა მანამდე უცნობ ახალგაზრდა პოეტზე და იმპერატორს მოხსენებითი ბარათი გაუგზავნა.

პუშკინის ხელნაწერთა აღწერილობაც ქანდარმერიამ მოახდინა, რასაც თანამედროვეებმა „სიკვდილისშემდგომი ჩხრეკა“ უწოდეს. გენერალ-მაიორი დუბელტი, რომელსაც უუოვსკისთან ერთად ეს საქმე მიანდეს, ცინიკურად აცხადებდა: ეს პუშკინი სიცოცხლეშიც ბევრს ბეჭდავდა და რაღა აზრი აქვს მისი დაუბეჭდავი ნაწერების მონახვას და გამოქვეყნებასო. ოღოვესკიმ ათსტრიქონიანი ნეკროლოგი მოათავსა გაზეთში, სადაც დიდი გულისტკივილით წერდა, ჩვენი პოეზიის მზე ჩაესვენაო. ესეც სალაპარაკო ვახდა, ასეთი პატავით რატომ მოიხსენიეს პუშკინი, მას ხომ არავითარი ღირსშესანიშნავი თანამდებობა არა სჭერიაო, უსი-რცხვილოდ გაიძახოდნენ მეფის ბოზოლა მოხელეები.

ვინ მოთვლის სად, რომელ ქვეყანასა და ქალაქში არ იყო გაფანტული პუშკინის უძვირფასესი ხელნაწერები, ვის კუთვნილებას არ შეადგენდა ეს უდიდესი ეროვნული განძი.

მხოლოდ საბჭოთა ეპოქაში ვახდა

შესაძლებელი პუშკინის მთელი მემკვიდრეობის სისტემაში მოყვანა და პოეტის თხზულებათა ნამდვილი აკადემიური გამოცემა.

პუშკინის შემოქმედების საუკეთესო მცოდნე იური ტინიანოვი ერთ თავის გამოკვლევაში წერდა:

„უაზრობაა იმაზე მარჩიელობა თუ რას გააკეთებდა პუშკინი, 1837 წელს რომ არ მოეკლათ. ის ლიტერატურული ევოლუცია, მან რომ განიცადა, კატასტროფული ძალისა და სისწრაფის იყო. მისმა ლიტერატურულმა ფორმამ თავის ფუნქციას გადააქარბა და ეს ახალი ფუნქცია ფორმას დაატობდა. ლიტერატურული შემოქმედების მიწურულს, პუშკინს ლიტერატურის სფეროში არალიტერატურული მოვლენები (მეცნიერება და ჟურნალისტიკა) შემოჰქონდა, ვინაიდან მხოლოდ ლიტერატურული ფუნქციები მისთვის საკმარისი აღარ იყო. იგი გასცდა ამ ფუნქციათა საზღვრებს“.

როგორც ვხედავთ, მკვლევარს მხედველობაში აქვს ცოდნისადმი პუშკინის დაუმცხრალი წყურვილი, პოეტის ერთ-ერთი უმთავრესი თვისება, რაც სიცოცხლის ბოლო წლებში კიდევ უფრო გაუმძაფრდა; უსაზღვროდ გაიზარდა მისი ინტერესებას სფერო.

პუშკინს კარგად ესმოდა თავისი შემოქმედების ფასი: იცოდა, რომ ერთი ან ორი ერის კუთვნილება არ იყო და მის სახელს მისი ფიზიკური სიკვდილის შემდეგ სიყვარულით წარმოსთქვამდა ყველა თავსაუფლებამოყვარე ხალხი. ხელთუქმნელი ძეგლის“ ამგები წინასწარმეტყველის გზნებით გვარწმუნებს, რომ სანამ ერთი პოეტი მაინც

ივლის ცისქვეშეთში, მისი სახსენებელი არ წარიშლება, თვითონაც იარსებებს.

გრანიტზე მტკიცე და უძველესია ეს რწმენა. ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეორე ათასწლეულის დამლევს უცნობი ეგვიპტელი პოეტი წერდა, რომ ვერც კედელი და პირამიდა ვერ შეედრება უკვდავ წიგნებში გაცხადებულ სიბრძნეს, პაპირუსის თხელ ფურცლებს რომ შერჩენია.

პუშკინი მარადიული სახეა პოეზიისა. არ დარჩენილა მისი შემდგომი არც ერთი ლიტერატურული თაობა თუ სკოლა, აღსარება რომ არ ეთქვა მისთვის. არც არასოდეს დაიღვეა იმათი რიცხვი, ვისაც მოხიბლავს, უმაღლეს ნეტარებას აგრძნობინებს პუშკინის სტრიქონთა სილბო და ნაჭედობა.


გალაქტიონ ტაბიძემ, თანამედროვე ქართული პოეზიის მშვენიერებამ, ასე გამოხატა თავისი დიდი თაყვანისცემა და სიყვარული პუშკინის მიმართ:

ბარიზი. კაფე. პალმების ბუჩქის
ტოლოს და სწორის
პოეტი ამბობს: ვუსმინოთ პუშკინს,
რომ დგას ჩვენს შორის:

„
„იბრწვინე მარად, დიადო მწეო,
იბრწვინე მარად.
ვით ეს სანთელი ქრება უმწეო
მშის შუქის კარად.

ისე — ცრუ სიბრძნე უკვდავ აზრის ბქეს
ვით ნისლი რამე,
იბრწვება, ჰქრება, გაუმარჯოს მშეს,
ძირს ბნელი დამე!“

მომეცით ჩრდილი ვარდების ბუჩქის,
მომეცით — თასით.
ეს გაუმარჯოს ჩვენს ძვირფას პუშკინს!
თამამად ასწიო!



ქუკოვსკისადგი

როს საოცნებო სამყაროსაკენ
ამაღლებული სული გეწევა,
ქნარი, რომელიც ღმერთებს მოსტაცე,
შენი თითების ელის ხელწერას.
როცა ჩვენებებს ვერ მოიცილებ,
სიბნელის ჯადო ცისკარს გავიწყებს,
როს შთაგონების სწრაფი სიცივე,
გეახლება და თმებს გადაგიწევს.
შენ მართალი ხარ.
შენ ქმნი სხვათათვის,
მუცლითმეზღაპრეთ განუღექ გვერდზე,
შენ მიმბაძველებს ხალხად არა თვლი,
შენ ტალანტების მეგობრებს ეძებ.
ყველას როდი აქვს ბედნიერება,
დიდებას ყველა ვერ შეეცაწრებით,
ნეტარ არიან, ვინც იგრძნო ვნება
დიდი აზრების, დიდი ლექსების, —
ვინც მშვენიერი, ხმა სანატრელი,
აღანთო თრობის სათნო წამებად,
ვინც მგზნებარება შენი ნათელის,
შეიგრძნო, როგორც აღფრთოვანება.

თარგმნა ჯანსუღ ნარაჰიანმა



... მე კვლავ ვიხილე
ქვეყნის ეს კუთხე, სადაც ვიყავ გაძევებული
და ორმა წელმა შეუმჩნევლად რომ ჩაიქროლა.
გასული არის ათი წელი — და ცხოვრებაში
ბევრი რამ ჩემთვის შეცვლილია და მეც მორჩილი
ახლა საერთო კანონისა, გამოვიცვალე —
მე ვარ შეცვლილი, მაგრამ აქ კი კვლავინდებურად
თავს დამატყდება გარდასული და გაცოცხლდება.
მომეჩვენება, წარაფებში საღამოობით
დავებუტები.

აი, სახლი მიტოვებული,
მე იქ ვიყავი ჩემს ძიძასთან, მე იქ ვცხოვრობდი.
აღარსად არის ის მოხუცი — მე აღარ მესმის
თუ იგი მძიმედ როგორ დადის ამ კედლის მიღმა.
მე იგი უკვე მზრუნველობით აღარ დამხედავს.

აი, ტყიანი ბორცვი, სადაც ვიჯექი ხშირად
და გაუნძრევლად შევყურებდი ტბას ნაღვლიანი
და ვიგონებდი სხვა ნაპირებს...

ოქროს ყანებს და ამწვანებულ საძოვრებს შორის
გაფენილია ის ტბა ლურჯად და ტბის იდუმალ
სილაქვარდესი მებადური ნავს მიაცურებს,
ეწვევა ბადეს, დაფხავებულს. გაფანტულია
ტბის დაქანებულ ნაპირებთან სოფლები, ხოლო
სოფლების იქით წისქვილია, გადაბრეცილი,
ფრთებს საცოდავად აჭრიალებს...

და მამაპაპურ
ადგილმამულის სამიჯნოსთან, სწორედ იქ, სადაც
ხშირი ავდრებით დახრამული გზა მიდის მთისკენ,
დგას სამი ფიჭვი — მოშორებით შრიალებს ერთი,
ხოლო ორნი კი ერთმანეთთან ახლოს არიან.
აქ, როცა იმათ ჩაუვლიდი მთვარიან ღამით
და ცხენზე ვიჯექე, მახლობელი იყო რაოდენ
მათი შრიალი, ირხეოდნენ კენწეროები,
მესალმებოდნენ...

გავიარე იმ გზაზე ასლაც
და დავინახე კვლავ ისინი. კვლავ ისე დგანან.
კვლავინდებურად ძვირფასია შრიალი მათი —
ოღონდაც ახლა დაბერებულ იმათ ფესვებთან
(სადაც ოდესღაც იყო სულმთლად მოტიტვლებული)
წამოზრდილია წვრილიანი, მწვანე ოჯახი;
და ის ბუჩქები შეყუჟულები
ხეების ჩრდილში ჩოჩქოლებენ, როგორც ბავშვები.
ხოლო მესამე, ამხანაგი იმ ორი ხისა,
ისევ შორსა დგას დაღვრემილი, განმარტოებით,
ვით მამაკაცი უცოლშვილო და მის გარშემო
მიშველი არის არემარე.

შენ გავიმარჯოს ,
თაობავ ნორჩო და უცნობო! მე ვერ გიხილავ
სრულასაკოვანს და ღონიერს, როცა გაუსწრებ
ჩემს ნაცნობ ხეებს. ახოვანი აფფარები
ისე, რომ იმათ ალბათ მაშინ ვერ დაინახავს
აქ გზად ჩავლილი. მაგრამ, დაე, შთამომავალმა
თქვენი ხმაური გაიგონოს, თქვენი სალამი,
როდესაც გვიან მეგობრებთან საუბრის შემდეგ
იგი — კეთილი, მზიარული ფიქრებით სავსე
ჩავიგოვს გვერდით ღამის შრიალში
და გამიხსენებს.

●

ხმაურიანი ქუჩების მორევს
თავს დავაღწევ და ტაძარში შევალ
თუ თავაწყვეტილ ჭაბუკთა შორის
დავჯდები. — ჩემი ოცნების ტყვე ვარ.

მე ვამბობ: ჟამი უგერაგესი
მიჭქრის და ყველას შეხვედრა გველის
მარადიული ტაძრის თაღებში...
თავს დაგვდგომია სიკვდილი ცელით.

მე ვფიქრობ, როცა მუხას ვუყურებ:
შენ ასე იდექ პატრიარქივით
და კვლავ იდგები, ჩვენს საუკუნეს
მოიხსენიებს როცა არქივი.

მე ვამბობ, როცა ყრმას ვეფერები:
მშვიდობით-მუთქი, უკვე გშორდები,
ჩემი სიცოცხლის ხმება ღერები,
გასაშლელია შენი ყლორტები.

წელს წელი მისდევს. მე მუდამ მსურდა
და მსურს, რომ ჩემი სიკვდილის თარიღს
თვალი შევასწრო, რომელმაც უნდა
ჩემს არსებობას დაუდოს ზღვარი.

გზა არის, ზღვაა თუ ბრძოლის ველი?
სად დამეწევა სიკვდილი ნეტავ?
თუ მეზობელი ხეობა ელის
ჩემს გათოშილ და უსულო ცხედარს?

იქნებ ერთია, რომელ მადლობთან
დაეხვევიან სხეულს მატლები,
მაგრამ მშობლიურ ქვეყნის მახლობლად
სულს მოსვენება აქვს სანატრელი.

ახალგაზრდული ჩქეფდვს ცთუნებით
დაე, სამარის კართან ცხოვრება
და წილად ერგოს გულგრილ ბუნებას
მარადიული გაცისკროვნება.

თარგმნა ზივი ზევაძე



ალექსანდრ პუშკინი

როსლავლიოვი

მანდილოვსკის ბავშვებზე ჩანაწერთა ნაწყვეტი (1811 წელი)

ვკითხულობდი „როსლავლიოვს“ და განცვიფრებულმა შევამჩნიე, რომ მის კვანძს ნამდვილი შემთხვევა, ჩემთვის ფრიად ნაცნობი შემთხვევა ედო საფუძველად. მე ოდესღაც მეგობარი გახლდით ბ. ზაგოსკინის მიერ თავისი მოთხრობის მიზრად არჩეული უბედური ქალისა. ბ. ზაგოსკინმა ხელახლა მიაპყრო საზოგადოების ყურადღება დავიწყებულ ამბავს, გაუღვიძა დროთა ვითარებაში მიძინებული გრძნობა აღშფოთებისა და სიმშვიდე დაურღვია საფლავებს. მე დამცველი ვიქნები აჩრდილებისა და მკითხველი სისუსტეს მიუტყევეს კალამს ჩემსას, რამეთუ პატივს დასდებს ჩემს გულითად ზრახვებს. იძულებული ვიქნები, ბევრი ვილაპარაკო საკუთარ თავზე, ვინაიდან ბედი ჩემი დიდხანს იყო დაკავშირებული ჩემი საბრალო მეგობრის ხვედრთან.

საზოგადოებაში გამომიყვანეს 1811 წლის ზამთარში. არ შევეუდგები პირველ შთაბეჭდილებათა უბნობას. ადვილად შეიძლება წარმოიდგინოთ რა უნდა ეგრძნო თექვსმეტი წლის ასულს, რომელმაც ანტრესოლები და მასწავლებლები განუწყვეტელ ბაღებზე გაცვალა. მზიარულების ფერხულში ჩემი ასაკისთვის ნიშნული მჩქეფარებით ჩავერთე და სა-

ფიქრელად ჯერ არ მეცალა. დასანანი კია: ის დრო ღირდა დასაკვირვებლად.

ჩემთან ერთად საზოგადოებაში გამოსულ ქალიშვილთა შორის გამოირჩეოდა თავადის ასული** (ბ. ზაგოსკინმა მას პოლინა დაარქვა, მეც ასე ვუწოდებ). მე და პოლინა მალე დავმეგობრდით აი, რა შემთხვევის წყალობით.

ჩემი ძმა, ოცდაორი წლის ყმაწვილი, მაშინდელ ფრანტა დასს ეკუთვნოდა. მსახურობდა საგარეო საქმეთა კოლეჯიაში და ცხოვრობდა მოსკოვში, სადაც დაცეკვავდა და დაქარაფმუტობდა. მას გული შეუვარდა პოლინაზე და ბევწნით დამიყოლია ჩვენი ოჯახები დამეაღლოებინა. ძმა მთელი ჩვენი სახლელის კერპი იყო. ამიტომ რაც უნდოდა, იმას მაკეთებინებდა.

პოლინას ძმის საამებლად დავუახლოვდი და მალე გულწრფელად შემეყვარდა. ქალიშვილს ჰქონდა ბევრი რამ უცნაური და უფრო მეტი რამ მიმზიდველი. მე ჯერ კიდევ არ მესმოდა მისი, მაგრამ უკვე მიყვარდა. ვერ ვგრძნობდი, თანდათან ისე ვისხამდი მის თვალებს და ვფიქრობდი მისებურად.

პოლინას მამა დამსახურებული მამრი გახლდათ, ესე იგი დადიოდა ექვსცხენა ეტლით და ატარებდა გასაღებსა და

ვარსკვლავს, თუმცაღა თავქარიანი და მიმდობი კაცი იყო. დედამისი, პირიქით, დინჯი ქალი გახლდათ და გამოაჩინოდა გულზნეადობითა და კეთილგონიერებით.

პოლინა დადიოდა ყველგან; გარს ეხვია თაყვანისმცემლები; თავს ევლებოდნენ, მაგრამ თვითონ მოწყენილი იყო. მოწყენილობა კი ამაყი და გულცივი ადამიანის იერს აძლევდა, რაც ფრიად შვენოდა მის ბერძნულ სახეს და შავ წარბებს. გული სიხარულით მეცხებოდა, როცა ჩემი სატირული შენიშვნები ღიმილს ჰფენდა სწორნაკეთებიან და მოწყენილ სახეზე.

პოლინა ბევრზე ბევრს კითხულობდა, თანაც განუჩრჩველად. მამის ბიბლიოთეკის გასაღები მას ჰქონდა. ბიბლიოთეკაში კი მეტწილად XVIII საუკუნის მწერალთა თხზულებანი იყო. ქალოშვილი მთელ ფრანგულ სიტყვიერებას იცნობდა მონტესკიედან მოკიდებული კრებილიონის რომანებამდე, ზეპირად იცოდა რუსო. ბიბლიოთეკაში არც ერთი რუსული წიგნი არ ჰქანებდა, გარდა სუმაროკოვის თხზულებებისა, რომელთაც პოლინა არასდროს არ ეკარებოდა. მეუბნებოდა ხოლმე, რუსულ ნაბეჭდს ძლივს ვარჩევო, და ალბათ არაფერს კითხულობდა რუსულად. მოსკოველი მოღეჭეების მიერ მისდამი მიძღვნილ ლექსებსაც კი.

აქ თავს ნებას მივცემ მცირედი წიადსვლისას. აი, უკვე, ღვთის მადლმა, ოცდაათი წელია ჩვენ, საბრალოებს, გვლანძღავენ, რომ რუსულად არ ვკითხულობთ და არ შეგვიძლია (თითქოსდა) მშობლიურ ენაზე ლაპარაკი (NB: „იური მილოსლავსკის“ ავტორს ცოდვად ჩაეთვლება უხამსი ბრალდებების განმეორება. ყველამ წავიკითხეთ მისი თხზულება და, მგონი, ერთ-ერთ ჩვენგანს უნდა უმაღლოდეს თავისი რომანის ვადა-თარგმანს ფრანგულ ენაზე). კი ბატონო, მაგრამ ჩვენი სიტყვიერება ლომონოსოვზე ძველი არაა, თანაც მეტისმეტად შეზღუდულია. რა თქმა უნდა, იგი რამდენიმე ჩინებულ პოეტს გვაცნობს, მაგ-

რამ ხომ არ შეიძლება ყველა მკითხველს მოვთხოვოთ, განსაკუთრებულად ყურადღებოდეს ლექსები. პროზაში „კარამზინის ისტორია“ გვაქვს; პირველი ორი თუ სამი რომანი გამოჩნდა ორისამი წლის წინათ: მაშინ, როცა საფრანგეთში, ინგლისსა და გერმანიაში ზედიზედ გამოდის ერთიმეორეზე საუცხოო წიგნები. ჩვენ ვერც თარგმანებს ვხედავთ, ხოლო თუ ვხედავთ, როგორც გენებოთ და მე მინც ორიგინალი მირჩვენია. ჩვენი ყურნალები მხოლოდ ჩვენი ლიტერატორებისთვის არის. საინტერესო. იძულებული ვართ, ყველაფერი, ამბები თუ ცნობები უცხოური წიგნებიდან ამოვკრიფოთ. ამგვარად, აზროვნებითაც უცხო ენაზე ვაზროვნებთ (ყოველ შემთხვევაში ისინი, ვინც აზროვნებს და ადამიანური აზრების მიმდევარია). ასე მიიზრეს ყველაზე გამოტყეხილად ჩვენმა უცნობილესმა ლიტერატორებმა. ჩვენი მწერლების გამუდმებული ჩივილი — რუსულ წიგნებს ავღებულად ეკიდებითო, ჰგავს რუს მოვკურთა ჩივილს, რომლებიც ცოფებს ჰყრიან, რატომ სიხლერის ქულებს ყიდულობთ და კოსტრომელი მკერავების ნაწარმი არ გაკმაყოფილებთო.

გუბრუნდები ჩემი საუბრის თემას. მოგონებანი მაღალი წრის ცხოვრებაზე ჩვეულებრივად არაფრის მთქმელი და უბადრუკია ისტორიულ ეპოქაშიც კი. თუმცაღა ერთი მოგზაური ქალის გამოჩენამ მოსკოვში ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ეს მოგზაური გახლდათ M-me de Staël-ი. იგი ჩამოვიდა ზაფხულში, როცა მოსკოველთა უმრავლესობა სოფლებში გაიკრიფა. დაფაცურდა რუსული სტუმართმოყვარეობა; აღარ იცოდნენ, როგორ გამასპინძლებოდნენ სახელოვან უცხოელს. რასაკვირველია, უმართავდნენ სადილებს, მამრნი და მდედრნი თავს იყრიდნენ მის შესათვალეირებლად და მეტწილად უკმაყოფილონი რჩებოდნენ. M-me de Staël-ი მათ თვალში გახლდათ ორმოცდაათი წლის ჩასუქებული, ასაკის შეუფერებლად გამოწყობილი დიაცი.



მისი კილო არ მოეწონათ, სიტყვები ფრიად გრძელი ეჩვენათ, ხოლო სახელოები ფრიად მოკლე. პოლინას მამა M-me de Staël-ს ჯერ კიდევ პარიზიდან იცნობდა. მას სადილი გაუმართა და ყველა მოსკოველი ჭკუის კოლოფი მოუბატოცა. აქ ვნახე მე „კორინას“ ავტორი. სუფრის თავში იჯდა, მაგიდას იდაყვით დაყრდნობოდა და ლამაზი თითებით ქაღალდს ხან მილივით ახვევდა, ხან შლიდა. უგუნებობა ეტყობოდა. რამდენჯერმე წამოიწყო საუბარი, მაგრამ თავი ვერ მოაბა. ჩვენი ჭკუის კოლოფები ქამდნენ და სვამდნენ ზომაზე და ისე ჩანდა, თითქოს თავადის უხაით უფრო იყვნენ კმაყოფილნი, ვიდრე M-me de Staël-ის საუბრით. მდებარნი თავბატოცს აღებდნენ. ერთნიცა და მეორენიც, დარწმუნებულნი საკუთარი აზრების უსუსურობაში და დამფრთხალნი ეგრობის სახელგანთქმული ადამიანის წინაშე, მხოლოდ ხამუშ-ხამუშ თუ იღებდნენ ხმას. პოლინა მთელი სადილობის ესამს თითქოს ეკლებზე იჯდა. სტუმრების ყურადღება თართისა და M-me de Staël-ს შორის იყო განაწილებული. M-me de Staël-ისაგან ყოველ წამს მოელოდნენ bon-mot-ს! ბოლოს წამოცდა ორაზროვანი სიტყვა, თანაც საკმაოდ თამამი. სიტყვა იგი ყველამ აიტაცა, გადაიხარხარეს, ატყდა განცვიფრების გამომხატველი ჩურჩული; თავადს სიხარულისაგან გული საგულეში აღარ ეტეოდა. მე პოლინას შევაგლე თვალი. ქალიშვილს სახეზე ცეცხლი ეკიდა, ცრემლიც გაუკრთა თვალებში. სტუმრები წამოდგნენ, სავსებით შერიგებოდნენ M-me de Staël-ს. მან თქვა კალამბური და დაეშურნენ ქალიქისტვის მოეფინათ იგი.

— რა დაგეშართა, ma chère? — ვკითხე პოლინას. — ნუთუ ამ ოდნავ თამამმა ხუმრობამ ესოდენ შეგაცბუნა?

— ოჰ, ძვირფასო, — მომიგო პოლინამ. — სასო მაქვს წარკვეთილი! რა უბადრუკად უნდა მოსჩვენებოდა ამ საოცარ ქალს ჩვენი დიდი საზოგადოება! M-me de Staël-ი შეჩვეულია, ნიადგ

ისეთი ადამიანები ეხვიოს გარს, რომლებსაც მისი ესმით, რომლებსთვისაც ბრწყინვალე შენიშვნა, გულის ძალის მოძრაობა, შთავგონებული სიტყვა არასდროს უქმად არ ჩაივლის. შეჩვეულია დიდი განსწავლულობით მადლცხებულ მომხიბლავ საუბარს, აქ კი... დმერთო ჩემო! არც ერთი აზრი, არც ერთი მნიშვნელოვანი სიტყვა სამი საათის განმავლობაში. ყვეეჩური სახეები, ყვეეჩური მედიდურობა და მეტი არაფერი! რა მოწყენილი იყო! რა დაქანცული ჩანდა! დაინახა, რა სკირდებოდა, რა შეიძლებოდა გაეგო ამ განათლების მაიმუნებს და კალამბური გადმოუგდო. ესენიც ჭიქურ ეცნენ! სირცხვილით დაიწვივი, ლამის ავტირებელიყავ... მაგრამ დაე, ამ მაღალი წრის ბრბოზე ისეთი აზრი გამოიტანოს, რისი ღირსიცაა. სამაგიეროდ, დაინახა, ჩვენი კეთილი, უბრალო ხალხი და ესმის მისი. ვაივანე, რა უთხრა ამ ბებერ, აბეზარ მასხარას, არიქა უცხელნეა ვაამოთო, რუსული წვერის დაცინვა რომ მოგპრიანა: „ხალხი, რომელმაც ასი წელი შეინარჩუნა თავისი წვერი, ჩვენს დროში თავის თავსაც შეინარჩუნებს“. ოჰ, რა კარგია, რარიგ მიყვარს! რარიგ მძავს მისი მადევარი!

მარტო მე როდი შევამჩნიე პოლინას შეცბუნება. მას იმავე წუთს ჩააქერდა სხვისი გამპრიახი თვალებიც, თვით M-me de Staël-ის შავი თვალები. არ ვიცი რა გაიფიქრა M-me de Staël-მა, მაგრამ ნასადილევს მხოლოდ ის მივიდა ჩემს მეგობართან და გამოეხადა. რამდენიმე დღის შემდეგ პოლინას ასეთი ბარათი მოსწერა:

Ma chère enfant, je suis toute malade. Il serait bien aimable à vous de venir me ranimer. 'bâchez de l'obtenir de M-me votre mère et veuillez lui présenter les respects de votre amie'. de S.

ეს ბარათი მე მაქვს. პოლინას არასდროს აუხსნია ჩემთვის M-me de Staël-თან ურთიერთობის ამბავი, მიუხედავად იმისა, რომ ცნობისმოყვარეობა მკლავდა. სახელოვანმა ქალმა, ისე-

ალექსანდრე ალექსიძე
როსლავლიძე

თივე გულკეთილმა, როგორი გენიოსიც გახლდათ, ჭკუაზე შეშალა იგი.

რას არ აკადრებინებს ადამიანს ავსიტყვაობა! ამას წინათ ყოველივე ეს ერთ ძალზე წესიერ საზოგადოებაში მოვეყვი და მითხრეს:

— შესაძლოა M-me de Staël-ი ნაპოლეონის ჯაშუში იყო მხოლოდ და მხოლოდ, თავადის ასული კი მას საქირო ცნობებს აწვდიდა.

— როგორ გეკადრებათ, — მიუხედავად მე, — M-me de Staël-ი, ვისაც ათი წელი დევნიდა ნაპოლეონი, კეთილშობილი, სათნო M-me de Staël-ი, ვინც ძლივს გამოიქცა და რუს იმპერატორს შემოათარა თავი, M-me de Staël-ე, მეგობარი შატობრიანისა და ბაარონისა, ნაპოლეონის ჯაშუში იქნება!..

— ფრიად და ფრიად შესაძლებელია, — შემომეპასუხა ცხვირწაწინწილებული გრაფინია ბ. — ნაპოლეონი დიდი გაიძვერა იყო, M-me de Staël-ი კი ეშმაკის ერთი!

ყველა მოახლოებულ ომზე ლაპარაკობდა, თანაც რამდენადაც მახოვს, საკმაოდ დაუფიქრებლად. წესად იქცა ლუდოვიკო XV დროინდელი ფრანგული ტონის წაბაძვა. სამშობლოს სიყვარული პედანტობად მიაჩნდათ. მაშინდელი ჭკუის კოლოფები ნაპოლეონს ფანტასტიკური პირობებით ახსამდნენ ხოტბას და დასცინოდნენ ჩვენს წარუმატებლობას. სამწუხაროდ, სამშობლოს ქომეგნი, ცოტა არ იყოს, მოსულელონი იყვნენ. ისინი საკმაოდ სასაცილოდ ჰყავდათ ავდებული და არავითარი გავლენა არ ჰქონდათ. მათი პატრიოტიზმი განისაზღვრებოდა იმით, რომ სასტიკად კიცხავდნენ საზოგადოებაში ფრანგულად საუბარს, უცხო სიტყვათა შემოტანას, მრისხანედ გამოდიოდნენ „კუხნეცი მოსტის“ წინააღმდეგ და სხვა. ახალგაზრდობა ყოველივე რუსულზე ზიზღით ან გულგრილად ლაპარაკობდა და რუსეთს ხუმრობით რაინის კონფედერაციის ხვედრს უწინასწარმეტყველებდა. ერთი

სიტყვით, საზოგადოება საკმაოდ საბელი იყო.

უცებ განგვაცვიფრა შემოსევის ცნობამ და ხელმწიფის მოწოდებამ. მოსკოვი ამდღევარდა. გაჩნდა უბრალო ხალხისადმი მიმართული ფურცლები გრაფ რასტოპჩინისა. ხალხი გააფთრდა. მიყუხდნენ მაღალი წრის ოხუჩვები. ქალები დაფრთხნენ, ფრანგული ენისა და „კუხნეცი მოსტის“ მადევრებმა საზოგადოებაში საბოლოოდ გაიმარჯვეს და სასტუმროები აივსო პატრიოტებით: ვინ საბურნუთედან ფრანგული ბურნუთი გადმოყარა და რუსული ბურნუთის წვეა დაიწყო, ვინ ათეული ფრანგული ბროშურა დაწვა, ვინ უარი თქვა ლაფიტზე და შუშუნა ბურახს მიეძალა. ყველამ აიკეთა ფრანგულად ლაპარაკი, ყველამ გააბა ბლავილი პოყარსკისა და მინინზე და დაიწყო სახალხო ომის ქადაგება, თან ემზადებოდნენ, სულმოუთქმელად გაეტიათ სარატოვის სოფლებისაკენ.

პოლინა ვერ მალავდა ზიზღს, ისევე, როგორც წინათ ვერ მალავდა აღშფოთებას. ასეთი სწრაფი ცვლილება და სიმხდალე მოთმინებას უყარავდა. ბულვარზე, „პრესენსკიე პრუდიზე“ განგებ საუბრობდა ფრანგულად, სუფრაზე მსახურთა თანდასწრებით განგებ კამათობდა პატრიოტულ მკვეხარობაზე, განგებ ლაპარაკობდა ნაპოლეონის ჯარების შრავალრიცხოვნობაზე, მის სამხედრო გენიაზე. ირგვლივ მყოფთ დასმენის ეშინოდათ, ფერ-ფერი მისდიოდათ და წამსვე კიცხავდნენ, სამშობლოს მტრის ერთგული რადა ხარო. ხოლო ის ზიზღით ილიმებოდა და ამბობდა:

— დმერთმა ქნას, ყველა რუსს ისე უყვარდეს სამშობლო, როგორც მე მიყვარს.

პოლინა მანცვიფრებდა... ვიცოდი, რომ ყოველთვის მოკრძალებული და უთქმელი იყო და ვერ გამეგო, საიდან გაუჩნდა ასეთი სითამამე.

— როგორ გეკადრება, — ვუთხარი ერთხელ, — რა ძალა გადგას, სხვის საქმეში რომ ერევი. დაე, კაცებმა იჩხუბონ



და იკამათონ პოლიტიკაზე, ქალები არ
ომობენ და ბონაპარტესთანაც არაფერი
ესაქმებათ.

პოლინას თვალეები აენათო.

— გრცხვენოდეს, — მითხრა მან. —
განა ქალებს არა აქვთ სამშობლო? განა
მათ არა ჰყავთ მამები, ძმები, ქმრები?
განა ძარღვებში რუსული სისხლი არ
გვიჩქედს? თუ გგონია, ამქვეყნად მხო-
ლოდ იმისთვის გავჩნდით, ბალზე ეკო-
ნეზის ცეკვისას გვატრიალონ, შინ კი
გვაიძულონ კანვაზე ფინიები ვქარგოთ?
არა! მე ვიცი, რა გავლენა შეიძლება
ჰქონდეს ქალს საზოგადოებრივ აზრზე
ან თუნდაც ერთი კაცის გულზე. სათაქი-
ლოდ მიმაჩნია დამცირება, რასაც ჩვენ
გვარგუნებენ. შეხედე M-me de Staël-ს,
ნაპოლეონი ისე ებრძოდა, როგორც
მტერს... ძია კი ბედავს დასცივნოს კი-
დეც, ვითომდა M-me de Staël-ს ფრან-
გთა არმიის მოახლოებისა ეშინოდეს!
„დარდი ნუ გაქვთ, ქალბატონო: ნაპო-
ლეონი რუსეთს ეომება და არა თქვენ“...
ღიახ! ძია რომ ფრანგებს ხელში ჩაუ-
ვარდეს, პალე-როიალში დროს სატა-
რებლად გაუშვებენ, M-me de Staël-ი
კი ასეთ შემთხვევაში სახელმწიფო საპ-
ყრობილეში დალევდა სულს. ახლა არ
იკითხავ შარლოტ კორდეს? ჩვენს მარ-
თა პოსანდნიცას? მთავრის ქალს დაშკო-
ვას? რითა ვარ მათზე ნაკლები? გამბე-
დაობითა და შეუპოვრობით ნამდვილად
არა.

პოლინას გაოცებული ვუსმენდი.
არასდროს არ მომსვლი აზრად, რომ
ასეთი მგზნებარე, ასეთი პატივმოყვარე
იყო. აფსუს! აი, რა მოუტანა სულის
უჩვეულო თვისებებმა და განების ვაე-
კაცურმა სიდიადემ. მართალი თქვა ჩემ-
მა საყვარელმა მწერალმა: «Il n'est de
bonheur que dans les voies communes»¹.

ხელმწიფის ჩამოსვლით საერთო
მღელვარებამ უფრო იმატა. პატრიო-
ტული გზნება ბოლოს მაღალ საზოგა-
დოებასაც მოედო, სასტუმრო ოთახები
საპაექრო დარბაზებად იქცა. ყველგან
პატრიოტულ შეწირულებებზე ლაპარა-
კობდნენ. იმეორებდნენ ახალგაზრდა

გრაფ მამონოვის უკვდავ სიტყვას, გრა-
ფისა, მთელი თავისი მამული რუმ-
მსხვერპლად გაიღო. ზოგმა დედამ
ამის შემდეგ შენიშნა, გრაფი არც ისე
საშურველი სასიძო არისო, სამაგიეროდ,
ჩვენ ყველანი აღტაცებული ვიყავით.
პოლინას სულ მამონოვის სახელი ეკერა
ენაზე.

— თქვენ რას გაიღებთ მსხვერპლად?
— ჰკითხა ერთხელ ჩემს ძმას.

— მე ჯერ მამული არ გამაჩნია, — მი-
უგო ჩემმა თავქარიანმა ძმამ, — სამაგი-
ეროდ არც მეტი არც ნაკლები 30 000
მაქვს ვალი: მსხვერპლად მიმიტანია იგი
სამშობლოს საყურთხვევლზე.

პოლინა გაწყრა:

— ზოგიერთს არც პატიოსნება უღირს
რამედ და არც სამშობლო. მათი ძმები
ბრძოლის ველზე იხოცებიან, ხოლო თა-
ვად სასტუმრო ოთახებში მასხარაობენ.
არა მგონია, მოიძებნოს ქალი, ისერიად
სულმდაბალი, რომ ამგვარ ოინზაზებს
უფლება მისცეს მას თავი შეეყვარებუ-
ლად მოაჩვენონ.

ჩემი ძმა აენათო:

— თქვენ მეტისმეტად მკაცრი ბრძან-
დებით, თავადის ასულს, მოითხოვთ,
ყველამ M-me de Staël-ად გცნოთ და
„კორინდან“ ამოღებულ ციტატებს გე-
უბნებოდნენ. იცოდეთ, ვინც ქალს ეხუმ-
რება, შეუძლია სამშობლოსა და მის
მტრებს არ ეხუმროს.

ჩემი ძმა ამის თქმისთანავე შებრუნ-
და. მეგონა, ქალ-ვაჟი სამუდამოდ წა-
იჩხუბა-მეთქი, მაგრამ შევცდი. პოლი-
ნას მოეწონა ჩემი ძმის შემართება, აჰა-
ტია შეუფერებელი ხუმრობა, რადგან
მან კეთილშობილური აღშფოთება გა-
მოთქვა და, როცა ერთი კვირის შემდეგ
გაიგო, რომ მამონოვის პოლკში ჩაე-
რიცხათ, აქეთ მთხოვდა, შეგვარიგეო.
ძმა აღტაცებული იყო. პოლინას მაშინ-
ვე შესთავაზა ხელი. პოლინას უარი არ
უთქვამს, მაგრამ ქორწილი ომის დამ-

თავრებამდე გადასდო. მეორე დღეს ჩემი ძმა არმიანში გაემგზავრა.

ნაპოლეონი მოსკოვისკენ მიიწევდა: ჩვენები უკან იხევდნენ, მოსკოვი დე-ლაგდა, მცხოვრებნი ერთიმეორის მიყოლებით მიილალებოდნენ იქიდან. თავადმა და თავადის ცოლმა დედა დაიყოლიეს ერთად წასულიყვნენ მათ სოფელ ***-ში.

ჩავედით ***-ში, საკუბერნიო ქალაქიდან ოცი ვერსით დაშორებულ ვეება სოფელში. მეზობელი უამრავი გყავდა, მტწილად მოსკოვიდან ჩამოსულნი. ყოველდღე ერთად ვიყავით: ჩვენი სოფლური ცხოვრება ქალაქისას ჰგავდა. არმიიდან თითქმის ყოველდღე მოდიოდა წერილები. მოხუცები რუკაზე ეძებდნენ დაბა ბ ი ვ ა კ ს და ბრანზობდნენ, როცა ვერ პოულობდნენ. პოლინა პოლიტიკას გადაყვა, არაფერს კითხულობდა ვაზეთებისა და რასტოპჩინის ფურცლების გარდა, წიგნს არ ეკარებოდა. გარს გონებაშეზღუდული ადამიანები ეხვია. ნიადაგ უაზრო მსჯელობა და დაუსაბუთებელი ახალი ამბები ესმოდა და უსაშველო ნაღველმა დარია ხელი. სულით ხორცამდე წუხილმა მოიცვა. მას სამშობლოს ხსნის იმედი გადაუწყდა, ეჩვენებოდა, თითქოს რუსეთს საცაა ბოლო მოეღებოდა. ყოველი ცნობა უიმედობას უძლიერებდა. გრაფ რასტოპჩინის პოლიციური განცხადებანი მოთმინებას უკარგავდა, — მათი მხიარული კილო უხამსობის მწვერვალად ეჩვენებოდა, ხოლო რასტოპჩინის მიერ გატარებული ღონისძიებანი შეუწყნარებელ ბარბაროსობად. პოლინა ვერ წვდებოდა მაშინდელი დროის აზრს, ესოდენ შემადარწუნებელს. აზრს, რომლის გაბედულად განხორციელება რუსეთს იხსნიდა და ევროპას გაათავიუფლებდა. იგი მთელი საათობით რუსეთის რუკაზე იყო დაყრდნობილი და ითვლიდა ვერსებს, თვალს ადევნებდა ჯარების სწრაფ მოძრაობას. თავში უცნაური აზრები ებადებოდა. ერთხელ გა-

მომიცხადა — სოფლიდან უნდა წავიდეთ, გამოცეხადდე ფრანგთა ბანაკში, შენაწილად წიო ნაპოლეონამდე და ჩემი ხელით მოგვკლო. მე ადვილად დავარწმუნე, ასეთი რამ უგუნურებაა-მეთქი, მაგრამ შარლოტა კორდენზე ფიქრი კიდევ დიდხანს არ აძლევდა მოსვენებას.

მამამისი, როგორც თქვენთვის უკვე ცნობილია, საკმაოდ თავქარიანი კაცი იყო; სულ იმას ფიქრობდა, სოფლად რაც შეიძლება მოსკოვურად ეცხოვრა. მართავდა სადილებს, გაიჩინა théâtre de societé, სადაც იღვემებოდა ფრანგული proverbes, და ყოველნაირად ცდილობდა ჩვენთვის არავითარი სიამოვნება არ მოეკლო. ერთხელ ქალაქში რამდენიმე ტყვე ოფიცერი გაჩნდა. თავადი ახალ პირთა გამოჩენამ გაახარა და გუბერნატორს ნებართვა გამოსთხოვა ისინი თავისთან გადაეყვანა.

სულ ოთხი ოფიცერი იყო. სამი მათგანი დიდს არაფერს წარმოადგენდა, ნაპოლეონის ფანატიკურად ერთგულნი და აუტანელი ყბდენი იყვნენ. თუმცა თავიანთ ბაჭიბუქს პატივსაცემი ჭრილობებით ისყიდდნენ. სამავგიეროდ, მეოთხე გახლდათ ფრიად საყურადღებო ადამიანი.

იგი ოცდაექვსი წლისა იყო, კარგი ოჯახიშვილი, სასიამოვნო სახისა, მეტად თავაზიანი. მაშინვე გამოვარჩიეთ. ალერსს კეთილშობილური მოკრძალებით ხვდებოდა. ლაპარაკობდა ცოტას, მაგრამ სიტყვას გონებას ატანდა. პოლინას იმით მოეწონა, რომ პირველმა შეძლო, ნათლად განემარტა მისთვის სამხედრო მოქმედებანი და ჯარების მოძრაობა. ქალიშვილი დაარწმუნა — რუსთა ჯარების უკანდახევა უაზრო გაქცევა როდიაო, ეს ისევე აწუხებს ფრანგებს, როგორც აფთრებს რუსებსო, — და გული დაუშვებდა.

— მაგრამ თქვენ, — ჰკითხა პოლინამ, — განა თქვენ არა გწამთ თქვენი იმპერატორის უძლეველობა?

სინეკურმა (მე მასაც ბ. ზაგოსკინის მიერ შერქმეულ სახელს ვუწოდებ) ცოტა იყურა და მიუგო, ჩემს მდგომარეო-



ბაში ჩავარდნილი კაცისთვის გულახდილობა სამძიმო იქნებოდაო. პოლინა დაუძინებთ მოითხოვდა პასუხს. სინეკურმა აღიარა, ფრანგთა ჯარების სწრაფვა რუსეთის გულისკენ შესაძლოა მათთვის სახიფათო გახდეს, 1812 წლის ლაშქრობა მგონი დამთავრებულია, მაგრამ გადამწყვეტს მაინც არ წარმოადგენსო.

— დამთავრებულია! — შეეპასუხა პოლინა: — ნაპოლეონი ისევ და ისევ წინ მოდის, ჩვენ კი ისევ და ისევ უკან ვიხევთ!

— მით უარესი ჩვენთვის, — მიუგო სინეკურმა და საუბარი სხვა საგანზე გადაიტანა.

პოლინას მობეზრდა შიშნეული წინასწარმეტყველებაც და ჩვენი მეზობლების სულელური ბაქიბუქიც და სულსწრაფად უსმენდა დასაბუთებულ და მიუტკრძობებელ სჯა-ბაასს. ძმა ისეთ წერილებს მიგზავნიდა, აზრს ვერ გამოიტანდით. გაუთავებლად ხუმრობდა ჭკვიანურად თუ უხეიროდ, იძიებდა პოლინას ამბავს, უხამსად ირწმუნებოდა სიყვარულს და ასე შემდეგ. პოლინა კითხულობდა მის წერილებს, სწყინდა და მხრებს იჩეჩდა.

— გამოტყდი, რომ შენი ალექსეი ერთობ ჭკუათხელი ვინმეა, — მეუბნებოდა იგი. — ახლანდელ ვითარებაშიც კი, ბრძოლის ველზე არაფრის მთქმელე წერილებისთვის იცლია. და რა ძნელი მოსასმენი იქნება ჩემთვის მისი საუბარი წყნარი ოჯახური ცხოვრების ჟამს?

პოლინა ცდებოდა, ჩემი ძმის წერილების უშინაარსობა მისი ბედოვლათობის ბრალი კი არ იყო, მიზეზი გახლდათ ცრუ შეხედულება, სხვათა შორის, ჩვენთვის, ქალებისთვის უაღრესად შეურაცხყოფელი ცრუ შეხედულება. ძმა ფიქრობდა, ქალებს მათი უწვრთნელი გონების შესაბამისად უნდა ელაპარაკო, მნიშვნელოვანი რამეები არ მოეკითხებათო. ასეთი აზრი სხვაგან ყველგან სიბრძნევე იქნებოდა, ჩვენთან კი სისულელეც გახლავთ. რუსი ქალები უეპველად

კითხულობენ, უფრო აზროვნებენ, ვიდრე უკეთ განათლებულნი არიან, უფრო კი — კაცები, რომელნიც, ეშმაკმა იცის, რათი არიან ვართულნი.

ჭვეყანას მოედო ბოროდინოს ბრძოლის ამბავი. ყველა მასზე ლაპარაკობდა. ყველას ჰქონდა უტყუარი ცნობა, ყველას ჰქონდა მეკდრებისა და დაპრილების სია. ძმა აღარაფერს გვწერდა. ჩვენ მეტისმეტად შეშფოთებული ვიყავით. ბოლოს ერთი მეწვრილმანე ჩამოვიდა და გვაუწყა, ტყვედ ჩავარდაო, პოლინას კი განუცხადა — დაიღუპაო. პოლინა ერთობ დანადვლიანდა. მას ჩემი ძმა არ უყვარდა და ხშირად ემდუროდა, მაგრამ ამ წუთს წამებულად, გმირად რაცხდა და ჩემს მალულად დასტიროდა. რამდენჯერმე აცრემლებულს წვადაქვი. მისი ცრემლი არ მაკვირვებდა, ვიცოდი, რარივ უკლავდა გულს ჩვენი ტანჯული სამშობლოს ბედი, მაგრამ ფიქრადაც არ მომდიოდა, თუ კიდევ სხვა რამ იყო მიზეზი მისი მწუხარებისა.

ერთ დღეს ბაღში ვსეირნობდი. გვერდით სინეკური მომყვებოდა. ვსაუბრობდით პოლინაზე. შევატყვე, რომ სინეკური ზედმიწევნით გრძობდა ქალიშვილის უჩვეულო ღირსებებს, რომ პოლინას სილაპაზუმ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე. მე სიცილით შევნიშნე, ერთობ გამიჯნურებული ჩანხართ-მეთქი. ვუთხარი:

— მტრის ხელთ ტყვედ ჩავარდნილი რაინდი ციხე-სიმაგრის კეთილშობილ მფლობელს უმიჯნურდება, გულს უჩქროლებს და ბოლოს იგი ცოლობაზე თანხმდება.

— არა, — მითხრა სინეკურმა. — თავადის ასული რუსეთის მტრად მრაცხს და არასდროს დატოვებს თავის სამშობლოს.

ამ დროს პოლინა ხეივნის ბოლოს გამოჩნდა. ჩვენ მისკენ გავემართეთ. პოლინა სწრაფი ნაბიჯით გვიანლოვდებოდა. ისე ფერწასული იყო, გავვოცდი.

ალექსანდრე ვუჟინი
როსლავლიოვი

— მოსკოვი აიღეს, — მითხრა მე, სინეკურის თავის დაკვრაზე არ უბასუხნია. გული შემეკუმშა, თვალთაგან ღვარღვარად წამსკდა ცრემლი. — კეთილშობილმა, განათლებულმა ფრანგებმა, — განაგრძო აღშფოთებისაგან სმაკანკალებულმა პოლინამ, — ღირსეულად აღნიშნეს თავიანთი გამარჯვება. მათ მოსკოვს ცეცხლი წაუკიდეს — მოსკოვი უკვე ორი დღეა იწვის.

— რას ამბობთ, — დაიყვირა სინეკურმა, — შეუძლებელია.

— დაღამებას დაელოდეთ და შეიძლება ხანძრის ანაშუქი დაინახოთ, — ცივად მიუგო პოლინამ.

— ღმერთო ჩემო! იგი დაიღუპა, — თქვა სინეკურმა. — როგორ, ვანა ვერ ხედავთ, რომ მოსკოვის ხანძარი საფრანგეთის მთელი ჯარის დაღუპვა გახლავთ, რომ ნაპოლეონი ვერსად ვერაფრით ვერ მოიკიდებს ფეხს, იძულებული იქნება, ზამთრის მოახლოებაზე სასწრაფოდ დაიხიოს უკან და გაიაროს აოხრებული, დაცარიელებული მხარე დაქსაქსულ და უკმაყოფილო ჯართან ერთად. მერედა გგონიათ, ფრანგებმა თვითონ გაითხარეს სამარე? არა, არა, რუსებმა, რუსებმა წაუკიდეს ცეცხლი მოსკოვს! შემაძრწუნებელი, ბარბაროსული დიდ-

სულოვნებაა. ახლა ყველაფერი გადაწყვეტილია: თქვენმა სამშობლომ ხეს თავი დააღწია, მაგრამ რა მოგვივა ჩვენ, რა მოუვა ჩვენს იმპერატორს!

სინეკური გაგვეცალა.

მე და პოლინა გონს ვერ მოვსულიყავით.

— ნუთუ სინეკური მართალია და მოსკოვს ცეცხლი ჩვენ წაუკიდეთ? — მკითხა მან. — თუ ასეა... ო, მე შემოძლია ვიამაყო რუსი ქალობით. მსოფლიოს განაცვიფრებს დიადი მსხვერპლი! ახლა ჩვენი დაცემაც კი არ მაშინებს, ჩვენი ღირსება გადარჩენილია. ევროპა ველარასოდეს გაბედავს ებრძოლოს ხალხს, რომელიც თვითონ იკვეთს ხელებს და თავის დედაქალაქს წვავს!

თვალეები უბრწყინავდა, ხმაში ზარი ედგა. მე მოვხვხვიე: ხან კეთილშობილური აღტაცებისაგან ვტიროდი, ხან მხურვალედ ვლოცულობდით სამშობლოსათვის.

— იცი? — მითხრა პოლინამ, შთაგონებული გამომეტყველებით, — შენი ძმა... იგი ბედნიერია, იგი ტყვედ არაა, გიხაროდეს: იგი მოკვდა რუსეთის გადასარჩენად.

მე შეეყვირე და უგონოდ ჩავესვენე მის მკლავებში.

შენიშვნები:

¹ მოსწრებული სიტყვა.

² ძვირფასო.

³ ჩემო ბაბულო, ერთობ ავად ვარ. თქვენი მხრივ დიდი თავაზიანობა იქნებოდა, თუ შემოვივლიდით და გამომაოცხლებდით. ეცადეთ, ნება დაგროთ თქვენმა დედამ. გადაეცით მას თქვენი მოსიყვარულე დე სტალის მოკრძალებული საღამო.

⁴ ბედნიერება მხოლოდ თელილ გზებზე შეიძლება პპოვო.

⁵ შინა თეატრი.

⁶ ანდაზები (პატარა პიესები, რომელთა სათაური გახლავთ ანდაზები; ასეთი პიესების მოქმედება ანდაზის აზრს ავითარებს).

თარგმან აბაკი ბრეგვაძემ.



თანავი მოკრძიული

ტყე შეუნახე შეილაგსა...

დათრთვილულ ბილიცზე ძლივს მიიკვლევდა გზას. ირგვლივ წილი იწვა და უჭირდა სიარული. აღმართი მომქანცველი იყო, მაგრამ არ იმჩნევდა დალას. მხნელ მიაბიჯებდა. ღრმად სუნთქავდა. ყავარჩენი ერთი ხელიდან ნეორეში გადააქონდა. ბილიცზე გადმოშვებულ შინდის ან ჭაგის შიშველ ტოტს გადასწევდა და ისე გაივიღა, ხანაც შედეგობდა, სულს მოითქვამდა. ტყეში შეუყუთულ მოლაღურების მოწყენილ გალობას მუგვდებდა ყურს, სინანულით თავს გადააქნევდა, შეხედავდა სათოვალ გამზადებულ, ტყეისფერ ცას და კვლავ განაგრძობდა გზას.

— ეჟე-ჰეჟეი! — ტყის სიღრმიდან გაისმა ვილატის ძახილი, დაჯანღულმა მთამ ძახილი გამიერა.

— ვინ უნდა იყოს? — გაიფიქრა და იქოტენ გაემართა, საიდანაც ხმა შემოესმა.

— ეჟე-ჰეჟეი!..

მეტყვე შედგა, მუხლში ქარი ამოიღო, უბის ჭიბეში პაპიროსი და ასანთი მოძებნა, გააბოლა.

კვამლი დაიკლავნა და ტოტებში გაუჩინარდა.

— მაინც ვინ უნდა იყოს, კაცო! — კვლავ ჩილაპარაკა თავისთვის და იქვე ხავსიან კორდზე ჩამოჯდა. მიღლილ, უძილო თავლებზე კოკრიანი ხელი მოისვა; წიფლის კენწეროს შეხედა, ობლად დარჩენილი წითელი ფოთლი საცოდავად კონწილობდა..

მოხუცი მეტყვევე თვალმოუშორებლავ შეკუყრებდა მინავლული ნაღვერდალივით ბეუტავ ფოთოლს და რატომღაც ეცოდებოდა.

— წუთისოფელს ჰგავს ეს ოხერი, წუთისოფელს. — ღრმად ამოიხზრა. დაყოფილ ხელეგზე დაიხედა. პაპიროსი ერთხელ კიდევ მოქაჩა, ბოლი ღრმად ჩაისუნთქა, ხოლო დამწვი დალაქული ცერით კუნძს მოაკულიტა.

ცის სიღრმიდან თვითმფრინავის ზუზუნი

შემოესმა, მაღლა აიხედა, ვერაფერი გაარჩია... ომის მრისხანე სურათები ამოტივტივდა მის გონებაში.

გერმანულთა თვითმფრინავები შეუსვენებლივ ბომბავდნენ სტალინგრადის მისადგომებს, საბჭოთა არმიის მეომრები იტყვიედ იცავდნენ სამშობლოს მიწა-წყალს, ცეცხლი ეკიდა ზღვას, ხმელეთს, ინგრეოდა, იწვოდა ყველაფერი.

ვასილი ფრონტის წინა ხაზზე იბრძოდა, ათეულის მეთაური გახლდათ... ეს ქიზიყელი ვაკეაცი პირადი მაგალითით აღაფრთოვანებდა მებრძოლებს.

აი, რას სწერდა მის შესახებ გაზეთი „კომუნისტი“ 1942 წელს:

„შმაგალითო სიმტკიცე და თავგანწირვა გამოიჩინა ათეულის მეთაურმა ვასილი ივანეს-ქე კრაწაშვილმა, თუმცა ბრძოლის ველზე სამჯერ დაიჭრა, მწყობრიდან არ გამოსულა, სანამ საბრძოლო ამოცანა დროზე არ შეასრულა. მანვე შესძლო მტრის ცეცხლქვეშ სერიოზული შეფერხების აღმოფხვრა და მტრის გასარეკად მასივებული ცეცხლის გაძლიერება...“

ვასილს მძიმე ჭრილობები დაუტოვა ომმა... ცოცხალი გადარჩა, შუბლნიაარევი დაუბრუნდა საყვარელ სოფელს, ცოტა ხანს კოლმეურნობაში მექანიზატორებს ემსახურებოდა, მერე კი სიღნაღის სატყეო მეურნეობაში გადავიდა სამუშაოდ და კატორ-ნუკრიანის ნორჩ, ტანაყრილ ტყეებს ემშო და შევისისხლობოცა, მეტყვეის საყუთარ ჭრილობასავით სტკიცა, როცა უნებაართოდ ტყეში რაიმეს ჩაუჭრიან, თვითეულ ბუნქსა თუ ხეს შვილივით უვლის და ეალერსება, არც ამატივებს ვისმეს ეროვნული, სიმდიდრის უსულგულოდ განაიყვებს, ხელყოფას.

ვასილი 27 წელზე მეტია ტყის დაცვა-მოვლის საქმეს ემსახურება. მთავრობის მრავალი

ჭილდო თუ პრემია შედეგია მისი დამსახურებისა, მისი შრომისმოყვარეობისა.

მოხუცი მეტყვევ დღე და ღამე მშობლიური ბუნების შუაგულში ტრიალებს, ბრძენ მინდასავით სწავლობს, ეცნობა ფრინველთა და მცენარეთა ცხოვრების საიდუმლოებას. შეხედავს ტოტემებმარ მუხას, ყურს მიუგდებს რომელიმე ფრინველის ვალობას და მაშინვე გეტყვით, რა აწუხებს, რა ადარდებს ან რა ახარებს მას.

...თვითმფრინავის გუგუნი მიწყდა და ვასილი ფეხზე წამოდგა, მიიხედა-მოიხედა, მერე ყავარჯენს დაავლო ხელი და გზას გაუდგა. ასი-ოღე მეტრიც არ ჰქონდა გავლილი, რომ ოდნავ შემაღლებული ადგილიდან თორმეტიოღე წლის ბიჭი გადმოხტა, ხელში ნაჯახი მაგრად ჩიებლუჭა და თვალებს აქეთ-იქით აცეკებდა. ეტუბოდა, გაქცევას ღამობდა, მაგრამ უკვე გვიან იყო, „ჩიტი“ მახეში გაება.

— რა მოსჭერი?! — მშვილად, აუღელვებლად უთხრა მოხუცმა.

— ბევრი არაფერი, ვასილა პაპა, ერთი კონა წნელი მოგარჩიე! — ბიჭი თავჩაღუნული იდგა მოხუცი მეტყვევის წინ.

— მერე სად გაქვს, რატომ მალავ?

— აგერ, იქ არის! — ბექობისაკენ გაიშვირა ხელი და ისევ თავი ჩაღუნა.

ბერიკაცი ბექობისაკენ გაემართა, ყავარჯენი მუხის ტოტზე ჩამოჰკიდა და პატარა, კობტად შეკრული კონა გზაზე გადმოავლო.

— გრცხვენოდეს, გოვი!

— მაპატიე, ვასილა პაპა! — თავი ჩაღუნა ბიჭმა.

— წნელი რისთვის გინდა?!

— გოლორი მინდა დაეწნა ყურძნის წნება ხად!

— დაუკითხავად მაინც არ უნდა შეშინდეს ვაგი ტყეში!

— ვერსად ვერ შეგხვდი და...

ვასილი ტყის სიღრმეში შევიდა, დაათვალიერა, სხვა ხომ არაფერი ჰქონდა მოჭრილი და უკანვე გამობრუნდა.

— რაღა გაყვირებდა, ბიჭო, ვიღას ეძახდა!

— ისეთი დაბურული ტყეა...

— რისი შეგეშინდა, კაცი არა ხარ?! — მოხუცს სახეზე სიმკაცრე გაუქრა, გაეღიმა.

— რა ვიცი, — გოვიმ მხრები აინერა და ყურებამდე გაწითლდა.

— ტყეს უნდა გაუფრთხილდე, შვილო, უნდა იცოდე ბუნების ყადრი, ხომ დადიხარ სკოლაში?!

— ბიჭმა თავი დაუქნია.

— ჰოდა, ახლა მიპატიებია, მეორედ აღა გაიმეორა!

გოვიმ მსუბუქად მოივლო მხარზე წნელის კონა და შინისაკენ წახუსხუსდა.

ვასილმა კი საყარაულო სახლს მიაშურა. შუქი ანთო, ღუმელს ხმელი შეშა მიუმარჯვა, მიალაგ-მიალაგა იქაურობა, ბოლოს რადიომოდლები ჩართო, პატარა, თეთრად შელესილ ოთახში სიმღერის ტუბილი ჰანგები დაიდგარა: „ტყე შეუნახე შევიღებსა, მამა ხარ, შენი ვალია“...

ბერიკაცი იჯდა, სიამოვნებით უსმენდა რევაზ ლაღიძის სიმღერას და მის თვალწინ მძლავრად სუნთქავდა, შრიალებდა ტანაყრილი, ზურმუხტოვანი ტყე, — სიცოცხლის უკვლავება, სიკაბუჯის მარადისობა.



სოცხალი სიტყვა

„ქრნალისტები წერენ დღეების ბიოგრაფებს.“

დასანანია ის დღე, რომელსაც თავისი ბიოგრაფი არა ჰყავს და ცუდია ის ქრნალისტი, რომელიც დღეების ბიოგრაფიას არ წერს“...

ქრნალისტები ალბათ ისტორიის მეგობრები არიან იქცევიან თავის დროზე. დღევანდელი დღე, რომელიც ერთი შეხედვით ჩვეულებრივი გვეგონია, მომავალში იქნებ არაჩვეულებრივად საინტერესო აღმოჩნდეს. ამიტომ არის საჭირო და აუცილებელი დღეების ბიოგრაფიის შექმნა. თანამედროვე ცხოვრება ათასგვარი მოვლენებითაა აღსავსე და მართლაც ცუდია ის ქრნალისტი, რომელიც ამ მოვლენებს არ ასახავს, სათანადო სიხუსტით არ აღწესხავს მის ნიშან-თავისებურებებს. თანამედროვეობის სპეციფიკურად ასახვა — ქრნალისტების მძიმე, მაგრამ საპატიო მისიაა.

ამ წერილის დასაწყისში მოყვანილი ციტატა ცნობილ ქართველ ქრნალისტს ვლადიმერ ალფენიძეს ეკუთვნის. აზრის უკეთ გამოხატვა იქნებ შეუძლებელიც იყოს, მაგრამ პარადოქსალ გვეჩვენება, რომ იგივე ავტორი ასეთსავე მოსაზრებას გამოთქვამს: „ზოგჯერ „ქრნალისტურ პროზას“ ბელეტრისტიკის საზომებით უდგებიან. ეს, რა თქმა უნდა, გაუგებრობაა“. ჩვენი აზრით, ეს არ უნდა იყოს მთლად მართებული. გაუგებრობა მხოლოდ მაშინ ჩნდება, როცა მდარე ხარისხის „ქრნალისტური პროზას“ მიუდგებიან ბელეტრისტიკის საზომებით. მდარე ხარისხის ქრნალისტური პროზა უნდა, სამწუხაროდ, წამლევად მომრავლდეს ჩვენს პრესაში. გაუგებრობა უნდა იქნეს ისევე ინარჩუნებს თავის უფლებებს, როგორც შესაბამისი ხარისხის მხატვრული პროზა. ეს აზრი ალბათ საკამათო არ უნდა იყოს, რადგან ყოველ ნაწარმოებს ვაჟინა თავისი კრიტერიუმი, რომელთა მიმართ მკითხველი მკაცრი და პირუთენელია.

ქრნალისტ ვლადიმერ ალფენიძესთან შეკამათების უფლებას თვით მისი წიგნი „ფიქრიანი გზები“ მაძლევს. მაგრამ ამ წიგნთან ერთად წინ მიდევს თამაზ ბიბილურის ანალოგიური ხასიათის კრებული „ჩქარა“ და ედუარდ სხნაპულიძის ვრცელი პუბლიცისტურ-დოკუმენტური ნარკვევი „ბრძოლის ეროვნული გმირი“. ამ წიგნებს თამამად შეიძლება წმინდა ბელეტრისტიკის საზომებით მიუდგე. ფერადოვანი, ძარღვიანი ქართული ენა, სიუჟეტთა კომპოზიციური გააზრება, ლაიონური, მაგრამ შინაარსობრივად ტევადი ფრანკები, პუბლიცისტური სიმძაფრე, ადამიანთა პორტრეტები — აი ის თვისებები, რითაც ზემოთ ჩამოთვლილი წიგნები ხასიათდება, მაგრამ სცადეთ და რომელიმე მათგანი გამოაკლით ნამდვილ მხატვრულ პროზას, მაშინ სულ ადვილად იგობოთ ამ პროზის ნამდვილ ღირსებას. ქეშმარიტი პროზა, თუნდაც ის პუბლიცისტური იყოს, შედავას არ საჭიროებს. ნებისმიერ ნაწარმოებს უნდა მივუდგეთ მკაცრი საზომებით, მით უმეტეს, „დღეების ბიოგრაფიას“, რომელშიც უტყუარად უნდა დავინახოთ თანამედროვე ცხოვრების რეალური სურათები.

ვლადიმერ ალფენიძე „ფიქრიანი გზები“ „ფიქრიანი გზები“ გარკვეული თვალსაზრისით სივრცესა და დროში მოგზაურობის ნაყოფია. მასში თავმოყრილია ავტორის მიერ უკანასკნელი 10-15 წლის მანძილზე ქართულ და საკავშირო პრესაში გამოქვეყნებული ნარკვევები, ეტიუდები, პუბლიცისტური წერილები, რეპორტაჟები, სტატიები, ჩინახატები“. წიგნის ანოტაციის ეს სტრიქონები თვალსაჩინოდ აღსატყუარებს ვლადიმერ ალფენიძის არა მარტო ნაყოფიერ ქრნალისტურ მოღვაწეობას, არამედ ამ კრებულის მრავალმხრივობასა და თემატურ მრავალფეროვნებასაც.

იშვიათად, რომ ქრნალისტის კალამს თანაბარი სიძლიერით გამოეხატოს სათქმელის პოლიტიკურ-პუბლიცისტური სიმბავლე და მხა-

ტერულად სრულყოფილი, ქეშმარიტი ბელეტრისტიკის დონემდე ამაღლებული ნაწარმოები. ამ უკანასკნელის მშვენიერ ნიმუშს წარმოადგენს „ბოროდინოს არწივი“, სადაც ზომიერი მხატვრული ფერებიტაა გაცოცხლებული რუსეთის არმიის სახელგანთქმული გენერალი პეტრე ბაგრატიონი, ვისი მხედრული ნიჭის წინაშე ქედს იხრდა თვით საფრანგეთის იმპერატორი ნაპოლეონი. სიუჟეტის სიმძაფრე, იდეური შინაარსის მხატვრული გადაწყვეტა, პერსონაჟთა ხასიათების წარმოსახვა, ბატალური სცენების აღწერა, ემოციური ზეგავლენა — „ბოროდინოს არწივს“ ნამდვილი პროზის ღირსებას ანიჭებს, რაც უტყუარად ავლენს ავტორის მხატვრულ უნარს. ასეთივე მხატვრული ძეგრადობისაა „ათას მეორე დამე არაბეთში“, რომელიც მცირე, ასე ვთქვათ, ესკიზური ნოველებსაგან შედგება. მაგრამ ამ ნოველებში ემოციურობასთან ერთად წინა პლანზე დგას პოლიტიკური სიმახვილე, რის გამოც თამამად შეიძლება მათ „პოლიტიკური ნოველები“ ვუწოდოთ.

ეურნალისტი ფართო განათლების გარეშე შორს ვერ წავა. ვლადიმერ ალფენიძის სტრიქონის პერიფრაზირებით, ცუდია ის ეურნალისტი, რომელიც შორის ვერ წავა (გასაგებია, აქ გეოგრაფიული გადაადგილება არ იქნება). ეურნალისტი ნიჭი და პროფესიული განათლება მაინც ერთი მხარეა. ვერც ამით წავა ეურნალისტი შორს. მისთვის აუცილებელია ფართო, მრავალმხრივი განათლება. ამის გარეშე ეურნალისტებს ვერ უწოდებდნენ ჩვენი პარტიის „ოქროს ფონდს“. ყველა ეს ღირსება ერთად თავმოყრილი ეურნალისტს აძლევს სრულ საშუალებას „პროფესიული სისწრაფით“ გამოხატოს მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის, დიდი ლენინის გენიალური სახე, ისაუბროს ლენინის ერთგულ თანამებრძოლზე, სერგო ორჯონიკიძეზე, გამოკვეთოს ლეგენდარული ბუდიონის მოწმუნებული ფიგურა, ილაპარაკოს ვიეტნამელი ხალხის ბელადზე ზო ში მინზე, როგორც პოეტზე, უბოლციანობის სტატიკა მიუძღვნას ჩილეს კომუნისტური პარტიის გენერალურ მდივანს ლუის კორვალანს, ჩილეში დატრიალებულ ტრაგედიას, წმინდა ლიტერატურის ისტორიკოსის თვლით ახსნას ქართვული რუსი და უცხოელი მწერლის მხატვრული შემოქმედება, მისი ბუნება, დაგვიხატოს ხელოვანთა შემოქმედებითი პორტრეტები, ხატონად აღმოგვეცეს საზღვარგარეთ მოგზაურობის შთაბეჭდილებები, საქმიანი შეხვედრები, საუბრები და სხვ. ყოველივე ეს ერთ-ერთი აკაციათვის იქნებ დაუჭკარებელ სიმძიმეს წარმოადგენს, მაგრამ ჩვენი ავტორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ყველაფერი ეს მის წიგნში ქეშმარიტ ფაქტადაა ქვეყნული, რაც სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე.

ეურნალისტის თვალი მახვილია და მშვენიერად, იგი სწორედ კოლორიტულს და დამახასიათებელს გამოარჩევს, ასახვის ანგარიშს ეცეს: „ფიქრიაში გზების“ ავტორი ამ მოთაგარს და დამახასიათებელს არჩევს ლენინის პორტრეტის დახატვისას: „ლენინს უბრალოდ, ზედმეტი ექსტრეუალაციის გარეშე მიჰყავდა პოლიტიკა. ის აკეთებდა რამდენიმე ნაბიჯს ტრიბუნაზე, ხანდისხან ხელს მოსივამდა შებღზე, ხან ცერათის ილღის ქვეშ ეიღებოდა ვაიყრიდა, ან სწორედ ისე, როგორც გორკი აღწერს ამას, ან მარჯვენას ასწევდა მაღლა, თითქოს სურდა საჩვენებელი მისთვის მუშეობით გაემსკვეალა მთავარ აზრს თმენის ვიწროება“.

ასე სრულყოფილიაა წარმოდგენილი მკითხველისათვის საკმაოდ ცნობილი დიდი ბელადის პორტრეტი, მაგრამ, რა თქმა უნდა, აქ მთავარია პორტრეტის ხატვის ეურნალისტური ხერხი: ლენინის პორტრეტისთვის რომ მეტი ბუნებრივი დამაჯერებლობა მიეცა, ეს აღწერა დაუკავშირა ლენინის ერთგული თანამებრძოლის, ძველი რევოლუციონერი ქალის ელენე სტასოვის სახელს — ავტორმა ამ უკანასკნელის მოგონებებით გააცოცხლა ლენინის უკვდავი სახე, ამ მოგონებებში კი გამოაჩინა და გამოკვეთა ის უმოთარესი, რაც ასე კოლორიტული და ბუნებრივი იყო დიდი ბელადის სახეში.

ვლადიმერ ალფენიძე ასეთივე სიყვარულით და ოსტატობით ხატავს თანამედროვეთა სახეებს, ჩვენი ცხოვრების მოწინავე ადამიანებს, ხუთწლადის გმირებს, რომლებიც სახალხო მებურნეობის სრულიად სხვადასხვა, ზოგჯერ ურთულეს დარგში იღწვიან. ერთ-ერთი მათგანია სერგო ხაჩიძე, მენავთობთა ბრიგადის ბრიგადორი, რომელიც კასპის ზღვის ფსკერზე უსასტიკეს ამინდშიც კი განაგრძობს ნავთობის ძებნას. მაგრამ ამ ნარკვევში („ზღვის კაცი“) მარტოოდენ შრომის გმირის სახე როდია წინა პლანზე წამოწეული, მარტო სერგო ხაჩიძის მამაცობას როლი ვეცნობით, არააკლები მნიშვნელობა ენიჭება იმ ქვეტექსტს, ასე ხელშეხატულად რომაა გამოკვეთილი ნარკვევში — ესაა სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელთა გულწრფელი მეგობრობა და ძმური დამოკიდებულება, რაც თვალსაჩინოდ ვლინდება შრომის პროცესში; საერთო საქმის წარმატებისათვის ბრძოლაში. აქვე ჩანს ავტორის წრფელი სიყვარული მომხმ რესპუბლიკის დედაქალაქისადმი. ასეთი სიყვარულით გვიამბობს იგი ბაქოზე:

„ქარების ქალაქს ნიშნავს ბაქო ქართლად. კასპიის მარგალიტს უწოდებენ მას ეურნალისტები.“

„შავი ოქროსა“ და ცეცხლის ქალაქს ეძახიან პოეტები.“

ქალაქს, რომელიც უქია ნიზამისა და ფიშულის მუხას, ზეთის ხილის ხეების ვერცხლისფერი რტოებისა და ლურჯი ტალღების ყდა-



საქართველოს
წიგნების კავშირი

მა ჩამოვიდა და თვითონაც ხელოცნების საოცარი ქმნილებაა.

ბაკო იკითხება როგორ პოემა, რომელსაც მთელი აზერბაიჯანელი ხალხი წერდა. დრონი წასულან და ხელწერა დარჩენიათ სახლების დასადგებზე.

ქარების ქალაქში გაზაფხულის ქარები ღრის... ცეცხლის ქალაქში მეგობრობის მარადიული ცეცხლი ანთია. მზის ქალაქში მზე არ ჩადის. და როგორც მარადიული ძმობის სადღეგრძელო, ჩქეფენ ნავთობის — შავი ოქროს შადრევნები, რომელთა მოთვინიერება მხოლოდ ზღვის კაცებს შეუძლიათ.

წიგნის მთელ შინაარსს მსკვალავს მეგობრობის ძლიერი გრძნობის პათოსი. ეს თვისება ამ წიგნის ერთი უმთავრესი ღირსებაა. იგი გვეკითხობილებს შინაგანად და ნათელი გელერება სულში. ყველა კარგი წიგნის თვისებაა ეს.

მეგობრობის ამ ძლიერი გრძნობის გამოხატულებითაა დაწერილი შესანიშნავი ლიტერატურული წერილები საბჭოთა და უცხოელ მწერლებზე — ილია ერენბურგზე, კონსტანტინე პაისტოვსკიზე, რასულ გამბატოვზე, გიორგი გულიაზე, პაბლო ნერუდაზე, ნაზიმ ჰიქმეთზე, ჰუგო ჰუპერტზე და სხვ.

„ფიქრიან გზებში“ ხელსაყვამად საგრძნობია ჩვენი დღეების რიტმი, ცხოვრების მაჩისცემის ძალში ფეოქვა, ყოველდღიური ყოფის მღელვარება. აქვეა წარმოდგენილი სოციალისტური ცხოვრების აშკარა უბრაატესობა ძველ, ავსტროკლდეულ ყოფასთან. ავტორი პუბლიცისტური ხასკასით ლაბარაკობს იმ სიახლეზე, რაც სოციალისტურმა ყოფამ დაამკვიდრა ეგზოტიკურ სვანეთში:

„მე ვნახე სოციალისტური სვანეთი, ახალი სვანეთი — მზისკენ ღომის გაბედული ნახტომი.

— ჩვენს თვითმფრინავს კომკებიდან აღბათ მახვებთა უყურებენ? — წამომცდა ანაზღად.

— მახვებში? მახვებში კოლმეურნეობაში მუშაობენ, — გაიღიმა სვანმა ჭაბუკმა.

... რადისტი კაბინას აღებს და გვეუბნება:

— აი, მოუხმინეთ ამ მახვს, რადიოთი როგორ ლაბარაკობს.

— მახვში რადიოთი?

რადიოტალღებს შხარის კალთებიდან მოჰქონდათ ხორხისმიერი ქართული ფრახები.

ფრთებქვეშ იყო სოფელი კალა.

— ეს არის კალის მახვისი — შოთა მარგველიანის ხმა...

— რა ხნისაა იგი?

— ოცდათორმეტი წლისაა.

— დღეს სვანეთში ყველა კოლმეურნეობის თავმჯდომარე ახალგაზრდაა.

ზის კალის კოლმეურნეობის თავმჯდომარე შხარის კალთებზე გაშენებულ რადიოფიცირებულ „მურყვანში“ ან მანუბში — გამეგობის

შენობაში და რადიოთი აძღვეს დაეალებებს ენგურის სათავეებში მიმოფანტულ კოლმეურნეთა ოჯახებს“ („უშბის ღიმილი“).

სვანეთის უძველეს კომკებში უხუცესი მახვები ისხდნენ. მათ ეკითხებოდნენ ჭუას, მათი ნების გარეშე არაფერი არ წყდებოდა. მაგრამ მათი ნება-სურვილი ძველ დათ-წესებს ემორჩილებოდა ეს დათ-წესები ზოგჯერ კანონიერ სურვილს ბოჰავდა. მაგრამ მახვში მახვში იყო და მის სურვილს წინ ვერავინ აღუდგებოდა. დღეს უხუცესი მახვების ნაცვალ ახალგაზრდა, მაგრამ განათლებული და ჭკუადამქვადარი მახვები — კოლმეურნეობის თავმჯდომარეები განაგებენ მთელ სოფელს, რომელთა ნება ხალხის ნების გამომატველია. ამ ახალმა გზამ „მოიტანა კალაში ელექტრომუქი და რადიო, დაამკვიდრა ახალი სიტყვა — შრომადღე. მუშლავხსუნელი სვანის სახებე ღომით ათამაშდა. ქვეყნის შექმნის ღლიდან გაუცინარა ხეობამ გაიცინა“.

ამ წერილში უსათუოდ უნდა აღვნიშნოთ ელადიმერ აღვნიშნის კიდევ ერთი შესანიშნავი თვისება. ეს არის ლიტერატურულ-ისტორიული კვლევის უტყუარი უნარი. ამ უნარის შესანიშნავი გამოვლინებაა ციკლში „მამულის გზებზე“ მოთავსებული ჭეშმარიტი მეცნიერული აღლოთი დაწერილი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევები „ეგრისის წყაროები“, „ოტობაია“, „წიფურია“. აქვეა ისტორიულ-ლიტერატურული წერილები „მარია დემურია“ და „მივიწყებული სამურზაყანოელი პედაგოგი და მგოსანი“. პირველ მათგანში გაცოცხლებულია ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე ქალის, საყმაწვილო ეურნალ „ნაიადლის“ დამაარსებლის მარია დემურიას კეთილშობილური სახე. მარია დემურია ერთ-ერთი იმთათაგანი იყო. ვინც წლების მანძილზე უანგაზოდ და თავდაუზოგავად იღვწოდა ქართული კულტურის საკითხადღად, ვის ამაგავს უღიღესი პატივისცემით აფასებს ქართველი ერი. სწორედ ამის ნიშანია ის, რომ „თითქმის არ დარჩენილა მე-19 საუკუნის დასასრულის და მე-20 საუკუნის დამდეგის ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, რომ მარია დემურია-სათვის არ ეძღვნა გულთბილი სტრიქონები“. მარია დემურიას ღვაწლს აფასებდნენ ისეთი ცნობილი მოღვაწეები, როგორც იყვენენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვჟა ფშაველა, ილია ნავაშიძე, კიტა აბაშიძე, ალ. წულუკიძე და სხვები. რასაკვირველია, ყოველივე ეს ცნობილია, მაგრამ ნარკვევის ავტორი მკითხველებს აცნობს რამდენიმე სრულიად უცნობ ეპიზოდს მარია დემურიას ბიოგრაფიიდან, დაკავშირებულს სამურზაყანოს კულტურულ ცხოვრებასთან.

რეზა ჩხარბიშვილი
ცოცხალი სიტყვა

განსაკუთრებით საინტერესოა მეორე წერილი, რომელშიც ლიბერატორის ისტორიკოსის თვალსაზრისით განხილულია და წარმოინებულა მე-19 საუკუნისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის სამეურნაო-სამეცნიერო პოეტის ივანე გეგიას პოეტური თხზულებები. ივანე გეგია თავისი დროისათვის ფრიად განათლებული პიროვნება და ქართული კულტურისათვის თავდადებული მოღვაწე ყოფილა, მაგრამ მისი პოეზიის ვერ იღვა ავტორის კეთილშობილური პიროვნების დონეზე მხატვრული თვალსაზრისით. ამიტომ აღნიშნავს ავტორი: „დღეს ივ. გეგიას ყველა ლექსს ვერ მივუღებთ უმაღლესი ესთეტიკური კრიტერიუმებით“. ჩვენთვის საინტერესოა თვით ვლ. ალფენიძის ლიბერატორული პოზიცია — პოეტის შემოქმედების განხილვისას მკაცრი ესთეტიკური საზომებით აღიქვას ილიასა და აკაკის თანამედროვე პოეტის შემოქმედების მხატვრული დონე, თავისი კეთილშობილი ადგილი და როლი მიუჩინოს ქართული კლასიკური ლექსის განვითარებაში. ამ თვალსაზრისით ვლ. ალფენიძის ეს წერილი უთუოდ იმსახურებს სერიოზულ ყურადღებას ლიბერატორის არა მარტო სპეციალისტთა, არამედ მეოთხეულია მხრებიც.

ცხადია, ერთ საეურნალო სტატიაში მეტად ძნელია ასეთ მოზრდილ წიგნზე ამომწურავად ილაპარაკო. დაწვრილებით მიმოიხილო მისი თემატურ-ჟანრობრივი შინაარსი, რომელშიც, უამრავი პრობლემური საკითხია წამოჭრილი, იქნებ საერთოდ, შეუძლებელიც იყოს წიგნის ჟანრობრივი ხასიათის განსაზღვრა, იქნებ აქა-იქ გაუიანურებული ეპიზოდებიც შეგვხვდეს, ზოგან ენობრივადაც იყოს დასაბეწო, მაგრამ ერთი რამ აშკარადაა საგრძნობია: ჩვენთან იშვიათად გამოდის მსგავსი წიგნები, სადაც ასე ნეციკლოპედიურად არის თავმოყრილი სრულიად სხვადასხვა საკითხზე სხვადასხვა ასპექტით გაშუქებული უამრავი წერილი, რომლის გაცნობა უთუოდ სარგებლობას მოუტანს მკითხველს. ეს უკანასკნელიც არ დარჩა გულგრილი ამ წიგნის მიმართ. ამიტომ მისი ტირაჟი (10 ცთისი ეგზ.) ერთბაშე მკითხველს აღმოჩნდა.

ე. სიხარულიძე. „იტალიის ეროვნული გმირი“. ეს წიგნი მრავალმხრივ მიმოხილველი და საყურადღებოა. მისი მიზანია არა მარტო ქართული ხალხის სახელოვანი შვილის, იტალიის ეროვნული გმირის ფორე მოსულიშვილის საბრძოლო მამაცობაზე მოგვეთხროს, არამედ საბჭოთა ეურნალისტის თვლით დაგვანახოს დღევანდელი იტალიის პოლიტიკურ-ეკონომიური ვითარება, რეალურად დაგვიხატოს ომის წინა დღე ომისდროინდელი იტალიურ-გერმანული თანხმობის ქვეშაობრივი სახე, გვიჩვენოს ხალხთა კეთილმეგობრული დამოკიდებულება, ინტერნაციონალური და პატრიოტული გრძნობა. ასეთი ფართო გეგმა ერთ წიგნში იქნებ საჩოთ-

როც მოეჩვენოს მკითხველს, მაგრამ ^{ფურნა}ლისტ ედუარდ სიხარულიძის მიერ ^{ფურნა}ლიურად შერჩეულმა ფორმამ ზემოთაღნიშნული საკითხები ერთ ფოკუსში მჭიდროდ მოაქცია და კომპოზიციურად შეკრა. ამიტომ თვით „პროლოგიც“, რომელიც ძირითად სიუჟეტს უძღვის წინ, ორგანულად ერწყმის შინაარსს და, უფრო მეტიც, ამ შინაარსის იდეურ განხნას უწყობს ხელს. შორეული ისტორიის ერთი საყურადღებო ეპიზოდზე გარკვეულწილად ეხმარება სადღეისო მტკივნეულ საკითხებს. იმ უხსოვარ დროში, როცა არსებითად მკლავის ძალა ბატონობდა დედამიწის ზურგზე, ძალმომრეობას კეთილგონიერებამ სძლია და ორი ქვეყანა მეგობრულად შეაჯავრება ერთმანეთს. ასე დამარცხდა შური და მტრობა იმ დროს, მაგრამ უგუნურებაც ხშირად სუფევდა დედამიწაზე. ამ უგუნურების ერთი გამოვლინება იყო გერმანიულ ვანდალებს ბარბაროსული განზრახვა — მოსულიშვილ ბატონობა, რომლის განხორციელებასაც თავგამებებთ ეწრაფველა დამთხვეული პიტლერის ნაციისტური მთავრობა. ეს იყო ძალი, რომლის დამხობა მარტოოდენ შეუძლიაპირებული ძალით აღბათ განძღვრებოდა. ფაშისტური მანქანის განადგურება ბევრწილად განაპირობა ხალხთა ინტერნაციონალურმა მეგობრობამ, სამშობლო მიწის უსაზღვრო სიყვარულმა, პატრიოტულმა გრძნობამ. ამ ასპექტით მეტად ორიგინალურად გამოიყურება „პროლოგი“. გარდა იმისა, რომ აქ ნაჩვენებია მეგობრობის უძლეველი ძალა, ჩვენ ვგვხვალავს ისიც თუ რა დიდ პატივს სცემს ესა თუ ის ერთი (ამ შემთხვევაში — იტალია) უცხო ქვეყნის შვილის მამაცობას. იტალიელმა ხალხმა ჩვენს წელთაღიშნების მეორე საუკუნეში პირველად დაუდგა ძეგლი ქართველ კაცს. მეორე ძეგლი ჩვენს თანამედროვეს, ფორე მოსულიშვილს ერგო. ეს მოხდა ამ ორივე წლის წინათ. მაგრამ მთელი ოცდახუთი წელი მისი ვინაობა უცნობი იყო თვით იმ ხალხისათვის, ვინც ამ ხნის განმავლობაში წმინდად ინახავდა გმირის ხსოვნას და უცნობი იყო თვით საქართველოსათვის, რომელმაც არაფერი იცოდა თავისი ღვიძლი შვილის გმირობის შესახებ.

მკითხველს კარგად ახსოვს, რა სასიხარულოდ გაივლავა ჩვენი პრესის ფურცლებზე ამ სამოთხე წლის წინათ უცნობი ქართველი გეგეციის ფორე მოსულიშვილის საბრძოლოთი გმირობის ეპიზოდებმა. ქართველმა ხალხმა კიდევ ერთი გმირი იწემა, მაგრამ მისთვის უცნობი იყო ამ გმირის სრული ვინაობა, რამ მოიყვანა ქართველი კაცი შორეული იტალიის მიწაწყალზე, რამ დააჯავშირა იტალიელ პარტიზანებს და როგორ შესწირა თავი ამ ქვეყნის განთავისუფლებას.

ყოველივე ამის ნათელყოფა წილად ზედა ეურნალისტ ედუარდ სიხარულიძეს. მან, პირ-



დაპირ უნდა ვთქვათ, მეტიდ მიმე შრომა ვას-
წია, რომ მის მიერ მოძეული დოკუმენტების
საფუძველზე მშენიერი დოკუმენტურ-პუბლი-
ცისტური ნარკვევი შეექმნა.

ამთავითვე უნდა აღენიშნოთ, ე. სიხარული-
ძის წიგნის ერთ-ერთი ღირსება მისი პოლიტი-
კური პათოსია. ამ პათოსის გარეშე შეუქმლბე-
ლიც იყო ამ წიგნის დაწერა, მაგრამ შესალო
ყო ისიც, რომ ავტორს ცალმხრივად წარე-
მართა თავის ჩანაწერი და მარტოოდენ ფორე
მოსულიშვილის ცხოვრებისა და საბრძოლო
ემპიზოდების ჩვენების ცდით დაკმაყოფილე-
ბულიყო. (ხაღია, მის უმთავრეს მიზანს ამი-
თაც მიაღწევდა, მაგრამ, ჩვენი აზრით, წიგნის
პოლიტიკურ კლერადობა საგრძობლად გა-
ფერმკრთალდებოდა. ამიტომ იგებს წიგნი, რო-
ცა ფორეს ვინაობის დადგენის ძიებისა და
ავტორის იტალიაში მოგზაურობის შთაბეჭდი-
ლებების გვერდით, წინა პლანზე წამოწეული
ის ისტორიული წიადსვლები, რომელიც იტა-
ლიაში ფაშიზმისა და ეროვნული წინააღმდე-
გობის წარმოშობას ეხება. მაგრამ ვინაიდან ამ
საკითხების ამომწურავად გაშუქება ნაშრომის
უმთავრეს მიზანს არ წარმოადგენს, ავტორი
მოკლედ მოგვიხიბრობს მათზე. მას შემდეგ,
რაც მუსოლინის ფაშისტური მთავრობა ვაბა-
ტრანც; იტალიელმა ხალხმა არა ერთი ტანჯვა
გადაიტანა. მაგრამ უმძიმესი ტანჯვა იტალიე-
ლებს მაინც მუსოლინის პიტლერთან კავშირი-
ბა მოუტანა. მუსოლინი აქტიურად ამოუდგა
მხარში პიტლერს საბჭოთა კავშირის წინააღმ-
დეგ ომში. მან ფრონტზე საექსპედიციო კორ-
პუსი გაგზავნა, რომელიც სტალინგრადადთან
მთლიანად განადგურდა. იტალიელ ხალხს არ
სურდა საბჭოთა კავშირთან ეომა. მათ საერ-
თოდ არ სურდათ ომი. იტალიელ ჯარისკაცე-
ბა ამრეგონი უცქერდნენ გერმანელებს, რომ-
ლებიც უხეშად და უდოვრად ექცეოდნენ მშვი-
დობიან მოსახლეობას. მუსოლინი კი პიტლერ-
ის მტკიცე დასაყრდენი აღმოჩნდა. იტალიელ
ფაშისტთა დახმარებით ქვეყნის უმეტეს ნა-
წილს გერმანიამ ოკუპაცია უყო. იტალიელმა
ხალხმა კარგად დაინახა თუ რა დამღუპველი
აღმოჩნდა მუსოლინის ფაშისტური რეჟიმი და
გადაწყვიტა იარაღისთვის მოეკიდა ხელი ქვეყ-
ნის გათავისუფლებისათვის. გერმანელების
მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე განაღდა
პარტიზანული ბრძოლები, რომლის ავანგარდ-
ში ჩაღდა კომუნისტური პარტია.

1943 წლის ოქტომბერში ჩრდილოეთ იტა-
ლიაში ჩამოყალიბდა პირველი პარტიზანული
არხები — გარბილდის სახელობის ბრიგა-
დები. პარტიზანული მოძრაობა საერთო-სახალ-
ხო ბრძოლად იქცა. 1944 წლის ზაფხულისა-
თვის გერმანელებისაგან გაათავისუფლეს ქვეყ-
ნის დიდი ნაწილი. იტალიელთა მხარდამხარ
იბრძოდნენ საბჭოთა არმიის ის მრავალერო-
ვანი წარმომადგენლები, რომლებიც ფაშისტთა

ტყვეობიდან გაქცევის შემდეგ იტალიის მიწა-
ზე აღმოჩნდნენ. ფაშიზმისადმი სიძულვილი
ერთ საბრძოლო ბირთვად შეაჯემირა იტა-
ლიელი პარტიზანები და საბჭოთა მეომრები,
რომელთა შორის იყვნენ რუსები, უკრაინელე-
ბი, ბელორუსები, სომხები, ქართველები და
სხვ.

ასე აღმოჩნდა შორეული იტალიის მიწა-
წიალზე სიღნაღის რაიონის მეკლერი, ქვემო-
მანჩანელი ქაბუკი ფორე მოსულიშვილი.

ავტორი სრულიადაც არ ჩქარობს იტალიის
ეროვნული გმირის საბრძოლო ემიზოდების
დახატვას. იგი ეპიური სიმშვილით გვიამბობს
იმ გზებზე, იმ შთაბეჭდილებებზე, რომელიც
გაიარა სწორედ იმისათვის, რომ ფორე მოსუ-
ლიშვილის საბრძოლო ემიზოდების, სიცოცხ-
ლის უკანასკნელი დღეების შესახებ მოეხმინა
და შემდეგ მკითხველისათვის მოეთხრო იმ
ადამიანებისაგან, ვინც უშუალოდ ქართველი
ვაჟაკის მხარდამხარ იბრძოდა, ვის თვალწი-
ნაც იტალიის ეროვნული გმირი სიმამისა და
თავგანწირვის არაჩვეულებრივ მაგალითებს
იძლეოდა.

ფორე მოსულიშვილის გმირობისა და სიმა-
მაისი ვრცელ ემიზოდებს მოგვიხიბრობს ავ-
ტორი ერთი „გმირის ნაკვალევზე“. ე. სიხა-
რულიძე სწორედ აქ, ფორე მოსულიშვილის
საბრძოლო დიდების ადგილებში, ჩრდილოეთ
იტალიაში ყოფნის დროს იხსენებს ფორეს
თანამებრძოლის ისაკ ძამნაშვილის ნაამბობს
ქართველ გმირზე. ავტორი მხატვრული ფერე-
ბით ხატავს გმირის შინაგან ბუნებას, რომე-
ლიც ვერაფრით ვერ ეგუება ტყვეობას და
თვით იმ დროსაც კი, როცა იარაღდაყრილი
პატიმარი საფრანგეთის ტყვეთა ბანაკში იყო-
ფება, გასაოცარ გამბედაობას იჩენს და შვი-
არალებული გერმანელების თვალწინ ბანაკის
უფროსს, რომელმაც ბრძანების შეუსრულებ-
ლობისათვის მათრაზი გადაუჭირა, ისე ძლიე-
რად ამოკრავს მუშტს, რომ მოცელოლივით
დასცემს. ეს იყო თავგანწირვის იშვიათი მაგა-
ლითი, მაგრამ ამასთან თავისუფლებისადმი
სიყვარულის ბრწყინვალე ნიმუშიც. ამ ფონზე
გოლიათურად წარმოვიდგენს ავტორი ფორე
მოსულიშვილის ისედაც გოლიათურ ფიგურას.
ამ უთანასწორო შეჯახებაში ავტორი ზომიე-
რებით იშველებს ფსიქოლოგიურ ფაქტორს
და ამ ასპექტში ხატავს შექმნილ სიტუაციას:

„საოცარ სიჩუმეში ყველა და ყველაფერი
დაიძაბა.

ძლივს წამოღდა გერმანელი ოფიცერი. ცხვი-
რიდან და ყურებიდან სისხლი სდიოდა. ავტო-
მატიმარაჩვებულ ჯარისკაცებს ანჭმნა, უკან და-
იხიეთო და აჯანყალბული ხელით ამიოლი პა-
რაბელუში...

რეპეზ ჩაბრბიშვილი
ცოცხალი სიტყვა

ფორე კვლავ გაუნძრევლად იდგა და ზოზილი საგსე თვალებით შესცქეროდა გერმანელს.

იმ წუთებში ყველამ იგრძნო თუ როგორ დაჯანა უიარალო კაცმა სვასტიკიანი მხეცი.

ძნელია იმის თქმა, თუ რატომ არ დახვრიტა გერმანელმა ფორე მოსულიშვილი იმ დღეს. იქნებ შინაგანი პარტიისციემით განიმსკვალა მისი ვაჟკაცური საქციელსადმი? ვინ იცის, ძნელია ამის ახსნა. ზუსტი, მართალი, ფსიქოლოგიურად მოტივირებული სიტუაციაა, აბაღლეებელი, მხატვრულად ძლიერი. მსგავსი დეტალები მრავლად შეგვხვდება წიგნში, რაც ავტორის უღიო ღირსებებზე მეტყველებს.

ქეშმარიტი პროზაიკოსის თვალთაა აღწერილი გვირის ტრაგიკული აღსასრული. ამ ფონზე რელიეფურად გამოიკვეთა ფორე მოსულიშვილის თავანწირული სულსკვეთება, თანამებრძოლთა მიმართ უსაზღვრო ერთგულება, საყუთარი სიცოცხლის ფასად მეგობრების, რა ერისაც არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი, გადარჩენა. მან ხომ რაზმის მეთაურის, იტალიელი პარტიზანის ედო დელგრატოს ნაცვლად გასწირა თავი, რითაც თექვსმეტ თანამებრძოლს შეუნარჩუნა სიცოცხლე. ამ თექვსმეტ კაცში 9 კაცი იტალიელი იყო. ეს მართლაც გვირის უიშვიათესი მაგალითია, სწორედ ამის გამო ინახავდა თავისუფლებისმოყვარე იტალიელი ხალხი სახელოვანი გვირის ხსოვნას მეოთხედი საუკუნის განმავლობაში.

ომმა აღწახლარებელი ზარალი მიაყენა კაცობრიობას, მრავალი ტანჯვა მოუტანა იტალიასაც. მაგრამ დღევანდელი იტალიის რეაქციული ძალები ჩვეული გულგრალობით ივიწყებენ გუშინდელ დღეს, მათ არად მიაჩნიათ იტალიელი შრომისმოყვარე ხალხის განცილებილ მსუხარებას და მათი მეცადინეობით, რომელი ბინძურ მიზნებს ეყრდნობა, ქვეყანაში კვლავ ძლიერდება ომის საფრთხე. იზრდება სამხედრო გჟუფის გავლენა, რომელიც მკიდრო კავშირშია ქვეყნის ყველაზე რეაქციულ ძალებთან და მოფაშორებელი ელემენტებთან. აი, ეს მწველი საკითხიც არ ჩნება ე. სიხარულირებს უყურადღებოდ. იგი მრავალ დიპლომატიურ მასალაზე დაყრდნობით სრული სიზუსტით ხატავს იტალიის დღევანდელ პოლიტიკურ-ეკონომიკურ ვითარებას. ამ საკითხების მიმართ ყურადღების გამახვილება თვით წიგნის შინაარსითაა გაბირობებული. მართლაც, ყოველივე იმის შემდეგ, რაც კაცობრიობამ გადაიტანა, და რომლის ერთი უმნიშვნელო ნაწილი ამ წიგნში ასახა, სრული უაზრობაა ომზე ფიქრი, ხელახალი სისხლისღვრა. ამიტომ მოუწოდებს ავტორი მკითხველს: განვლილი მძიმე დღეების მოუხედავად კვლავ ბოკინობენ ადამიანები, რომლებსაც ომზე ფიქრი მოსვენებას უკარგავს, უამრავ თანხას ხარჯავს სამხედრო შეიარაღებისათვის და საჭიროა კაცობრიობამ მათარი წინააღმდეგობა გაუწიოს ამ უგუნურებს.

ასეთი პუბლიცისტური სიმახვილოთ გამოირჩევა ე. სიხარულიძის „იტალიის გერმანული გვირი“. ასე ფართოდ გაიაზრა ავტორმა წიგნის მიზანდასახულობა, ასე მრავალმხრივ ასპექტში წარმოგვიდგინა ჩვენი სახელოვანი თანამემამულე, ქვეყნობაჩხანელი ვაჟკაცი ფორე მოსულიშვილი, რომელსაც იტალიელმა ხალხმა უანგარო თავგანწირვა არ დაუკარგა და ქვეყნის უმაღლესი ჯილდოთი ოქროს მედლით „მხედრული მამაცობისათვის“ დააჯილდოვა.

ქართველი ავტორისტიმა სრულად გამოავლინა ფორე მოსულიშვილის გინაობა, მისი საბრძოლო გზა და მხედრული მამაცობა. ამიტომ წიგნის მეორე გამოცემასაც, რომელიც მნიშვნელოვანდ შევსებული და სრულყოფილია, კვლავ დიდი ინტერესით შეხვდა მკითხველი საზოგადოება.

თამაზ ბიბილორი. „ქარა“. ამ რეცენზიაში ერთხელ უკვე მომიხდა საუბარი ავტორისტიკის ფართო განათლების აუცილებლობაზე, იმ ნიჟსა და უნარზე, ურომლოსოდაც ავტორისტიკის მახვილი კალამი წამსვე ჩლუნგდება და სათქმელი, რომელიც შეიძლება საინტერესოდ და მიმზიდველად წარმართულიყო, ვიწრო კალაპოტში ექცევა, თავისთავად მნიშვნელოვან აზრს შუქი აკლდება, ერთფეროვნების შტამში ბოჭავს. ასეთი ავტორისტიკა ჩვენ ბევრს გვყავს, მთელი მათი უნარი მხოლოდ იმას ხმარდება, რაც მხოლოდ დღევანდელმა დღემ მოითხოვა და, ასე თუ ისე, ამ მოთხოვნას აკმაყოფილებს. მაგრამ, სამწუხაროდ, ბევრი ცდება, როცა ფიქრობს, რომ დღევანდელი მასალა მხოლოდ იმ დღის მოთხოვნებს უნდა დაუმორჩილდეს. რაც დღეს აუცილებელია და საჭირო, ის ხვალის საწინდარია, ზოგჯერ — საფუძველია-საფუძველიც. ამიტომ ყოველი პუბლიცისტური მასალა ავტორისტიკის ნიჟიერმა კალამმა უნდა მოამზადოს. ეს უბრალოდ ქეშმარიტებაა, რომელსაც პრესის მუშაკები არც თუ იშვიათად ივიწყებენ და ალბათ სწორედ ამიტომ არის, რომ მრავლად შეგვხვდება უღიშლამო, ერთფეროვანი, აზრისაგან დაუცილი, დაუმუშავებელი მასალები ჩვენი პრესის ფურცლებზე.

ავტორისტიკა თავისებური სიტყვის ოსტატია. ამიტომ სჭირდება მას გამუდმებული მუშაობა სიტყვაზე, აზრის ზუსტად გამოთქმაზე. სტილის დახვეწაზე, როგორც მწერალს, რომელიც მხატვრულ ტილოს ქმნის.

ასე მუშაობს თამაზ ბიბილორი სიტყვაზე. ამიტომ არის მისი ეს აღნიშნული წიგნი დახვეწილი ქართულით დაწერილი. ამას მისი ფრაზების ლაკონიურობა, აზრის ზუსტად, ხშირად, ხატოვანად გამოთქმის ხელოვნება მაგნიფიცებინებს. თუმცა შესაძლოა აქა-იქ მაინც შეგვხვდეთ სახამუშო გამოთქმები. კერძოდ, „ლახათიანად ჩხუბობდნენ“, „ნამოფხატული ულ-



ვაშები», «ქაფქაფა დიალოგი», «ცქვიტად იცქირება» და სხვა, მაგრამ მათზეც ალბათ საფუძველი აქვს ავტორის თავისი აზრი დაიცვას. ეს წიგნი ავტორის მრავალმხრივ განათლებას, მის დიდ გემოვნებაზეც მიუთითებს. ამას მადიქრებინებს წიგნში შეტანილ სრულად სხვადასხვა ხასიათისა და ენარის წერილები, სტატეგები, ნარკვევები, მინიატურები.

ქართულმა მკითხველმა იცის: თამაზ ბიბილური პროზაიკოსია.

პროზული ნაწარმოებებიც წარმოუდგენია ავტორს ამ წიგნში.

ასე იქცა ეს წიგნი ავტორის ერთგვარ ანგარიშად მკითხველის წინაშე; მასში თხუთმეტი წლის მანძილზე ნაშრომები წიგნით ნაშრომი შეუტანია. ახლა, ასე თუ ისე, სრული სხიბი დვას ჩვენს წინ თამაზ ბიბილური, როგორც ჟურნალისტი, პროზაიკოსი, ლიტერატურისმცოდნე, შესაშური თვისებაა. ამ თვისების გარეშე ჟურნალისტი, მართლაც რომ, შორს ვერ წავა.

წიგნი რამდენიმე ციკლადაა დაყოფილი. პირველ ციკლში, რომელსაც „ხელნაკვეთი“ ეწოდება, ავტორს არსებითად მხატვრული ნარკვევები გაუერთიანებია. ეს ნარკვევები ჩვენი დღეების მღვლეარე ცხოვრებაზე მოგვითხრობენ, მოგვითხრობენ თუ როგორ ახასიანებენ საქართველოს კომკავშირის ერთ-ერთი ღირსეული მეთაურის ბორის ძნელაძის ძვირფას ხსოვნას მისი სიყრმის მეგობრები, მშობლიური კუთხე, ნათელი შტრახებითაა გადმოცემული ამ ლეგენდარული კაპუტის სახელოვანი გზა, მისი ხანმოკლე, მაგრამ ბოლოჯარი ცხოვრების დღეები („ცვალი მარადიული“); მოგვითხრობენ მოძმე ჩერქეზი ხალხის გულწრფელ სიყვარულზე კავკასიონის დამცველთა თავგანწირულ გმირებზე, მათი დიდების ხსოვნის უკვდავოფაზე („მგზავარი, შეჩერდი“); ჩვენი მწვერულების რთულ, მაგრამ საინტერესო ცხოვრებაზე, მათ ფიქრებზე, ინტერესებზე, გვიხატავენ მწვერუთის კოლორიტულ სახეებს, მათ ვეკაცურ ხასიათებს („პოემა“ მწვერულის); „უხმობს მინდაებს“ კი ერთი სულისმითქმით დაწერილი სინდერა ტყეზე, მისი სილამაზეზე, მისი სიყვითის ნაყოფზე; ბევრი წაგვივითხრავს ჩვენი მეცნიერების დიდ ტაძარზე, მაგრამ ისეთი, როგორც არის „ბატონი უნივერსიტეტი“ — იშვიათად. ეს ნამდვილად მაღლიერი შვილის სამადლობელმა აღმზრდელი უნივერსიტეტისადმი, რომელმაც შეუძლებელია არ განგაცდევინოს სიჭაბუკის ის მღვლეარე დღეები, სტუდენტობის წლები რომ გაეცემიერებდა უმადლესი სასწავლებლებს ამ ქუთუმთან: აღნიშნულ ციკლში შედის თავისი ემოციურ-აზროვნური და ტექნიკური მშვენიერი ნარკვევი სამეგრელოდან წამოსულ კაცზე, რომელიც თავის პროფესიულ სიყვარულს — პედაგოგობას ხე-

სურეთში — ვეფხისა და მოყმის ბალადის ქეთლაურებისა და ზვიადურების სამყაროში, მინდიას საუფლოში“ გადაუსახლებია ცხოვრებისეული წლის მანძილზე ხევისხეობისა და ლეილი შვილიეტი შეუთვისებია. ასე გახდა მისი ვანო ხევისურთა ერთ-ერთი საპატიო მოქალაქე, რომელსაც „ხიდის ვახსნის პატივს“ უთმობენ („შატალი, მია ვანო...“). მაგრამ ამ ნარკვევს, გარდა მისი ვანოს საინტერესო ცხოვრების ჩვენებისა, აშკარად გამოკვეთილი მკვებეტიც გასდევს — თანამემამულეთა უსაზღვრო სიყვარულის მაღალი გრძნობის კეთილშობილება, როცა მშობლიური კუთხე გემოზა მეზობელი კუთხის სიყვარულით. „ტაძრის კედლები“ ერთ უბრალო, რიგით, მაგრამ ფრიად საჭირო და აუცილებელი პროფესიის ადამიანზე მოკვითხრობს ავტორი. ჩვენი რესპუბლიკა უხედადა მოფენილი უმველესი ციხე-კოშკებითა და ტაძრებით, რომლებიც არა მარტო ჩვენს სახელოვან ისტორიულ წარსულზე მეტყველებენ, არამედ დიდ ესთეტიკურ სიამოვნებასაც გვანიჭებენ. უამრავ ტურისტსა და მნახველს იზიდავენ ეს ისტორიული ძეგლები, მაგრამ, სამწუხაროდ, უგუნურთა საქციელს არა ერთი ზიანი მიუყვანებია მათი სილამაზისათვის. ამან აიძულა ბეთანელი ვანო წიკლაური მეურნის საქმიანობას სამუდამოდ გამოთხოვებოდა და ტაძრის მცველის მძიმე კვერთხი აეღო ხელთ. ამ ნარკვევში არსებითად მიმუშავდა სიყვარულია ზაზასმული. ავტორის მიგნება თვალსაჩინოა და ხელშეახებში. ეს დიდი გრძნობა დიდი ეროვნული პატივის — გიორგი ლეონიძის სახელს დაუჭერს. სწორედ გიორგი ლეონიძის გულისტკივილით წარმოთქმულმა საყვედურმა ვადადგმევინა ეს ვადაწყვეტი ნაბიჯი ბეთანელ გლეხს. ასე მიაგნო ავტორმა დიდი პატივისა და უბრალო გლეხის საერთო გულისტკივილის და მხატვრული სიმართლით დაგვარწმუნა გლეხის ვადაწყვეტილებაშიც და მის მიერ მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულებაშიც.

მამფერი ლირიზმითაა დაწერილი ციკლი „ორი ელეგია“. ამ ციკლში ავტორი ჩვენი დროის დროს ორ დიდ ადამიანზე, ქართული კულტურის ორ სახელოვან წარმომადგენელზე გიორგი ლეონიძესა და სერგო ზაქარაძეზე ვკვირდებით. ძნელია იმის თქმა, ხასიათით რა ენარს მიეკუთვნებიან ეს წერილები, ნარკვევს, მოგონებას, შემოქმედებით პორტრეტს თუ სხვას, მაგრამ ჩვენთვის ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. თუკი სათქმელის მიზანი ხორცშესხმულია და წარმატებითაა მიღწეული, მის ენარობრივ თავისებურებაზე იშვიათად ვფიქრობთ. ამ დროს არც ავტორი ფიქრობს ფორმასზე. ფორმა თავისთავად იკვეთება სათქმელის ვა-

რევაზ ჩხარბრიძე
ციცხალი სიტხვა

მელანქოლიის შემდეგ დიდი ქართველი პოეტის გიორგი ლეონიძის კოლორიტული სახის სრულყოფილად წარმოჩენისათვის აღმათ მხოლოდ ერთი ეპიზოდი არ იქმნებოდა. ამიტომ მიმართა ავტორმა მხატვრულ ნარკვევასაც, მოგონებასაც, შემოქმედებით პორტრეტსაც. ამ ელემენტების ორგანული შერწყმით ჩვენს წინ ცოცხლად წარმოადგინა გიორგი ლეონიძე, როგორც თავისებური, ორიგინალური ხმის მქონე პოეტი, როგორც სახალხო მგოსანი, ხალხის უსახლდრო სიყვარულით გაერმოსილი, როგორც თავისი ქვეყნის პატრიოტი მოქალაქე, უანგარო საზოგადო მოღვაწე, ამასთან, როგორც უაღრესად მოკრძალებული და სისურველი ავტორი ჩვენი რედაქციებისა.

ეს უკანასკნელი მომენტი ფრიად საფრთხილშია არა მარტო თვით ავტორს შემოქმედებით ცხოვრებაში, არამედ დღევანდელი ლიტერატურული ცხოვრების პრაქტიკაშიც. დიდი პოეტი, რომელიც საკმაოდ დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა მთელ საბჭოურ ლიტერატურაში, „მოთხრობას ისეთი მორიდებით დატოვებდა რედაქციაში, თითქმის პირველი ნაწარმოების დასტამბვად და თავდაცვ იცის, რა გამოვაო. მერე დღეაღდა და დაბეჭდვის დღეს ბავშვური სიხარულით ელოდა“. ამ დეტალში არა მარტო პოეტის მოკრძალება და მორიდება ჩანს თავისი ახალგაზრდა კოლეგებისადმი, უპირველეს ყოვლისა, ყურადსაღებია თვით მწერლის შემოქმედებითი დაქვეება, მწერლური თავმდაბლობა. მას ჭირივით სძულდა ყოყმანობა და პატივმოყვარეობა. იგი ისეთივე უბრალო და სადა იყო, როგორც უბრალო და სადა იყო მისი შემოქმედება, რომელიც მტკიცედ ეფუძნებოდა ხალხურ საწყისებს. ხალხი კი მუდამ უბრალო და თავმდაბალი.

სერგო ზაქარიაძე დიდი მსახიობი იყო. ეს მისი ერთი, არსებითი თვისება გახლდათ. მაგრამ დიდი ხელოვანი საზოგადოებრივი თვისებებშიც დიდი გამოიჩინა. ს. ზაქარიაძე ყველასგან გამოიჩინებოდა, კოლორიტული ფიგურა იყო. ესეც თითქმის ხელშესახები გახლდათ, მაგრამ მისი დაკონკრეტება ბევრს უჭირდა. კერძოდ რითი გამოიჩინებოდა იგი სხვებისაგან, რა იყო მისთვის დამახასიათებელი? დიდი შემოქმედის ამ ნიშან-თვისებების დადგენას ცდილობს თ. ბიბილური სერგო ზაქარიაძისადმი მიძღვნილ წერილში. თუმცა ეს წერილი არც მეცნიერული კვლევს მეთოდოლოგიას ეყრდნობა, არც თეატრმცოდნის პოზიციიდან ცდილობს შემოქმედის თვისებებზე დასკვნას. იგი არსებითად საკუთარი შთაბეჭდილების პრიზმაშია გატარებული და ამ შთაბეჭდილებას უზიარებს მკითხველს. მაგრამ შთაბეჭდილება ციფრული და შთაბეჭდილება. თამაზ ბიბილური პირველ რიგში ფართო განათლების ფურნალისტია და ფურნალისტის შთაბეჭდილება, როგორც წესი, არსებობ-

თად უნდა განსხვავდებოდეს რიგითი მწერლების (მოქალაქის) შთაბეჭდილებებისგან. ეს განსხვავება მართლაც საკმაოდ საკმაოდ ბიბილურის მიერ წარმოსახული დიდი მსახიობის პორტრეტი მკითხველისთვის კარგა ხნის ნაცნობს წარმოადგენდა, ოღონდ აღარადა წაეკითხა და დიდად ნასიამოვნები დარჩა, როცა სიყვარული მსახიობის ნაცნობ პორტრეტს მოჰპოვა თვალს. ცხადია, ავტორს არც უცდია მსახიობის სრული შემოქმედებითი პორტრეტი წარმოესახა (ამის ცდა შეუძლებელი იყო), მაგრამ თითო-ორჯოა შტრიხის წარმოსავით თავისთავად კეთილშობილური ცდა დიდი ხელოვანის შემოქმედებითი ბუნების თავისებურების წარმოსაჩენად. სერგო ზაქარიაძე, როგორც დიდი ხელოვანი, ხალხის უანგარო სიყვარულით სარგებლობდა და ეს მომენტიც ერთი დამახასიათებელი, მრავლისმთქმელი დეტალით აქვს ავტორს გადმოცემული:

„ზაქარიაძის გარდაცვალების დღეს, რუსთაველის გამზირზე, სწორედ მისი თეატრის წინ, ვიღაც სოფელი ჰქაბოდა, იქნებ სულაც შორი მთებიდან ნამოსული, ბოლიშის იხილად და გავმეღვლებს ეკითხებოდა, ამბობენ, ზაქარიაძე გარდაიცვალა, გამაგებინეთ, მართალია თუ არაო...“

მას მწუხარებით უთხრეს, მართალიაო. და ის წავიდა დაღონებული. პატივსაცხლდა ეს დაღონება. ეს დაღონება დიხაბე პატივსაცხლდა, იმიტომ რომ, ეს ერთეულთა ხეცდარია. ამის ღირსი უთუოდ იყო სერგო ზაქარიაძე და სწორედ მსახიობის ღირსეული თვისებები წამოსწია თავის წერილში თ. ბიბილურმა.

„ორი მოთხრობა, ორი სპექტაკლი“. მე არ ვიცი ამ წერილს ასეთი სათაური რატომ დიქრქვა, რადგან წერილში მხოლოდ სპექტაკლებზეა („მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, „მე ვხედავ მუხს“) ლაპარაკი და არა მთი პირველწყაროებზე, მაგრამ თუ სათაურს არ მივაქცევთ ყურადღებას და ძირითად აქცენტს შინაარსზე გავამახვილებთ, ხელთ შეგვრჩება ნამდვილი პროფესიონალი თეატრმცოდნის მიერ დიდი გემოვნებითა და საქმის ცოდნით დაწერილი ორი შესანიშნავი რეცენზია ორ საკმაოდ გახმაურებულ სპექტაკლზე. ჩვენი ავტორის არა მარტო თეატრთან მეგობრობაზე, მის უშუალო ცოდნისა და სიყვარულზე მეტყველებდა ს. ზაქარიაძეზე დაწერილი წერილი, რომელზეც უკვე ზემოთ გვეყონდა საუბარი, მაგრამ ავტორის გულშემატკივრობაზეც მეტყველებს დიდი გულსიტკივლით დაწერილი პუბლიცისტური სტატია „რეცენზია მაყურებელზე“. ეს უკანასკნელი გამოიჩინება არა მარტო მტკივნეული პრობლემის დასმით, არამედ მისი ღრმა გაშუქებითაც, გადაწყვეტის გზითაც. თეატრისა და მაყურებლის პრობლემა კარგა

ხანია წამოჭრილია. მაგრამ ამის მიზეზს ეძებენ არა იქ, სადაც საჭიროა, არამედ სხვაგან. სრულიადაც არაა მართალი, როცა ამბობენ თითქოს კინომ და ტელევიზიამ მოსტაცა თეატრს მყურებელი. ეს პირაქით უნდა იყოს, კინო და ტელევიზია კიდევ უფრო აახლოებს მყურებელს თეატრთან, რადგან პირველი მათგანის ხელოვნურობა ერთიორად უმაჟებრებს მყურებელს ჭეშმარიტი ხელოვნებისადმი განსაკუთრებულ ღელვას. პირადად ჩვენ თეატრისადმი თავის არიდების ერთ-ერთ ძირითად მიზეზად სოციალური ფაქტორი მიგვაჩნია. ჩვენი ცხოვრების ბოლო ორმა ათწლეულმა საზოგადოების დიდ ნაწილს ყოველგვარი ინტერესი დაუკარგა ჭეშმარიტისადმი, მაღალი იდეალისადმი. თეატრში კი სხვა არაფერია, მყურებელი აქ ეძიებდა თავის სულის საზრდოს, მაგრამ როცა ეს უკანასკნელი ცინიკოსა და დასაძრახისი გახდა, მყურებელსაც გული გაუტყდა, შერცხვა, რა დროს იდეალია, როცა ხალხი მილიონების მოხვეჭაზე გადავიდაო. ასე განერიდა მყურებელი თეატრს და დაივიწყა სპექტაკლის მოსმენა და აღქმა. ამის დასტურია თვით თ. ბიბლიურის წერილში მოყვანილი ერთი მეტად შემადრწუნებელი ფაქტი, როცა საშუალო სკოლის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეები არ არიან მზად სპექტაკლის სანახავად. ისინი კი ის ბირთვია, მყურებელთა 70-80 პროცენტს რომ უნდა წარმოადგენდნენ. ამიტომ ჩვენი საზოგადოებისათვის სპარტევიზიო ფაქტად უნდა გამოიყურებოდეს გამოჩენილი მსახიობის ვერაიკო ანჯაფარიძის აფანსენაზე გამოსვლა სპექტაკლის შემდეგ და

ახალგაზრდა მყურებლის მიმართ გულისტკივილით წარმოთქმული საყვედური. ასეთი რამ თეატრის ისტორიას არ ახსოვს. ამის მიზეზი, კვლავ ვიმეორებ, სოციალურ სფეროშია საძიებელი, რომლის სწორად წარმართვისათვის ახლა გადაჭრით იბრძვის საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი. მაგრამ, სამწუხაროდ, ინერციის ძალა კვლავ ძლიერია, რის წინააღმდეგაც თეატრმაც უნდა აიძალოს ხმა. მხოლოდ ამით შესძლებს თეატრი მყურებლის მიზიდვას.

„წიგნის თვალსაწიერში“ თამაზ ბიბლიური კრიტიკოს რევაზ თვარაძის წერილების კრებულს „წიგნი და მკითხველი“ მიმოიხილავს. მართალია, ეს წერილი მიმოხილვითი ხასიათისაა, მაგრამ ავტორი შეძლებისდაგვარად ცდილობს წინა პლანზე წამოსწიოს და გაანალიზოს რ. თვარაძის წიგნის ყველა ძირითადი საკითხი და წამოჭრილი პრობლემა, რომელთა მიმართ რეცენზიის ავტორი საკუთარ მოსაზრებასაც გამოთქვამს.

ამგვარად ძნელია სწორი ლიტერატურულ-კრიტიკული შეფასება მისცე წიგნში წარმოდგენილ ავტორის მხატვრულ მინიატურებს, მაგრამ ერთი რამ მაინც შეიძლება დაბეჯითებით ითქვას: ამ მინიატურებში საგრძნობლად ჩანს მწერლის მახვილი თვალი, მოვლენისა თუ საგნის ხელშესახებად ხატვის უნარი, ჩანაფიქრის გამოხატვა, მინიატურისათვის დამახასიათებელი ლაიონიური სტილი და სხვა მხატვრული აქსესუარები, რომლებიც მის ავტორს ჭეშმარიტ პროზაიკოსად წარმოგვიდგენენ.



გაიოზ იხალაშვილი

„დათა თუთაშხია“

„დათა თუთაშხია“ პირველი თავებიდანვე გვაგრძნობინებს, რომ ქართულ მწერლობაში პროზის რაღაც თავისებური ფორცელი იშლებოდა. ეს მრავალბლანიათი რომანი ყურადღებას იქცევს არა მხოლოდ უჩვეულო აგებულებით, ძირითად სიუჟეტთან ორგანულად ჩახვეული ამბებისა და პერსონაჟების სიმრავლით, თუ ხასიათების, სახეებისა და მოტივების მოულოდნელი კონტრასტებით, ის აგრეთვე გამოირჩევა ადამიანთა მასების, პიროვნული თუ საზოგადოებრივი ხასიათისა და ქცევის ფსიქოლოგიზმით, დაუოკებელი ადამიანური ვნებებით, ძლიერი ხასიათების შეჯახებით, მოქმედების ფინით, დინამიური რიტმითა და მუდმივად მღელვარე სტილით, რაც თავიდან ბოლომდე გასდევს თხზულებას ყოველი გმირის მოქმედებისა და განცდის ჩვენებაში. ეს მით უმეტეს არის საყურადღებო, რამდენადაც სიუჟეტის განვითარება უხვად ჩართული კონფლიქტებით, განსხვავებული სოციალური მდგომარეობის ადამიანთა სწრაფეებით, პირობად გადაწყვეტილია მხატვრულად თითქოს ნაკლებეფექტური, დაშლილი კომპოზიციურ-სიუჟეტური ხერხით. მოქმედება იწყება და ვითარდება პროზაული თხზულებისათვის არა ჩვეულებრივ დამახასიათებელი აწმყოს ფორმაში გმირთა დამოკიდებულების თანმიმდევარი გაშლითა და უწყვეტი თხრობით, რაც მწერალს მეტ საშუალებას მისცემდა უხვად გამოეყენებინა მხატვრული გამოთქმის მრავალგვარი სახეობა, ბუნების აღწერის, ცალკეული სიტუაციების, რეპლიკების, პერსონაჟთა განცდისა და მოქმედების უშუალო გადმოცემისათვის.

ავტორი თითქოს შემთხვევით ნაპოვნი დაზიანებული არქივის ფრაგმენტულად გადარჩენილ ნაწერებს აქვეყნებს, რომელთა შორისაა გამოშვების დღიურები, მოსაზრებანი და შენიშვნები სამართლებრივ საკითხებზე, ოფიციალური პატაჟები, დაკითხვის ოქმები, ბრალ-

დებულთა და მოწმეთა ჩვენებანი, სხვადასხვა პირთა მოვონებანი, კერძო ხასიათის მიმოწერა მთავარ გმირთან. ამასთან ერთად, თხზულების ძირითადი იდეური სარჩულისა და მთავარი პერსონაჟის მორალური მრწამსისა და სამოქმედო პროგრამის განსაზღვრაში, რაც ეპიგრაფის სახით უძღვის თითოეული კარის დასაწყისს, ავტორი თითქოს ძველი ხელნაწიდან ამოღებული ციტატებით სარგებლობს.

რომანის აგებულების თვალში საცემ დამოკიდებულ ფორმას, რომელიც შთაბეჭდილებას სტოვეებს თითქოს „დათა თუთაშხია“ ერთ მთლიანი თავგადასავლის თხრობა არ იყოს, ქვემოთ სპეციალურად შევეხებით. აქვე წინასწარ კი უნდა აღვნიშნო, რომ მისი მხატვრული კონსტრუქცია გადაწყვეტილია შინაარსისა და ფორმის თავისებურებათა უჩვეულო შეხამებით, რაც თავიდან ბოლომდე მაგისტრალური კონფლიქტის გასამჭოლად მთავარ გმირთა და პირობებისაში ორი კონტრასტული ეთიკური სწრაფის გაშლას უყრდნობა. დასაწყისშივე უაღრესად ლაკონური შენიშვნით ვიგებთ, რომ „ეს არის ორი ძლიერი პიროვნების — აბრე დათა თუთაშხიას და მისი მამიდაშვილის, პოლკოვნიკ მუშნი ზარანდიას ცხოვრება და ურთიერთობა“ (გვ. 15).

პირველი მათგანი „ჭაბუკი პირმშენიერი და რაინდი კეთილდუნაგი“ ზნეობრივი იდეალებისა და პიროვნული ღირსების გამოღვევებამ აინდინის თავისუფლების დაცვაში სახელმწიფოებრივი და სოციალური წყობილების წინააღმდეგ მუშაობზე ყაჩაღად გადააქციეს და მან მთელი თავისი ნიჭი და ენერჯია სამართლიანობის ძიებას შესწირა და პატიოსანი კაცის რეპუტაცია და ხალხის თანაგრძნობა მოიპოვა.

მეორემ პოლიციაში ერთგული სამსახურით ენდარამერიის პოლკოვნიკობა მიიღო, კანონის თავდადებული და მოუსყიდველი მუშაის სახელი დამსახურა და ხელისუფლების ნდობით,



პატივით, ორდენებითა და კარგი ჯამაგირით უზრუნველყოფილ ცხოვრებას ეწვია.

ორი საინტერესო პიროვნების — ინტელექტუალური ნიჭით მსგავსად დაჭირდობილი დათა თუთახშისა და მუშენი ზარანდიას გზებში ხშირად ჰყვეთენ ერთმანეთს, რომელნიც ნათესაური დამოკიდებულების მიუხედავად, მოპირდაპირე პოლიტიკურ ბანაკებში აღმოჩნდნენ და ერთმანეთის დაუძინებელ მტრებადაც გადაიქცნენ. მოვიგონოთ გრაფ სევედი დლითრში ცხადია არა შემთხვევითი ნათქვამი შეგონება: „ყველა დროის საზოგადოებაში იყო არწივის, სვავის და ჩიორას მეტ-ნაკლები ასპარეზი“, რაც სათანადო როლს აუთუნებს ამ დაპირისპირებაში თითოეულ მათგანს და საერთოდ განსაზღვრავს თავისი გამრების საზოგადოებრივი ცხოვრების ასპექტებს, რომელთა შესახებაც ავტორი ამჟობინებს იგივე გრაფი სევედი ალაპარაკოს, რომ ორივეს სამართლის ცნებათა უზუსტესი მიყენებით ღირსებისამებრ მიუხსლოს.

მათი ცხოვრება მრავალგვარი ფაქტორებითა თვავდასავლებით, განსხვავებული პროფესიის, მდგომარეობის, განათლებისა და სწრაფების ადამიანთა ვრცელი ვალტერის ჩვენებაში, საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლებად ცნობილ კუნჭულებში ვგახედებს და აქ ამჟობრად საგარანობი, რომ ყოველი ეპიზოდი, სიტუაცია, შემთხვევა და სურათი, რომელ პერსონაჟთანაც არ უნდა იყოს დაკავშირებული, აესებენ და აკავშირებენ თხრობის საერთო ამბავს, მისი მთავარი გმირის პიროვნებისა და ხასიათის ჩვენებისათვის.

ყველაზე ხშირად და არსებითად თხზულების ორივე კარში, თუთაშხიაზე კავკასიის ქანდარმთა შეფი, გენერალი, გრაფი სევედი ვეუსაუბრება, დიდად განათლებული და ერთდირებული პერსონა სამართლისა და სოციალური ეთიკის საკითხებში. ამდენადვე მოულოდნელი არ არის, რომ ავტორი სწორედ მას აკირებს თუთაშხიას პიროვნების გახსნის ყველაზე დიდ როლს, რომლისთვისაც დანაშაულებათა ამბები, მღელვარე ცხოვრების სისხლიანი და ტრაგიკული გამოსავლებით, მასალას წარმოადგენს თეორიული ანალიზისა და დასკვნისათვის.

თხრობა იწყება პორუჩიკ სერგი ანდრიევსკის დღიურებითა და მისივე დაკითხვის ოქმებით, რომელშიაც უკვე მოხაზულია თუთაშხიას ბიოგრაფიისა და პიროვნების ზოგ მნიშვნელოვან დეტალთან ერთად, ის ძირითადი ნიშანიც, რომ ეს უჩაილი, „უღარესად პატიოსანი, სამართლიანობის მოყვარული ახალგაზრდა კაცია“ (გვ. 25). აქედანვე მოკლედ ვეცნობით თუთაშხიას გაუაჩადების ამბავსაც, რასაც ლ. დ. შენგვირიაშის პატიკი და შემდგომ მთელი თხზულების სიგარქზე არა ერთხელ გრაფი სევედის შენიშვნები აესებენ.

თუთაშხიას თავგადასავალს ცოცხალ მოგონებებში მასთან ახლო მყოფნი მისი ცხოვრების საინტერესო ეპიზოდებს ისე ვგვიხატავენ, რომ მათ ცალკეული ირველის ხასიათი აქვთ. ესაა მაგ., თიყვა ძაძუა, რომელიც დათა თუთაშხიას გეაცნობს ჩრდილოეთ კავკასიაში ტყის სამუშაოდ თავშეფარებულის მდგომარეობაში, სალდათის ბუდარას და მისი ცოლის ბუდარასას ამბავთან დაკავშირებით. ალექსი სნეგირი, რომლის ბინად უზუბანზე თუთაშხია, როგორც მდგომერი ლუკას სახელით თავს აფარებდა, თაღლითი მარუდას ამბავით. თუთაშხიას ნაამხანავარი — ნიციფორე ბუზუტეიშვილი, ტერორისტების ამბით, მოსე ზამთარაძე ანელ სეთურის ამბით, ხალხი რომ უავდა სამუშაოზე დამონებულები; შემთხვევითი ნაცნობები — ქუჭი თორია, კაცოქამია ვირთავევისა და დამაშული ავადმყოფების ამბით, გიგო ტატიშვილი — დურუ ძიგუას დუქანში გოგოს გაუპატურების ამბით; იურიდიული კანტორის პატრონი ირაკლი ხურციძე თავისი თეთრი, ცისფერი, ვარდისფერი, ყვითელი რვეულებით, რომელშიაც ჩამდება თუთაშხიას პიროვნება და ხასიათი, პოლიცემისტერი ნიკანდრო ქილია, ხელისუფლებასთან პატივით შეირიგებული თუთაშხია მეორედ რომ გაუაჩადება.

მაგრამ დათა თუთაშხია მართლაც უსამართლობისათვის ტყეს შეფარებული ჩვეულებრივი უჩაილი არ არის, რომელიც ხელისუფლების იმისათვის დაპირისპირებოდეს, რომ ეკონომის წინაშე პასუხს უნდა ეგო მის მიერ ორთაბრძოლაში სასიკვდილოდ დაჭრილი პორუჩიკის ანდრიევსკის დაღუპვისათვის. ის სახელმწიფო ძალმომრეობასა და ზნეობრივად დაცემულ ქვეყანას უპირისპირდება, თავისი მკაცრი და უკომპრომისო მორალური პრინციპებით და ცდილობს მთელი ნიჭითა და ენერგიით საზოგადოება სულეირი მარაზმებისაგან გაწმინდოს.

უჩაილად გავარდნილი კაცი, რომლის შეპყრობისა თუ მოკვლისათვის დიდი ჯილდო იყო დანიშნული, საზოგადოებრივი ცხოვრების მოუჩინებელ სატიკარზე ფეკობილა, მორალური იდეალებითა და ეთიკური ცნებებით სწონიდა სოციალური ცხოვრების მტკიცეულ მოვლენებს და ეგონა, რომ ადამიანის გაუკუღმართებული ყოფის ამოსავალს მიაგნო. ეს იყო თითქოს სიყვითის ქმნა ამ რწმენით, რომ ადამიანური ყოფა საკუთობრიო სიყვარულის ასპარეზი უნდა იყოს, რომელშიაც აბოლუტური ნდობა და სამართალი იხვეიებს.

და დათა თუთაშხია წამხდარი ქვეყნის გასწორებას შეუდგა — ადამიანების ზნეობრივ აღზრდას, მთელი პიროვნული ღირსების შეგ-

გაიოზ იმედაშვილი
„დათა თუთაშხია“

ნების ვალდებულებას. ის მორალის მკაცრი პრინციპებით განსჯიდა ადამიანური ურთიერთობის ანომალიებს, ცდილობდა ჩაეხშო ადამიანურ მძულვარების, თავკერძობის, მომხვეჭელობის, ანგარების მიდრეკილებანი და ჩაენერგა დიდ-სულოვნების, ალტრუიზმის მაღალი გრძობები, რომ სოციალური კეთილდღეობა ყოველი ადამიანისათვის გარანტირებული ყოფილიყო. ის კაცხვად სიხარბეს, უმადლობას, მეჭრთამეობას, მრუშობას, დალატს. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში კაცთმოყვარეობისა და სამართლიანობის სახელით მოქმედებდა, უკეთურების ყოველ გამოვლენას, რაც კი მისთვის მიწაწვდენ ვხაზე ზღებოდა, ფიზიკურად ემბროდა და სჯიდა, შეუპოვრად დაუნდობელიც იყო მოძალადეების, მძარცველების, თაღლითების მიმართ და უსახლეროდ მოწყალე და გულუხვი დაჩაგრულ-გამართული და მოტყუებულითაძმი. თუცა ძაძუ იგონებს: „დათა თუთაშხია ისეთი კაცი იყო, უმსგავსებას ვერ მოითმენდა, ჩაერეოდა უსათუოდ“ (გვ. 49). ბეგლარ გვალისა მოგონებითაც „დათა თუთაშხია დაბადებით ისეთი კაცი იყო, მას რომ ესმოდა იმ სიმათლის გულისთვის ხეთათს არ დაერიდებოდა და თავს არ დაიზოგავდა. მიტომ იყო ხალხს, რომ უყვარდა“ (გვ. 494). ემბროდა თვითომ მძარცველ ყაჩაღებს გზებზე, თუ საზოგადოების შიგნით ყოველგვარ წამგლეჯებს, რომელნიც სხვისი შრომისა და დოვლათის მითვისებზე იყვნენ დაგეშვილი. მაგ., დალალი მარუდა და სე-ტლია ხალხს მევახშეობითა და ბახარში აზარტობა თამაშით რომ ატყუებდნენ და ფულს სციცელადდნენ, თუთაშხიამ გამოააშკარავა და წაგებულებს თავისი დაუბრუნა (გვ. 61-63). ყუბანელი კახაი ალექსი სნეგირი მაღლიერებით უჩვენებს, რომ მან ბავშვობიდანვე მოახდინა ჩემზე კეთილისყოფილი გავლენა და ვის ხსოვნასაც დღემდე უღრმესი პატივისცემის გრძნობით ვინახავო (გვ. 81). ელოზბარ კარიბაშვილი აღტიცებით წარმოთქვამს „დათა თუთაშხია სწორედ კაცობრიობის ნაღების შემაღგენელი ნაწილია...“ (გვ. 455), ნანო თავყელიშვილი კი გრავ სეგადის პირდაპირ ეტყვის: „სმირად შეგხედრითა დათა თუთაშხიაზე სანდომიანი და კეთილი ადამიანი?“ (გვ. 467). თვით მუშნი ზარანდია იძულებულია ასე დაახასიათოს თუთაშხია: „იგი ღირსეული მოწინააღმდეგეა, მეტისმეტად ჭკვიანი, გამბედავი და ალილიანი კაცი“ (გვ. 281). „მე ვიცი, რომ სრულქმნილი ადამიანი არ არსებობს, მაგრამ თუთაშხია იმ კაცთაგანია, რომელნიც სრულქმნილებასთან ყველაზე ახლოს არიან“ (გვ. 313)...

პიროვნულ სრულყოფას მიღწეული ყაჩაღი დათა თუთაშხია ყოველი ამის განვითარებაში თავისი აზრებითა და მოქმედებით შემოდის, როგორც სიციხის მოძღვარი და მთავარი გმი-

რის ასეთი ხასიათი, მთლიანად საზღვრავს თხზულების ერთი ძირითადი შინაარსის ასპექტს — ეთიკური პრინციპების დარღვევების სხვადასხვა მოტივებსა და გმირთა თავდასაყვებში. ამიტომაც, რომ არა მხოლოდ დათა თუთაშხია, არამედ სხვა გმირებიც ხშირად ბუბენ, როგორც ფილოსოფოსები, განსწავლული მორალისტები, რაც ზოგჯერაც მოულოდნელია ისეთი პროფესიისა და მდგომარეობის გმირთა პირთათვის, რომელთა განათლება და მსჯელობის სტილი აშკარად არ შეეფერება მათივე შესაძლებელი ცოდნის მასშტაბსა და დონეს; მაგრამ ავტორის ჩანაფიქრით, ცხოვრებისეული სიბრძნის კითხვების წაპოვნება და გადაწყვეტა თავისთავად გმირთა დახასიათების აუცილებელ ნიშანდაა ქცეული და ამდენადვე მისივე მხატვრული კონსტრუქციით გამართლებული გმირთა მიდრეკილება ზნეობრივი დოქტრინების ქადაგებისადმი.

ყოველ ამბავში პერსონაჟთა საუბრისა და კამათის თემა ცხოვრებისეული სიბრძნის, სოციალური წესრიგისა და ეთიკის საკითხებია, ისტორიის მარადმტანჯველი და აუხსნელი მორალისა და სოციოლოგიის კითხვებით. საბოლოოდ კი მსჯელობა ზნეობრივად დასწავლული საზოგადოების კრიტიკის ფორმას იღებს. ამ სოციოლოგიურ-ფილოსოფიურ განსჯათა საერთო მზანია ადამიანის შესაძლებლად მაღალი მორალურ-ეთიკური მოდელის ჩამოყალიბება. ამიტომ სჭირდება ავტორს თავისი პერსონაჟები სინამდვილის ჩვეულებრივად დაუჩანჯველ ჭრღომულში ატაროს და ადამიანურ ტანჯვათა გამოუსაჯლობაზე ალაპარაკოს. ისინი მოურიდებლად აშინვლებენ ადამიანის სულისა და ხორცის ყოველ კუნჭულს და დაუნდობელი სიმათლით ამხელენ ყოველ უკეთურებას, რომელსაც საზოგადოებრივი კეთილდღეობის მოჩვენებითობა ფარავს.

ავტორი კვალდაკვალ სდევს თავის მოუსვენარ გმირებს მწუხარებითა თუ სიხარულით აღსავლ ცხოვრების შეუწელებელ სროლაში, მათ დაუოკებელ ვენებათ ქარიშხალში და ამავე დროს თითქოს საოცარი სიღრნეოთაც გვიტყვინებს ადამიანის ჭკუის, გარყვნილების, ანგარების, უმადურობის, შურის, სიხარბის, დალატის შემადრწუნებლობას. ადამიანური დაცემის, განწორტლება-უპატრონობის, ჩაგვრათსამართლობის ეს საშინელებანი ხვედრია საზოგადოების გარკვეული ფენებისა და პატარა ეროვნებათა მასებისათვის, რომელთაც მძლავრებისა და მონური შრომის უპერსპექტივო გამოუსავლობაში ერთადერთ ხსნად სიკვდილი ეჩვენებათ.

ადამიანის სულის გატარება მორალური ანომალის ხვედრებში თითქოს განწყენილი ბრძენია, რომელიც კონკრეტულ დამნაშავეს კი არ ადანაშაულებს და არა სჯის, არამედ ამ



საზოგადოებრივი ყოფის საბედისწერო გამოუსავლობას სწვდება, რომელსაც ადამიანები უკეთურებათა ჭრბმულებსიანე მიაყვან. ამიტომ ისინი ახამართლებენ მივლ ადამიანურ სამყაროს ყველა დროისა და საზოგადოებაში პოლიტიკური, ეკონომიური, ფინანსური თუ მორალური კრახის ყველა საფეხურზე ვგვლით, რომელიც კი ცივილიზებული საზოგადოებრივი ცხოვრების სინამდვილეში წარმოიშობება. ამიტომ ისიც მოულოდნელი აღარ არის, რომ მისი გმირებმა განმსჯელნიც არიან და განსჯილნიც და ეს ორი როლი თითოეული გმირისა ერთად გვახედებს ყოველი ადამიანური საზოგადოების გაორებას, მოწინააღმდეგე ბანაკებზე და დაყოფის მუდმივ პრაბლემას, რაზედაც აგებულია რომაინის ერთი მთავარი ხაზი და რომლითაც იხსნება მისი სოციოლოგიზმის ძირითადი ასპექტებიც.

გვარამ აქ მთავარი მაინც კონკრეტული დამწვევის მოძებნა და დასჯა კი არ არის, რა გზითაც პირველად მიდიოდა დათა თუთაშხია, როცა სამართლიანობის სახელით ებრძოდა და სჯიდა თითოეულ ყაჩაღს, ქურდს, წამგლეჯს, მეჭრთამეს, თაღლითს, ხალხის ყოველგვარ მჩაგვრელთ, მევახშეთ, დალაღებს, არამედ მთლიანად მძიმედ დაფადებული საზოგადოების ჩვენება, რომელშიაც ბრალდებულისა და ბრალმდებელის როლები ხშირად იცვლება იმის მიხედვით, თუ პოლიტიკური და მატერიალური ძალაუფლება ვის ხელშია. ამ თვალსაზრისით, უსამართლობის, ღვეწისა და შიმშილისათვის განწირული საზოგადოების ყველაზე დიდი მსაჯული და ბრალმდებელი, რომანის მთავარი გმირი დათა თუთაშხიაა და ისიც საცნებით არ არის მოულოდნელი, რომ კეთილშობილებისა და სიყვითის ამ უღარეს განსახიერებას ავტორმა მთელი ცხოვრების განმავლობაში ხელისუფალთა მუდმივი ღვეწა და ყაჩაღად ყოფნა არგუნა. ეს ხვედრი თუთაშხიას ავტორმა, ცხადია, იმიტომაც განუშხადა, რომ სიმართლე ათქმევინოს იმ კაცს, რომელმაც მოახერხა დიდი მსხვერპლის ვალეებით ბარონულთა თავისუფლებისათვის მიედწია.

გვიან მიხვდა თუთაშხია, რომ მის მიერ სიკეთის ქმნა უხსოვარი დროიდანვე ათასჯერ აღმოჩენილი ქვეშაირტების აღმოჩენა იყო, რომ სიკეთისა და სიყვარულის იტებებით სოციალური ბოროტების აღმოფხვრის თეზას თუ თეორიული ღირებულება ჰქონდა და მხოლოდ ინტელექტუალური ტიპობის საგანს წარმოადგენდა, ის იდეალად უნდა დარჩენილიყო, რომელსაც პრაქტიკულ ცხოვრებაში თურმე ზიანის მოტანაც შეეძლო. სიკეთე ანამოლიაა! ეთიკური ადამიანის ძიება ნონსენსია! სიკეთე ღუბავს ადამიანს! — ასე სათითაოდ უმტკიცებდნენ თუთაშხიას...

მართლაც, თუთაშხიამ სიკეთათ ვერაფერი გააწყო, ყოველთვის თავისივე სიკეთისა და სიმართლისათვის ისჯებოდა, სიკეთეს ხშირად ბოროტებით უხდიდნენ. მისი სიკეთის თეზის დამარცხება არა ერთ ეპიზოდშია აქ ილუსტრირებული. მაგალითად, ჩრდილოეთ კავკასიის ერთ სტანიცაში თუთაშხიამ უბინაო, ამირ-მწყურვალ ბუღარისა და ბუღარისას უნაგაო დანაბრებით ოჯახი მოაწყობინა, სახლი ააშენებინა, საქონელი შეაქმინა, დოვლათით აავსო. მათ კი თავისი კეთილისმყოფელი დასაღუბად გასწირეს. აბელა სეთურის მუშებმა, რომელნიც მის მონობაში სულსა ლაფავდნენ და თუთაშხიამ მოინდომა მათი ხსნა, სიკეთისა და სიმართლას არამკითხე მძიებელი თვითონვე მიზეგვეს. ამიტომ იყო, რომ კითხვას, თუ რატომ იტანჯება ხალხი, რატომ უტირდება ჩაგვრას, თუთაშხიამ უპასუხა: — ხალხს, ჩანს, არ უნდა ისე ცხოვრება, ვინცმე თუ არ დაჩაგრა, მოატყუა და გაატყავა (გვ. 82), მართალი ყოფილა — „ხალხს ყმობა და მონობა უნდაო“ (გვ. 131).

მოვიგონათ, რომ თუთაშხიას ადრეც ჰქონდა ნათქვამი: „იქნებ არ ღირდეს ადამიანის მოდგმა წესიერი კაცის ზრუნვად და ქვეყნის არეულ-დარეულ საქმეებში ჩარევა“ (გვ. 83). საგულისხმოა რომ გრამე სევედემ ერთხელ შენიშნა: „დათა თუთაშხიას მოქმედებაში ადამიანთა მოდგმის მიმართ დიდი სიძულვილი უნდა მეგულისხნაო“ (გვ. 292). თუ ეს უნდა დავიჯეროთ, მურმან თორიას ლაზარეთში შიმშილისათვის განწირული ადამიანების ნახვით ეს მეოცნებე ყაჩაღი ადამიანური არსებობის საშინელებაში კიდევ კარგად უნდა დარწმუნებულიყო. შიმშილით გამოზრდილი ცუცქამია ვირთაგვების ქეცევის ანალოგიურად, მას დაუშვებული ავადყოფების ყოფამ საზოგადოებრივი ურთიერთობის მწვევე სურათი დაანახვა, თუთაშხია გაფაციცებით აკვირდებოდა და მშვეული ვირთაგვების ერთმანეთის გადაქმის სცენებს, და იქვე, მთ გვერდით ადამიანების მიერ ერთმანეთის არა ნაკლებად დაუნდობელ ღრწნას. მას ვირთაგვებში შიმშილით შემუშავებულ კანიბალიზმზე ნაკლებ არ აშფოთებდა ადამიანური გამსხელება და თუთაშხიამ ისიც ნახა, რომ მამლარი ადამიანიც ხშირად კანიბალურად საშიშია, რაც უცნობია ვირთაგვებისთვისაც (გვ. 164, 177, 178, 183, 190, 198, 210, 226).

ბევრის მნახველმა თუთაშხიამ ამ სურათებით გაოგნებულმა, მაინც იკითხა „დაქამეს ერთმანეთი და აღარც ერთი აღარაა ადამიანი მავათში?“ (გვ. 224). სხვა სიტუაციაში ზამთარაქემ წაიჭრჩულა „გაძლენენ, ამოიყარეს მუცლები

ბაიოჯ იმედაზშილი
„ღამა თუთაშხია“

და დავსივნენ ერთმანეთს. სიმაძღვრე იცის გვ“ (გვ. 190).

კანონბაზის ამ განწყობილებას ეხმაურება დღურ ძიგუას დუქანში მძარცველი ყაჩაღების ბოდრო ყვალთავას და კახა ჩხეტას ნახვით შემინებული გიგო ტატიშვილის თითქოს უცაბედი ვაფიქრებაც — მაგ მამაძაღლებს თუნდ აგერ იმ თუფშე კაცის ხორცის ხაშლამა ჰქონიათო (გვ. 244).

სიბრძნით, სიძარტლით, სათნოებითა და რწმენით აღსავსე დათა თუთაშხიას ეკვი შეეპარა ადამიანის ღირსებასა და სიკეთის ღირებულებაში, ხალხის იმედი ვაცრუვდა, დაემხო მისი ეთიკური შენობა, მის თვალში სიკეთეს აზრი გამოეცალა. თუ წინათ ის ამოქმედებდა, რომ „გასპირში და განსაცდელში ჩაყარდნილი ადამიანი მებრალეობდა, ხელის ვაწოდებას და მისმარებას მოვალეობად ვუთვლიდი ჩემს თავს“ (გვ. 461), დაღვა დრო, როცა თქვა: „დავაკვირდი ჩემს საქციელსა და იმ ხალხსაც, მე რომ გამოვადექი საქმეში — შველა იყო, თუ ხსნა. ზოგმა ბოროტებით გადაიხსადა... სხვამ იმაზე უარესი ჩაიღინა, რასაც ავაცდინე... თვითონ გახდა მოძალადე და ქალათი...“ (გვ. 461-462), „ვისაც ჩაუცვი, მან გამხადა, სწორედ“. (გვ. 324), „სიკეთის რწმენა დაეკარგე მე“ (გვ. 394).

და დათა თუთაშხიამ ზურგი შეაქცია, სიკეთეს და სიკეთის სიკეთეში მერამდუნედ იმედვაცრუებულმა თქვა: „ფიცი დამიდგია... აღარ ჩავერევი აღარავის საქმეში... მგონია არცერთი კაცი არაა ქვეყანაზე მისთანა, სხვისი ჩარევის და დანშარების ღირსი იყოს“ (გვ. 131). მოვეზამთარაძეც ხომ ასე აგონებდა თუთაშხიას: „ადამიანი რაცხა უყეთესი გვონია, ე, გვ არის, რაც არის. არასოდეს არ უნდა ჩაეროს კაცი სხვის ბედ-იღბალში“ (გვ. 224). ეს აზრი კვიშილძემს უციდურესი ფორმით ასე აქვს დასაბუთებული: „თუ ნახე სადმე წყალწადებულ, რომ ამოსვლას ცდილობდეს, უნდა წაყრა ფეხი და დაიხრჩოს გობია, თვარა ამოვა... მოგიბრუნდება და შეგკამს“ (გვ. 193).

ამიტომ იყო, რომ თუთაშხიამ გულგრილად დაუწყო კებრა მრავალგვარ უსამართლობას, ადამიანების გაკვირვების სცენებს. თუთაშხიამ მურმან თორიას ლაზარეთში დამშეული ვეადმყოფები უნუგვემო მდგომარეობაში მიატოვა, უამინდობაში ტალახთან გზაზე უმწეოდ დატოვა მგზავრი, თვითონ ცხენით რომ მიდიოდა. ბეგლარ გვალთა ხომ ამბობდა — მის გვერდით წმინდა ვიორგისთვის ყელი რომ გამოეჭრაო, თითს არ გაანარევადა არასგზითო (გვ. 495). მაგრამ ყველაზე საკვირველი მაინც ის მოხდა, რომ გიგო ტატიშვილის მონათხრობით (გვ. 232-269), თუთაშხიას თვალწინ დღურ ძიგუას დუქანში ხანგრძლივად მიმდინარეობდა მძარცველი ყაჩაღის კახა ჩხეტას მიერ ფულით

შესყიდვის, შეცდენისა და გაუპატიურების დეტალიზირებული სცენა იმ უმწეო გიგონას, რომელსაც უყითხავს, მართალია თუ ვაჭარს ბავშვები ქალისა და მამაკაცის ერთ ლეგინში წოლის მერე იბადებიანო (გვ. 238).

კეთილშობილებითა და ზნეობრივი სიუფიზით ცნობილი დათა თუთაშხია ამ სიბინძურეს უმიძრავდ შესცქეროდა... ამაოდ ემუდარებოდნენ მას ამ გაუფორარი სირცხვილისა და უბედურებისათვის თავისი ჩარევით რაიმე ეშველნა. გიგო ტატიშვალმა თანამესუფრეთ წასტურჩულა:

„ვიმე უნდა ჩაეროს, ერთხელ თუ შეცდა, მე რე მაგას ვედარაფერი დააკეებს. ფოთი აქევა, ნავსადგურის მეძავე გახდება, გესმით?! ვიმე უნდა ჩაეროს!“

თუთაშხიას მივაშტერდი, ხან საყვედურის, მტკიცე მოთხოვნის, ხან მუდარის თვლით შევკეცეოდი...

— დათა თუთაშხია თქვენზე ბევრი კარგი მსმენია, სამართლიანი კაცის სახელი ვაქვო, ამ ბოროტებაზე რას გაჩერებულხართ, ხომ ხედავთ, ადამიანი იღუპება... (გვ. 260)... მან ცივად თქვა:

... ევერი არც ერთი არაა ჩემი ჩარევის ღირსიო... (გვ. 261).

ყაჩაღებმა გაუპატიურებულ ქალიშვილს თავისი მამაც დააკლეს... თუთაშხიას კი უნდა დახსობებოდა ისე ბერის ხმა — ვარბიხარ... ლანჩო ყოფილხარო (გვ. 264); კიკუს ძმას ძობას შემუდარება — დათა ბიძია არ გვეზმარებმი, მივატოვე, ნუ წახვალთ, დავიღუპებიო... (გვ. 265); მან გაიფო გვერდის ოთახიდან გოგოს მიზნდილი შეიკვლებაც და მომაკვდავი დღურს ამორჩალევა — დათა თუთაშხია, შენს კისრზეა ჩემი შეილების ცოდვაო... (გვ. 267).

თქმა არ უნდა, ამ ტრაგედიისა თუ მსგავსი შემთხვევების გადმოცემაში, ავტორი თავისი მხატვრული ჩანაფიქრით მეტ-ნაკლებად ამკვეთრებს სინამდვილის ტიპურ მოვლენებს და თუთაშხიას ხშირად სწორხაზოვანი აზრებისა და მოქმედებისათვის იმეტებს. მიზანი ცხადა — თუთაშხიას ვნებები და ყოფაქცევა ავტორის ჩანაფიქრით განსაზღვრული კონკლუქტისა და სიტუაციის ილუსტრირების ეფასებრებან, რის გამოც ის ზოგჯერაც თავისი მორალური პრინციპებისათვის შეუთავსებელ ნაბიჯებსაც დგამს. თუმცა თუთაშხიამ დაკარგა ადამიანების რწმენა, მაგრამ არა საკუთარი მენსი, და თუ პრინციპულად უარაყო სიკეთის ქმნა, ის სიკეთის ანტიპოტად არა ქცეულა და როგორც გულგარ გვალთამ თქვა, თვითონ არავის და არაფერს ლუფაეებდა (გვ. 495). მაგრამ თუ ამ კაცს ზნეობრივი დანაშაულის ჩადენა არ შეეძლო“ (გვ. 428), როგორც უაღრესად პატოსანი, სამართლიანობის მოყვარულ კაცს (გვ. 25), ამ შემთხვევაში, როგორც ვნახეთ, მისი პიროვნული ღირსება ელემენტარულ-



ლად იყო შელახული მისივე პრინციპული ინდიფერენტობის შედეგად, რასაც უფრო მეტი ბორტება მოჰყვა, ვიდრე მის აქტიობას შეეძლო გამოეწვია. თვითონ არუთამხია ხომ სარგებლობდა ადამიანების სიყვითლზე? იცევე ღურუს, კიკუა და ჰობას თანაგრძობობითა და სიყვარულითაც, რასაც ბუნებრივად თვლიდა და რომლის გარეშეც მას არსებობა არ შეეძლო, ცხადია, ამდენადვე არსებობდა არც მისი ხასიათის შეცვლილა, არც ტინი, თვითონ ისევე სიყვითით იყო სასვე და იმაზე მეტად არ დაშორებია თავის ახლობელთა წრის ადამიანებს, ვიდრე მისთვის გარიყული მღვდლობრებით იყო მოსახერხებელი.

მაგრამ უკვე იმ ფაქტით, რომ მან „ხალხზე და მის გასაკვირზე გული აიყარა“ (გვ. 495), დათა თუთაშხიას ამაყი პიროვნება გაიზნარა, მის სულში რაღაც დაინგრა, სიკეთის უარყოფითა და ადამიანების გაწირვითი აბსტრაქციად იქცა მისი მორალისტური შენობა, უმართლუბა დაეკარგა მის ყაჩაღად ყოფნას, მის რაინდულ სწრაფებებსა და ქვევას. ბეგლარ გვალაის თქმით, „ნახა ხალხმა, დათა თუთაშხიამ ფეხებზე რომ დაიკიდა ყველა უსამართლოა და ადამიანის გასაკვირი. მაშინ თვითონ ხალხმაც აიყარა გული დათაზე. ვინც ერთგული და ჭირში ხელის შემწყობი კაცები ყავდა. შემოეფანტა და შემოეკარგა ყველა“ (გვ. 495). ე. ი. მოხდა ის, რასაც თუთაშხიას ყველაზე მეტად პოტენციური და ქვევანი მეტრი მუშნი ზარანდია მის გასანადგურებლად ხანგრძლივად გვემავდა და მეთოდურად ახორციელებდა.

ამ გეგმის წარმატებით განხორციელებისათვის საბედისწერო როლი მიენიჭა თუთაშხიას და ზარანდიას ახლო ნათესაობას, მათი პიროვნული ნიჭისა და ხასიათის მსგავსებას, მათი აღზრდის საერთო პირობებს, ნათესაური ტრადიციებით შექმნილ ჩვევებს. სეგედის დღეურიდან ჩანს, რომ თუთაშხიას ლიკვიდაციის ოპერაციის ჩასატარებლად წინასწარ იყო სწავლილი მისი პიროვნების ფსიქო-ფიზიკური თავისებურებანი და მისი ხასიათის გამოსახსნელად გამოყენებული იყო, თვითონ ზარანდიას ხასიათის მოდელი (გვ. 137). თუთაშხიას ქვევის მოტივები, ზარანდიას პიროვნების ფსიქიკური მოდელისა და მისი ხასიათის თავისებურებებით იხსნებოდა. ამის მიხედვით, შესაძლებელი გახდა გათვალისწინებულაყო თუთაშხიას აზრისა და ქვევის რეაქცია ყოველ მოსალოდნელ სიტუაციაში, რომელსაც მათთვის საჭირო ეფექტი უნდა მოჰყოლოდა.

მაგრამ თუთაშხია და ზარანდია მიინც არა მხოლოდ იმით განსხვავდებიან, რომ ერთი ყაჩაღია და მეორე პოლიციის მსახური. თუთაშხიას ტინი ყველგან და ყველაფერში თავისი ხეობრივი პრინციპების მიხედვით მოქმედებს, ყველაფერს სწონის თავისი პიროვნული ღი-

რების შეგნებით, მუშნი ზარანდია პირიქით, თვითონვე ამბობს, რომ თავის მოქმედებას ფაქტობრივად ზნეობის ნორმებთან არასოდეს არ წნმებს (გვ. 291). ზარანდია იმასაც აღიარებს, რომ თუთაშხიას ჩემზე მეტი ნებისყოფა აქვს (გვ. 292). ყველაზე თვალსაჩინო საერთო კი მათში აბსოლუტური უანგარობა იყო.

შესაძლოა მათი ნათესაური მსგავსებით გამოწვეული აზროვნებისა და ქვევის თანხედვნილებმა იმის მიზეზიც იყო, რომ ზარანდიამ არასოდეს არ იკადრა თავისი პერსონით ემოქმედა თუთაშხიას განადგურების იმ მსაკერული გეგმის განხორციელებაში, რომლის ავტორიც თვითონ იყო. ამისათვის მან მოიხმო პროვოკატორების, ინსინუაციების და საიდუმლო აგენტების მთელ ლაშქართან ერთად პოლიციური სახნოვი და პოლიციისტიკური ნიკანდრო ქლია, რომელთაც გადააპარბეს კიდევ მუეალოების შესრულებაში. და მუშნი ზარანდიამ თუთაშხიას უცევე იმით აჯობა, რომ მთავრობისაგან სეგედის შუამავლობით პატეების სიგელი მიადებინა, ამრავობისაგან გამოიყვანა, რითაც თუთაშხია წინასწარვე იყო დამარცხებული. ეს სიმ ზარანდიას გეგმა იყო — ძლიერნი ყაჩაღის ზონიდან მოხელთებისა, მეთოდურად განხორციელებული, რომლის საბოლოო მიზანი თუთაშხიას სასარგებლო იარაღად გამოიყენება იყო, ე. ი. მისი იდეური განადგურება მთელი ქვეყნისა და საყოფიერი პიროვნების თვალში, მისი პიროვნული „მეს“ წაშლა.

თუთაშხია აშკარად იყო დისკრიმინირებული — ამაყი სულისა და უმწიცილო ზნეობის, თავისუფალი შეხედულებების უყომპრომისო ადამიანი კომპრომისზე წავიდა იმ წყობას და წესრიგთან, რომელთაც ის თავის ღირზე ვაქცა და რომელთანაც ყოველგვარი გარიგება პიროვნული ღირსების შელახვად მიაჩნდა, მან ხომ იცოდა, რომ „კანონი და სახელმწიფო, გერჯერობით ისე აქვს კაცობირობას აგებული, რომ გააბოროტოს კაცი, სიძულელი ჩაუდლოს გულში“ (გვ. 463). რომ „სულაც რომ არ იყოს საიმისოდ დაბადებული და განწყობილი... კანონი და წყობილება გაადამნაშავეებს და გააბოროტოქმედეებს მაინც“ (გვ. 456).

მატილაც, ყაჩაღობიდან გამოსული თუთაშხია მეურნეობის მოწყობას მოეცოდა და ეგონა, რომ ამით გათავდა მისი საქმე, ზარანდიამ კი სწორედ აქედან დაიწყო მისთან ნამდვილი ომი, ქრთამის, დალატის, მოტყუების, დაშინების, მუქარის ისეთი პროვოკაციული მეთოდების გამოყენებით, რომელთა შეფასებაში თუთაშხიაც შეეცა.

სახნოვმა და ქლიამ გარკვეული ინსტრუქციის მიხედვით, მთავრობასთან შეროგებული კაცი ძალადობასა და დანაშაულის ჩადენაზე

ბაიოზ იმედაზვილი
„დათა თუთაშხია“

გამოწევის, როზვი დაარტყეს და სახელგატხილი, როგორც ხალხის, ისე მთავრობის თვალში აიძულეს მეორედ გაყაალებულიყო.

მაგრამ ზარიანდამ თუთაშხიას მართლაც მხოლოდ იმით აჯობა, რომ მის ზურგს უკან მთალი სახელმწიფო აპარატი იდგა? ხალხის ნდობასა და თანაგრძნობას მოწყვეტილი თუთაშხია მარტოდ დარჩა და იმასაც ვერ მიხვდა, რომ თავისივე ფეხით ვაგბა ზაფანგში, რაც პოლიციის მიერ წინასწარ დაეგვილი ღონისძიების ერთი ღეტალი იყო.

„დათა თუთაშხიას“ ცხოვრების სინამდვილე სოციალური კატასტროფების მოახლოების, დიდ რევოლუციური ქარიშხლების წინახანებია, პეროიკული რომანტიზმითა და ტრაგიზმით აღსავსე ბრძოლის დრო, როდესაც ძველი და ახალი საზოგადოებას მიჯნაზე მდგომი თაობა, მაღალი იდეალებისათვის თავდადებულ საყვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში რუსული ცარისტული დიდმპყრობელობის წინააღმდეგ უშიშრად მიაბიჯებდა სისხლისა და სიკვდილის სახეფათო გზებზე მსხვერპლის ვასაღებად. ამ ხანის ჩანაწერში, გრფო სეგედის დავიკრებული შენიშვნით, მიუხედავად მმართველობის სახისა და უფლებრივი პირობებისა, ხელისუფალთა მიმართ დაუმორჩილებლობა ხალხის პერმანენტული მდგომარეობა იყო (გვ. 231). იგივე სეგედის თქმით, ხალხის წარმომადგენლები ზრუნავდნენ თუთაშხიანზე, მისი გულისათვის რისკს ეწეოდნენ (გვ. 238).

დათა თუთაშხია მარტო იყო. როგორც სეგედი აღნიშნავს, მას მოქმედების რაიმე პროგრამა, მით უმეტეს, გარკვეული პოლიტიკური მრწამსი არ აქონდა. ყველა მისი საქციელი აფექტის შედეგი იყო და კონკრეტული სიტუაციიდან გამოდიოდა (გვ. 85). ნიციფორე ბუბუტიშვილიც იკონებს, დათას პოლიტიკა და პარტიები არ სწამდაო (გვ. 86). ამდენადვე თუთაშხია განმარტებული იყო არა მხოლოდ თავისი მდგომარეობით ადამიანებისაგან, არამედ გარეული იმ იდეალებისაგანაც, რომელნიც ინტელიტურად ესმოდა, მაგრამ მათ სოციალურ სიღრმეს არ იყო ჩახედული. ის მარტო თავისი გუჟანით მიიკვლევდა გზას მწვედვე სოციალურ-პოლიტიკური, პიროვნული და ეროვნული თავისუფლების საკითხების ვიდასაქურლად.

მაგრამ სატიკიარი დიდი იყო და ამ ყოფაცხოვრებას მთლიანი ვადახალისება სჭირდებოდა, მთელი ქვეყნის კატაკლიზმების დრო კი ჭერ არ იყო დამდგარი, რომ თუთაშხიას ტიპის ადამიანთა ნიჭი და ენერჯია სოციალური უკუღმართობისა და ეროვნული დისკრიმინაციის დიდი და ძლიერი სისტემის წინააღმდეგ ბრძოლისათვის ხალხის დიდი მასების ასამობრავებლად ჭეროვანდ ყოფილიყო დარაზმული და გამოყენებული. ამისათვის ბრძოლის მიზანი და საშუალებანი კარგად უნდა გამოკვეთი-

ლიყო და პოლიტიკური რომანტიზმის ბუნებაში ჩაყარულიყო, კარმას ტიპის ფუფუნების მეგობრები, პოლიტიკური გალიზმების სიღამოდნენ. ვისი აზრი გაამარჯვებს? — სახელმწიფო ცხოვრების საპირველი სიყვარული უნდა იყოს? რასაც სანდრო კარიძე ქადაგებდა, თუ ვახტანგ შალითურის მტკიცება — სახელმწიფოს შექნისათვის ყველაფერი გაპართლებულია — ხმალი, ცეცხლი, მხეხ, ხაფანგი, მგლის ორმო, საწამლავი, სიკრუე, მუხთლობა, სისხლი... — სახლში შემოსული მტერი უნდა გვუღდეს, უნდა ჰკლა, ხოცო, ყლტო... სანამ წავიდოდეს... მხოლოდ ასე ამენდება დანგრეული... — გულღდეთ თუ თავისუფლება გინდათ... (გვ. 383).

ასეთი ცხადი კითხვის პასუხად ზომ არ უნდა მივიჩნიოთ სიყვითისაგან თუთაშხიას განდგომა? თვითონ საბოლოოდ სიყვარულისა და მძულვარების გზას ვაპყვება? — ეს ჭერ ნათელი არ არის..

ადამიანური სინამდვილის ასეთი მრავალმხრივად ფართო ასპექტებით ვაწყურებთა მძიმე გამოცდაა თავისთავად მწერლობისათვის, რამდენადც „დათა თუთაშხია“ თავისი ღრმა შინაარსით, სოციალოგიზმითა და ფსიქოლოგიზმით, სუფთა მხატვრული ლიტერატურის საზღვრებსაც ლახავს. თხზულებაში უფრო მეტადაა საგრძნობი მორალური პრინციპებისა და ცნებების განსჯით ცხოვრებისეული სიბრძნის პრობლემების გამოხატულება, ვიდრე ეს ჩვეულებრივად პროზის რომელიმე ეიარს ასახსათებს. ეს გამოსქვივის რომანის გმირთა მიღრკილებებსა, აზროვნებასა და მოქმედებაში, ადამიანური უკეთურობისა და კუქკის უმოწყულოდ ვადმოპირქვევებაში, ფაშალარული და პეიანტური სცენების დახატვაში, რაშიაც ავტორი შესაძლო რეალიზმთან ერთად ვადაქრებულ ნატურალიზმამდე მიდის. ამ მხრივ გმირთა ვანცდის ვანსაციფერებლად უშუალო გამოხატულება, შემზარავი ვულუხილობა და ვაკერი სიმართლე, მიელ თხზულებას ადამიანის აღსარებას ერთ დიდ მონოლოგს ამსგავსებს.

მაგრამ ამ რთული და ფართო თემატურ-კომპოზიციური და ეთიკურ-ფსიქოლოგიური პლანით დახატულ ვრცელ ტილოში, რომანის პლედენილობის ვავრცელებული სქემისათვის უჩვეულო ცალმხრივობა ისიცაა, რომ „დათა თუთაშხია“ უპირატესად კაცის ცხოვრებას ასახავს, სიდაც თუ ქალი მარინე გამოჩნდება, უმთავრესად იმიტომ, რომ მისი ნეგატიური სურათი დაიხატოს, ისიც მეტად ოდიოზურ სიტუაციაში. ამ მხრივ შეიძლება ითქვას, რომ ეს რომანი, რომანის ტრადიციული ძირითადი პერსონაჟის — ქალის პიროვნული როლისა და მიმართების ვარეში ასახავს საზოგადოებრივ ცხოვრებას, არ მისდევს რომანის სიყვარულის ინტრიგით ავების ჩვეულებრივ



სქემას. ტრფიალების ნაზი სუნთქვისა და სი-
ხარულის განცდათა ნაცვლად აქ შეუნელებ-
ლად გვესმის თუთაშხიას ირგვლივ მყოფი
გაჰირეებული და გაძალღებული ადამიანური
ცხოვრების ზემოე. ამდენადვე, აქ თვალში სა-
ცობია შამაკაის არა ერთი დადებითი თუ უა-
რყოფითი ხასიათი და სახე მისი ზანგრაძივი
ცხოვრების პერიპეტეიების მახედვით დანატუ-
ლი, მაშინ როდესაც ქალის თუნდაც უარყოფ-
ითი სახე სქემატურ ხაზებშია დასანახი.

ქალის ოდოზური სურათი არა ერთხელ გა-
მონღვება, როგორც ავტორის ცალკეულ რე-
პლიკებში, ისე ცუცა დლონძის მონოლოგში
ქალის ბედზე ჩივილით (გვ. 206—207), მოდა-
ლტა ცოლების დახსიათებაში (გვ. 286—289).
სექტანტურ გარყვნილებაში ჩაფლული ბუდა-
რანა რომ ამოდ ცვლილდა თუთაშხიას შე-
ცდენას, თეუვა ძაძუამ თქვა: „ქალს საბაბი მი-
ვიცი და დააოკებ შერე? (გვ. 49). ცუცა დო-
ღონამე ბესია კვიშილაძის ცოლი იყო და სი-
რიღონა სიორიძის საყვარელი და უწმაწური
ცინზმით თავს ასე იქებდა: სხორციანი დედა-
კაცი ვარ, სპირიდონას კი არა, ყველას ვეცხა-
რდება ჩემთან დაწოლა... ორი ქმარი მყავს,
ლხარეთში ერთიმეორის გვერდით ლოვიენ-
ბში“ (გვ. 206).

რასაკვირვალა, მსგავს უწმაწურობათათვის
გამეტულ ქალთა ტიპების იქით, არ შეიძლე-
ბა არ დავინახოთ ნაწი თეველიშვილი, ფი-
ლოლოვა, სათნოებითა და სინატივით აღსაყვ
მანდილოსანი და სინატრესო თავგადასავლის
მიუხედავად, როგორც სახე, თავისთავად სა-
კმაოდ მკრთალია, თუმცა მისმა გამოჩენამ სე-
ვილიან არზნე მუსკიას თვალებს შუქი ჩაუღვა,
შერამ ამითვე ამოიწურა მისი როლი, ამდე-
ნად, ბუნებრივია კითხვედ — აქინ არის ქა-
ლბატონი ნაწი თეველიშვილი-შირარისა?...
რა ხდება, ან ხდება თუ არა რამე ამ ქალსა და
ლახს შორის?“ (გვ. 421) ამაზე პასუხს ვერ
ვიღებთ, ალბათ იმიტომაც, რომ ავტორი, ვი-
მეორებ, წერს, არა სიყვარულის ინტრიგის კვან-
ძე ავებულ რომანს, არც თავგადასავლუ-
რი ექანრის დეტექტივს, არამედ გატანჯული
ეპოქის, საზოგადოების და ადამიანის უკეთუ-
რობას.

ამიტომაც, რომ თხზულების ეს თემატური
სიმძიმე დახატული აწეწილი და გაუქმებული
ცხოვრების ადამიანებით, აფორიაქებს რომა-
ნის გამოჩენბთან ერთად აგრეთვე მკითხველსაც
და, ეკვი არ არის, არა ნაკლებად თვითონ მის
ავტორს, რომლის ხმა, მზერა და გული ყოვე-
ლი პერსონაჟის განცდის, სიტყვისა და მოქმე-
დების უკან დგას.

პირველი ყაჩაღობისას, როცა თუთაშხია
სხვადასხვა ქალაქში ლტყას, თუ ოტაის სახე-
ლით ახერხებდა ცხოვრებას და დროს ბორო-
ტებასთან ბრძოლაში ატარებდა, მისთვის და-
მთავრდა ყველაზე დიდი ტრაგედიით — მან

დაკარგა ადამიანის რწმენა. ამ საერთო გამოუ-
სავლობაში თუთაშხია სულის ქენჯნის კიდევ
უფრო მძიმე ვზას დაადგა და საითაც არ უნდა
წაიყვანოს მისმა ხედრმა, მაინც ენერ აცდება
პირველი ყაჩაღობის დროინდელ ინტერესთა
წერს, რომელშიაც მთავარია ადამიანის დეკა-
რგვის თემა, რასაც ეყრდნობა თხზულების ში-
ნაარსი მთლიანად თუ ცალკე მოტივები. ესაა
ადამიანის სულერი შოშილის ტრაგედია, ადა-
მიანის კრიზისი, რასაც მთელი კაცობრიობა
მოუტყავს და რამაც რომანში სხვა თემები და
მოტივები უკანა პლანზე გადასწია.

მეორე კარის დასასრულს, თუთაშხია ჩვეუ-
ლებრივად დამძიმებული სულით თბილისსაც
მოველინა ლაზი აზნაურის არზნე მუსკიას
სახელით და მეგობართა სანდო წრეც ვაიჩინა.
ამ ვარემოში სიახლე ისიც იყო, რომ მის რჩე-
ულ საზოგადოებაში ერთი მთავარი ადგილი
ქალმაც დაიჭირა, ეს იყო ნაწი თეველიშვი-
ლი-შირარისა, რომელიც ერთ დროს თუ-
თაშხიამ ყაჩაღებისაგან გაპარცვა-გაუბატებებს
გადაარჩინა. ამ ახალ წრეში თუთაშხია დროს
სიკვილილ-სიცოცხლის საკითხებზე პაექრობებში
აქტიური მონაწილეობით ატარებდა.

ამ კამათებთან თანდათან ისიც ცხად ხდე-
ბოდა, რომ თუთაშხიას სულის კრიზისი უფრო
დიდი და მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე საკუ-
თარი პერსონის კეთილდღეობა. როგორც მი-
სმა ერთმა მეგობარმა განაცხადა, „არზნე მუ-
სკია უბრალო ვასპურს კი არ განიცდობა, სა-
მყაროში ყველაზე დიდი საწუხარი და ქვე-
სენელთ უღრმესი სევდა ჰქონდა“ (გვ. 362).
მისი ერთი მიზეზი ადამიანის დაკარგვა იყო
და ამ სულიერი ტრაგედიის შეგნებით იტყო-
და კიდევ — ვვედრებ განგებას, დამიბრუნოს
რწმენა“ (გვ. 394). მეგობართა წრეში კამათის
თემა სოციალური უთანასწორობის, გაუკუ-
ღმართებული ცხოვრებისა და ადამიანის კრა-
ზისიდან საბოლოოდ ქართველი კაცის ზნეო-
ბრივი და ეროვნული გადაგარება-დაბეჩაე-
ბის, საქართველოს სახელმწიფოებრიობის გა-
უქმების, ქართველი ერის ხორცილად განად-
გურებისა და სულიერად გადაღლის საკი-
თებს მიეზბინა (ცისფერი და ვარდისფერი
რეველები. გვ. 382-459). არზნე მუსკიამ
ვულის ტკივილით თქვა: „ჩენის დროში ასში
ოთხმოცდახუთი ცუდ კაცად შგონა ალხრი-
ლი“ (გვ. 394). მისი ერთდირებული მეგო-
ბრები იმ მტიკინეული საკითხების განხილვა-
ში, თუ რა დეკარგეთ, როგორ დეკარგეთ და
რანი ვართ დღეს (გვ. 402), რისთვის ვიყო-
ცხლით, ან რისთვის დავიხოტოვო (გვ. 293),
იმის აღირებამდე მიიყვანა, რომ თავისუფლე-
ბის, სამშობლოს, სახელმწიფოებრიობის სი-
ყვარული დეკარგეთ, ხუთასწლოვან ომში სა-
ქართველო დამაბუნდა, უამოცანოდ დავრბით

გაიოზ იმიდაშვილი
„დათა თუთაშხია“

ბრძოლის ფუნქცია დაკარგეთ, ჩვენი ცხოვრება სიცოცხლის გადარჩენის საქმედ იქცა (გვ. 403), საშოვარს გადავებულნი, გათითოვანებულნი ყოფილა ჩვენი ვრი (გვ. 406). მაგრამ სად არის გამოსავალი, რა ეწველებათ პატარა ერებს, რა მოარჩენს სევდას ჩვენი სამშობლოს დიადი პოლიტიკურ-კულტურული წარსულის დიკავგაზე? ეს კითხვად დარჩა, ისევე, როგორც სანდრო კარიძის სასოწარკვეთელი შეძახება — საცოდაო საქართველო, საით მიდრჩა!.. (გვ. 392).. მართლაც, ძნელი ყოფილა ქართველად ყოფნა, ქართველობა, საბოლოოდ თქვა თუთაშხიამ (გვ. 458—459).

„ღათა თუთაშხიას“ გმირთა სულის ჯიჯნა ყურადღებას იქცევს თითოეული მათგანის პიროვნული „მეს“ დიადი მხლებით, თვითგანსჯით, თვითგაკივლითა და მონანიებით, რამაც თხზულებაში პერსონაჟის გამოსახვის უპირატეს ფორმად დიალოგი და მონოლოგი აქცია. ამასთან ისიცაა დაკავშირებული, რომ ავტორი ყოველ სიტუაციას ხატავს უფრო ფსიქოლოგიური პლანით, ის შვინიდან უფრო ბევრს გვეუბნება და გვახედებს გმირის სულიერ აგებულებაზე და მოძრაობაზე, ვიდრე მის გარეგნობასა, ფიზიკურ ყოფასა და ქცევასზე.

ამითია გამოწვეული, რომ რომანის მთავარ გმირთა ზიფათებით სავსე თავგადასავლებს, რომელნიც სიუჟეტის განვითარების ძირითად ხაზს მიჰყვებიან და ხშირად მეტად საინტერესო მოტივებსა და ეპიზოდებს შეიცავენ. ავტორი მხატვრული გავლის გარეშე გვაწვდის, მაშინ, როდესაც პირიქით, საკმარისი დეტალიზირებულობა აღწერილი თითქოს ნაკლებად საინტერესო ამბავი ყუბანელი ბუდარას და ბუდარისხას დასასრება-მოწყობისა, მათი ყოფაცხოვრებას, ბუდარისას ავხორციობა, ასევე, დღურე ძიგუას ქალიშვილის კიკუას გაუბატურების ეპიზოდი, მურმან თორიას ლაზარეთში დამწყვეული ავადმყოფების მიერ ღომის ხარშვა-გაწაფილობაზე ჩხუბისა თუ კვების სცენები. კონიას ქურდობა-თაღლითობისა და სხვა უსინდისობათა ამბები, ქმრის მოლაღატე ცუცა დოლონაძის დედაკაცური განცდები, თუნდაც ნაწილად თავყელიშვილის გაძარცვის ეპიზოდი. მაგრამ მთელი თხზულების ფაბულის თვალსაზრისით საინტერესო საყვანძო რომანული კონფლიქტი, როგორცაა ელე თუთაშხიას ბუნდოვანი ამბავი პორუჩიკ ანდრეიკესისთან და მისი საბედისწერო ორთაბრძოლა დათა თუთაშხიასთან, რომელიც თავისი დის პატივს იცავდა, თუმცა ეუნსა და ანდრეიკესის დამოკიდებულება პლატონურ ტრფიალებას არ გასცილებია, რაც ანდრეიკესის სიკვდილითა და თუთაშხიას გაყანადებით თავდება, ავტორის მოცემული აქვს მხოლოდ ერთი ამბავის მშრალი ცნობითა და დაკითხვის ოქმის ამონაწერით.

ცხადია, ავტორი თუ მოინდომებდა, შეიძლო ანდრეიკესისა და თუთაშხიას საინტერესო

ამბავი საერთო სიუჟეტში ცალკე ნოველის ხითაც ჩაერთო, რასაც ისიც შემატყუარებდა ქოლოგიურ ინტერესს, რომ სასიკვდილოდ მტრული ანდრეიკესი არ აღნაშაულებდა, არ ემდუროდა და ყოველნაირად ცდილობდა თუთაშხიას გამართლებას, რომ თავისი სიკვდილითვის პასუხისმგებლობისაგან ეხსნა. ყოველივე ამის მიუხედავად, ელე თუთაშხიას და ანდრეიკესის ტრაგიკული რომანის ამბავი იმიტომ არაა გავსილი, რომ ავტორი ისრაფელის მხოლოდ მთავარი გმირის ქცევის მოტივების განზოგადებისაგან და ასახავს ისეთ სიტუაციებს, რომელნიც საჭირო მასალას აძლევს მისი ხასიათის გასახსნელად.

ამითვე, აიხსნება ის, რომ ავტორმა ასეთ განცდებულ ფორმას მიმართა, რომელიც წინასწარ ზღუდავს თხზულებაში გვერდითი კონფლიქტებისა და სიტუაციების მხატვრულ გაშლას, საერთოდაც მხატვრულ აღწერას, კვაცავს პერსონაჟების მოქმედების უშუალოებას, თხრობის სტილს გარკვეულ დღს ასევე?.. ამიტომ გაიმეტა ავტორმა თუთაშხიას მომხიბლავი თავგადასავალი, თუნდაც განათლებული პოლიციელის, გრაფი სევედის ჩანაწერების ფრაგმენტებისათვის, შემთხვევით მოწმეთა მოგონებებისა თუ ბალდებულთა შეზოცილი ჩვენებებისათვის?

„ღათა თუთაშხიას“ ეს ენერული თავისებურება მისივე თემატური სიმბოლის მხატვრული ფორმად და შესაძლოა რომანის სწორედ ასეთი კონსტრუქციად შეადგენინა ავტორს მტრეთქვა, ვიდრე ამას თხრობის ჩვეულებრივი საშუალებანი დატყვევდნენ და იმაზე მეტიც არ ეთქვა, ვიდრე მისი ჩანაფიქრით იყო საჭირო, რომ თავის გმირებში ბევრი რამეც უთქმელი და გაუხსნელი დატოვებინა. გმირი ჯანყდისა და ქცევის მოტივების შიდა ფორმად ასეთი გადატანა ავტორის საშუალებას აძლევს იმავე დროს თხრობა რამდენიმე პლანით განავითაროს, ძირითადი სიუჟეტური ზაზი მოულოდნელი მომენტების ჩართვითა და სიტუაციების უცაბედი შეცვლით გაამდიდროს, რომ დროითა და სივრცით ერთმანეთისაგან შორს მყოფი პერსონაჟები წაყვანი ინტრაივის გასაძლიერებლად მთავარ გმირთან დააკავშიროს.

რომანის ასეთი პირობითი ფრაგმენტულობა ხელს არ უშლის მისი მთავარი გმირის დათა თუთაშხიას მგზნებარე პიროვნება ჩვენ თვალწინ განუწყვეტლად ელავდეს, როგორც აწყობილი დანახული პიროვნება. მისი დაუთოკებელი სწრაფებები, ენებები და მღელვარებით აღსავსე ცხოვრება მის ხასიათისა და ხატვა სავსებით არ გვაკრძნობინებს ოდნავ ხარვეხსა და დატეხილობას, რაც თხრობის სიუჟეტს გარეგნულად ახასიათებს.

ენერული შეზღუდული, მხატვრული თქმის „სამაყულებს“ მოკლებული, არახელსაყრელი სიუჟეტური აგებულების მიუხედავად, „ღათა



თუთაშხიას* მოჩვენებით დაშლილ სიუჟეტს, მისი მთავარი გმირის თავგადასავალი არა მხოლოდ ფაბულურად და კომპოზიციურად ამოლიანებს. თუთაშხიას ძლიერი ხასიათი შინაგანად გასდევს მთელი რომანის იდეურ და თემატურ ხაზს ყველა ამბისა, გმირისა და მოტივის გასწვრივ, თუნდაც თვითონ მათში აქტიურადე არ მონაწილეობდეს. ყოველი კონფლიქტი, სიტუაცია და პერსონაჟი აქ მხოლოდ ფონია რაიმე კუთხით თუთაშხიას ხასისა და ხასიათის ვაგება-განგრეობისათვის ისე, რომ მხატვრული თქმის ამ შინა ფორმაში ოდნავ არ ნელდება მისი ბოლოქარის სულის ექსტაზი.

„დათა თუთაშხიას“ რატობილი ფორმა მისი შინაარსის შესატყვისობითაა ვაპრობებული, რომანის მხატვრული არქიტექტონიკა. უშუალოდ ავტორის იდეური ვაზარებიდან გამოდის და ამ უჩვეულო მხატვრული კონსტრუქციით ის გაცლა რომანის ჩვეულებრივი კომპოზიციურ-სიუჟეტური სქემის შაბლონს, როგორც ერთი პირველი ცდა ქართულ სინამდვილეში სოციალური ცხოვრების დასახატად, როდესაც მწერალი თანაბარი ძალით წყვეტს ფართო მოცულობის შინაარსისა და მისივე ჟანრული გამოსახვის ფორმას. გმირთა მოქმედების ტემპი თანაბრად გამოხატული მისი ფორმისა და სტილის დინამიკაშიც, ხელს უწყობს თხრობის შეუნელებელი ინტერესით კითხვას და მეტყველების მხატვრული ორნამენტარების სიმცირე მხოლოდ ხაზს უსვამს თემატიკის შესაფერისად მისი სტილის სიმკაცრეც.

სინამდვილის მხატვრული განსახიერების ეს თავისებურება სიტყვის უღრესი ლაინზშით, „მხატვრულ ზედმეტობათა“ გარეშე, მით თხზულებას განსაკუთრებულ ექსპრესიას ანიჭებს, ამოიერებს გმირის უშუალო ხედვას, აქარებს მისი ცხოვრების ტემპს, რომელსაც მისივე სულის ქვევის რიტმი არ ჩამოუფარდება სიტუაციის დაძაბულობის პათოსით.

თქმა არ უნდა, თხრობის ასეთმა უჩვეულო ტემპმა, კონტრასტული მოტივებისა და ხასიათების შეჯახებამ დაუსრეტელი ენერჯის პერსონაჟთა, განსახიერებით „დათა თუთაშხიას“ მტკიცედ შეკრა ძირითადი იდეური და სიუჟეტური ხაზის განვითარებაში თემებისა და მოტივების შინაგანი რკალით, როგორც ფართო სტილის მხატვრული ტილო. მისი წინათქმის, ლიტერატურული მისტიფიკაციის, სიმბოლიკის, ალეგორიისა თუ სხვა მხატვრული ხერხების პირობითობათა და ფრაგმენტულობათა მიღმა დგას ერთი მთლიანი, თემატურად და იდეურად ერთ ხაზზე მოთქმებული და მხატვრული კონსტრუქციით მკაცრად ჩამოსხმული რომანის შთაბეჭდილი შენობა.

მაგრამ პირველი წიგნი თუთაშხიას მეორედ გაყარალებით თავდება და ჩვენ არ ვიცით, თუ ავტორი არს უშეზღუდეს მის მორალურ-ეთიკურ კონცეფციას და რეპუტაციას, მით უმეტეს, რომ მან ხელი აიღო დაჩაგრული ხალხის პატრო-

ნობაზე, სიმართლის ძიებაზე, ე. ა. ყოველივე იმაზე, რაც მას ადრე მძივე გზას უნათებდა.

რა ეშველება მართოდ დარჩენილს, როგორც ვაძლოს, რამ უნდა შთაბეროს ძალა შემდგომი არსებობისა და მოქმედებისათვის? თქმა არ უნდა, მას შემდეგ, რაც არზნეე მუსკომა ნახა, განცდა და შეიციო, ის აღარ არის ერთგვარად შეზღუდული, თავისთავში ჩაყვრილი, ევთილი, მაგრამ ისე პრიმიტიულად მიაზროვნე და მოქმედი, როგორც იყო ლუკას და ოტარას სახელებით ცხოვრების დროს. მეტმა ცოდნამ ხომ თუთაშხიას ბოლოს ათქმევინა: „თვითონ არ ვიცი, ვინ ვარ მეო“ (გვ. 420). მოვიგონოთ ელიზბარ კარიბაშვილის განცხადებაც თუთაშხიასზე: „თუ კი რამე ვიცი, ყველმფერი მხოლოდ იმაზე მეტყველებს, რომ ამ ადამიანს. ერთადერთი რამ მიუჩნევია ბრძოლისა და დამლევის საგნად — საყუთარი არსება! ვანა რა უნდა მოხდეს მის ცხოვრებაში ისეთი, რომ ამ დიად ომს სახე და შინაარსი შეეცვლოს“ (გვ. 455). რა ფართული მოტივები წარმართავენ და საით წარმართავენ მის საყუთარ თავთან ომს? ეს კითხვა კიდევ ერთხელ იმავე მიგვანიშნებს, რომ აქ ზოგი რამ თუ უკიდურესობამევა გადახსნილი, ბეგრიცა ჩამუქებული, ქვეტექსტში გადატანილი და შეფარული.

როგორც ჩანს, შეცდნენ თუთაშხიას მეგობრები, რომელნიც ვრავ სევდისთან ერთად იხილავდნენ მისი მთავრობასთან შერიგების საკითხს და თავებდად დაუდგნენ ხელისუფლებისათვის მის არასამიშ პერსონად მიჩნევის პირობას, იმის მტკიცებით, რომ ნაპატიები დათა თუთაშხიას არ შეიძლება უფრო სამში იყოს დევნილ თუთაშხიას (გვ. 454), რის საფუძველზედაც მან პატივის სიკვლი მიიღო. მეგობრებმა შეიცოდეს თუთაშხიას, როგორც ადამიანი და არა მისი პიროვნული „მე“ და მითვე მოჰკლეს ის, რაც თვითონ მის ფიზიკურ არსებაზე უფრო დიდი და მაღალი იყო და რომლის დამარცხება ვერავითარ ზარანდიერს, სეგვდებას და სახნოვებს არ შეეძლოთ. ეს არის თუთაშხიას შეამზოხე სული, XIX საუკუნის ქართველი კაცის სული მის საფუთესო ლტოლვებში, რომელმაც უნდა გაუძლოს ყოველგვარი დროების პირვარამის გამოცდას, იმიტომ, რომ მასში მთელი ხალხის ძილა მოქცეული. ის არ არის მხოლოდ ერთი ცალკეული პიროვნებისა, თუ ერთი თაობის მოვლენაც, ის ჩვენი მეგრძოლი თაობის სულისკვეთებათა და გამოცდილებათა ნაერთი სულია, გამორბილი ერთგული თავისუფლებისათვის ბრძოლისა და ყოველივე ამაღლებულის ძიებას (ზაზე ჩვენი წარსულითა და მერმისით. ამდენად, თუთაშხიას ქართული კაცის განზოგადებული ხასიათია, ჩამოყალიბებული ერთ-ერთი სწრაფებისა და ქვევის ხანგრძლივ ხობარებაში. სინთეზირებული ტიპის ხატი, რომელიც ყოველთვის ცოცხლობს ჩვენ ხალხთან ერთად.

გარიჟღეკი ქანკერი

„არ შიამოკლეს ქართული“...

Формалисты — те, кто не владеет формой.

A. Вознесенский.

ცნობილ რუსულ კინოკომედიაში „ადამიანი არსაიდან“ ტომი ტომს წაეციდა მხოლოდ იმიტომ, რომ ეს უქანსკენელი ლაპარაკობდა... თეთრი ლექსით. მაგრამ ეს ველურებში მოხდა. ცივილიზებულ ადამიანებს ჩხუბისათვის ამგვარი მიზეზი არ უნდა ეყოთ. და თუ ქართულ მწერლობაში დღესდღეობით ისევ გაისმის „მოწამლული ისრების ზუსუნი“, აბაში, ჩემი ფიქრით, „ტომის ბელადები“ — კრიტიკოსები არიან დამნაშავენი. მათ დღე-ღამე არ უცდიათ გამოერკვიათ, რომელი ტომი რა ლექსით ლაპარაკობს — თეთრით, თავისუფალით თუ რთომიანით, და არც ამ ლექსების ღირსება-ნაკლოვანებანი შეუსწავლიათ. ის კი არაა, ამასწინათ მწერალთა კავშირის ტრიბუნადან ერთი კრიტიკოსი საუბრობდა ვერლობრზე და... გულისხმობდა თეთრ ლექსს! ამ განურჩევლობამ მაიძულა მეპასუხა გ. პეტრიაშვილისათვის, თუმცა მის წერილში ბევრ ისეთ საკითხზეა საუბარი, რაც „ცივილიზებულ ტომებს“ დადი ხანია, მშვენივრად აქვთ გარკვეული.

ყოველივე ამის გამო მინდა შეითხველს წინასწარ მოეუხალო ბოდიშო.



თუ სწორია სტენდალის გამოთქმა, რომ „ყოველი გონიერული საბუთი წაუნას აყენებს მოკამათეს“, მაშინ გ. პეტრიაშვილის საპასუხო წერილის ტონის მიხედვით უნდა დავასკვნა, რომ ჩემს წერილში „ყულაბა, სავსე ოცნებით“ („ცისკარი“, № 10, 1973 წ.) ნამდვილად ყოფილა გონიერული საბუთების მსგავსი რაღაც: მეტისმეტად გაბრაზებულ

და განაწყენებული ჩანს იგი. ბევრი, ბევრი რამ არ მოსწონს მას ჩემს წერილში. საიდან უნდა დაეიწყო? ალბათ იქიდან, რაც ყველაზე მეტად არ მოსწონს. ყველაზე მეტად კი აი, რა არ მოსწონება მას:

„ყველაზე უფრო მიუღებელია ჩემთვის ორი ადგილი ტ. ქანტურიას წერილში.

აი რას წერს ის:

„არც საქართველოს დიდ წარსულზე და უძველეს ძეგლებზე შეიძლება საუბარი ასე აგდებულად...“

ეს ხომ აშკარა დეზინფორმაციაა. რას იფიქრებს მკითხველი, როცა გაიგებს ტ. ქანტურიას წერილიდან, რომ მე თურმე აგდებულად ვლაპარაკობ საქართველოს წარსულზე?

აი, რა ეწერა ჩემს წერილში:

„...რთული შინაგანი სამყარო იგულისხმება, როცა ლექსში (ლაპარაკია ეგზალტირებულ, ცუდ ლექსებზე — გ. პ.) მოხსენებებიან პერსონაჟები ქართული და მსოფლიო ლიტერატურიდან, პატრიოტული ლექსის დაწერისას კი ლექსის მთელი სიმძიმე გადადის გმირ წინაპართა სახელებზე და ძველ ტაძრებზე“.

და შემდეგ:

„ტყუილად ჰგონია ზოგ ავტორს, რომ თუ ლექსში ახსენებს დიდებულ წინაპრებს, მაშინვე მათი შარავანიდ ლექსის ლირიკულ გმირს გადაეცემა ავტომატურად“. ეს არის და ეს.

სადაა აქ საქართველოზე აგდებულად ლაპარაკი? განა ცხადი არაა, რომ მე აქ იმ ავტორებს ვაპრიტიკებ, ვინც პირდაპირ რომ ვთქვათ, „იოლად გადის ფონს“ ძვირფასი სახელებით და მათი დახმარებით სურს თავისი ლექსები კარგად მოგაჩვენოს“.

სანამ „თავს ვიმართლებდე“, მანამ მინდა



მეითხველს მოვაგონო პეტრიაშვილის რამდენიმე ფრაზა: „კონკრეტულია პოეზიის თავი და ბოლო“... და კიდევ: არის თურმე კეთილი აზრის პოეზია, მაგრამ თურმე „არაა სიკეთე საერთოდ, არაა სილამაზე საერთოდ, არის მხოლოდ სიკეთისა და სილამაზის კონკრეტული გამოვლინებანი, კონკრეტულ დროში და კონკრეტულ ვარემოში“.

აი, ამ თვალსაზრისით მქონდა მე წაიკითხული გ. პეტრიაშვილის ლექსების წიგნი, და ჩემი აზრი მოიარებინა, შეფარულად, ქვეტექსტებით მოვასხენე მის ავტორს, ახლა, მისივე მოთხოვნის თანახმად, იძულებული ვარ, „მინიმუმამდე დავიუვანო ქვეტექსტები“.

უცნაურია პირდაპირ: ვერ გაიგებ, სად, რომელ ქვეყანაში ან რომელ დროშია დაწერილი კონკრეტული შესახებ ამ მოძღვრების ავტორის წიგნი. ნუთუ ერთხელაც არ გაუძეოდა მის დამწერს საქართველოში როგორ აოწამოცდა მანც რაიმე ქართული სახელი — ტაძრისა, ციხისა, გმირისა, ძეშისა, ქალისა, ბალახისა, მდინარისა, მთისა, სოფლისა, ქალაქისა... ყველაფერი, რასაც იგი ამბობს, ეხება „ზოგადკაცობრიულს“, ომების, მისივე მოთხოვნის საწინააღმდეგოდ, არასდროს არ ამოდის კონკრეტულადან. ეს გიგიც, ეს თოჯინაც, ეს მებანარც, ეს ალუბალიც — მოკლედ ყველაფერი, რაც მის წიგნში შეხედება კაცს, ყოველგვარ კონკრეტულ საფუძველსა მოკლებულია.

„არ შეამოკლოს ქართული...“ — წერია ქართული პოეზიის ტაძრის შესასვლელში რუსთაველის შეგონება.

„მარად და უველგან, საქართველოვ, მე ვარ შეთანა“ — შევიძლიათ ამოიკითხოთ იქვე დიდი ილიას სტრიქონი!

გ. პეტრიაშვილს არ უყვარს, როცა მე პოეტებს ვიმოწმებ, მაგრამ სამწუხაროდ ვერც ამჯერად გამოვალ იოლად ქართველი პოეტების დაუმოწმებლად:

„წვეთი ხისხლი არ არის ჩემში არაქართული“

„უპირველესად ვაღმერთებ ქართველს, მას მერე — ვისიც რამდენი მმართველს“

„საქართველო არ უყვარდეს — უოვლად შეუძლებელია“.

„შენ ისე ღრმა ხარ, ქართული ცაო!“

„საქართველო იყო მათი საოცნებო სახელი“

ეს პოეტები იცავენ პეტრიაშვილის მოთხოვნას — კონკრეტულობის პრინციპს. ისინი წერენ სამშობლოზე, მათი სამშობლო კი კონკრეტული ქვეყანაა — საქართველო! გ. პეტრიაშვილი კი არსად ახსენებს რაიმე

ქართულს. მას აქვს ერთი ლექსი გიგზე, მაგრამ რად ვინდათ, არც ეს გვიცა ქართველთა გიგი! პოდა, სად გაქრა ის კონკრეტულობა რომელსაც სხვებისგან მოითხოვს იგი?

არ არსებობს პოეტი ქალი ზოგადად: საფო — ბერძენი პოეტი, ანა კალანდაძე — ქართველი, ბელა ახმადუღინა — რუსი, გაბრიელა მისტრალი — ჩილედი, ლესია უკრაინკა — უკრაინელი, ანე ზაქსი — გერმანულენოვანი ებრაელი!

არ არსებობს პოეტი ზოგადად: ფრანსუა ვიონი — ფრანგი, უნგარეტი — იტალიელი, ხუან რამონ ხიმენესი — ესპანელი, პარფი სევაი — სომეხი!

არ არსებობს სამშობლო ზოგადად: იგი ან საქართველოა, ან ესპანეთი, ან ირლანდია, ან ლიხტენშტეინი, ან მონაკო, ან ზემო ვოლტა, ან ქვემო გვიანა...

არ არსებობს ენა ზოგადად: არსებობს მშობლიური ენა და სხვა ენები. ესპერანტო — მოცლილი კოსმოპოლიტების მოწყენის ნაყოფია.

თვით ქიმიკოსსაც კი, ქართველ ქიმიკოსს, წყალზე საუბრისას შეიძლებოდა წამოცდენოდა „არაგვის წყალი“...

რას კარგავს თამაზ ჭილაძის მშვენიერი „ყინწვინი“ იმით, რომ მისი პოეტური ინვენტარი ქართულია!

„ზოგიერთ ლექსში პირდაპირ არ ჩანს მინამართი...“ ვკითხულობთ პეტრიაშვილის წიგნის ანოტაციაში.

არც პირდაპირ და არც არაპირდაპირი არავითარი მინამართი არ ჩანს ამ ლექსებში ვერ გაიგებს ქვეცი, სად, რომელ ქვეყანაში და რომელ ქვეყანაზეა ისინი დაწერილი!

რუსთაველის არაბი და ინდოელი გმირები არაბულსა თუ პინდი ენის შავიერ აბოდებენ „ტკბილ-ქართულს“ („ყმა ტკბილი და ტკბილ-ქართული...“) და ეს ერთადერთი „შეცდომაა“, გენიალური პოეტის მიერ გვეფხბის ტყაოსანში“ დაწვეებული.

ამ „შეცდომაში“ სამშობლოს სიყვარული ქეია.

მსგავსი „შეცდომებისაკენ“ უბიძგებს ადამიანებს „მშობლიური, ტკბილი, მოწყალე, ცა, წყალობისა მთოველი“.

კარგია, როცა გულში გაქვს ჩამარხული ამ ცის სიყვარული.

მაგრამ პოეტებს ღმერთმა ამ სიყვარულის გამოთვამაც უბრძანა და სააწიხოდ მისცა მათ ენა, გული, ხედოვანება და გონება.

ტარიელ შანტაძე
„არ ვამომოკლოს ძარბოვლი...“

პოეტი ამ სიყვარულს გამოთქვამს თავის მავიერ, და იმათ მავიერაც, ვისაც განგებამ ამის ნიჭი არ დაანათლა!

საქართველოში ეს ყოველივე უნდა ქართულით გამოითქვას, და პოეტის უპირველესი ვალია, „არ შეამოკლოს ქართულად“.

**მე კი კბილებით მიპირავს გრემი,
გარეჯის ბული და უფლისციხე,
და რომ ვიგულო ჩემთვის და ჩემად,
ყოველდღე ალუას ვარტყამ და ვიღებ.**

სიმპტომატურია, რომ ოთარ ჭილაძის ეს სტრტიონები „იტალიური რვეულიდანაა“. ყოველდღე უნდა შემოეწყო და აიღო ყოველი ქართული ციხე, თუ მართლა გინდა, შენი იყოს. არც იტალია ან სხვა რომელიმე ქვეყანა არსებობს ქართველი პოეტისათვის გარეჯის ბულისა და უფლისციხის, არმავისა და სევეტიცხოვლის გარეშე.

რა მძიმე ტყვილია ჩამარხული ამ სტრტიონებში:

„მშვიდობით, პირდაუბანელო რუსეთო!“

ან:

„ფურთხის ღირსი ხარ შენ, საქართველოც.“

მაგრამ უბრალო ხსენებაც კი სამშობლო ქვეყნისა სულ სხვა უშქით ანათებს ეკვს პოეტისას.

ანდა გავიხსენოთ ყველაზე შემადარწუნებელი ფრაზა, რაც კი ოდესმე რომელიმე მწერალს სამშობლოს მისამართით უთქვამს: „მე რად უნდა დავიღუპო ირლანდიისათვის, ჯობს თითონ ირლანდია დაიღუპოს ჩემთვის“ (ჯოისი). გ. პეტრიაშვილის ლექსიკონშიც კი არ აღმოჩნდა არც ერთი სიტყვა, რაც საქართველოსთან მის რაიმე კავშირს დაადასტურებდა! დემეტრე დამიფაროს ყოველგვარი ეჭვისაგან, ცხადია, მასაც ისევე უყვარს საქართველო, როგორც საქართველოზე დაწერილი დიდებული ლექსების ავტორებს! მაგრამ არ მეთქვა, რომ საქართველოს სიყვარულს ლოცვა-სავით ხშირ-ხშირად უნდა ვამეორება? არ მეგარძნობებინა? ხოლო თუ ვაგარძნობინე, და ისიც შეფარულად (ქვეტექსტით), უნდა გავწიშტადეს და ვაზუღისტური მაქინაციებით სცადოს მეითხველის შეცდომაში შეყვანა? ვთქვათ, დაარწმუნა ხალხი, რა შეიცვლება ამით? მის წიგნში საქართველოზე დაწერილი ლექსი რამატება? ან იქნებ მხოლოდ იმ ადამიანებს თვლის მეითხველებად, რომლებიც მის წერილს წაიკითხავენ! და არ ფიქრობს იმ ადამიანებზე, რომელთაც, მოცილობისა თუ სხვა რაიმე შემთხვევითი გარემოების გამო, შესაძლოა ჩემი წერილიც ჰქონდეთ წაიკითხული?...
მე მიცქვიჩი იმითომ მიყვარს, რომ მისი

პოეზია პოლონეთიდან და პოლონურს თვლით დანახული სამყაროა, და ამიტომ ვეადგება ილიას პოეტური სამყაროს მელიც კერ ქართულია და მხოლოდ ამის შემდეგ — საკაობრიო! ამბროზ ბირსის ფრთიან ფრაზას, ფსევდობატრიოტების მისამართით ნათქვამს, არაიშვიათად დიდის წარმატებით იყენებენ... ფსევდობატრიოტები, მე ვიცი ერთი ახირებული კაცი, რომელსაც ეჯარება ყოველი ცალკე აღებული მწერალი და უყვარს მთელი მწერლობა. არადა, კაცობრიობის სიყვარული იოლია, ძნელი — საკუთარი მეზობლის სიყვარულია!

ხომ ამდენს ლაპარაკობს კონკრეტულის თაობაზე, გ. პეტრიაშვილს „არ უყვარს“ კონკრეტული ადამიანები. გმირები, ვთქვათ! მას უყვარს კაცობრიობა მთლიანად. მაგრამ არის საშინოვანება, რომ მასაც, დოსტოვესკის „მშვიდი კარამაზოვის“ ერთი გმირის მსგავსად, შესაძლოა შესძულდეს ისინი რეგრადიზმით, როგორც ცალკეული პირები. გახსოვთ ალბათ ის უცნაური აღიარება:

«Чем больше я люблю человечество вообще, тем меньше я люблю людей, в частности, то есть порознь, как отдельных лиц».

ესეც კონკრეტულზე გ. პეტრიაშვილის მსჯელობა და მისი პრაქტიკულად მომარჯვება შემოქმედებაში.

როგორც აღრე მოვახსენე მეითხველს, გ. პეტრიაშვილს რატომღაც მეტისმეტად იტაცებს არითმეტიკა, ამასთან აღსანიშნავია, რომ თავის ახალ წერილში იგი გაცდა მართი რიცხვებს და ანგარიში ერთგვარად გაართულა. ასე მაგალითად, იგი ბრძანებს, რომ მის წიგნში სულ შეტანილია 24 ლექსი; რომ მე აქედან მომწონებია 8. ამ ციფრების დაშლა, როგორც იტყვიან, კიდევ შეიძლება. მაგრამ მე ახლა სხვა რამ მაინტერესებს: ამ თავის 24 ლექსში 24 სიტყვა მაინც როგორ არ წამოცდა ისეთი, ეს კაცი ქართველი პოეტიო, მეითხველს ეფიქრა!

გახსოვთ? „შენ საქართველოს დედოფლობა დაგშვენდებოდა“.

„შენ დედოფლობა დაგშვენდებოდა“. — თოთხმეტმარცველიანი ლექსი ათმარცველიანი განდება, ეს არის და ეს.

დედოფლობა, ტყუობა, საერთოდ არის კარგი რამ. მაგრამ საქართველოს დედოფლობა! — აი, ქართველი ქალის ოცნება! რა ბევრად ჯობს იგი აბსტრაქტულ დედოფლობას! გაიხსენეთ: „ღამაშების პრეზიდენტი“. უშტატო პრეზიდენტობის კონკრეტული ქვეყნის — საკუთარი სამშობლოს დედოფლობა ურჩევნია ყოველ ქალს! ანდა გაიხსენეთ „ოცნება უფლისწული-სა“: მე, ხელმწიფად საქართველოს რეალუო...
აი, ასე დგას ჩემი რეცენზენტის მიერ აუ-



იატებულო „კონკრეტულის“ საკითხი ლიტერატურაში.

„მე ვერ ავიხსნი, რა მოხდა ელხს...“ — ასე იწყება არჩილ სულაჟურის ერთი ლექსი. დღის, ეღოსი და არა ტერუელს, გვადალახარას ან კატმანდუს! უსურისი ენოტი შვარცვალდის განთქმულ ტყეებში მოხვედრილიც უცხოდ იგრძნობს თავს, მაგრამ როცა ბესიკ ხარანაული წერს, იგი მანინც საბადურის ტყეს ახსენებს:

**უცხო —
როგორც
უსურისი ენოტი
საბადურის ტყეში...**

აი, ასე დგას კონკრეტულის საკითხი. (არის, სგათა შორის, პოეზიაში კონკრეტულის თაობაზე სხვა აზრიც, ჭერ კიდევ ამ ნახევარი საუკუნის წინ ნათქვამი:

«Не требуйте от поэзии сугубой
вещности,
конкретности, материальности...»

ნუ მოვიხსენთ ამ მეორე აზრს?)
ოსიპ მანდელშტამმა თქვა ერთი პოეტის შემოქმედებაზე: ეს არისო თარგმანები... არარსებული ორიგინალიდან. იგივე შეიძლება ითქვას გ. პეტრიაშვილის ლექსებზე: ისინიც თარგმნილია... არარსებული ორიგინალიდან! როგორც წიგნისთვის დართული ანოტაციის ანონიმი ავტორი იუწყება, არ ვიცით ამ ლექსების „უსუსტი მისამართები“, მაგრამ საქმე ისაა, რომ ჩვენ არც შეიძლებოდა გვეცოდნოდა ეს მისამართები: ისინი არ არსებობს! ამ „ლექსებს“ არაფერი აქვთ საერთო ქართულ სულთან (გ. პეტრიაშვილის პატივებს ვთხოვ სულის ხსენების გამო: არ უყვარს მას, როცა ამ სიტყვას სხვები ხმარობენ), და ამდენად ძალზე გვიანან თარგმანებს... არარსებული ორიგინალიდან!

ცოტა უცნაური ჩანს, რომ ამ „უსაქართველო“ წიგნის რედაქტორია პოეტი იზა ორჭონიკიძე, რომელიც ავტორია საქართველოსადმი მიძღვნილი ასეთი მშვენიერი სტრიქონებისა:

**მე, როგორც ბოშას გამოკრული
ძველმანში ჩვილი,
ზურგით დამკონდი, საქართველოს,
სადაც კი ვიყავ!**

გ. პეტრიაშვილი მოძღვრავს 44 პოეტს:
„ტყუილად ჰკონია ზოგ ავტორს, რომ თუ
ლექსში ახსენებს ღიღებულ წინაპრებს, მაშინვე
მათი შარავანდი ლექსის ლირიკულ გმირს გა-
დაეცემა...“

ახლა მე გ. პეტრიაშვილს წავაგებებ ერთ ლექსს, რომლის ლირიკულ გმირს თავს ადარებდა ვას ერთადერთი შარავანდი — სამშობლო ქალაქებისა და სოფლების ძვირფასი სახელუბის მუსიკა. არაფითარი ვერსიფიკაციული ოინი აქ არ ხიბლავს მკითხველს. მას ხიბლავს მხოლოდ ეს სახელები:

Фрёмиста!, Куэнка, Тортóса,
Гвадалаха́ра, Памплóна,
Пуэ́нте Хени́ль, Сараго́са,
Снудáд Реáль, Барселóна,
Турéгано, Бýргос, Увeда,
Сумáррага, Вaльядóлид,
Гранáда, Кáдис, Сепу́льведа,
Аррамендиáга, Мадрид,
вы все — имена любимые
и данные на века,
вы — плоть неперево́димая
испанского языка!

ეს უნამუნოა, დიდი ექსანელი მოაზროვნე და პოეტი.

„არ შეამოკლოს ქართული!“ და ქართველი პოეტები საუფუნებების მანძილზე გულდაგულ ასრულებენ ამ ანდერძს. მაგრამ აი, გამოჩნდა ალაშინი, რომელმაც არათუ შეამოკლა ქართული, არამედ საერთოდ განდევნა იგი თავისი წიგნიდან, თანაც, ამის მოქმედი, განაგვერდზე მიღვა! პირიქით, გამომწვევად წინ გამოეკიმა საზოგადოებას და ასწავლის, ვინ და როგორ უნდა წეროს ტაძრებზე და გვირგებზე.

აი, ამიტომ დავუწერე, არც საქართველოს დიდ წარსულზე და უძველეს ძეგლებზე შეიძლება-მეთქი საუბარი ავღებულად!..

ახლა კი, ქვეტექსტების გარეშე, ვფიქრობ, ყველაფერი გასაგებია!

...ყოველივე იმის შემდეგ, რაც ზემოთ მოგახსენეთ, გასაკვირი აღარაა, რომ გ. პეტრიაშვილმა ასე თუ ისე იცის, რა და როგორ თქვას ბლოკმა და პასტერნაკმა, მაგრამ არ იცის, რა და როგორ თქვა რუსთაველმა.

მაგალითად, გ. პეტრიაშვილი იმოწმებს ბლოკსა და პასტერნაკს, და სწორადაც. მაგრამ იგი სწორად ვერ იმოწმებს რუსთაველს. მოეუსმინოთ: „ლამაზია სიტყვა „ნეხვი?“ მაგრამ — „ვარდთა და ნეხვთა ვინათგან მზე სწორად მოეფინებს“. ყველაფერიდან ჩანს, რომ გ. პეტრიაშვილს „ნეხვის ტყაოსანში“ ნახსენები „ნეხვი“, არც მეთი, არც ნაყლები — ფუნა ჰკონია! რუსთაველი გენიალური პოეტი და, ზოგიერთი ჩვენგანისაგან განსხვავებით, მშვენიერად იცის, რომ ვარდს უნდა და-

ბარიელ პანტურიძე
„არ შეამოკლოს პართული...“

უპირისპირო მეორე ყვავილი, რომელიც არ არის ვარდი დიახ, ყვაილი! და არა წუნ-წუხი ან ესპანდერი! მართლაც, ნახვი, როგორც ეს დიდი ხანია კარგადა აქვთ გარკვეული რუსთველოლოგებს, ვარდის მსგავსი ყვაილია უსიამო სუნისა. ამიტომაც ახსენებს რუსთველი მას ვარდთან ერთად. გურიამი დღესაც ამ სახელით იცნობენ აღნიშნულ ყვაილს. კახეთშიაც კაცს, რომელსაც გარეგნობით არაუშავს, მაგრამ სხვა მხრივ არ უქნია დღერსი, თურმე ასე მიმართავენ ზემორობით: „ნახვი ყვაილი!“ მოკლედ, ნახვი კახეთშიაც ყვაილია. ასე რომ სხვა დროს მაინც ნუღარ აგვერევა ერთმანეთში ფუნა და ყვაილი!

გ. პეტრიაშვილი განაგრძობს: „ან როგორი ზიტყვაა, ნეტავ, „გასკდა?“ და იმის დასამტკიცებლად, თუ როგორ არის გაკეთილშობილებული ეს მეტისმეტად „ეუღლი“ სიტყვა კონტექსტში, მოაქვს ტ. ტაბიძის ლექსის სტრიქონი: „შენზე ღრიალით ვასკდა არღანი“. ჯერ ერთი, „შენზე ტირილით“ და არა „შენზე ღრიალით“. მეორეც, მე რატომ მეუბნება ამას? იქნებ იმიტომ, რომ ჩემს წიგნში „დაწყებითი სერპანტინი“ მაქვს ასეთი სტრიქონები:

„მოდი, თორემ გული გასკდა!
ნატეხი ვარ ამაყ ბასკთა!“

უამიდან ეამზე საკუთარი გვარ-სახელის წამოყვირება და საკუთარი სტრიქონების დამოწმება ვერაფერი საქმეა და მე მშვენიერად ვიცი ეს, მაგრამ თუ მაინც მოვიტანე ჩემი ეს ორი სტრიქონი, მხოლოდ იძულებით: მინდოდა შეჩვენებინა, რომ არაეპიზე ნაკლებ არ ვიცი, როგორი სიტყვაა „გასკდა“ — კარგი თუ ცუდი, — და რომ პროფესიონალმა ლიტერატორმა, სხვათა შორის, უნდა იცოდეს ისიც, თუ რა ვიცი ამ სიტყვის შესახებ მე!

გ. პეტრიაშვილი განაგრძობს: „ჩემი დღევინა „სიტყვათა თანახსორობა!“ ტ. ჭანტურია ამბობს: „სიტყვათა იერარქია“.

გ. პეტრიაშვილი, „გასკდაზე“ და „ნახვზე“ მსჯელობის მერე, ამგვარ დასკვნას სთავაზობს მკითხველს:

„მე ნამდვილი პოეტების მხარეზე ვარ. მათი შემოქმედებითი პრაქტიკა ადასტურებს „ჩემს“ „თეორიას“ სიტყვათა თანახსორობის შესახებ. (სხვანაირად არც შეიძლება იყო ფილიყო. ჩემი „თეორია“ სწორედ იმ პრაქტიკაზე დავკვირვებით გაჩნდა).

თავისი სიტყვათა იერარქიის თეორიით კი ტ. ჭანტურია ობიექტურად... ნებისთი თუ უნებლიეთ...“ ყველაფერი გასაგებია...

მამ ასე. გ. პეტრიაშვილი ნამდვილი პოეტების მხარეზეა. მე, მე საწყალი ვიცი! მხარეზე ვარ? ცხადია. არანაირდღველი პოეტების მხარეზე. გ. პეტრიაშვილი ერთგან იმოწმებს

ა. ბლოკს. ოღონდ კონტექსტიდან სწრაფად, როგორ იმოწმებს: როგორც ნამდვილი როგორც არანამდვილს. „ჩემი“ სიტყვათა იერარქიის თეორიის მიხედვით კი ბლოკი არანამდვილი პოეტია. საბუთი? ინებეთ.

ლ. კრასნოვა წიგნში: «Поэтика Александра Блока» წერს:

«Есть у Блока излюбленные слова, символика которых необычайно широка и многогранна. В каждом стихотворении они воспринимаются по-разному, всякий раз появляясь в новом озарении, с новым смысловым и образным наполнением. Необычайно емкими становятся у Блока слова туман, корабль, золотой, тишина, тень, душа, голубой, красный».

და იქვე:

«От высокой поэтизации и одухотворенности до выражения боли и отчаяния — такковы крайние границы символики подобных ключевых слов. Часто эти слова организуют все стихотворение, пронизывают насквозь его сюжет, обязательно закрепляясь рифмой».

გ. პეტრიაშვილისთვის სულ ერთია ნახვი და ყვაილი, აი, ბლოკს კი გამორჩეულად ყვარებია ზოგიერთი სიტყვა. და მასაც, ისევე, როგორც ვანდრიესს, სწამებია სიტყვათა იერარქია. ამ გაუგებრობათა წყაროს პირადღ მე ვხედავ იმამს, რომ არსებობს სიტყვისადმი ორგვარი დამოკიდებულება. გახსოვთ ალბათ საყოველთაოდ ცნობილი პარალელი, იგი გვასწავლის, რომ მწერალი მეზღებსა პავსს, რომელიც თავის წალკოტში სარეველს არ გააქაჩანებს (იქნებ ყაყაოსთვის დაუშვას ვანანაკლისი: «ყაყაოსა სიწითლითა ყანა დაუმშვენებია...), ენათმეცნიერი კი ბოტანიკოსს, რომელმაც თავისი ყურადღება ერთნაირად უნდა გაუნაწილოს სასარგებლო მცენარესაც და სარეველსაც. ბევრი რომ არ გავაგრძელო, სიტყვისადმი გ. პეტრიაშვილის დამოკიდებულება არ არის „მეზღის“ დამოკიდებულება. სიტყვისადმი მისი დამოკიდებულება „ბოტანიკოსის“ დამოკიდებულებასა. ამიტომ გიკვირს კაცს ერთის მხრივ ვანდრიესისა და გრამატიკოსების (სიტყვის „ბოტანიკოსთა“) ავტენტული მოხსენიება და, მეორეს მხრივ, არ გიკვირს მისი გამორჩეული სიმპათია მეზღის პროფესიისადმი, მისი ნატურა: „ხელში მეჭიროს რეზინის მილი...“

საბა „ბოტანიკოსიც“ იყო („სიტყვის კონა“) და „მეზღიც“ („სიბრძნე სიკრუისა“). ვითარცა „ბოტანიკოსმა“, მან ლექსიკონში შეიტანა „სახელნი კეთილნი და ბოროტნი, საქებარნი და საძაგებელნი, უბადონი და ცუდნი...“, მაგრამ საბას — „მეზღის“ მის ღვთაებრივ წალკოტში ვერ უპოვით „სარეველს...“ და ეს ხდებ-

ბა იმის გამო, რომ საბა აღიარებს „მეცნა-რეთა“ იერარქიას.

თვით მწერლობის „შიგნითაც“ არსებობს სიტყვისადმი სხვადასხვაგვარი (უმთავრესად მაინც ორგვარი) დამოკიდებულება: პროზა-იკოსისა და პოეტისა. ასე რომ, ათ და თოთხმეტმარცვლიან სტრუქტურაში მონაცვლეობით მიუთვლილი ამბავი ყოველთვის როდია ლექსი. ათ და თოთხმეტმარცვლიან სტრუქტურაში მონაცვლეობითა დაწერილი თითქმის მთელი ბარნიკის პროზა, გამსახურდას რომანები და, თქვენ წარმოიდგინეთ, სიმონ ჭვარციანის „დიდი მოურავიც“ ვი, მაგრამ ისინი ლექსებად ჯერ არავის ჩათვლია: ერთია ლექსი და მეორეა რიტმული პროზა (თუნდაც პოეტური პროზა).

ამ ჩვენს „ეკეთილი აზრის“ ფილოსოფიას, ჰეგელის გამოთქმა რომ ვინმართ, „წარმოდგენათა პოეზიიდან აზროვნების პროზაში“ გადაეყვართ.

გ. ბეტრიაშვილს იერარქია ეტყობა რაღაც მიუღებელი სიტყვა ჰგონია. არათუ სიტყვებს შორის არსებობს ეს იერარქია, იგი თურმე ატყობებელია, როცა საქმე ეხება კულტურას საერთოდ. ჰუმანიტარულმა კულტურამ თურმე უნდა იერარქია დაამყაროს კომუნიკაციის სფეროში (აბრაამ მოლი). ან იერარქია, ან ანარქია — ასე ღვას საქმე ამ შემთხვევაში.

პო, მართლა, რაკი გ. ბეტრიაშვილს არ სყვარა მსოფლიოში სახელგანთქმული ლინგვისტიკა, და არ მოსწონს გამოთქმა — სიტყვათა იერარქია, იქნებ მსოფლიოში სახელგანთქმულ სოციოლოგს დაუჭეროს, და მოეწონოს გამოთქმა — სიტყვათა რანგი. მოეუხსინით აბრაამ მოლი:

«Ранг, то есть большая или меньшая доступность слова, определяется общественной средой; ранги слов являются числовой характеристикой языковой культуры общества в целом».

Абраам Моль.

«Социодинамика культуры»,
стр. 140.

და იქვე:

«Слова обладает... разной степенью «оригинальности»: редкое слово несет в себе гораздо большее непредсказуемого, чем частое. Употребление каждого слова подчиняется своей особой закономерности. Это неодинаковое распределение слов... и составляет первейшее практическое требование построения кода».

А. Моль.

ახლა მოეუხსინით ს. ველეოვსკის. ლაპარაკობს იგი გამოჩენილ ფრანგ პოეტზე რამონ კენოზე:

«Слово для него не знак, а почти имя, накрепко сросшееся с обозначаемой вещью, вобравшее в себя ее кровь и плоть, ее материальность. У каждого свой облик, свойства, привычки, своя биография и свой нрав: есть слова покладистые и есть шлоптивные, беспечные и свирепые, хрупкие и кражистые, задиры и неженки».

(«Из современной французской поэзии»).

არსებობა ე. წ. უცენზურო სიტყვებისა (რომლებიც, სამწუხაროდ, ასე ხშირად ქარღვბით აღამიანებს უზნეო აღამიანთა გამოისობით...) თავისთავად გულისხმობს, რომ არსებობს რაღაც განსხვავებული, იერარქიის სხვა საფეხურზე მდგომი სიტყვები. სხვათა შორის, მხელი საშოვნელი როდია სახელმძღვანელოები, სადაც ყველაფერი ეს წერია პოპულარული ენით (ეს უკანასკნელიც — პოპულარული ენა — სტილური იერარქიის არსებობაზე მიანიშნებს გამგებ აღამიანებს).

და კიდევ:

„ფენებად და სიდიდის დონეებად ენობრივ ერთეულთა დაყოფას მიეყვართ მათი იერარქიული განხილვისაგან, სადაც გარკვეულ თანმიმდევრობა დაცული. იერარქიას ადგილი აქვს ფენებს შორისაც (თინ. შარაძენიძე)».

ღიახ, მე მართლაც მიმანია, რომ არსებობს კარგი და ცუდი სიტყვები. მე მიმანია აგრეთვე, რომ არსებობენ კარგი და ცუდი პოეტები, არსებობს კარგი და ცუდი ვარმონი და ა. შ. და იმათ დასარწმუნებლად, ვისაც ეგ არ სყვარა, შემიძლია ასიოდე ცუდი სიტყვისაგან შევადგინო „ეკეთილი აზრი“ (გ. ბეტრიაშვილის ტერმინი), რომლის მოსმენა შეზარავენ უკლებლივ ყველას, მათ შორის მასაც, ვინც პოეზიაში მხოლოდ „ეკეთილი აზრების“ იმედი-თა და სიტყვები მისი სოცენებო შებადის მიერ თანაბრად გაკრეპილ ბუჩქებად წარმოუდგენია!

რუსთაველის ეს „მეორე ლექსი“ თუ „მესამე ლექსი“ სხვა არაფერია. თუ არა პოეტური ტანრების იერარქიის დამადასტურებელი მსჯელობა!

იქნებ მთავრესი ფიქრობდა სხვანაირად, იქნებ იგი უარყოფდა სიტყვათა იერარქიას? ვნახოთ:

«Слова. Постоянное пополнение хранилищ, сараяв вашего черепа, нужными, выразительными, редкими, изобретенными, обновленными, произведенными и всякими другими словами».

ბარნილ შანტრიბა

„ბრ შეამოკლვს პართეული...“

В. Маяковский, «Как делать стихи?»

გ. პეტრიაშვილს უნდა მოეხსენებოდეს, რომ ამგვარი იერარქია არსებობს ენარტებს შორისაც კი. პუშკინი მშვენიერ ეპიგრამებს წერდა, მაგრამ მას რომ მხოლოდ ეპიგრამები ეწერა, იგი პუშკინი ვერ იქნებოდა. გ. პეტრიაშვილს კი სჯერა, რომ სულ ერთია, რა ფორმის მოითხოვს ეს მისი „სათქმელი“: პოემას, რომანს, ეპიგრამას თუ ქანდაკებას...

«Проблема звуковой иерархии стихотворной речи». — ასე ქვია ბ. გონჩაროვის წიგნის (ლექსის ბგერითი ორგანიზაცია და რითმის პრობლემა) ერთ-ერთი თავს.

ე. ა. არა მარტო სიტყვათა იერარქია არსებულა, არსებობს თურმე ბგერითი იერარქიც. არსებობს ბევრი სხვა იერარქია. ეს იერარქია, რა სამწუხაროდ უნდა იყოს ეს ფაქტი, არსებობს პოეტებს შორისაც. რუსთაველი, მაგალითად, შეტია, ფემინავი ფაშვიბერტყაძე — ნაკლები და ა. შ. ყველანი, და მათ შორის გ. პეტრიაშვილიც. უნდა შეეუბრებოდეთ ამ და სხვა იერარქიების არსებობას. რაც შეეხება ვანდროვისს გვერდით ჩემს ხსენებას, ეს მეტიმეტად დიდი პატივია ჩემთვის, და ეს ერთადერთი ადგილია, რომელიც გ. პეტრიაშვილს ნაწერებში უშენიშვნოდ მომწონს.

დასასრულ, გ. პეტრიაშვილის მიერ ტაბუღებული სიტყვები (სული და სხვა) აგრეთვე მიაწინებს ამ სიტყვიერი იერარქიის არსებობას: არის სიტყვები, რომელთაც პოეტები ხშირად ხშირად, და არის სხვა, მათთვის ნაკლებ საჭირო და საინტერესო სიტყვები. აქვე უნდა შევნიშნო, რომ გ. პეტრიაშვილის მიერ შენიშნული მოვლენა — „სულის“ ხშირი ხშირება — სულაც არ ყოფილა ლოკალური მოვლენა. თურმე უკანასკნელი წლების რუსულ პოეზიაშიც ასევე ხშირად ჩანს სიტყვა „სული“. მაგრამ ნახეთ, როგორ ახსნას უძებნის ამ ფაქტს რუსი კრიტიკოსი, გ. პეტრიაშვილის თანატოლი ვ. სოლოვიოვი:

«В поэзии последних лет душа фигурирует все чаще и чаще, это словно бы реакция на длительное исключение этого слова из поэтического словаря».

«Вопросы литературы», № 2, 1974, г., стр. 81.

ეს უკვე გონივრული ახსნაა, რადგან იგი 44 პოეტის ქირდვას კი არ ეფუძნება, არამედ საკითხის ღრმა გაგებას.

დაუმატებ ახლა ამას, რომ ჰქვიან აღმიაწინებს სიტყვები დალაგებული აქეთ ზარბარისმებად, ნეოლოგიზმებად, არქაიზმებად, დიალექტიზმებად, არგოტიზმებად, პოეტიზმებად და რა ვიცი, კიდევ რად. რა ქვია ახლა მე, როგორ მოვიქცე, ვაგეთ ეს ყველაფერი? თუ

თავის მომავალ წერილში ისევ აუბეჭვს ზოველივეს გვერდს, ისევ ეცდება თქვას ვიოს მკითხველს, და საუბარს დაიწყებს ქარხლის მოყვანის წესზე ან ბატუტით ხტომაზე, რასაც არაფერი აქვს საერთო ჩემს თემასთან?

ყველაფერს, რასაც ამბობს თავის წერილში, გ. პეტრიაშვილი ამბობს ნამდვილი პოეტების სახელით. ვერ გეტყვით, მართლა დაადასტურა თუ არა მის ნამდვილმა პოეტებმა, გინდა თუ არა, ყველაფერი უსათუოდ ჩვენი სახელით თქვიო! ერთი რამ კი ცხადია: ეს რომ მართლა ასე იყოს, ნამდვილი პოეტები ბევრჯერ აღმოჩნდებოდნენ მათთვის არასასურველ მდგომარეობაში!

გ. პეტრიაშვილი, როგორც ვნახეთ, თვლის, რომ მე აღმოჩენილი იმით ბანაკში, ვინც... არ ვიცი, რომელ ბანაკში აღმოჩენილი. ამას ჩემზე უკეთ სხვები გაარკვევენ. ერთი რამ, რასაც უკვე მივხვდი, ისაა, რომ მე და ის სხვადასხვა ბანაკში ვართ. ეტყობა, ამით ერთი ჩვენგანი უთუოდ ზარალდება!



პირველი წერილისაგან განსხვავებით, გ. პეტრიაშვილის მეორე თხზულება საექვო სტილური მრავალფეროვნებით გამოირჩევა. „ლექსი მიიღებას“ ნაცუვად ახლა ყველგან „ლექსი იქნება“ ვაკაწავლიან. და მინც, პირველი წერილის სტილიდან, რუდიმენტის სახით, ისევ გვხვდება „მიიღება ბუნდოვანება“ (ნეტავ, რას ამავებენ გ. პეტრიაშვილის მიერ მოკვეთილი გრამატიკოსება იმით, რომ ლექსისა და ბუნდოვანების „მიიღება-არმიღების“ საკითხებში ზოგიერთ მწერალზე უკეთ ერკვევიან!).

წერილშიც, ყოვლად მართებ და ნათელ საკითხებზე მსჯელობისას, ხშირად „მიიღება ბუნდოვანება“. კიდევ ერთხელ გავეცნოთ ზოგიერთ მათგანს.

გ. პეტრიაშვილი წერს, რომ სათქმელი არის პოეზიის ვედი. მაგრამ ამით არ მთავრდება მისი ორიგინალური აზრები პოეზიაზე. „პოეზიაში მთავარია არა ლექსის ლექსიკური შემადგენლობა, არამედ სიტყვათა შორის კავშირები“.

შემდეგ:
„აქ სიტყვებმა გაარღვიეს თავისი ლოგიკური გარსი“.

შემდეგ:
„აქ სიტყვები ვერ სცილდებიან თავიანთ ლოგიკურ გარსს“.

შემდეგ:
„როგორ გასცილდნენ გალაკტიონის სტრიქონში სიტყვები თავის ლოგიკურ გარსსა და რატომ არ გასცილდნენ მეორე მაგალითში?“

შემდეგ:
„უბოდილო აზრის“ ფორმა, სიტყვებს შორის



ლოგიური კავშირი, მხგავს მოქმედებათა არ-
ხით სხვადასხვაობის მძაფრი სურათი“.

შემდეგ:
„ჩემთვის უფრო მახლობელია „კეთილი აზ-
რის“ ფორმა“.

და ბოლოს:
„რა არის ამ აზრის არსი...“
მართლაც და, რა შეიძლება იყო ამ „აზ-
რის“ არსი?

ნუ შევძლებით ამ „თეორიებიდან“ რაიმე
აზრის გამოტანას. უბრალოდ, გაისხენეთ ცნო-
ბილი ხუმრობა: „შინაგანი არსის გარეგანი
გარსი“.

აჲ, ამ სტრიქონების ავტორს. არ მოსწონს
ჩემი ლოგიკა:

„ვერ ვიტყვი, რომ ტ. ჭანტურიას წერილ-
ში არ იყოფს ლოგიკა. მაგრამ მისი ლოგიკა
როგორღაც უცნაურია“. დღემდე გამეგონა ლო-
გიკაც, ფორმალური ლოგიკაც, ინდუქციური
ლოგიკაც, მათემატიკური ლოგიკაც... ეს უც-
ნაური ლოგიკა კი საკუთრივ გ. პეტრიაშვილის
გამოგონებაა.

ჩემი ლოგიკა ხომ არ მოსწონს და არა. ახ-
ლა მისი ლოგიკის ერთ ტიპაურ მაგალითს
გავაცნობთ. მე ვწერ: „ამიტომაც ითვლება
იგი (რითმა. ტ. ჭ.) მოულოდნელ განწყობი-
ლებათა წყაროდ და ე. წ. ეგზალტაციის ბერ-
კატად“.

გ. პეტრიაშვილს აქედან „ლოგიური“ დას-
კვნა გამოაქვს:

„ე. ი. ტ. ჭანტურიას აზრით, რითმა ბერ-
კატია პოეზიისა“.

იქნებ ცუდად ვთქვი, მაგრამ მე ვთქვი, რომ
რითმა ბერკეტია ეგზალტაციისა. გ. პეტრია-
შვილი მგარალებს, თითქმის მეთქვას, რითმა
პოეზიის ბერკეტია-მეთქი. ვინ უთხრა გ. პეტ-
რიაშვილს, რომ ეგზალტაცია უღრის პოეზი-
ას? მე ეს არ მითქვამს, როგორც ხედავთ.
მაშ, საიდან მომაწერა ეს უაზრო აზრი? არა-
ფერი განსაკუთრებული არ მომხდარა. უბრა-
ლოდ, მისი „ლოგიკა“ ასეთი! ამგვარ „ლო-
გიკას“ დანდობილია დამთავრა წერილი ჰე-
პი-ენდით: „კამათში იმარჯვებს მხოლოდ ლო-
გიკა“.

გავაცნობთ ამ „გამარჯვებული ლოგიკის“
კიდევ ერთ ნიმუშს.

171-ე გვერდზე გ. პეტრიაშვილი წერს:
„წემოთ ჩემს მიერ ციტირებული სიტყვებიდან
ისე გამოდის, რომ რითმა პოეზიის კრიტერი-
უმად მიიჩნია ტ. ჭანტურია: თუ დაწერ რით-
მიან ლექსს, მას „აღარ უჭირს დაიჭეროს“,
არ დაწერ და მაშინ „ცოტა სხვაგვარადაა სა-
ქმი“.

188-ე გვერდზე კი თავის ამ ნათქვამს თავ-
დაყირა აყენებს: „ტ. ჭანტურიას აზრი ჩემი
წიგნის პირველი შეფასებაა პრესაში. ამას

გარდა, ეს აზრი იმიტომაცაა ძვირფასი ჩემ-
თვის, რომ ტ. ჭანტურია იყო ერთ-ერთი პირ-
ველთაგანი იმათ შორის, ვინც ჩემი ლექსებზე
მოიწონა, (ე. ი. დაიჭერა. ტ. ჭ.) მიუხედავად
იმისა, რომ მე რითმიანი ლექსები არ დამი-
წერია“.

გამოდის, რომ ურიტომოდაც დამიჭერებია,
არა? ეტყობა, გ. პეტრიაშვილი დიდხანს წერ-
და თავის წერილს, რადგან 171-ე გვერდზე
ნათქვამი უკვე 188-ე გვერდზე დაავიწყდა. მაგ-
რამ რედაქციაში ხომ ასე დიდხანს არ უსი-
ხავთ ეს წერილი! მათ რატომ არ ურჩივს ავ-
ტორს, სხვისი თუ არა, საკუთარი ნაწერი მაინც
წაეკითხა მეტის გულისყურით, ან კიდევ ამ-
დენი არ ელაპარაკა უუფრადღებოდ კითხვის
თაობაზე: „ჩემი წერილის დაუკვირვებელი
წაკითხვა იყო იმის მიზეზი...“ „უკეთესია ჯერ
მიხვდე, რა არის ამ აზრის არსი“. „ეს გაუგებ-
რობა არ მოხდებოდა, ტ. ჭანტურიას რომ უფ-
რო დაკვირვებით წაეკითხა ჩემი წერილი“.
და ა. შ.

ამ რამდენიმე წლის წინათ ერთ ქვეყანაში
ერთმა ქალმა დიდებულად დამტკიცა, თითქოს
ერთი ექიმაში წარმატებით მკურნალობდეს
ერთ უურუნებელ სენს. ბედნიერება იქნებო-
და ეს, ელემენტარული ტყუილი რომ არ გა-
მომდგარიყო. ასე ჩაუსახა გულში კაზუსტურ-
მა მსჯელობამ ცრუ იმედი ათასობით უნუგე-
შო პაციენტს. აი, ასეთივე მეთოდებით —
კაზუსტური მსჯელობით — ცდილობს გ. პეტ-
რიაშვილი მკითხველის შეცდომაში შეყვანას.
მას მოსწონს კაზუსტიკა, რომელსაც მოფე-
რებით ლოგიკას ეძახის.

ჩემი ლოგიკა კი ისევ არ მოსწონს. უფრო
შოსაც მძღის იგი. იგი არ იზიარებს ჩემს იმ
შენიშვნებს, რომლებიც მე... არ გამომოთ-
ქვამს:

„ცხადია, ჩემს წიგნში ბევრი რამ იქნება
შენიშვნის ღირსი, მაგრამ ტ. ჭანტურიას შე-
ნიშვნებს მე არ ვეთანხმები“. თუ ეს ხუმრო-
ბაა, უაღვანელო. ხოლო თუ სერიოზულადაა
ნათქვამი, მაშინ არც მეტი, არც ნაკლები —
უტაქტობაა!

გ. პეტრიაშვილი მაშინებს: მე თუ ცოტა
მეცტრად მოვაგონე ლიტერატურული მეთკა,
ეს ამბავი თურმე, ნუ იტყვიო და, მეტისმეტად
ცუდ შედეგებს მოიტანს. მაინც რას, ნეტავ?
მანდარინს გახმება ქობულეთში? პატარა გო-
გობიკები მუსიკაზე აღარ იღვიან? ანა კა-
ლანდაძის რითმიან ლექსებს აღარ წაიკითხავს
ხალხი? ეს არც ვიცი და, აი, სქესის აღრე-
ვას კი მართლაც ცუდი შედეგები შეიძლება
მოჰყვეს! ზო მართლა, რატომ არაფერი მიაპ-

ბარიელ მანბშირაძე
„ბრ შემამოკლოს ძარბთული...“

სუბა ამანზე? აქი ვწერდი, გ. პეტრიაშვილის ამ ლექსიდან კაცი ვერ ვაგებ, ქალი მისი მასწავლებელი თუ კაცი-მეთქი!

ეს, სხვათა შორის, პოლემიკის წარმოების ჩვენებური წესია, დიდი ხნის წინათ სადუქველჩაყრილი და ამ ბოლო წლებში საბოლოოდ დაკარგებულ: იტყვი რადიკალს! მერე შენს ნათქვამს ოპონენტი შეცვლის! მერე შენ ახალი წერილი უნდა დაწერო და ძველი ნათქვამი გაიმეორო. კარგ არბიტრს, ამ შემთხვევაში რედაქციებს, შეუძლიათ დაზოგონ ბევრი ენერჯია, ქაღალდი, მელანი, ნერვები, მაგრამ რატომღაც ისინი ამას არ აკეთებენ.

ერთადერთი, რასაც გ. პეტრიაშვილი ჩემი წერილთან იზიარებს, ეს განხილვით ის ადგილი, სადაც მე ვწერ, მისი წიგნი პრინციპში მომეწონა, და თვითონ ის ნიჭიერ კაცად მიმაჩნია-მეთქი.

„არ მომეწონა!“ — ვთქვი მე გ. პეტრიაშვილის წერილზე.

„მომეწონა!“ — ვთქვი მე მის რამდენიმე ლექსზე.

ჩემი სტატიის მკითხველს მოეხსენება, რომ მე გ. პეტრიაშვილის სტატიას ვიხილავდი, მის „თეორიებს“ ვარჩევდი, და ამიტომაც ჩემთვის მთავარი იყო სწორედ ეს „არ მომეწონა“. რაც შეეხება „მომეწონას“, იგი ჩემი კრიტიკული პათოსის განვლების მიზანს ემსახურებოდა და ამდენად შიშინი უფრო იყო, ვიდრე ნამდვილი სტრიქონი! ეს რომ კომპარატივი იყო, ამას პეტრიაშვილის მიერ შერისხული ქვეტექსტებიც ადასტურებდა. ამასთან დაკავშირებით გ. პეტრიაშვილი, როგორც საერთოდ ჩვევია, მიხსნის, თუ რა დოზებით უნდა ვინმართთ ქვეტექსტი. ლექსებში — კებატონო, თანახმაა იგი. კრიტიკულ წერილებში ქვეტექსტი უნდა მინიმუმამდე იქნას თურმე დაყვანილი. მაინც რამდენია ეს მინიმუმი? ან დრამაში რამდენი ქვეტექსტი შეიძლება? მართალია, ეს საკითხები ჭრჭირობით ღიად არის დატოვებული, მაგრამ ალბათ მომავალ წერილებში გავვიმხილენ ამას. დიახ, ნიჭიერია-მეთქი, ვთქვი, და გ. პეტრიაშვილიც წაღმა-უკუღმა ატრიალებს ამ მისი ნიჭიერების ამბავს. მერე თავად სვამს რაღაც კითხვებს ჩემს მაგიერ და თვითონ პასუხობს. ასე მაგალითად, მიხსნის, თუ რატომ გადადიან პოეტები პროზაზე; რომ სხვადასხვა სათქმელი სხვადასხვა ფორმას მოითხოვს; მერეც, ვინ დაამტკიცა საწინააღმდეგო რამ? აქვს ტრიბუნა და იოლად ვერ შეეღევა! იმაზე კი ავიწყდება პასუხის ვაცემა, მან ჩაწერა კვადრატული ფესვის ნიშანში „2“, თუ მხატვარმა, რომელსაც იგი ასეთის მონღოლებით იცავს ჩემგან! ან რატომ არის მისი მასწავლებელი გაურკვეველი სქესის ადამიანი! ან რატომ არასოდეს დაუწერია რითმიანი ლექსი!

საერთოდ, რითმას დიდ ადგილს უთმობს იგი თავის წერილში (მხოლოდ წერილებში) და ეს არც იყო სქემის მოულოდნელად სტრუქტურის შეცვლა თვლი, რომ რითმა არის „ერთ-ერთი სხვა გამოსახველობით საშუალებებს შორის (კომპოზიცია, რიტმი, ინტონაცია, ეპითეტი, მეტაფორა, ალიტერაცია და ა. შ.)“. იგი განაგრძობს: „რაც შეეხება საკუთრივ რითმას, კვლავ ვიმორჩებ, ის არაა რაიმე გამორჩეული სხვა კომპონენტებს შორის“, „არავითარი დემონური რითმაში არაა“. — მე რომ რითმიან ლექსს არ ვწერ!“

თუ დაიჯერებ, რომ რითმა ერთ-ერთი, „რიგითი“ და ისეთივე გამოსახველობითი საშუალებაა, როგორც, ვთქვით, ალიტერაცია, და თუ იგი მართლაც არაა გამორჩეული სხვა კომპონენტებს შორის“, მაშინ უნდა დაიჯერო ყველაფერი, რასაც აქედან გამომდინარეს ვეტყვიან!

მაგრამ რითმა არაა ჩვეულებრივი კომპონენტი.

გ. პეტრიაშვილმა იცის, რომ მათგამტიკა იცნობს დაშვების ხერხს.

დავხუტოთ თვალი, და პოეზიას, რაც ღღემდე შეუქმნია კაცობრიობას, ჩამოვაშორეთ ერთ-ერთი კომპონენტი — ალიტერაცია.

ამ ოპერაციის შემდეგ ჩვენ დაგვრჩება იგივე უმადლესი პოეზია.

ახლა დავუშვათ წამით, რომ პოეზიას, რაც ღღემდე შეუქმნია კაცობრიობას, ჩამოვაშორეთ ერთ-ერთი კომპონენტი — რითმა.

ფორად სამწუხარო სურათს მივიღებთ, და ეს მოხდება იმის მიუხედავად, გვიყვარს ჩვენ რითმა თუ არა.

„მე მიღალატეს ძველმა რითმებმა, ძველ მეგობრებსაც ვამჩნევ მე ღალატს!“

ასე წერდა გალაკტიონი 1914 წელს (და ეს იყო სივნალი, რომ მისი პოეტიკა იცულებოდა რადიკალურად, ყალიბდებოდა ნამდვილი გალაკტიონი).

გ. პეტრიაშვილს რომ დაუფეროთ, შეიძლებოდა ეს სტრიქონები ასეც დაწერილიყო:

მე მიღალატეს ეპოთეტებმა,
სინეკდოქესაც ვამჩნევ მე ღალატს!

რატომ, გ. პეტრიაშვილის აზრით, რომ პოეტები ლექსებში, რითმიანშიც და თავისუფალშიც, ასე ხშირად ახსენებენ რითმას, როგორც საერთოდ პოეზიის სინონიმს, და არ ახსენებენ, ვთქვათ, ანაფორას ან ეფფონიას?

„ჩემს რითმასავით ვარ დაღეწილი!“

წერდა ტიცინი, და ეს სტრიქონი გულისხმობდა მეტს, ვიდრე „ერთ-ერთი გამოსახველობითი საშუალება“.



ცხვირი გულთან შედარებით რიგითი ორგანოა (გახსოვთ? — გუმიპლენი). თვალი ცოტა მეტია ყურის ბიბილიაზე. ხომ შეეძლოთ წარბები ამოქნათ, მაგრამ როცა მკაცრად უნდოდით კაცის დასჯა, ძველად ტირანები თვალებს თხრინდნენ. გ. პეტრიაშვილიც ერთხელ კი დასვა ტოლობის ნიშანი გამომსახველობით საშუალებებს შორის, მაგრამ მერე დაფიქრდა ერთობა, მაინც რომელი უნდა იყოსო მთავარი მათ შორის, და აი, გავიგეთ მისი აზრი: მთავარი ყოფილა სათქმელი. „სათქმელი არის პოეზიის გული“. აი, რაში ყოფილა საქმე. სათქმელი გულია პოეზიისა. რითმა რაღა? ელენა? როგორც გ. პეტრიაშვილი იტყვოდა, „მოლო, მოვეშვით“ ამ ხუმრობას და ვთქვათ სიმართლე: ვისაც კლასიკური ლექსი შესისხლხორცებული აქვს, როგორც გამოცდილება, მისთვის ცხადია, რომ არათუ რითმას, ყოველ ბეგრას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ყველაფერი მთავარია. მაგრამ ეს „ყველაფერი მთავარია“ ეხებათ ოსტატებს. სწორედ ამას შეუხებოდა ის „ქვეტექსტები“, რასაც ასე გაუღიზიანებია ჩემი რეცენზენტი.

„ვერლიბრის ბილიკი“ არავის დასამცირებლად არაა ნაწმარა. ქართულ კლასიკურ ლექსს მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები მოეპოვება, ისტორიული განვითარების განუზომლად დიდი მონაკვეთი უჭირავს; „თავისუფალი ლექსი“ (იმ გაგებით, რა აზრსაც ახლა ედებთ მასში: XIX საუკუნეში მონაცვლე საზომებით დაწერილ რითმიან ლექსსაც „თავისუფალს“ ეძახდნენ) პირველი ნიმუშები ჩვენში ამ საუკუნის 20-იან წლებში დაიწერა და შედარებით ინტენსიური ხასიათი ბოლო ხანებში მიიღო.

თურმე პირიქით უნდა დამეწერა: რასაც ათიოდე კაცი ეაკეთებთ დღეს, ის გზა ყოფილა, ზოლო ის, რაც რუსთაველიდან ჩვენამდე გაცემებული — ბილიკი მაპატიეთ, ამ „ბილიკს“ „საეცადლებოც“ ხომ არ დაეუმაცო?

„არავითარი დემონური რითმია არაა“. გ. პეტრიაშვილს, ეტობა, ისიც გონია, რომ არც პოეზიაშია რაიმე დემონური! ვახსენოს მის მიერ დამოწმებული ლორკა! ვახსენოს ლორკას „დუნდუნ“.

საერთოდ, ყველა შეიძლება დაემოწმებინა, ლორკის გარდა.

ზოგიერთი ჩვენგანის ზოგიერთი კიბერნეტიკული ლექსი! — თ, სად არ არის არაფერი დემონური! ისინი სავეულადგულოდ გამოანგარიშებული „ლექსებია“. ისინი გვანან ესკიმოსის ქოხებს, რომლებიც გულბრყვილო ეთნოგრაფს ტროპიკებში ჩატანია. აქ არაა მათი ადგილი!

საქართველოში არაა მათი ადგილი!

როგორც კარნიზი უარყო რაიტმა, ჩვენც ასე უნდა უარვყოთ რითმა.

და თ, ამ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ხეობა-დეკლარაციის ავტორს (ამ ორი სტროქონისთვის თავის დროზე მკაცრად გამაყრიტოცეს) გ. პეტრიაშვილი მიხსნის, რა არის რითმა, და თქვენ წარმოიდგინეთ, რომ კაცს, ვინც რითმის უარყოფისაკენ მოუწოდებს, ახრალებს რითმის როლის გაზვიადებას. ამ საქციელის კვალიფიკაცია მკითხველისთვის მიმინდვია. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ როცა მე, ნახევრად ხუმრობით და ნახევრად სერიოზულად, რითმის უარყოფისკენ მოვეწოდებდი, ეველისხმობდი პოეტებს, რომელთაც ეს რითმა, უბრალოდ, აქვთ, რადგან არ შეიძლება კაცმა უარი თქვას იმაზე, რაც არა აქვს. გ. პეტრიაშვილს, ცხადია, ეს მოწოდება არ ეხება. და როცა იგი წერს: „მე რომ რითმიან ლექსს არ ვწერ“, ეს სტრიქონები ასე აკითხება: „მე რომ რითმიან ლექსს ვერ ვწერ“. შემდეგ როგორც ტექსტია!

რა აზრისა ვარ მე რითმაზე, და მართლა ვახვილებ თუ არა მის მნიშვნელობას, ამის გაგება მკითხველს, გარდა ჩემი წერილისა, სხვა უფრო საიმედო წყაროებითაც შეუძლია. რა აზრის არის რითმაზე გ. პეტრიაშვილი, — აი, ამის გასაგებად კი მკითხველს მხოლოდ მისი წერილი აქვს ხელთ, ეს კი პოეტისაგან სულაც არ არის საჭმარისი.

მე უბრალოდ ვთქვი, რითმა ზოგჯერ თავის ჰქუაზე წაიყვანს-მეთქი პოეტს (დაიხ, პოეტს, და არა, ვთქვით, მეზალეს ამ მეხანძრეს. ყოველ შემთხვევაში, გ. პეტრიაშვილს შეუძლია მშვიდად იყოს, მას ვერსად წაიყვანს რითმა, ამგვარი საფრთხე მას ნამდვილად არ ემუქრება). აქაც შევმდებარებო. ვნახოთ, მართლა ასეა?

მე სრულიად სხვა მინდოდა მეთქვა და სხვას მამღერებს წყეული რითმა.

ს. ჩიქოვანი.

სიცოცხლეო, ქეშმარიტად საყვედური არ გვეთქმის. ეს რა მიქნა ერთმა რითმამ, მომავონა არგვეთი!

მ. მაკაეარიანი

როგორც ვხედავთ, ყოფილა შემთხვევა, როცა რითმის ისეთი ოსტატიც კი უტარებია თავის ნებაზე, როგორიც მუხრან მაკაეარიანია. ვთქვათ, რითმაზე ნათქვამი ეს ტრიქონებიც რითმის დამორჩილებების მაგალითია! მაინც, ხომ არის აქ გამოთქმული აზრი რითმის დაუმორჩილებლობაზე! მერედა, საიდან ვაჩნდა

ტარიელ ზანტაშვილი

„ბრ შემამოკლოს ძარბოული...“

ეს აზრი, თუკი არავითარი ობიექტური საფუძველი არ არსებობდა საამისოდ?

ურაცხელი პრეტენზია აქვს რეცენზენტს. ერთი, მაგალითად, ასეთიცაა:

თურმე უნდა მეთქვა, რითმა იმიტომ არ ახსენა, რომ საკითხი არ მოითხოვდა! კი მაგრამ, რატომ უნდა დამეწერა ის, რაც ხელს აძლევდა გ. პეტრიაშვილს, და რატომ არ უნდა დამეწერა ის, რაც დავწერე — სიმართლე?

ბოლოს და ბოლოს, იმაზე კი არ არის ლაპარაკი, კარგია თუ არა რითმა საერთოდ, არამედ იმაზე, რომ ნამდვილ პოეტს (ჩვენ ვნახეთ, რომ გ. პეტრიაშვილი ხშირად ხმარობს ამ შესიტყვებას...) უნდა შეეძლოს გართმევა, უნდა ჰქონდეს გართმევის თავი!..

„იმისთვის კი არ დაწერეს რითმიანი ლექსები, რომ ვინმისთვის „დამტკიცებინათ“.. — ქილიკობს გ. პეტრიაშვილი და გულწრფელად სწერს, რომ პოეტი ვალდებული არაა დაამტკიცოს, რომ ლექსების წერა შეუძლია! მე კი მიმაჩნია, რომ უნდა დაამტკიცოს! უნდა დააჯეროს მკითხველი, რომ შთაგონებული ოსტატია და შეუძლია ლექსების დაწერა! პირადად მე, მკითხველი, ვერას ვიწამებ იმ პოეტისას, ვისაც არ შეუძლია დროადრო ჩაიდინოს დაახლოებით ისეთივე პოეტური გმირობა, როგორც ჩაუდენიათ ჩვენს საყვარელ პოეტებს, და როგორც სულ ახლახან, ჩვენს თვალწინ ჩაიდინა ოფიციალური ტიტულით — მთარგმნელმა, სინამდვილეში კი ჩინებულმა პოეტმა დავით წერდიანმა (ვგულისხმობ „მცირე ანდერძის“ კონვენალურ თარგმანს).

ვერღუნთან („მუსიკა უპირველეს ყოვლისა“) კამათია მიველ დე უნამუნოს ფორმული „პოეზია — ეს არის ის რაღაცა, რასაც, გარდა მუსიკისა, შეიძლება ლექსი“. ყველა ავიან გარდისტული „იზმის“ უარყოფელი უნამუნო პოეზიისაგან მოითხოვდა ერთ რამეს: „აზრებს უფრო შემვიდროებულად“. მაგრამ ეს როლი ნიშნავს მის პოეტურ უმწიგობას.

მოვესმინათ ესპანურენოვანი ლიტერატურების ცნობილ სპეციალისტს ი. ტერტრიასს:

„უნამუნოს მრავალჯონ დაუმტკიცებია, რომ მისი პოეზიის ასკეტიზმი გაპირებებით როდესო გამოწვეული: ფორმისმიერ ამოცანებს იგი სწყვეტდა შესაშური სიმსუბუქით (მაგალითად ლექსში „რითმა“), ხოლო მელოდია მისი ლექსისა შეიძლება ყოფილიყო დამთრობელი და მომაჯადოებელი“.

დაის! დამტკიცება იმისა, რომ ოსტატი ხარ, აუცილებელია! (მოიგონეთ საბას მხატვარი, ყოვლად შეზღუდულ სიტუაციაში უნაკლოდ რომ დაამტკიცა ოსტატობა).

უნამუნოს მაგალითი საინტერესთა იმდენად, რამდენადაც იგი თავისუფალი ლექსის ამოლოკებდა და პრაქტიკოსია, ხოლო იმის დასამ-

ტკიცებლად, თუ როგორ ფლობს იგი ფორმას, მოვიტანე უკვე ნახსენებ ლექსს

Зачем же рифма нам дана?

Что за вопрос! Она нужна,

во-первых, чтоб была видна

работа наша всем сполна.

Концы с концами лишь одна

она нам сводит. Ввысь должна

нас поднимать ее спина...

А впрочем, чаще в глубь без дна

она швыряет, как волна.

Есть строчки, где она вольна,

как птица. Чаще же она

на муку в них осуждена.

С ней пустота — и та полна!

Она — китайская стена,

и вдоль нее обречена,

косноязычна и длинна,

плестись, хмельная без вина,

строка... Ее ли в том вина?

Зачем же рифма нам дана?..!

„მას ჰქონდა ერთადერთი აუცილებელი რითმის გრძნობა“, — თქვა ერედია ამ ლექსზე.

გვაქვს თუ არა ჩვენ ერთადერთისა თუ არა, საერთოდ რითმის გრძნობა მინც! — აი, რა მინტერესებს მე!

„ჩვენბ მსოფლიოს პოეტთაგან არავინ უხახავდა საკუთარ თავს ისეთ ძნელ ამოცანას, როგორც ერედია! — წერს დიდ პოეტზე ი. პოსტუპალსკი.

ვისახავთ თუ არა ჩვენ, პოეტები, ძნელ ამოცანებს! — აი, რა მინტერესებს მე?.

(საერთოდ, თავისუფალი ლექსი ყველაფრისაგან შეიძლება იყოს თავისუფალი, ოღონდ პოეზიისაგან — არა!).

1 მაკონდება, აღმანახ „კრიტიკის“ რედაქტორმა გ. მერკვილაძემ ამ რამდენიმე წლის წინათ ერთ დისერტანტს, რომელმაც ეგზოტუპერის რუსულად დაიმოწმა, შენიშნა: ეგზოტუპერის ეს სიტყვები რუსულად არ დაუწერია, ამიტომაც იგი ან ფრანგულად უნდა მოგვტანათ, ან ქართულად. მეც ესპანელი პოეტისა და მოაზროვნის ლექსები, ცხადია, ქართულად უნდა მომეყვანა, მაგრამ ურთომოდ მათი გადმოღება არ ივარგებდა, რითმიანი ლექსით მათი თარგმნა კი — ეს ყველაზე უკეთ ჩემს რეცენზენტს მოეხსენება — ძნელ ამოცანას აყენებდა ჩემს წინ. მკითხველს ბოდინს მოეუხბი და ამჯრად ამას დაჯერდები.

2 „ამ ბოლო წლებში ხან აქ, ხან იქ ვაიგონებ ან ამოკითხავ აზრს ლექსის ტექნიკურა მხარის თითქმის რაღაც უსაზღვრო სრულ-



ყოველი დესტრუქციული ლექსი ვერლიბრი
როლია!

ვინც სხვაგვარად ფიქრობს, მას უნდა გვახს-
ნენო ოინი, ჩხირკედელა ბიქუნას რომ დაემარ-
თა: დაშლით მშვენივრად დაშალა პატეფონი,
აწყობისას კი... ნაწილები მორჩა! ზოგიერთი
ჩვენი პოეტიც ასეა: დაშლით მშვენივრად და-
შალეს კლასიკური ლექსი, „აწყობისას“ კი მე-
ტრისმეტად ბევრი „ნაწილი მორჩათ“ — რით-
მა, რიტმი, მეტაფორა, შედარება, ალიტერა-
ცია და ა. შ.

და გვრჩება ბოლოს ხელთ მულტიფონების
ლიბრეტოები, რომელთაც, ნაცვლად პროზისა,
რატომღაც ზეკუდავენ პოეზიის რუბრიკის ქვეშ,
და პონორარისც, პროზის მაგივრად, პოეზიის
ტარიღით უხდიან — ავიწყლებათ, რომ ესეც
სახელმწიფო ქონების დატაცების ფორმაა!
ყოველი ლექსი, დაშლილი, როგორც სპორ-
ტულ სიარულში მოწაწილე სპორტსმენი —
ფინიშიან, ვერლიბრი არაა!

„მე ვერ ვპოულობ, და მხოლოდ ამის შემ-
დეგ — ვეძებ“.

პიკასოს ეს გამონათქვამი ხალსი სიბრძნეა
და არა თავმოსაწონებელი პარადოქსი. იგი
გულსხმობს, რომ ყოველ ნამდვილ ხელოვანს
უკვე აქვს „ნაპოენი“ — რაღაც (გამოცდილება
საკუთარი. გამოცდილება სხვისი, ტექნიკა.
კონკრეტული მხატვრული მიგნებანი...), და ამ
„ნაპოენით“ დაუწყაყოფილებლობა უბიძგებს
ძიებისაკენ. რა იქნებოდა იგივე პიკასო, მას
რომ ეძებდა მხოლოდ, და ვერაფერი ეპოვნა.
შორს წუ მივიღივართ: რა იქნებოდნენ ჩვენი
გუდიანშეილი, კაკაბაძე, ზურაბ ნიჭარაძე,
მხოლოდ რომ ეძებნათ, და არაფერი ჰქონდეთ
ნაპოენი ეს „ნაპოენი“საკუთარ გამოცდილე-
ბად ქცეული მსოფლიოა, რომელსაც ბედნიე-
რი მხატვრული მიგნებები ემატება. ყოველ
ძიებას მხოლოდ ამის შემდეგაც აქვს მადლო.
ამის მავალითად ახლაგაზრდა მხატვრებთან
იმავე პიკასოს დამოკიდებულებაა კმარა: დი-
დოსტატი ექვის თვალით უყურებდა ყველა

ყოფაზე, იმაზე, რომ დღეს რომელიც ვინდა
შეათეკლასელი „ისეთ ეპითეტებს ჩაახვევს, გა-
ოცებისაგან შეევირებ“, და რომ ლექსის წერა
მეტრისმეტად გაიოლდა — „ყველას შეუძლია“.

გესმის ამგვარი რამ და შენდაუტვბლივით
ვაოგნებულ ხარ: საიდან ჩნდება ეს „ლეგენდ-
ები თანამედროვე სალექსო ტექნიკის „უსაზღ-
ვროდ მაღალ დონეზე“, — წერს კრიტიკო-
სი სველტანა სოლოფენკინა.

ჩემი მხრივ დავსძენ, რომ მსგავსი ლეგენ-
დებს თხზავენ საქმეში ჩაუხედავი ლიტერა-
ტორები, ისინი, ვისაც არ ძალუძს ერთმანეთი-
საგან განსახვავის ერთის მხრივ ოსტატობა და,
მეორეს მხრივ, გრაფომანთა ვერსიტიდაციული
მინჭვა-გრეხა.

ი ახალბედას „ნოვატორობას“, ვისაც არ
შეეძლო კლასიკური ტოლოების სრულყოფი-
ლი ასლი გადმოეღო — შესაფერისად ვერ-
ფლობდა ხაზს, შუქისა და ჩრდილის ხელო-
ვნებას, პერსპექტივას, სივრცეს...

ეს საესებით ეხება პოეზიასაც!
და თუ მე ჭერ კიდევ ვითვლები ნორმალურ
ადამიანად, მხოლოდ იმიტომ, რომ ეს არ მიე-
ვირს!..



„უდნაურია ტ. კანტურიას აზრი, თითქოს
არაიან „იოლად გახაკრიტიკებელი“ და „ძენ-
ლად გახაკრიტიკებელი“ ავტორები“...

გ. პეტრიაშვილის ამ განცხადებას თვითონ
პეტრიაშვილმა გასცა პასუხი: ამ ტოცა ხნის
წინათ, მწერალთა კავშირში, იგი გამოვიდა
ერთ-ერთ სხდომაზე და, საესებით სამართლიან-
ნად, მოიჯხოვა იმ ადამიანების სია, ვისი
გაკრიტიკებაც შეიძლება! ე. ი. თვითონ გ. პეტ-
რიაშვილის აზრით, არსებულან „იოლად“ და
„ძენლად“ გახაკრიტიკებელი მწერლები.

მაგრამ გ. პეტრიაშვილისათვის სულ ერთია,
უნდა ასე იტყვის, უნდა ისე. ასეც წერს:

„განა სულ ერთი არაა? გინდ პირიქით,
გინდ პირაკეთი“. არადა, ამაში ნამდვილად არის
განსხვავება. სულ ერთი როდია, პირი აღრი-
კისკენ გექნებათ თუ საქართველოსკენ! ს-
ქართველოს რომ ზურგი შეაქციოს კაცმა, პი-
რიქით იქნება; თუ საქართველოს შესციცინებს
თვალეზბი — პირაკეთი! რა მინდა მე, ბოლოს
და ბოლოს? კიდევ ერთი რამ: აღარასდროს
ავვერიოს ერთმანეთში პირიქით და პირაკეთი!

რეცენზენტი ვალსაც მადებს. მოვეუსმინოთ:
„ტ. კანტურიას არ უცლია იგივე გავგუკორის
ჩემს მიერ ცირტირებულ სტრიქონების ანალი-
ზი გაეკეთებინა და ეჩვენებინა, რომ ისინი
არაა სუსტი“, — წერს პეტრიაშვილი. ჭერ
ერთი, მე წერილი მართო გ. პეტრიაშვილის-
თვის არ დამიწერია, მკითხველთა კარგა მოზრ-
დილი ნაწილი კი კარგად არჩევს აესა და
კარგს. მეორეც, როგორც მეჩვენებინა? თვი-
თონ ვერ მიხვდა! მე ვუთხარი! არ კმარა?
კარგიო, ახლა ვეტყვი, ოღონდ უნდა დავს-
ძინო, რომ დარწმუნებული არა ვარ წარმა-
ტებაში.

...სული, გამოკეტილი ვით აგარაკი...“ კარ-
გია. ეს შედარება გულსხმობს იმედს, რომ
როგორც ზამთრის გრძელ დამეგბში გამოკეტი-
ლი აგარაკი ელოდება მიჩვეული ნაბიჯების
ხმას, და როგორც უკაცურობისაგან მოძალე-
ბული კონინდარი დაიბეკნება ერთხელ, ისე
სული ერთხელ იქნება და შეხვდება თანა-

ბანიელ პანტუჩიძე

„არ შეამოკლოს ძარბული...“

ზიარს. ეს შედარება გულისხმობს აგრეთვე სლოვანს წარსულისას, და კიდევ ბევრ რამეს, რის ახსნაც განათლებულ აღმზიანებს არ უნდა გვეკრებოდეს. გ. პეტრიაშვილს სურდა, თა-ვის წერილში უსათუოდ გაეკილა გივი გვაგუ-კობი, და აი, სიჩქარეში დაუშვა შეცდომა: ცუდი მაგალითის იარაღით მოიტანა ლამაზი შედარება. რატომ მოსდის გ. პეტრიაშვილს ამგვარი შეცდომები? ჩქარობს! აი, ამაზე და-ვეუწერე, ჩქარობს-მეთქი! და იმის მაგიერ, რომ შენიშვნას ჩავვირგებოდა, ისევ იჩქარა — გამოაქვეყნა აბნეული წერილი, იმის იმე-ლით, რომ გაუყუჩდებოდნენ.

თუ არა სიჩქარეს, რას უნდა მივაწეროთ ევ-ზალტაიის პეტრიაშვილისეული განმარტება: „...გრძნობით ლაპარაკს, როდესაც სიტყვე-ბის იქით ნამდვილი გრძნობა არ ჩანს, ეგზალ-ტაცია ჰქვია“.

დღემდე კაცობრიობამ იცოდა, რომ ეგზალ-ტაცია მოჭარბებული გრძნობებია. ახლა მას ეუბნებიან, რომ ეგზალტაცია არის მდგომარეობა, როდესაც „გრძნობა არ ჩანს“, არც მოჭარბებული და არც სიკმარისი! დაასრულა თუ არა ეს თავისი აღმოჩენა, გ. პეტრიაშვილი გამარჯვებული დასკვნის: „ტ. კანტურამ და-უშვა ელემენტარული ლოგიკური შეცდომა“.

რა შეიძლება ითქვას ყოველივე ამაზე? მხოლოდ ერთი რამ: გ. პეტრიაშვილს ხშირად უჩნდება „კეთილი აზრები“, მაგრამ სიტყვებ-ით მათი გადმოცემისას ასევე ხშირად „მო-იღება ბუდობიანება“, ვერ ახერხებს ამ „კე-თილი აზრების“ გადმოცემას. არადა, მწერლო-ბა სწორედ ამის მოხერხებაა.

გ. პეტრიაშვილი ეგზალტაციის ახლებური განმარტებით როდი დაკმაყოფილდა. იგი გა-ნაკრძობს:

„არა აქვს მნიშვნელობა იმას, ვის უფრო კარგად ესმის სიტყვა „ეგზალტირებული“; მთავარია, რომ ჩვენთვის ეს სიტყვა სხვადა-სხვა შინაარსის შემცველია“. რა კარგია, არა? მნიშვნელობა არა აქვს, ვის უკეთ ვცემის ესა თუ ის საკითხი! მთავარია მოვახერხოთ და ისე არ ვკვსოდენ, როგორც სხვებს ესმით! ეს მთელი ფილოსოფია! სწორედ ევ იწვევს ორიგინალიზმისას, როცა შუა თბილისში ხა-წყალ ფარშავანებს დაუმსახურებლად აგლუ-ჯენ ბოლოებს, და ავიწყლებათ, რომ ლიანდ-გიდან გადავარდნილი ვაგონი ტექნიკის უკა-ნასკნელი სიტყვა არაა, და არც სახელში უნ-და გავეუყაროთ ფეხი იმის იმედით, ვინმეს მოღაზე ჩაეძული ვეგონებო. რომელი ჩვენ-განი არ აპყლოა ცთუნებას და ეს არ გაუყ-

აღბათ ყოველგვარ ეგზალტაციაზე, ოცნე-ბაზე, ღმილზე უარის თქმა იწვევს იმას, რომ ზოგი ლექსი შობილია ოდენ გონებიდან, რო-გორც ათინა — ზეცისი თავიდან.

რია ზოგჯერ ფეხი სახელოში, მაგრამ სწორ-ულში დაამბიანები მარტო ამის იმედით არ უნ-და იყონ!

გ. პეტრიაშვილს ცოტა დაგვიანებით, მაგ-რამ მაინც უცდია, ჩემი მოთხოვნის პასუხად, გაერკვია, რატომ არის კარგი „მეორეხაზო, სუ-ლი მეცხება თოვლით“, და რატომ არ ვარჯა „სულში მეღვრება როინის ვლვა“.

მომყავს მისი დასკვნა: „იმითმანა პირველი სახე მეორეზე უკე-თესი, რომ ის პირველადან ნათქვამი და მე-ორე კი მისი ვამეორებთ ცდია მხოლოდ, მაგრამ ეს თავისთავად ცხადია და არ ღირს ამაზე ლაპარაკი“.

წარმოადგინეთ, რომ ღირს. პოეზიაში თა-ვისთავად ცხადი არაფერი არაა. პოეზიაში ყოველი ამერიკა თვითონ უნდა აღმოაჩინო. აი, მაგალითად, პეტრიაშვილი ფიქრობს, რომ ერ-თი სახე მხოლოდ იმითმან შეიძლება გომდეს მეორეს, რომ ის პირველადან ნათქვამი. მე კი დავასახელებ მაგალითებს, როცა პრიორიტეტი არაფერს ამტკიცებს.

„სჯობს, სულ არ ყავდეს მიჯნური, ან მოკ-ლას ამისთანამან“.

ეს ბესიკია.

„სჯობს, რომ არ გქონდეს მსულაც სამშობლო, ანდა არ იყოხ ასე ლამაზი“.

ეს ტიციან ტაბიძეა.

„სხვა რომ მოყვდება, მისთვის რა არი,

წავა, გაქრება, როგორც სიზმარი.

მე კი რა ვუყო ამ გოლიათ მთებს,

რომ ქონდრის კაცსაც დევად აგანთებს“.

ეს ტიციან ტაბიძეა.

„არ ჩაყოლია ჯაგრად მშვენება

ლურჯი ველები, ლურჯი ქედები.

მე კი, მე მაშინ რა მეშველება,

ორივე თვალში რომ ვისებები“.

ეს ირაკლი აბაშიძეა.

„როცა ახლოა მზე შემოდგომის“.

ეს გალკტიონია.

„როდესაც ხე ახლოა ვრემი“.

ეს ოთარ ქილაძეა.

„სულა იხე იყო ჩუმი და წყნარი,

რომ აღარც მახსოვს, იყო თუ არა“.

ეს ტიციანია

„ცა არი და არც არი, —

ისეთია ცა“.

ეს გივი ძნელაძეა.

ის, რაც პირველად სწერია აქ, პირველი

იყო, მაგრამ ვინ დაამტკიცებს, თითქოს ეს

„მეორე“ ასევე მაღალი პოეზია არ იყოს!

გამოდის, რომ პირველ-მეორეობით არა-

ფეტი მტკიცდება. აქ სხვა რალაციაა საქმე,

და სწორედ ის „სხვა რალაცია“ ცოდნაა სა-

ჭირო, თუ შენს მისიას მაინცა და მაინც იმაში

ხელად, რომ ხალხი გაანათლო.

მინდა მუბაღე ვიყო და ხელში რეზინის

მილი მეპროსო. ამაში მართლაც არის კეთილი აზრი, მაგრამ კეთილი აზრი და პოეზია იდენტური ცნებები ზოლია!

ასევე, კეთილი სურვილები არ კმარა საიმისოდ, რომ 44 პოეტს ლექცია უქიობო და ქვეა ასწავლო.

— უყურე, შენ, ვინ ყოფილა ეს გურამ პეტრიაშვილი... — რიტორიკულად შესძახებს წერილის ავტორი, და უნებლიეთ გიციის 24 ლექსის ავტორისაგან საკუთარი სახელისა და გვარისადმი ეს ნარცისული მილიციება.

მოკარბებული ამბიციების სხვა მავალით:

„მე მინდა ვთხოვო ტ. ქანტუიას, რომ მან ურჩიოს ამ ავტორებს...“

გ. პეტრიაშვილი თავის როგორც პირველ, ასე მეორე წერილში ხშირად იძლევა დაჯილბებსა და რჩევებს. ასე გვონია, ლიტერატურიდან კარგად ცნობილ „იმერლის ბიჭს“ ელაპარაკებაო. რაკი ასეა, მეც მიეცემ გ. პეტრიაშვილს ერთ რჩევას: თუკი ამ წერილების ცალკე წიგნად გამოცემას აპირებს, ადგეს და ლექსებად დატეხოს ისინი — ამ წერილებიდან, გარწმუნებთ, ბევრი მოდური ლექსი გამოვა. მათთვის, ვისაც ჩემს ამ მოსაზრებაში ეჭვი შეეპარება, მე შემქმლო საგანგებოდ ამომეწერა ერთი ავტორის ერთი ლექსი და ერთიც — ნაწყვეტი მისივე სტატიიდან. მაგრამ ეს ჩემს რეცენზენტსაც შეუძლია და ამიტომ თავს შეეკავებ ამ უსიამოვნო ნაბიჯისაგან.

მომწონს-მეთქი! დიხ, მეც მიტყვამს ზოგჯერ ტყუილი კეთილი განზარხვით (მარტო

გ. პეტრიაშვილს ხომ არ მოსდის თავში „კეთილი აზრი“).

ამასთან დაკავშირებით ყველას, ვისაც თილი განზარხვით ნათქვამი ტყუილის მექანიზმი აინტერესებს, მოვავაგონებ სოკრატეს ცნობილ სიტყვებს:

„დავუშვათ, სტრატეგოსმა, რომელმაც თავისი მხედრობა სულით დაცემული იხილა, ამის გამო ტყუილი თქვა: მოკავშირენი გვიახლოვდებიანო და ამ ტყუილით ჯარისკაცებს მხნობა დაუბრუნა, სად მოვათავსოთ მისი სიცრუე? — ჩემი აზრით, სამართლიანობასთან.

— თუ კაცმა თავის შვილს, რომელსაც წამლობა სჭირდება, მაგრამ წამლის მიღება არ სურს, ეს წამალი საკმეღლეით შეაპარა და ამგვარი ტყუილით პირმშოს განმრთულობა აღუდგინა, ეს ტყუილი სადღა მოვათავსოთ?

— ჩემი აზრით, ესეც იქვე უნდა მოთავსდეს“.

დასასრულ, კიდევ ერთი რამ. აღამიანები აღამიანებს ზოგჯერ რაღაც საქმისთვის წააქეზებენ ხოლმე. წააქეზაო მაშინ ეიტყვიო, სიძულელიის გამო თუ მოხდა ეს! თუ სიყვარულის გამო იყო, შეავუღიანაო, იტყვიან!

თინათინმაც ასე შეავუღიანა ავთანდილი ტარიელის საქმეზელად! მაგრამ, ეტყობა, მარტო შევუღიანებთ ვერას გახდება კაცი:

ტარიელი რომ იბოვო, ავთანდილი უნდა იყო! სამწუხაროდ, ყოველთვის იოლი ვასარჩევი როდია, წააქეზეს თუ შეავუღიანეს კაცი: სიძულელიო ხშირად გამოდის სიყვარულის ნიღბით!

მინდა მკეროდეს, რომ ხდება პირიქითაც!



რეზიუმე

„მითოლოგიური ლექსიკონი“

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ლიტერატურა და ხელოვნება მითოლოგიის წიაღში ჩაიხსახა. ლმერობისა და გმირებზე თქმულებების შექმნა იყო პირველი ნაბიჯი სიტყვიერი შემოქმედების გრძელ გზაზე. ეს გზა უნდა გაიაროს ლიტერატურით დაინტერესებულმა ყველა ადამიანმა, თუკი სურს, რომ მისთვის გასაგებში და ნათელი იყოს ის პროცესები, რაც თუნდაც თანამედროვე ლიტერატურაში ხდება.

მსოფლიო ლიტერატურა და ხელოვნება განსაკუთრებით ბერძნული მითოლოგიისაგან არის დავალებული. ეს მისი სიძველით არ ყოფილა გამოწვეული: შემერთა, ხურითა და ძველ ეგვიპტელთა მითოლოგია გაცილებით ძველი იყო. მაგრამ ბერძნული მითოლოგია გახდა საფუძველი და მასაზრდოებელი წყარო ახალი ევროპის სიტყვიერი თუ სახითი ხელოვნებისა. ამიტომ ეწაფებოდა დიდი წყურვილითა და გატაცებით კლასიკურ ლიტერატურასა და ხელოვნებას საუკუნეების განმავლობაში მსოფლიოს კულტურული თუ კულტურის ზიარებას მოწადინებელი კაცობრიობა. ამიტომ ანიკებდნენ მას ესოდენ დიდ და განსაკუთრებულ მნიშვნელობას უდიდესი ადამიანები. „Как рву я на себе волосы часто, что у меня нет классического образования!“ — ამბობდა პუშკინი. დასარწმუნებლად, თუ რა ზედმიწევნით იცნობდა რუსული პოეზიის მეფე კლასიკურ სამყაროს მისი თხზულებების თვალის ერთი გადავლევაც საქმარისია. სულ სხვა პქონდა პუშკინს მხედველობაში ამას რომ ამბობდა: მან ლიცეუმში დაამთავრა, მაშინ როცა არსებობდა მეორენაირი სასწავლებელიც, სადაც ძველ ბერძნულ და ლათინურ ენებს ასწავლიდნენ. პუშკინს სწორედ ასეთი განათლება პქონდა მხედველობაში. გული წყდებოდა, რომ ორიგინალში არ შეეძლო გაცნობოდა კლასიკური ლიტერატურის შედევრებს. ორიგინალში

რომ გაცნობოდა „ილიადასა“ და „ოდისეას“, როგორც ცნობილია, ლევ ტოლსტოიმ სამოცდაცამეტი წლის ასაკში დაიწყო ძველი ბერძნული ენის შესწავლა და ისწავლა კიდევ.

ანტიკურობის ხელახალი აღმოჩენით დაიწყო ლიტერატურისა და ხელოვნების აღორძინება ევროპაში. მოწაფეობა არ იქმარა ევროპამ და თავისი დიდი მასწავლებლისაგან „წარმოების იარაღებისა“ და „წარმოების საშუალებათა“ სესხება-ნათხოვრობაც დაიწყო. ერთ-ერთი უმთავრესი სავანი მოთხოვნილებისა მითოლოგია იყო და იმდენად ხშირია ბერძნულ-რომაული მითოლოგიიდან აღებული სიუჟეტები და სახეები ევროპის ლიტერატურასა თუ ხელოვნებაში, რომ ყოვლად შეუძლებელია ამ ნაწარმოებთა გაგება და შეფასება მითოლოგიის საფუძველიანი ცოდნის გარეშე.

ერმიტაჟის საგამოფენო დარბაზებში დღეს ბერძნული და რომაული მითოლოგიის სიუჟეტებსა თუ პერსონაჟებზე შექმნილი ხელოვნების სამასამდე ნიმუშია გამოფენილი და, რა თქმა უნდა, შეუძლებელია მათი გაგება (უარეს შემთხვევაში) თუნდაც რაიმე მითოლოგიური ცნობარის გარეშე. ფაქტები ქართულ სინამდვილეშიც საკმაო მოიხებნება: ძველს რომ თავი დაეანებოთ (გრაფონების, სფინქსების და სხვ. ბარელიეფები არქიტექტურული ძეგლების კედლებზე) თანამედროვე ქართულ ქანდაკებაში იჩინა თავი ბერძნულმა მითოლოგიამ: მერაბ ბერძენიშვილის მუზა, ფილარმონის წინ, მედეა — ბიჭვინთაში და სხვ. ლიტერატურაში: (თუმცა ბერძნულში დაკავშირებით ეს ნაწილობრივ ითქმის) ნოდარ ფულებისკირის ძალიან საინტერესო რომანი „თუთარჩელა“. ერთი ასეთი საინტერესო მაგალითის მოყვანაც შეიძლება: გამოშკეპლობა „საბჭოთა საქართველოს“ მიერ სასაბჭოთო სერით გამოცემულ გალაცტიონ ტაბიძის რჩეული ლირიკის პირველ მომ-



ერო ტომში შესულ ლექსებში სამოციმდე მითოლოგიური სახელია. თითოეული ეს სახელი ხანდახან თელ სტროფებს ცვლის ისეთი პოეტური დატირთვა აქვს და წარმოივლდინათ ახალგაზრდა, რომელიც პირველად ეცნობა ვალაკტიონის პოეზიას მითოლოგიური ცნობარის ან ლექსიკონის გარეშე. მით უმეტეს, რომ განსწავლავ პროგრამების გადატვირთულობის გამო ბერძნულ-რომაული მითოლოგიის სპეციალური სწავლება სკოლებში ვერ ხერხდება, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ძველი მსოფლიოს ისტორიის სახელმძღვანელოში შეტანილი ორიოდე მითს, რაც ზღვაში წვეთად კი ვერ ჩაითვლება. ქართულ ენაზე დღემდე გამოხული მითების სამოთხე კრებული; ალ. მიქაბერიძის (რომელიც, სხვათა შორის, კლასიკური ფილოლოგიის სპეციალისტი არ ყოფილა, მაგრამ კარგად ესმოდა ბერძნული სიტყვიერებას უდიდესი აღმზრდელთაგანი მნიშვნელობა) „ელნიური მითები“, „ოდისეა“, „ტროადის ომი“ და კუნის „ძველი საბერძნეთის ლეგენდები და მითები“ (რუსულიდან ნათარგმნი) დიდი ხანია, რაც ბიბლიოგრაფიულ იმპიათობად იქცა. დიას, წარმოვიდგინოთ ასეთი ახალგაზრდა. იგი ვალაკტიონის მრავალ ლექსში, უკეთეს შემთხვევაში, რიტმსა და მუსიკალურ მხარეს თუ იგრძნობს მხოლოდ, შინაისი კი მიუწვდომელი დარჩება მისთვის. დღემდე ქართულ ენაზე არა გვქონია ისეთი ცნობარიც კი, რომელიც დაეხმარებოდა ახალგაზრდას იმგვარი ნაწარმოების გაგებაში, სადაც მითოლოგიური სახეები თუ სიუჟეტები იქნებოდა გამოყენებული. დიდი მამულიშვილური საქმე გააკეთა გამოცემილობა „განათლება“ ახალგაზრდა სპეციალისტის ნოდარ ვაფრინაშვილის მიერ შედგენილი „მითოლოგიური ლექსიკონის“ გამოცემით.¹

ლექსიკონი ბერძნულ-რომაულ მითოლოგიას მოიცავს მხოლოდ და ამან შეიძლება ბევრს გულის დასწყვიტოს, რადგან ნათქვამია: მადა ქვაში მოდისო, მაგრამ ამ სახით გამოცემა ლექსიკონისა სასეხებით მიზანშეწონილია ჯერ ერთი იმიტომ, რომ ბერძნულ-რომაული მითოლოგია განცალკევებით დღას, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სხვა ხალხების მითებს შორის და ყველაზე საშური საქმე იყო მისი გამოცემა. რაც მთავარია, „მითოლოგიური ლექსიკონი“ ქართულად ისეთი მერცხლის ჭიკჭიკია, რომელიც აუცილებლად მოიყვანს გაზაფხულს.

ლექსიკოგრაფიაში დამკვიდრებულ წესის თანახმად, „მითოლოგიური ლექსიკონი“ ანბანის რიგზეა გაწყობილი. მასში შეტანილი მითები შემოკლებულია და ზოგიერთი მითის

მრავალ ვარიანტთან მხოლოდ საუკეთესო შერჩეული და წარმოდგენილი, რაც სასეხებით მიზანშეწონილია ისეთი გამოცემისათვის, რასაც გორც „მითოლოგიური ლექსიკონი“. თუკი ვინმე დაინტერესდება და მოისურვებს ამა თუ იმ მითის სრული სახით ან სხვადასხვა ვარიანტის გაეცნობას, შეუძლია ისარგებლოს „ლექსიკონის“ ბოლოში დართული ლიტერატურის სიით, სადაც სპეციალურ ლიტერატურასთან ერთად ჩამოთვლილია მითოლოგიური კრებულები, ქართულ და რუსულ ენებზე გამოცემული.

განსაძარტავ ერთეულთა დიდ უმეტესობასთან ახლავს შესაბამისი ბერძნული ან ლათინური ტრანსკრიპცია, რაც კიდევ უფრო სოლიდურ იერს ანიჭებს ამ გამოცემას.

„მითოლოგიური ლექსიკონის“ ერთ-ერთ უმთავრეს ღირსებად მიმაჩნია ის ფაქტი, რომ ყოველი მითისა თუ მითოლოგიური სახელის განმარტებას ბოლოში ახლავს ცნობა ხელის შესახებ, თუ რომელმა მწერალმა ან ბილოგანმა გამოიყენა ეს მითი თუ პერსონაჟი და რომელ ნაწარმოებში. ასეთი ცნობები, ჯერ ერთი, თავისთავად არის საინტერესო; მეორე და მთავარი მიანიც ისაა, რომ ეს წიგნი ახალგაზრდობისთვისაა განკუთვნილი და ასეთი ცნობები უცილობლად აღძრავს ინტერესსა და სურველს ხელოვნებისა თუ ლიტერატურის ამა თუ იმ ნაწარმოებისადმი. ავც რომ ეს პატარა და ერთი შეხედვით უმნიშვნელო ცნობები უადრეს შემეცნებთ მნიშვნელობას ანიჭებენ „მითოლოგიურ ლექსიკონს“.

„ლექსიკონს“ ღირსებას მატებს ისიც, რომ განსაძარტავ ერთეულს ხშირად ბერძნულ ან რომაულ ტრანსკრიპციასთან ერთად ახლავს სიტყვის ეტიმოლოგიაც. მაგ., „აიტიკი, ბერძნ. (Αἰτή, ἴσ. ἰ) „მოკვდავთმანათობელი“. ვირგო, ლათ. (Virgo, inis) ქართულად ქალიშვილს ნიშნავს“ და სხვ.

„მითოლოგიური ლექსიკონი“ პირველად გამოდის ქართულად და, როგორც თავად ავტორი აღნიშნავს წინასიტყვაობაში, ბუნებრივია, იგი დაზღვეული ვერ იქნება შეცდომა-ნაკლებანებათაგან. წიგნის გაეცნობისას მეც გამიჩნდა რამდენიმე შენიშვნა, რომელთა ნაწილი უფრო სურველს წარმოადგენს, „ლექსიკონის“ შემდეგ გამოცემაში გასათვალისწინებელს, ნაწილი კი აზრობრივს თუ სტილისტურ შეცდომებს ეხება.

ამაჟინები, ბერძნ. (Ἀμαζόνες, αι) მითოური მებრძოლი ქალები... ამაჟინებს ქართულ ლიტერატურაში ამორქალებს უწოდებენ. ნ. ვაფრინაშვილი წიგნის წინასიტყვაობაში წერს: „მიგვაჩნია, რომ ძველ საბერძნეთსა და ძველ რომში შექმნილი სახელები ისევე უნდა

¹ მითოლოგიური ლექსიკონი, შეადგინა ნოდარ ვაფრინაშვილმა, რედაქტორი აკაკი ურუშაძე, გამოც. „განათლება“, თბ., 1972.

ომარ გოგინაიშვილი
„მითოლოგიური ლექსიკონი“

გამოითქმებოდეს ახლაც, როგორც მაშინდელი ბერძნები და რომაელები გამოთქვამდნენ. ვცლი-ლობდით ეს გაგვეხად ჩვენს პრინციპად თვითოველი სახელის გადმოცემისას“ (გვ. 7). ჩემის აზრით, ეს საესებით მისაღები პრინციპია, ოღონდ ისიც უნდა ითქვას, რომ დღეს ცოტა ძნელი წარმოსადგენია კია, როგორ გამოთქვამდნენ ძველს საბერძნეთსა და რომში ამა თუ იმ სახელს. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ბევრმა მითოლოგიურმა სახელმა ცვლილება განიცადა ან სრულიად სხვა სახით გადავიდა ახალ ენებში, მათი ბუნების შესაბამისად. ასეთ შემთხვევებს ქართულშიც ჰქონდა ადგილი. ზემოთ მოტანილი პატარა ამონაწერი იმის მაგალითად მოვიყვანე, თუ როგორ უნდა იყოს წარმოდგენილი ლექსიკონში ისეთი სახელები, რომელთა ქართული შესატყვისები ჩვენს ლიტერატურულ ტრადიციას განსხვავებულად აქვს წარმოდგენილი. სასურველი იყო, რომ ავტორი სხვა შემთხვევებშიც ასე მოქცეულიყო. მაგ., გრიფები, ბერძნ. (Γριφ-დან)

ლომისტანიანი და არწივისტანიანი ურჩხულები. აქვე სასურველი იქნებოდა იმის აღნიშვნაც, რომ თანამედროვე ქართულ სპეციალურ ლიტერატურაში გრიფი „გრიფონად“ გადმოიქცეა, ხოლო ძველს მწერლობაში და ზღაპრებში მას „ფსაკუნჯი“ ეწოდება; იხ. საბა: ფსაკუნჯი — ... ტანითა მსგავსი ლომისა, თავი, ნიკარტი, ფრთე და ფერხი მსგავსი არწივისა, ნაკრტენმარავალი... მით უმეტეს, რომ ქართული კლასიკური აბქიტექტურის ძეგლთა დეკორებში ძალზე ხშირად გამოიყენება გრიფონ-ფსაკუნჯთა გამოსახულებანი. აედონი, ბერძნ. (Ἄηθων-ovos, ὀ — ბულბული)... აქვე სასურველი იყო იმის აღნიშვნა, რომ აედონი ქართული იადონია და ა. შ.

ზოგიერთ ბერძნულ მითს ქართულ ფოლკლორსა თუ მწერლობაში პარალელები მოეპოვება, ხოლო ზოგ მითოლოგიურ პერსონაჟს შეხების წერტილები აქვს ქართულ სინამდვილესთან. ასეთი მითების ან სახელების განმარტებისას სასურველი იყო ზემოთქმულის გათვალისწინება. მაგ. „ლეანდროსი, ბერძნ. (Λεανδριος, ὀ) აბიდოსელი ყმაწვილი. მას შტუყვარდა აფროდიტეს ქურუმი — ჰერო. ჰეროს სრუტის მეორე მხარეს ცხოვრობდა და მასთან შესახვედრად ვაჟი ყოველ ღამეს გადასცურავდა ხოლმე ზღვას. შეყვარებულის დასახმარებლად ჰერო კოშკზე შექნიშანს ანთებდა. ერთ ღამეს ჰარმა სინათლე ჩააქრო, ლეანდროსს მისამართი აერია და ზღვაში ჩაიღრჩო...“ აქვე საკირო იყო პარალელის გავლება ბრწყინვალე ქართულ პოეტურ ლეგენდასთან თავფარავნელი ვახუშტის შესახებ. ასევე დიოსკურებთან დაკავშირებით კარგი იქნებოდა იმის აღნიშვნაც, რომ ამ ძმებს მიეწერება სოხუმის ყურეში ჩაძირული უძველესი ანტიკური ქალაქის, დიოსკურიის დაარსება.

დაზუსტება საკირდება „ლექსიკონში“ მოცე-

მულ ზოგიერთ განმარტებას. მაგ. **ინიტიაციები** (Initiata-დან) „ძველი ბერძნებისა და რომაელების ჩვეულება. მიიხსნაძველი სასულიერო ღამით ტაძარში დარჩებოდნენ, ნახავდნენ რამე სიზმარს, რომლითაც გაიგებდნენ მომავალს. ავადმყოფები თითქმის ასე გებულობდნენ. განკურნების საშუალებებს. მცდარი განმარტებაა. ამ ტერმინში (Initiatio) იგულისხმება რიტუალთა მთელი კომპლექსი, რომელიც უნდა გაეგელო ახალბედსა, რათა რელიგიურ საიდუმლოებებს ზიარებოდა. ეს იგივეა, რაც მისტერიებში ზიარება. („ლექსიკონში“ ეს მნიშვნელოვანი ტერმინი რატომაც გამოტოვებულია). ასევე დასაზუსტებელია „ლექსიკონში“ ფეტიშიზმის, ანიმიზმისა და ტოტემიზმის განმარტებანი. საერთოდ კი, ზედმეტად მიმაჩნია ამგვარი ხასიათის ტერმინების შეტანა „მითოლოგიურ ლექსიკონში“, ჯერ ერთი მიზეზით, რომ ისინი უფრო ფილოსოფიური ტერმინებია: ამას გარდა, იმ უბრალო მიზეზის გამოც, რომ პირველყოფილი აზროვნების თითქმის ყველა გამოჩენილ მკვლევარს ამ ტერმინების აზრი სხვადასხვანაირად ემსობა. ასევე ზედმეტად მიმაჩნია აბორიგენების, ნოესა და ნოეს კიდობნის განმარტება. მითუმეტეს, რომ ბერძნულ მითოლოგიაში ბიბლიური ნოეს ორეულად დევკალიონი არსებობს და მოტანილია კიდევ „ლექსიკონში“. ნოესა და ნოეს კიდობნის მოხსენება ორიოდ სიტყვით შეიძლება დევკალიონთან.

„ლექსიკონში“ შეტანილი არაა ზოგიერთი ისეთი მითოლოგიური სახელისა და დღესასწაულის განმარტება, ეს კი უთუოდ გაზრდიდა მის ღირსებას და მნიშვნელობას. მაგ., წიგნის მე-18 გვერდზე ვკითხულობთ: „მინა (ათენამ) შეუქმნა ადამიანებს კანონები და დაუწესა არეობაჲ“. — „ლექსიკონში“ არეობაჲ განმარტებული არაა. ეს იყო ათენის უძველესი, სახელგანთქმული სასამართლო და ამავე დროს პოლიტიკურად უფლებამოსილი სახელმწიფო სამეცო, რომელმაც თაფისი სახელწოდება არესის გორაკიდან მიიღო, სადაც სხდომებს მართავდნენ ხოლმე. მართალია, არეობაჲ მითოლოგიური კი არა, ისტორიული ინსტიტუტია, რომელსაც მართლაც ჰქონდა ადგილი ბერძნულ სინამდვილეში, მაგრამ რადგანაც მისი წარმოშობა მითოლოგიასა და ათენას უკავშირდება, ორიოდ სიტყვით მისი განმარტება „ლექსიკონში“ ზედმეტი არ იქნებოდა.

„ლექსიკონში“ განმარტებულია მეროსი (გმირი, მფლობელი, მმარტებელი)... მაგამ არაფერია ნათქვამი მეროონზე, რომელიც აეროსისადმი მიძღვნილ ტაძარს, მის პატესიაცემად გამართულ დღესასწაულს ან კიდევ მის საფლავს ეწოდებოდა.

„ლექსიკონში“ ვერ ვნახეთ ქირონიც. ბერძნები მას თვლიდნენ ზნეობის პირველ მასწავლებლად, მან აღზარდა აქილეესი და სხვა გმი-



რები: იგი ითვლება ავტორად მრავალი კანონისა და მცნებისა. ქირონს ეკუთვნის ძველს საბერძნეთში ეთიკის საზომად მიღებული სამი მცნება: „პატივი შიამე ზევსსა და დანარჩენ ღმერთებს“, „პატივი ეცი მშობლებს“, „ნუ აწყენინებ უცხოელ სტუმარს“. ასევე დაამშვენებდა „ლექსიკონს“ პითიურ თამაშობათა, ორფიკების, ორფიკული მისტერიების და სხვა მისთანათა განმარტება.

„ლექსიკონში“ შეინიშნება ზოგიერთი აზრობრივი თუ სტილისტური უზუსტობა: „უკვდავებას ლებულობს“ (გვ. 35), „ეს ჩვეულება მიუთითებს რომელ რელიგიაში შემორჩენილ პირველყოფილ ადამიანთა მავიურ ელემენტებზე“ (გვ. 175), „აბოლონისაგან ნაჩუქარი ჯადოსნური სიჩქარის მქონე ცხენის წყალობით“ (გვ. 14, 31), „პომპროსის მიხედვით დემონები თითქოს ნეიტრალურ, თითქოს მტრულ დამოკიდებულებაში არიან ადამიანებთან“ (გვ. 78), „თანამედროვე გაგებით არტემიდე — დიანა ნიშნავს სიქალწულეს“ (გვ. 48).

ქართული ხალხი უძველესი დროიდან იჩენდა დიდ ინტერესს კლასიკური საფაროსადმი.

ქართველი საერო თუ საეკლესიო მოღვაწეები ორიგინალში ეცნობოდნენ ბერძნული და ძველმართლმადიდებელი მწერლობის ნიმუშებს. მაშინვე ჩაგმულა რა საფუძველი ამ ენებიდან თარგმნას, მათთვის, ვისაც ორიგინალისადმი ხელი არ მიუწვდებოდა. ჩვენს დროში ძველი ბერძნული და რომაული საფაროს გაცნობამ ინტენსიური ხასიათი მიიღო. ოღონდ ერთი არანორმალური ტენდენცია შეინიშნებოდა: ლიტერატურულ და ფილოსოფიურ ძეგლთა თარგმანებს მეცნიერული გამოკვლევები სჭარბობდა. ბოლო ათი წელია ეს საქმე შედარებით ნორმალურ კალაპოტში ჩადგა. და ქართველმა მკითხველმა მიიღო ძველი ბერძნული და რომაული მწერლობის ნიმუშთა პ. ბერაძის, ა. ურუშაძის, რ. მიმინოშვილის, ზ. ბრეგვაძის, გ. სარიშვილის, ზ. კიკნაძისა და თ. ჩხენკელისეული თარგმანები.

მიმაჩნია, რომ ნ. გაფრინდაშვილის მიერ შედგენილი „მითოლოგიური ლექსიკონი“ თავისი პრაქტიკული და პედაგოგიურ-შემეცნებითი მნიშვნელობით ღირსეულ ადგილს დაიჭერს ხსენებულ მთარგმნელთა ნაშრომთა გვერდით.



თეოზოგია უანჯიკიძე

წიგნი იობისა

ბიბლიური წიგნების წარმოშობის, მათი შინაარსისა და ისტორიული როლის საკითხის გარკვევა მრავალმხრივ არის საინტერესო. ამ საკითხის სწორი, მეცნიერული გაშუქება საშუალებას გვაძლევს გავიგოთ ძველი აღმოსავლეთისა და მთელი ძველი მსოფლიოს უმნიშვნელოვანესი პრობლემები. მას შეუძლია დაეხმაროს რელიგიის საკითხებითა და ისტორიით დაინტერესებულ ადამიანებს, მათ შორის მორწმუნეებს, გაერკვნენ მსოფლმხედველობის ზოგიერთ მნიშვნელოვან საკითხში, თანამედროვე მეცნიერების შუქზე გაიგონ ბიბლიური ლეგენდების ჭეშმარიტი ღირებულება.

ი. კრიპილიოვი

არც „ძველი“ და არც „ახალი აღთქმის“ არც ერთი წიგნი არ იწვევს ისეთ ინტერესს, იმდენ აზრთა სხვადასხვაობას და კამათს, ბიბლიის არც ერთა სხვა წიგნი არ არის ისე რთული ეგზეგეტიკისათვის, როგორც „საღმრთო წერილის“ ერთ-ერთი წიგნი—იობისა.

ამ წიგნის ირგვლივ უთანხმოება სუფევს თვით თეოლოგთა შორის. ზოგიერთის აზრით, ეს წიგნი სხვა არაფერია, თუ არა დრამა, რომლის გმირები გამოგონებულია; მეორეთა აზრით, აქ ისტორიული ამბები შეხვეებულია მითოლოგიურთან; მესამეთა აზრით, რომელსაც თეოლოგიური ეკლესია იზიარებს, იობის წიგნში აღწერილია ნამდვილი, რეალური ამბები. ამ უკანასკნელი მოსაზრების დასადასტურებლად თეოლოგები იშველებდნენ წინასწარმეტყველ იეზეკიელის სიტყვებს, რომელიც ამბობს: „და უკეთუ იშუნენ სამნი ესე კაცი შორისსა მისსა, ნოე, იობ და დანიელ ივინი სიმართლესა შინა მათსა ცხოვრდნენ, იტყვი აღონი უფალ“¹. ასევე იხსენებენ მოციქულ იაკობს, რომელიც ლაპარაკობს იობის ისტორიულობაზე. აქედან ასკვნიან, რომ ასეთი პიროვნება ნამდვილად არსებობდა და თხზულებაში აღწერილი ამბებიც ნამდვილად მოხდა.

დღეა მიმდინარეობს წიგნის ავტორზეც. ზოგიერთის აზრით, ამ წიგნის ავტორი თვითონ

იობია, სხვათა შეხედულებით—მოსე, ესაია, დავითი, იეზეკიელი, სოლომონი...

დასადგენია თვით ნაწარმოების დაწერის თარიღიც. ზოგიერთი თეოლოგის აზრით, თხზულებაში მოხსენებული საბერძნო (ვარსკვლავთა თაყვანისცემა) მიგვანიშნებს, რომ იობი ცხოვრობდა დიდ ებრაელ კანონმდებელ მოსეზე დიდი ხნით ადრე, კერძოდ, როდის, ამ თარიღზე ვერ თანხმდებიან.

იობის წიგნის ტექსტი დაწერილია ებრაულად, მაგრამ მასში მრავალ ადგილას არის ჩამატებული არაბული გამოთქმები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში აძნელებენ აზრის გაგებას.

ბიბლიის მკვლევართა აზრით, ეს წიგნი არის თავდაპირველი სახით შემორჩენილი და ზოგიერთი თავი შემდეგ არის მიმატებული. ასე, მაგალითად, გვიანდელ დანამატად თვლიან პროლოგს (1—2), ეპილოგს (42, 7—17), იობის სიტყვას (27, 11—28, 28), იელოვას სიტყვის მეორე ნაწილს (40—11—41, 25) და ელივის ვარქილ ვუზიტელის ყველა სიტყვას (32—37). ზოგიერთი ავტორი იმასაც ფიქრობს, რომ წიგნი მთლიანად არის გადამუშავებული...

მოკლედ რომ ვთქვათ, ჯერ კიდევ გადასწავებია იობის წიგნთან დაკავშირებული მრავალი პრობლემა და საკითხი. ბევრი რამ ჯერ კიდევ დადგენას მოითხოვს, მაგრამ ამ პრობ-



ლემებისა და საკითხების გარკვევა არ წარმოადგენს ამ წერილის მიზანს. ჩვენ უფრო წიგნის იდეა და მისი შინაარსი გვიანტერესებს; კერძოდ, რა განსხვავებას ამ წიგნს „საღმრთო წერილის“ ბევრი სხვა წიგნისაგან, რამ განაღდა ეს წიგნი ესოდენ პოპულარული მკითხველებს შორის და რატომ იქცა იგი მრავალი გენიალური ადამიანის ერთ-ერთ უსაყვარლეს ნაწარმოებად.

წიგნი იობისა, უპირველეს ყოვლისა, ჩვენს ყურადღებას იქცევს ღრმა ფილოსოფიური აზრით, მაღალი მხატვრული დონით. წიგნი დიდი პოეტური სიძლიერით ვადმოსცენს ადამიანთა მოდგმის ჩივილს შემქმნელი ღმერთისადმი, რომელმაც ადამიანი ესოდენ უმწეო შექმნა, ხოლო მის დასაღუბლად ამქვეყნად ათასი ხიფათი, ავადმყოფობა, უბედურება და უსამართლობა გაიჩინა. იობის ტანჯვასა და გოდებაში დახატულია მწარე, შეუღამაზებელი ცხოვრებისეული სიმართლე. იობის გოდება კაცობრიობის მოთქმა და გოდებაა ქვეყნად არსებული უსამართლობის, უთანასწორობისა და ჩაგვრის გამო.

რატომაა ამქვეყნად ამდენი უსამართლობა, უბედურება, ჩაგვრა?—კითხულობს იობი, რატომაა, რომ ამქვეყნად იტანჯებიან სრულიად უღანსაულო, უბიწო და უმეიანო ადამიანები. ეს მაშინ, როცა მოძალადენი, არაწმინდანნი, მრუშები, მკვლელები, მძარცველები, მეჭრთამენი და სხვა ცოდვის ჩამდენი ადამიანები ნეტარებენ. რატომ დაშვრის ასე განუკითხავად უფალი ღმერთი ამდენ უსამართლობას მისივე შექმნილ სამყაროში და არაფერს იღონებს ძალადობისა აღმოსაფხვრელად.

მართალია, წიგნში არის ცდა პასუხი გაეცეს ამ კითხვებს, მაგრამ ეს პასუხები იმდენად უსუსურია, იმდენად უმწეოა იობის მოთქმასთან, მის მორალურ სიმართლმისთან, მის გულწრფელ უკმაყოფილებასთან, ღმერთის მიმართ მის სამართლიან საყვედურებთან შედარებით, რომ ამ დიალოგებიდან იობის სრული სიმართლის შთაბეჭდილება რჩება და, მაინც, ტენდენციურობაში რომ არაფერს დაგვდოს ბრალი, გვაძლავს ერთად გადმოვცეთ წიგნის შინაარსი.

იობის ცხოვრების ამბავი

პალესტინის აღმოსავლეთით, უცნაურ მიწაზე, ცხოვრობდა მართლმორწმუნე, ჭეშმარიტი ღმერთის მსახური იობი (ქართულად „დამწუხრებელი“, „დევნილი“) განთქმული აღმოსავლეთის შეიღთა შორის თავისი სიმდიდრით, სათნოებით და უბიწოებით. მის სიმდიდრეს უხადგენდა უამრავი მსახური, შვიდი ათასი ქვავარი, სამი ათასი აქლემი, ხუთასი უღელი ხარი და ხუთასი ვირი. მაგრამ მთავარი სიმდიდრე მაინც მისი შვილები — შვიდი ვაჟიშვილი და სამი ქ-

ლიშვილი იყვნენ. ცხოვრობდა იობი პატოსნად, უმწიველად. ღმერთს თაყვანისცემა არ ავიწყებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ცოდვა არა ვფიქრობდა, ხშირად სწირავდა ღმერთს მსხვერპლად ზვარაკს, იმის შიშით, ვაითუ ჩემმა შვილებმა უნებლიეთ რაიმე დააშავონო. იობის სიწმინდეს თვით ღმერთიც აღაარებდა.

ერთ დღეს, როდესაც ანგელოზები ეახლნენ ღმერთს, მათ შორის ეშმაკიც გამოჩნდა. საიდან მოხვედრე ჰქვითხა მას უფალი. ეშმაკი პასუხობს — მოვიარე ესა და ქვეყანა. მაშინ უფალი ისევ ჰქვითხა — მიაქციე თუ არა ყურადღება მონას ჩემს იობს: „რამეთუ არა არის მსგავსი მისი მყოფთაგან ქუეყანასა ზედა კაცი უბიწო, მართლ, ჭეშმარიტ, ღმერთს მსახურ, განწორებულ ყოვლისაგან ნივთისა ბოროტისა.“ მაშე ეშმაკი პასუხობს — რატომ არ იქნება ღმერთისმოშიში, რატომ უნდა გემსახურებოდეს ცუდად. ტყუილად კი არ არის შენი ერთგული, განა შენ არ აკურთხე ყველა მისი საქმე, მის ფარებს მიწა ძლივს იტევს. აი, შეგებ მის სიმდიდრეს, კეთილდღეობას და მერე ნახე, იქნება თუ არა მაშინ ის შენი ერთგული და ღმერთისმოშიში, როგორც ახლა.

მაშინ ღმერთი ნებას აძლევს ეშმაკს გამოსცადოს იობი. შენ ხელთა ყველაფერი, რაც მის აქვს,—უთხრა ღმერთმა ეშმაკს,—მაგრამ თვით მას ნუ შეგებთ.

აქედან იწყება უბედურებათა გაუთავებელი ჯაჭვი იობისათვის. მან ჯერ ხარებისა და ვირების ჯოგი დაკარგა მწყემსებთან ერთად, მერე ცხვრის ფარა, შემდეგ ქალღვეულებმა მისი აქლემები მოიტაცეს და, ბოლოს, ძლიერმა ქარმა დაანგრია მისი უფროსი ვაჟიშვილის სახლი, სადაც ამ დროს იობის შვილები ნადიმობდნენ ოჯახებთან ერთად და ყველანი დაიღუპნენ. „ესრეთ ესმა იობს აღდგა დაიბო სამოსელი თვისი, და აღიპარსა თმაი თავისა თვისისა, და დაიხსა მიწა თავისა თვისისა და დაგარა ქუეყანასა ზედა თაყვანისცემად უფლისა, და პრქუა: თვით მე შიშუელი გამოვედ მუცილთაგან დედისა ჩემისა, შიშუელიცა განვიდე მუნვე, უფალმან მომცა, უფალმანცა მიმიღო, გითარცა უნდა უფალსა გვრეთოცა იქმნა, იყვენ სახელი უფლისა კურთხეთუ უკუნისამდე.“

მიუხედავად ამდენი უბედურებისა, იობს არ შეუცოდავს არც საქმით, არც სიტყვით, ღმერთის საწინააღმდეგო ერთი სიტყვაც კი არ დასცდენია.

მეორე დიალოგი ღმერთსა და ეშმაკს შორის ამის შემდეგ იმართება. მიაქციე თუ არა ყურადღება ღმერთის მონა იობს?—კვლავ კეთილება ღმერთი მორბივი მოგზაურობიდან დაბრუნე-

თეიმურაზ ფანჯიკიძე
წიგნი იობისა

ბულ ეშმაკს,—მიუხედავად თავზე დამტყდარი ამდენი უბედურებისა, ის მაინც მტკიცედ დგას, ისეთივე მოშიში და ღვთის მადიდებელია, როგორც ადრე. ეს იმიტომ,—პასუხობს ეშმაკი,— რომ შენ მას პირადად არ შეხებხარ, შენ იცი რა ტემპილიცაა სული. შეეხე მის ძვალსა და ხორცს და ნახავ, თუ კიდევ შენი მაკურთხებელი იქნება. ღმერთმა ნება მისცა ეშმაკს გაეცრძელებინა ექსპერიმენტი, შეხებოდა იობის ძვალსა და ხორცს, მხოლოდ სულისათვის ზიანის მიყენება აუკრძალა.

„ხოლო გამოვიდა ეშმაკი პირისაგან უფლისა, და დასცა იობ წყლულებითა ბოროტითა ფერხითგან ვიდრე თავადმდე. მოიღო იობ კეცი რათა იხუტდეს წყლულებითა თვისთა, და დაჯდა სკორეთა ზედა ვარემუ ქალაქსა.“⁵ მასთან მიხედვით ცოლმა გამწარებულმა მიმართა ქმარს — შენი შვილიც აღარ არიან ამქვეყნად, შენ თვითონ მატლებში ზიხარ, რაღას უტყვი, ამავე ღმერთი და მოკვდი, ვინაიდან ასეთ სიცოცხლეს სიყვდილი სჯობია. იობი პასუხობს; შენ ლაპარაკობ როგორც ერთი უგუნური დედაკაცი. განა ჩვენ მხოლოდ კარგი უნდა მივიღოთ ღმერთისაგან და ცუდი არ არა. და არც ამით, როგორც წიგნშია ნათქვამი, არ შეუტოდავს იობს. ამ სიტყვებშიც არ წამოსცდენია ღვთის ძაგება.

იობის უბედურება შეიტყვეს მეგობრებმა და წამოვიდნენ მის სანახავად. ესენი იყვნენ ფემანოელთა მეფე ელიფას, ველადად (ვილდად) სახენელი და მინელი მეფე სოფარ ნაამიტინელი. როცა პირველად შეხედეს იობს, ვერ იცნეს ისე შეცვლილიყო. შემდეგ დაიხიეს ტანსაცმელი, დაიყარეს მტკერი თავზე, დახსდნენ მიწაზე და ისხდნენ 7 დღე და 7 ღამე მღუმარად, რადგან ზედვდნენ იობის დიდ მწუხარებას. მხოლოდ ანდ შემდეგ ვანახუნა იობმა თავისი პირი და მის ბავთრ აღმოხდა ათასი წყევლა: „რათა წარწყმდეს დღე რომელსა შინა ვიშვე; და ღამე იგი რომელსა შინა თქვეს, ამა არს წული. ღამე იგი იყავნ ზედა და რათა არა მოთხოოს იგი უფალმან ზეგარდამით, არცა რათა მოვიდეს მას ზედა ნათუა...“⁷ რატომ არ მოუკვდი მე მუცელში ან რატომ არ დაგიღუპე საშოდან გამოსვლისას? რისთვის მიმიღეს მუხტებმა და რისათვის ვწოვე ძუძუ, მომეკვდარიყავი მამინ. ვიწვებოდი ახლა ჩემთვის წყნარად და მშვიდად მიწაში. რისთვის შთაბერავს ღმერთი სიცოცხლეს ისეთ ადამიანს, ვისაც შემდეგ გზას უხშობს.

ერთი მეგობართაგანი—ელიფას თემანიტელი ეუბნება იობს: შენ მრავალს არიგებდი, უძლურებს ნუგვეს სცემდი და ეხმარებოდი, დაცემულებს ფეხზე აყენებდი, ფეხსუტებს მუხლს უმაგრებდი. მაგრამ როცა შენი ჯერი მოვიდა, შეძრწუნდი და სულით დაეცი.

იობსა და მის მეგობრებს შორის იმართება დიდი კამათი. მეგობრები უმტკიცებენ იობს, რომ მთელი უბედურება, რომელიც დაატყდა, გამოწვეულია მისი, იობის დანაშაულობით, რადგან სხვა შემთხვევაში, როგორ შეიძლება უბიწო ადამიანი ასე დაისჯოს. განა შეიძლება,—ეუბნებიან მეგობრები იობს,—ადამიანი მის შემქმნელ ღმერთთან მართალი იყოს. იგი ხომ თვით თავის მსახურებში, ანგლოზებშიც კი ნახულობს ნაკლოვანებებს. იობი პასუხობს: ვის უნდა დავეყრდნო ასეთ ტანჯვაში, აი თქვენ მოხვედით, ნახეთ საშინელება და შეშინდით; მოთხარით, მასწავლეთ, რა დავაშავე და გავჩუმიდები. შემდეგ იობი უშუალოდ ღმერთს მიმართავს:

სიცოცხლე მომბეზრდა, მარადიულად ხომ არ ვიცოცხლებ, ჩამომხსენი, რამეთუ დღენი ჩემი ამოვება.

რა არის ადამიანი, შენ რომ ასე აფასებ და ყურადღებას აქცევ?

ყოველ დღით რომ მოინახულებ მას, ყოველ წამს რომ სციდი?

როდემდე არ დამტოვებ, როდემდე არ ჩამომხსენებ, როდემდე მაყლაპინებ ნერწყვის ჩემსას?

თუ მე შევცოდებ, შენ რას გიშავებ, ადამიანთა გუშმაგო! რატომ ადამიანისიბრე ჩემივე თავი, ისე რომ საკუთარ თავს ტვირთად ვეჭმეცი?

რატომ არ უნდა შემინდო ცოდვები და რატომ არ უნდა ჩამომხსნა უკანონობა ჩემი? რამეთუ, აი, ფერფლად ვიქცევი, ზვალ მომტენი და მე აღარ ვიქნება.⁸

მეგობრები კვლავ უმტკიცებენ იობს, რომ არ შეიძლება ღვთის სამართალი სწორი არ იყოს. იგი ყოველად სამართლიანია, მხოლოდ ჩვენ ვერა ვწვდებით ღმერთის სიბრძნეს: „რამეთუ გუშინდლნი ვართ, და არა უწყით: რამეთუ აწრიდლ არს ქუეყანასა ზედა ცხოვრებაი ჩუენი.“⁹

ეს ყველაფერი ვიცი, — პასუხობს იობი, — მაგრამ თუ დამნაშავე ვარ. რატომ არ მომკლავს ღმერთი, რატომ არ მომაცილებს ამქვეყნისაგან; ხოლო თუ უდანაშაულო ვარ, რისთვის მტანჯავს. ნეტავ მალააარაკა მასთან, ვკითხავ, რაში მადანაშაულებს; დავ გამომიტხადოს, რისთვის მებრძვას, განა კარგია, რომ თავისივე ხელით ქმნილს ნაგრავს. განა, ღმერთო, შენი და კაცის ცხოვრება ერთიდაიგივეა? რისთვის ეძებ ჩემს უსჯულოებასა და მანკს, და რას იკვლევ ჩემს ცოდვებს, თუცა კარგად იცი, რომ უდანაშაულო ვარ. მე ხომ შენი ხელით შექმნილი ვარ. განა შენ არ გამოამტკრე თხიხაგან, ხოლო მერე ისევ მიწად არ უნდა მაქციო? როგორც ლომი მისილეს თავის მსხვერპლს, ისე მღვინი შენ, მაშ რაღად



გამაჩინე ამქვეყნად? რად მიჩვენე შვის სინათლე? რისთვის გამომიყვამე მუცლიდან? დაე მოვმეკდარაიყავი მანამ, სანამ ვინმეს თვალი და-მინახავდა. მუცლიდან პირდაპირ საფლავში რატომ არ ვაღავესენენ? „... მცირე არს ქაიმი ცხოვრებოჲს ჩემისა, მიტრევე მე განსვენებად მცირედ. ვიდრემდის არა განვიდე სადათადა არა მოვიქცევი. ქუეყანასა შინა ბნელსა და წყუდიდასა. ქუეყანასა შინა ბნელსა საუქუნესა, სადა არა არს ნათელი, არცა ხედვად ცხოვრებისა კაცთასა.“¹⁰

იობს მისი მეგობრები კვლავ იმავე არგუმენტს უყენებენ: მას (ადამიანს) არ შეუძლია გაიგოს ღვთის სიბრძნე. ურჩევენ, რომ მან ისევე უნდა გაიწვიდინოს მთხოვნელის ხელი უფლისავე, მხოლოდ მას შეუძლია მოაშოროს ბიჭი მის ხელებს. მხოლოდ ამის შემდეგ შეგიძლია მთლიანად დამშვიდებული იყო.

დედაქაცისაგან შობილი კაცის ცხოვრება, — ჰასუსტობს იობი, — ხანმოკლეა და სავეე ტანჯვა-ვებობა. ადამიანი ყვაეილივით იშლება, მერე ქქნება და ცვევა. ცხოვრება ჩრდილივით გავვირბის და არ ჩერდება. თუ ადამიანის ხანი შეზღუდულია, თუკი ღმერთი შენ საზღვარი დაუდგ რომელსაც იგი ვერ გადავა, მაშინ რაღას სდევნი მას? დე დღისეგნოს მან, სანამ სამუდამოდ განისვენებდეს.

ხისათვისაც კი არსებობს იმედი, რომ თუ მოჭრიან, ისევე მალე ამოიყრის რტოებს. ადამიანი კი კვდება და იშლება. სიკვდილის შემდეგ კი იცოცხლებს იგი ისევე? ჩემთვის მთელ განუთვნილ დღეებს დაველოდებოდი ჩემს ცვლას, მაგრამ ისევე როგორც წყალი რეცხავს ქვებს, ხოლო წარიდენა წყევს მიწის მტვერს, ასევე ანადგურებ შენ ადამიანის იმედს. დღენი მას ბოლომდე, ბოლოს სახეს უცვლი და ისე ავზავნი მას ამქვეყნიდან. და მან სრულებითაც არ იცის, რა დღეში აჩიან მისი შვილები, პატემი თუ დამცირებამი.

ამაზე იობის მეგობარი — ელიფას თემინიტიკელი ჰასუსტობს: რატომ ამტკიცებ, რომ უბიწო ხარ? ვანა შენ იცი ის, რაც ჩვენ არ ვიცით? რატომ უპირისპირდები ღმერთს და შენი ბავგენი რატომ წარმოსთქამენ ასეთ სიტყვებს. ვანა რა წარმოადგენს ადამიანი, რომ ის აუცილებლად უბიწო იყოს. დედაქაცისაგან შობილი რატომ უნდა იყო წმიდა. შენ ხომ იცი, რომ ადამიანი პირველქმნილი ცოდვით იბადება. ეს ყველაზე ვრცელდება, თვით უბიწოზეც. მით უმეტეს, რაოდენ საბავგელია უსამართლობის ჩამდენი ადამიანი.

მას ჩადენილი ცოდვა აწუხებს მთელი სიცოცხლის მანძილზე, ყურებში შიში უდგას და როდესაც ჰგონია, მშვიდობიან ნავსაყუდელს მივალწვივო, მსორედ მაშინ ჩამოქცევა ქვეყანა თავზე. მის არა აქვს ხსენის იმედი. იგი აღმა-დადამი დამარწმის ლუქმა-პურისათვის, მისი

სახლი კი დაცარიელდება: „რამეთუ საწამებელი უღმრთოთა სიუღილი არს და ცეცხლმან დაწუნეს სახლი ქრთამის მიმღებთა.“

ხოლო მეცელსა შინა მიიღოს საღმობა, და მისთანა იყოს ცალიერება, ხოლო მეცელი მისი სტიკირთავს ზავათა.“¹¹

იობი გაბრაზებული პასუხობს: აღარა აქვს ბოლო თქვენს თავქარიან სიტყვებს. მეც შემეძლო ხუსტად ასე მელაპარაკება, თქვენ რომ ჩემს ადგილას იყოთ. ხომ ხედავთ, რომ ჩემს უბედურებას ბოლო არ უჩანს; ოჯახი დამენგრა, ძალა გამოამეცლა, ხოლო სახე ნაოჭებით დამეფარა. სუნთქვა მიძინელებდა, ჩემი ღღეები ილევიან. წინ მხოლოდ საფლავს ვხედავ. უფალის რისხვა კვლავ მაწამებს, მან ჩამავდო უსამართლოთა და უსჯულოთა ხელში. ეს კამათი რომ არ იყოს, მაშინაც მშვიდად ვიქებოდი, ხმას არ ამოვიღებდი. გვეყოფათ ჩემი ღანძღვა და სულის ტანჯვა. თუ მე ცოდვილი ვარ, ჩემი ცოდვა ჩემთანვე დარჩება. მაგრამ ვახსოვდეთ, რომ უფალი ცოცხალია და ჩვენ ყველას გველის მისი სამსჯავრო.

სოფარ მინელი კვლავ ცოდვობს იობი დაამშვიდოს და აღწერს მთელ იმ საშინელებას, რომელიც ელის უსჯულო და წარწყმედილ ადამიანებს. ვანა შენ არ იცი, — ეუბნება იგი იობს, — როგორი ხანმოკლეა უსჯულოთა ბედნიერება, ხოლო პირვერების სიხანძლიერი წამებია. უსჯულოთა ძღვენი ცამდე რომ ავიდეს, ხოლო მსხვერპლი ღრუბლებამდე, მათ შინც საშინელი ბედი ელით: „რამეთუ ოდეს ჰგონებდეს აწ დამტკიცებულ ყოფად, მაშინ წარწყმდეს სრულიად, ხოლო მხილველნი მისნი იტყვიდენ: სადა არს. ვითარცა სიხმარი დაფერინილი არა იპოვოს; ხოლო ვაფრინდა ვითარცა მოჩუენება დამისა. თვალმან იხილა და არ შესძინოს, და მერმედა არა იცნას იგი ადვილსა მისსა. ძენი მისნი რათა წარსწყმინდენ უმცირესნი, და ხელნი მისნი მოსწყუნენ საღმობათა, ძუალნი მისნი აღივსნენ სიჭაბუკედ მისსა, და მისთანა მიწათა ზედა დაიძინონ. უეთუთ დაუტკებს პირსა შინა მისსა ბორბტნი, დაფარნეს იგი ენათა ქუეშე თვისთა. არა რიდებს მას და არა დაუტოვოს იგი: და შევირბოს იგი შორის სისასა თვისის, და ვერ შეუძლოს შეწეგნა თავისად. გესლი ასპიტისა მუცელსა შინა მისსა სიმდიდრე უსამართლო შეკრებილი გამოითხეს, და სახლისაგან მისისა გამოიზიდოს იგი ანგელოზმან... და რათა ვანაცხადნეს ცამან უსჯულოებაი მისი და ქუეყანა რათა აღდგეს მას ზედა. რათა მიიზიდოს სახლი მისი წარსწყმედულმან სრულიად, დღე რისხვისა, რათა მოვდეს მას ზედა. ესე ნაწილი კაცისა არა წმიდისა უფლისაგან, და

თეიმურაზ შანუჩიძე
წიგნი იობისა

მონაგები სიმღიდრისა მისისა ზედა მხედველთათგან¹².

შემდეგ კვლავ იობი ითხოვს სიტყვას. მომისინეთ! — მიმართავს იგი თანამოსაუბრეებს, და ეს იქნება ჩემი ნუგეში: რატომ ხდებდა, რომ არა წმინდანი ცხოვდებდინ, სიბერემდე ჩანთ მრთელი არიან. მათი შეილები და შეილოშვილები მათთან არიან. მათი სახლები დაკულია შიშისაგან, ღვთის რისხვის კვერთხი არ ეშუქრება მათ, მათი ბავშვები მზიარულობენ, ხოლო საქონელი მრავლდება. თუმცა ისინი არა სცნობენ ღმერთის გზას, მაგრამ ცხოვრობენ ხანგრძლივად და ბედნიერად. და განა ხშირად ეწვევათ მათ უბედურება? განა ხშირად უჭრებათ მათ სანთელი? ისინი ბზესავით უნდა იყვნენ, რათა ქარმა წარიღოს, ან ვითარცა მტვერი, რომელიც გრივად აღვისს. თქვენ იტყვი, — აგრძელებს იობი, — რომ ღმერთი უბედურებას უშაზღებს მათ შეილებს, მაგრამ დაე; მან თვითონ ნახოს ეს უბედურება, რადგან რა ენადლება ადამიანს თავისი სახლი მას შემდეგ, როცა თვითონ ცოცხალი აღარ იქნება.

ელიფას თემატიკული ამაზე ჰპასუხობს: თუ შენ უბიწო და წმინდა ხარ, ეს ღმერთისათვის კი არა, მხოლოდ შენთვისაა სასარგებლო. განა ადამიანს შეუძლია ღმერთს რაიმე სარგებელი მოუტანოს. ღმერთს იმდენი შენი ცოლვა იცის, ყველა რომ გახსენებინა, ალბათ, ორბავი ტანჯვის გადახდა დაგჭირდება. ამიტომ გიჯობს შესთხოვო ღმერთს და ისევე ის გიშველის. შენ გზას ისევე მისი სინათლე გაანათებს და ის, ვინც დამცირებული იყო, კვლავ აღდგება.

იობი ჰპასუხობს: მე რომ ვიცოდე, სადაა იგი (ღმერთი), სადაა მისი ტახტი, მივიდოდი მასთან, აუფხნინდი ჩემს საქმეს. ნუთუ მისი ძლიერების პატრონი შევიბრებავს დამიწყებდაო, არა. დაე მან მხოლოდ ყურადღება მომამყროს და გამომცადოს, ოქროსავით წმინდა გამოვლა. მე ხომ მისი გზისათვის არ გადამიხვევია. მის მცნებებს უფრო მივდედედი, ვიდრე ჩემს ჩვევებსა და სურვილებს. მაგრამ, აი მე მივდივარ წინ და ვერ ვხედავ მას, ვერც მარჯვნივ, ვერც მარცხნივ; მაგრამ მან ხომ იცის ჩემი გზა. თუმცა იგი ისე ძლიერია, რომ მის ნებას ვერაფერს ვაღუფა. იგი იმას აკეთებს, რაც სურს.

იობი გოდებს და მოსთქვამს იმ უკუღმართობაზე, რაც ქვეყანაზე არსებობს, იმაზე რომ ღატანი უქონელნი და ჩაგრულნი არიან, ქვეყანა უსჯულოთა ხელშია ჩავარდნილი, რომ ღმერთი ხედავს ყოველივე ამას, მაგრამ არ უძლილობს ამ საშინელი უსამართლობის მოსპობას. თუ ჩემი სიტყვები მართალი არ არის, — ამბობს იობი, — ვინ მამხილებს მე და ვინ აქცევს უქმად ჩემს ნალაპარაკებს.

ვალდად საეხეტელი უკვე მერამდნულ იმეორებს ერთიდაიგივე სიტყვებს. მასწავლებელმა ღმერთი, მას ეკუთვნის პირველი სიტყვა. არ არსებობს ისეთი ვატი, მისი შუქი რომ არ მოევიწიოს, განა შესაძლებელია მისი ლაშქრის დათვლა? როგორ უნდა იყოს ქალისაგან შობილი ადამიანი ღმერთის წინაშე მართალი. აი მთვარეც კი არ არის მთლიანად ნათელი, ხოლო ვარსკვლავები არა წმინდა არიან მისი მზერის წინაშე, მთ შუბტის ადამიანზე რაღა იტყვის, იგი მხოლოდ მატლებ და მოლაო.

იობი ამას როდი უარყოფს, იგი ამბობს: მართალია ღმერთი ძლიერია, მან შექმნა სამყარო და იგი განაგებს ქვეყანას, მაგრამ სანამ ცოცხალი ვარ, უარს ვერ ვიტყვი ჩემს უცოდველობასა და უმწიკვლობაზე. ჩემს ღღმენს სხვისი ქალისათვის ნდომინი არ შემიძლავდეს, არასოდეს დამირღვევია მონისა და მხედლის უფლებები, გაჭირებულ ადამიანს დახმარებაზე უარს არ ვუუბნებოდი, განა ოდესმე ყოფილა, ხელი აღმემართა ობოლზე? განა გამხარება ჩემი მტრის სოვლანე და დაღუპვა? ჩემი სახლის კარები მგზავის დაეკტილი არასოდეს დახვედრია. მაშ მითხარით, რაშაა ჩემი დანაშაული?

იობის სიტყვებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სამ მეგობარზე. მათ იგრძნეს, რომ იობი მართალი იყო მათთან კამათში და დადუმდნენ.

ამის შემდეგ წამოღდა ელიუს ვარქოლ ვუზიტელი.¹³ იგი გაუბრაზდა სამ მოსაუბრეს, რომლებმაც ვერ შესძლეს ღმერთის ღირსეული დაცვა და თბისათვის დამაჯერებელი პასუხის გაცემა. მისმინე იობი — მიმართავს მას ელიუს ვარქოლ ვუზიტელი, — აი შენ ამბობ, რომ უბიწოა მართალი ხარ, მაგრამ ღმერთმა შენში ნახა დანაშაული და გდევნის. ამაში არა ხარ მართალი, რისთვის უნდა შეგეჯიბროს ღმერთი და გდევნოს. ის ხომ არავის აბარებს ანგარიშს თავისი საქმიანობისათვის. იგი ადამიანზე მაღლა დგას და არ შეიძლება მისი სამართალი უქანონო იყოს.

უფალი მართავს სამყაროს, ისე განაგებს დედამიწას, რომ არ სჭირდება სიმართლისა თუ დანაშაულის გასარკვევად ადამიანი სასამართლოში წაიყვანოს. მან ყველაფერი წინასწარ იცის. იგი ანადგურებს ძლიერთ ამა ქვეყნისათ ყოველგვარი გამოკვლევის გარეშე. მის ყურამდე მიღწეულია ღარიბთა ოხვრა, ვიწი და ვიება. მჩავერდებისაგან კენესიან ჩაგრულები. მაგრამ განა როდისმე ვინმე კითხულობს, სადაა ამ დროს შემქმნელი ღმერთი? ჩაგრულები აქ ოხრავენ, მაგრამ ბოროტო ადამიანების სიამაყის გამო უფალი მათ არ ჰპასუხობს. მაგრამ ეს როდი ნიშნავს, თითქოს ღმერთი არ ხედავდეს და არ ესმოდეს ქვეყნად არსებული უკანონობა. თუმცა შენ ამბობ, რომ ვერ ხედავ



უფალს, მაგრამ განითხვის დღე წინაა, ელოდე მას და მხოლოდ იმის გამო, რომ მისი რისხვა სრული სიმკაცრით არ დაგატყდა თავს, ასე უგონოდ ნუ ლაპარაკობ.

„ხოლო უწყობი, — აგრძელებს ელიუს ვარქილ ვუზიტელი, — რამეთუ უფალი არა განაგდებს უმანკოსა, ძლიერ ძალითა, გული არა წმიდათა არა აცხოველოს, და სასჯელი გლახათა მისცეს. არა აღიღოს მართალთაგან თვისი თვისი, და მეფეთა თანა საყდარსა ზედა დასუამს მათ ძლევასა ზედა, და აღამაღლოს. შეკრულნი ხელთა შინა ხელ ბორკილებითა შეპერობილ იყუნენ, საბლებითა სიგლახაისათა.

და მიუთხრნეს მათ საქმენი მათნი, და ცოდენი მათნი, რამეთუ განძლიერდნენ. არამედ მართლისა ისმინოს და პრქუას რამეთუ მოიქცენ უსამართლოებისაგან უკეთუ უკუე ისმინოს, და მსახურონ, აღასრულონ დღენი მათნი კეთილთა შინა, და წელნი თვისნი კეთილ შეუენიერებათა შინა. ხოლო არა წმიდანნი არა აცხოვონ, ვინათგან არა ინებებს ცნობად უფლისა, და ვინათგან სწავლითა არა სმენილ იქმნეს.“¹⁴ იგი იხსნის გაკირებულს ვასპირისაგან. შენც, ვისხნდა, რომ არ დაგეწყო მისი გაკიცხვა. გაფრთხილდი, ნუ არჩიე უსჯულოება ტანჯვას. განსოვდეს, რომ ღმერთი ყოვლისშემძლეა და მისი შეცნობა ადამიანებს არ ძალგვის.

შემდეგ ასპარეზზე თვით ღმერთი გამოდის. იგი დრუბლებიდან გადმოსახებს იობს: „— ვინ არს ესე რომელი მიმაღას ჩემგან ზრახვითა, ხოლო დამპყრობელი სიტყვისა გულსა შინა. ხოლო ჩემდა თუ იგონებს დაფარვასა.“¹⁵ სად იყავ შენ მაშინ, — აგრძელებს ღმერთი, — როცა მე სამყაროს ვექმნიდი, სად იყავი მაშინ, როცა შევექმენი ზღვენი და ოკეანეები, ვარსკვლავები, მზე და მთვარი, მცენარეულობა, ცხოველები და თვით ადამიანი. შენ უმწყობარ, შენ ჩემს მიერ შექმნილ ცხოველებზედაც უმწყობარ ხარ. ვინ არს ისეთი რომელი მე წინა აღმიდგეს, „უკეთუ ყოველნი ცასა ქვეშე ჩემნი არს.“¹⁶

შეშინებული იობი ჰპასუხობს: მე ვიცი რომ ყველაფერი შეგიძლია, რამეთუ ვინ არს რომელი ძალიდგეს შენგან ზრახვასა, და ერიდებოდეს სიტყუათა, და შენგან ჰგონებდეს დაფარვად, ხოლო ვინ მითხრას მე, რომელი არა ვიცოდებ, დიდ დიდნი და საკვირველნი რომელი არა უწყობდე... ხოლო ვკითხო შენ, და მე შენ მასწავლე. სმენით უკუეთუ ყურთა მესმინა შენი პირველ, ხოლო აწ თვალმან ჩემმან გიხილა შენ. ამისთვის ვიგინი თავად თვით და დავდნი, და ვგონებ მიწად და ნაცრად.“¹⁷ ასე მოინანია იობმა თავისი სიტყვები და კვლავ ეთაყვანა ღმერთს.

უფალი გაუწყრა სამ მეგობარს, იობის მოკამათებს, რომ ისინი ისე სწორად ვერ ლა-

პარაკობდნენ მასზე, როგორც იობი. შემდეგ მოსთხოვა მათ მსხვერპლის შეწირვა იობის მეოხებით, რათა ეპატიებინა მათთვის დანაშაულები ული.

ღმერთმა იობს ორმაგად აღწახალურა თავისი დაკარგული სიმდიდრე, მას და მის ცოლს კვლავ გაუჩნდათ 7 ვაჟი და 3 ქალიშვილი. ამ ამბების შემდეგ იობმა იცოცხლა 140 წელი.¹⁸ მოესწრო მეოხზე თობის და გარდაცვალება.

ქრისტიანული ეკლესია აღნიშნავს წმინდა და მართლმორწმუნე იობის დღეს 6 მაისს, ძველი სტილით.

წიგნში დასული პროზაიკები

ზოგიერთი საბჭოთა მკვლევარი, მათ შორის ბიბლიის ცნობილი სპეციალისტი ი. კრიველიოვი თვლის, რომ წიგნ იობისას არაფერი საერთო არა აქვს ბიბლიურ სიუჟეტურ ხაზთან. „ბიბლიაში, — წერს იგი, — არის ზოგიერთი წიგნი, რომელიც არ არის დაკავშირებული საერთო ძაფთან, გაუგებარია კიდევ, რა დამოკიდებულება აქვთ მათ იუდაურ ან ქრისტიანულ რელიგიებთან.“¹⁹ ასეთ წიგნებში ი. კრიველიოვი ასახელებს რუთის, ესთერის, ქებათა-ქებას, ეკლესიასტეს და იობის წიგნებს. მეორე ადგილას იგი წერს: „არის ბიბლიაში საკმაოდ ღრმაზაროვანი ნაწარმოებები, მაგრამ ისინი ან არ ემთხვევიან ბიბლიურ რელიგიურ კონცეფციას, ან ეწინააღმდეგებიან მათ.“²⁰ ამასთან დაკავშირებით იგი იხილავს ორ წიგნს: ეკლესიასტეს და წიგნს იობისას; და ხოლოს მესამე ადგილას, გარკვეული მსჯელობის შემდეგ, იგი ასკვნის, რომ... „ბიბლიაში არის მთელი რიგი წიგნები, რომლებიც თავისი შინაარსით რელიგიურნი არ არიან.“²¹

წიგნი იობისა (ჩვენ მხოლოდ მასზე ვაკვებს საუბარს) მართლაც არ მიჰყვება ბიბლიის საერთო სიუჟეტურ ხაზს. უფრო მეტიც, მისი გმირები სრულიად არ ეყუთვნიან ღმერთის მიერ „არჩეულ“ ებრაელ ხალხს. წიგნი გამოირჩევა ერთგვარი მეამბოხე სულსიკვეთებით. მაგრამ, ჩვენი აზრით, „საღრმთო წერილის“ კანონიკურ ტექსტში იგი შემთხვევით მაინც არ უნდა იყოს მოხვედრალი, როგორც ამას ი. კრიველიოვი და ზოგიერთი სხვა მკვლევარი თვლის. ამ დებულების დასადასტურებლად ჩვენ მცირე ექსკურსიას ვაკეთება დაგვირგვინდება ძველი აღმოსავლეთის ლიტერატურაში. იობის წიგნის დაწერის პერიოდში და უფრო ადრეც, მსოფლიო ლიტერატურაში მომარაგდა თხზულებანი, სადაც გამოთქმული იყო სკეპტიკური დამოკიდებულება რელიგიური შეხედულებებისა და ცრურწმენებისადმი.

თეიმურაზ ზანჯიანიძე
წიგნი იობისა

ეს თხზულებანი, მართალია, მთლიანად არ უარუფენ რელიგიას, მაგრამ ილაშქრებენ ცალკეული რელიგიური ადათ-წესის, რელიგიური რიტუალისა და ჩვეულების წინააღმდეგ. ასეთ ლიტერატურას ხშირად ვხვდებით ძველი მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში: ეგვიპტეში, ბაბილონში, ჩინეთში და ინდოეთში. ძირითადი მოტივი, რითაც ამ თხზულებების ავტორნი ილაშქრებენ რელიგიის წინააღმდეგ, სოციალურია. რატომაა ამქვეყნიად ამდენი უსამართლობა, უბედურება, ჩავვრა, არათანასწორუფლებიანობა; რატომ არიან ერთნი მდიდარნი, მეორეთ კი ლუკმა-პური არ ვაჩანიათ. რატომ მარხავენ ზოგს აკლდამებში, მეორეთა საფლავი კი არავინ იცის სადაა. რატომაა ამდენი ბოროტება, შური, მკვლელობა დედამიწაზე.

ეს ყველაფერი, ცხადია, იცის ყოვლისმცოდნე და გულთამხილველმა ღმერთმა, მაგრამ იგი არაფერს არ იღონებს უსამართლობის აღმოსაფხვრელად. ეს საერთო იდეაა, რომელიც საფუძვლად უდევს ყველა ამ ტიპის ნაწარმოებს. მაგალითისათვის მოვიყვანოთ რამდენიმე ნაწივეტი ძველ ეგვიპტური, ბაბილონური და ჩინური ლიტერატურული ძეგლებიდან:

„ო, სულო ჩემო, — ნათქვამია ძველ ეგვიპტურ თხზულებაში — მიმდგატრებულის საუბარი თავის სულთან“, — სიგებუა ცხოვრებისაგან დათრგუნული შეაჩერო, მომავლინე სიკვდილი მანამდე, სანამ თვითონ მოვიდოდეს იგი ჩემთან, დამიტყებ საიქით ცხოვრება ჩემი. განა ეს კუღია? ცხოვრება ვადატრიალებულია და ხეებიც კი ძირს ეცემიან. ვანშორდი ცოდვას...“

... გულები გაქვამებულა და ყოველი კაცი თავის ძმას ართმევს ქონებას, თვინერება დაიღუპა, ძალადობა კი ჩასახლდა ადამიანთა გულში... ვის უნდა ვუთხრა, რომ გულმართალი აღარ არიან და დედამიწა უკანონობის ჩამდენთა ხელშია... ცოდეა სწამლავს დედამიწას და აღარ უჩანს მას ბოლო“.²²

ასეთ პირობებში სიცოცხლეს, თხზულების ავტორის აზრით, სიკვდილი სჯობია, რადგან იგი ამქვეყნიური ტანჯვისაგან გვათავისუფლებს. „დღეს სიკვდილი ჩემს წინაშე დგას ლოტოსის არომატებით, იგი თრობის ნაპირზე ჯდომას ჰგავს. დღეს სიკვდილი ჩემს წინაშე დგას გრივალის ჩადგომასაკვით, იგი ლაშქრობიდან კაცის შინ დაბრუნებასა ჰგავს...“²³

ბაბილონურ ლიტერატურულ ძეგლში „პოემა ტანჯული წმინდანის შესახებ“ ასევე აისახა პროტესტი არსებული სოციალური უსამართლობის გამო და გამოთქმულია დაუფარავი უმკაცროფილება ღმერთის მიმართ: „მე მონას დევმსგავსენ... დღე — ოხერა, ღამე — ცრემლი, თვე — გოდება, წელიწადი — მწუხარება. მე მოვედი სიცოცხლის დასასრულამდე. საითაც არ ვავიხედე, გაკვირებას წვააწყდი.“

ხიფათი ვაიზარდა, მოწყალეებს ვერსოდ ვაიზარებდი. მოუხზე ჩემს ღმერთს, მაგრამ მე ვაიზარებდი არ მიჩვენა... მე ჩემს ქვეყანას ვაიზარებდი ღმერთის სახელის პატივისცემას... ო, ნეტადარწმუნებული ვყოფილიყავი, რომ ეს ღმერთს ეამებოდა! რამეთუ რაც თვით ადამიანს ეჩვენება სიკეთედ, ის ღმერთის წინაშე საზიზღრობად იქცევა. ხოლო ის კი, რაც ადამიანს გულს უმნიშვნელოდ მიაჩნია, ღმერთის წყალობას იმსახურებს. ვის ძალუს შთაბრძნის ღმერთების რჩევას ცაში? ღმერთის წინააღმდეგობა წყევდიადითაა მოცული და ვის ძალუს ვაიგოს იგი?.²⁴

უმაყოფილება და პროტესტი არსებული სოციალური უსამართლობის, ჩავვრისა და ექსპლოატაციის გამო გამოთქმულია ჩინური ლიტერატურის ზოგიერთ ძეგლში: „ნათქვამია ჩინურ „ლექსთა წიგნში“ („შიცხინში“) მეორე ადგილას იქვე ნათქვამია, — ის ვინც არც ხნავს და არც თესავს, უხვ მისავალს იმკის“. „ცა არც ეთილია და არც სამართლიანი მას მხოლოდ ბოროტება მოაქვს“.²⁵

შემდგომში ეს იდეები განვითარებულ იქნა ანტიკურ ფილოსოფიაში — სკეპტიკოსებთან, რომლებმაც წამოაყენეს ძლიერი მორალური არგუმენტი ღმერთის წინააღმდეგ, — ზრუნავს თუ არა ღმერთი საერთოდ სამყაროზე და ნათლად უჩვენეს, რომ თეოლოგთა წარმოდგენა ღმერთზე, როგორც ყოვლადმთვარე და სამართლიანზე, კრიტიკას ვერ უძლებს.

წიგნი იობისა სვამს იგივე კითხვებსა და პრობლემებს. მის ვოდებას და ამქვეყნიურ მწუხარებაში მოსიხის ათასი საყვედური ღმერთის მიმართ. იობის მოთქმა ცხოვრების ხანმოკლეობაზე, ქვეყნიად არსებული უსამართლობისა და უკანონობის შესახებ ძალზე წააგავს უკვე ხსენებულ ძველი მსოფლიოს თავისუფალმოაზროვნულ ლიტერატურულ და ფილოსოფიურ ძეგლებში გამოთქმულ იდეებს.

იობი, თავისუფალმოაზროვნე ავტორების მსგავსად, ნათლად მიუთითებს იმ სოციალურ ბოროტებასა და ჩავვრაზე, რომელიც იმდროინდელ საზოგადოებაში სუფევდა. მისი ავტორი, ისევე როგორც ზემოხსენებული ძველი ეგვიპტელი, ბაბილონელი და ჩინელი ავტორები, ერთნაირად გამოთქვამს უმკაცროფილებას ქვეყნიად არსებული ბოროტების გამო. ორივენი აღწერენ სოციალური უბედურების საშინელ სურათს და პროტესტს აცხადებენ ასეთი უკანონობის გამო. ყველა ეს ავტორი სვამს სამართლიან კითხვას — რატომ არაფერს იღონებს ღმერთი ქვეყნიად არსებული სოციალური უსამართლობის აღმოსაფხვრელად. იობის წიგნის სიტყვებით რომ ვთქვათ, რატომაა რომ ერთნი კვდებიან სიკეთით სავსე, ცხოვრებით კმაყოფილნი, მეორენი კი მიიანს ამ ცხოვრების



სავან ისე, რომ არ უკვემიათ რაიმე სიკეთე. და ორივენი ისინი იწვეებიან ერთდღიადივე მიწაში და ორივეს ჭია შეჭვას. მაშინ სადაა ღვთის სამართალი? რატომ იტანჯება უღანაშაულო ადამიანი?

მაგრამ ძველი მსოფლიოს თავისუფალმოაზროვნული ძეგლებისაგან განსხვავებით, წიგნი იობისა სოციალური უსამართლობის კონსტატაციით კი არ კმაყოფილდება, არამედ ცდილობს თავისებური პასუხი გასცეს რელიგიონადმი სეპარტიკურად განწყობილი ავტორების ბრალდებაზე.

საერთოდ, მთელი „საღმრთო წერილი“ წარმოადგენს გარკვეულ, ჩამოყალიბებულ მსოფლმხედველობას, რომელიც მართალია არამეტნიერულად, გულუბრყვილოდ და პრიმიტიულად, მაგრამ მაინც, იძლეოდა პასუხს ყველა იმ კითხვებზე, რომელიც კი დღისმოდა იმდროინდელი ადამიანების წინაშე, დაწყებული სამყაროს შექმნიდან, გათავებული თითოეული ადამიანის პირადი ბედით. ბიბლიას პასუხი უნდა გავცა აგრეთვე ჩვენთვის საინტერესო კითხვებზე — რატომადღაც ღმერთის მიერ გონივრულად შექმნილ ქვეყანაში ამდენი უბედურება, ბოროტება, შური და, ბოლოს, რატომ იტანჯებიან ამქვეყნად უბიწო, წმინდა ადამიანები, რომელთაც არაფერი შეუტოვადეთ არც ადამიანებისა და არც თვით უფალი ღმერთის წინაშე.

იობის წიგნის დანიშნულება სწორედ ამ უკანასკნელი პრობლემის ასნა და გადაწყვეტა იყო. მას უნდა დაეძლია თავისუფალმოაზროვნული ტენდენცია, რომელმაც ასახვა პოეტიკული მსოფლიოს მოწინავე ლიტერატურაში, განემარტა ქვეყნად ბოროტების არსებობის მიზეზები და, ამასთანავე, აეხსნა ღმერთის პასიურობის მიზეზი ბოროტების აღმოფხვრის საქმეში.

მაგრამ წიგნის ავტორი მიზანს აშკარად ვერ აღწევს. მისი პასუხები დასმულ კითხვებზე გაცილებით უფრო სუსტი, უმწეო და არადაამაჯერებელია, ვიდრე თვით იობის გულწრფელი, სამართლიანი აღმფიქვება. ამიტომ მკითხველი იობის გულისწყრომას მთლიანად თანავგრძნობს. და ეს ხდება არა იმიტომ, რომ წიგნის ავტორი შეგნებულად აკეთებს ამას, როგორც ამას ი. კრიველიოვი ფიქრობს, არამედ იმიტომ, რომ ამ კითხვებზე უკეთესი პასუხი ექსპლოატირებულ საზოგადოებაში საერთოდ არ არსებობს.

თეოლოგები თვითონვე აღნიშნავენ, რომ წიგნში ღმერთი — იედოვა არა სცემს პირდაპირ პასუხს კითხვებზე — თუ რატომ იტანჯა იობი და საერთოდ რატომ იტანჯებიან ამქვეყნად უბიწო, უმწიკლო ადამიანები. ისინი მკითხველს მხოლოდ ბუნდოვანდ მიანიშნებენ წიგნის იდეას, რომ „... სამყაროში მოქმედ

ღვთებრივი სიბრძნისა და ყოვლისმყოფლის დახატვით ავტორი გვიჩვენებს აზრს, რომ ამ ტანჯვას არ შეიძლება არა ჰქონდეს კეთილშეშობის მიზანი და ღრმა აზრი“¹ მაგრამ რა არის ეს კეთილი მიზანი და ღრმა აზრი, არავინ იცის. ამ შემთხვევაშიც თეოლოგები აქცენტს აკეთებენ ადამიანის უმწეობაზე, ღმერთის მიუწველობობასა და მისი გზების გაუგებრობაზე ადამიანებისათვის, ეს ტენდენცია კი ახალი არ არის თეოლოგიაში, იგი წითელი ხაზით გასდევს მთელ „საღმრთო წერილს“.

თვით თეოლოგიამ, მეცნიერებამ, რომელიც მიზნად ისახავს მოხსნას ღმერთს პასუხისმგებლობა ქვეყნად არსებული ბოროტების გამო, ვერ შეისწავს რაიმე არსებობა, სეროიზული არგუმენტი წამოეყენებინა ღმერთის უღანაშაულობის სასარგებლოდ.

მაინც რის დამტკიცებას ესწრაფვის ღმერთი იობის გამოცდისას? იმის დამტკიცებას ხომ არა, რომ იგი ძლიერი და ყოვლისშემძლეა, რომ ამქვეყნად ყველაფერი მას ემორჩილება? ეს არაა საჭირო, რადგან იობისთვის ეს ისედაც ცხადია. იგი უსიტყვოდ აღიარებს ღმერთს სიძლიერეს, მის განგებას, ამიტომ არ სჭირდება მას სხვების მტკიცება ღმერთის ყოვლისშემძლეობის აღიარებაში. იობმავე იცის, მაგრამ სწორედ ეს ფაქტი იწვევს მის პროტესტსა და უკმაყოფილებას: რატომ სწორად არ იყენებს ღმერთი თავის ძალასა და უფლებას. რატომ არ დასჯის იგი ბოროტებსა და არაწმიდებს? რატომ არის ეს ქვეყანა ჩაგდებული მიწიერთა ხელში იმ დროს, როდესაც უღანაშაულონი იტანჯებიან.

წიგნი ძალაუნებურად საერთოდ სხვა კითხვებსაც ბადებს, კერძოდ: ღმერთს, როგორც გულთამახლეულსა და ყოვლისმცოდნეს, არ შეიძლება არა სცოდნოდია რითი დამთავრდებოდა იობის საშინელი გამოცდა. მაშ რაღა აზრი ჰქონდა მის ასეთ საშინელ ტანჯვას?

ცხადია, უაზრობა იქნებოდა იობის წიგნში, რომელიც კანონიკურად არის აღიარებული, ათეიზმი გვეძებნა. მაგრამ მასში, დროდადრო, ავტორის მიზნის მიუხედავად, თავს იჩენს ადამიანური ამბოხი. (წიგნს ხომ მაინც ადამიანი წერდა), პროტესტი ღმერთის უსამართლობის გამო. საქმეს არ შეეღის ის ფაქტიც, რომ ღმერთმა ესოდენ მძიმე გამოცდის შემდეგ იობს გაუორმაგა აღრინდელი ქონება. მას კვლავ გაუჩნდა შვიდი ვაჟიშვილი და სამი ქალიშვილი. მაგრამ ღმერთმა აღარაფერი უშველა იობის სრულიად უღანაშაულო აღრინდელ შვილებს, მათ ოჯახებსა და მსახურებს, რომლებიც ღმერთის კამრიზის, მისი უგულობისა და სიმკაცრის მსხვერპლნი გახდნენ. ეს კი სრულიად არ ეთანხმება თეოლო-

თეოლოგების ფანჯიკიძე
წიგნი იობისა

გიურ წარმოდგენას ღმერთზე, როგორც უკლავ სათნოზე და კეთილზე.

თოდ, იმ ეპოქის მეცნიერებისა და ფილოსოფიის მდგომარეობაზე.

ყოველივე ამის გამო, ეს თხზულება იბეჭედა იპრობა მრავალი გამოჩენილი ადამიანის უფრადღებას. მიუხედავად იმისა, რომ ეს ადამიანები იცნობდნენ თხზულების მხოლოდ არასრულ თარგმანს. ბიბლიის ზოგიერთი მკვლევარი სამართლიანად შენიშნავს, რომ წიგნის ეს წარმატება კიდევ უფრო მეტი იქნებოდა, ამ ადამიანებს ეს ნაწარმოები ორივე ნაწილში რომ წაეკითხათ. ევრანთ იმ ენის სიღრმადე და კეთილშობილება, რომელზეც ეს წიგნი დაწერილი.

წიგნი იობისა დიდი მხატვრული ძალის ნაწარმოებია. ამაღლებული პოეტური თხრობა, დახვეწილი სტილი, ღრმა, დამაფიქრებელი ფილოსოფიური მსჯელობა ამ ნაწარმოებს ძველი მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთ შედევრად ხდის. წიგნი იობისა მრავალჯერ იქნა შედარებული ჰომეროსის ოდისეასთან, მაგრამ, ზოგის აზრით, მისი ავტორის მაღალმხატვრულმა სიტყვამ გადააჭარბა ჰომეროსის მელიდოურ აკორდებს.

იობის სახე დრამატულია. შემდეგ ეს სახე გადავიდა ბერძენი ფილოსოფოსების ნაწარმოებებში. იგი გამოყენებული იქნა უფრო გვიანდელ ლიტერატურაში, კერძოდ, დიდმა პოეტებმა გოეთემ და ბაირონმა, პირველმა „ფულსტში“, ხოლო მეორემ „მანფრედში“, გამოიყენეს იობის სახე. იობის წიგნში მოთხრობილი დრამატული ამბები ხალხურ სიტყვიერებაშიც აისახა. ქართულ სიტყვიერებაში იობის ტანჯვა-წამება გაულეშკავს ვინმე გიორგი ქებაძეს.²⁷

წიგნი უფრადღებას იქცევს როგორც ისტორიული წყარო. მასში ბევრი ძვირფასი ცნობაა მოცემული. წიგნში აღწერილია ძველი მსოფლიოს მრავალი წესი, ადათ-ჩვეულება, რელიგიური და სამართლებრივი შეხედულებანი. აქ ლაპარაკია მსხვერპლის შეწირვაზე, ცხვრის მოვლის წესზე, შეღებვის ხელოვნებაზე, ოქროსა და ვერცხლის სპილენძისა და რკინის მიღებაზე ცეცხლის მეხებით. ლაპარაკია ღვთისმსახურების დღეების გამოთვლაზე, საზოგადოებრივ წესრიგზე. წიგნი გარკვეულ შთაბეჭდილებას გვიქმნის იმდროინდელ ასტრონომიულ შეხედულებებზე და, სერ-

წიგნი იობისა, ისევე როგორც ძველი მსოფლიოს სხვა ბრწყინვალე ლიტერატურული ნიმუშები, მიუხედავად რელიგიური საბურველისა, დღესაც გულწრფელ აღტაცებას იწვევს.

შ ე ნ ი შ ე ნ ე ბ ა

1 წინასწარმეტყველება იეზეკიელის თავი იდ. დაბადება (ბიბლია), ტფილისი, 1884, ნაწილი მეორე.

2 ბერძნულ თარგმანში, აქედან კი ქართულსა და სლავიანურ ბიბლიებში წერია ქუეყანასა ავსიტისასა.

3 წიგნი იობისა, თავი ბ. დაბადება (ბიბლია). ტფილისი, 1884 წ. ნაწილი მეორე.

4 ი ქ ე ვ.

5 წიგნი იობისა, თავი ბ.

6 ქართულ თარგმანში ვალადად საეხენელზე წერია ვალადად საეხენელთა მტანჯველი, რუსულ თარგმანში ვილდად საეხენელი, ხოლო მიწელთა მეფეს სოფარს ქართულ თარგმანში ნაამიტინელი არ ემატება.

7 წიგნი იობისა, თავი ბ.

8 წიგნი იობისა, თავი ზ.

9 ი ქ ე ვ.

10 წიგნი იობისა, თავი ი.

11 წიგნი იობისა, თავი იბ.

12 წიგნი იობისა, თავი ბ.

13 ბიბლიაში არ ჩანს საოდან გამოჩნდა იგი მისაუბრეთა შორის.

14 წიგნი იობისა, თავი ლვ.

15 ი ქ ე ვ, თავი ლშ.

16 ი ქ ე ვ თავი მბ.

17 წიგნი იობისა, თავი მბ.

18 ქართულ თარგმანში წერია: „ცხოვნდა იობ შემდგომად წყლულებისა საამეოცდა ათ წელს, ხოლო ყოველნი წელნი რაიოდენ ცხოვნდა იეჟუნეს ორას ორმეოც და რვა წელ“ (წიგნი იობისა, თავი მბ, იბ).

19 И. Крывелев, Книга о Библии, Москва, 1959 г., стр. 47.

20 И. Крывелев, Книга о Библии, стр. 48.

21 ი ქ ე ვ, გვ. 55.

22 იხ. М. М. Григорьян. Курс лекции по истории атеизма. Москва, 1970 г., стр. 10—11.

23 ი ქ ე ვ, გვ. 11.

24 ი ქ ე ვ, გვ. 14-15.

25 Ян-хин Шун. Из истории китайской философии. Москва, 1956 г., стр. 27.

26 Православная Богословская Энциклопедия, составлен под редакцией Н. Н. Глубовского, С. Петербург, 1906 г., т. VII, стр. 203.

27 იხ. პეტრე უმიკაშვილი. ხალხური სიტყვიერება. თბილისი, 1964, გვ. 149.



ტიქნიკური ხელმძღვანელი ჯ. ტიკარაძე.

კრიტიკისა და პუბლიცისტის განყოფილება მასალებს მიიღებს არა უშეტეს ერთი საავტორო
თაბახისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლენხანოვის პრ. № 91.

ტილფონები: რედაქტორის — 95-08-75, პ. მგ. მღინის — 95-08-85. განყოფილებების: პოეზიის
კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის — 95-08-85, პროზის, ნარკვევისა და კულტურის — 95-08-86.

გადაეცა ასაწყობად 17/IV-74 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 11/VI-74 წ., ქალაქის ზომა
70×108. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. სააღრ-საგ
თაბახი 14,5 შეკვეთა № 1509 უე 01789 ტირაჟი 30.300.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография Издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина. 14.

№ 60 333.



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ
ИНДЕКС 76236